თბილისის უნივერსიტეტის ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა

ГРЕЧЕСКО-ЛАТИНСКАЯ БИБЛИОТЕКА ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА

BIBLIOTHECA GRAECO-LATINA UNIVERSITATIS THBILISSIENSIS

ТОМАС МОР

УТОПИЯ

Перевод, вступительная статья, комментарии
и указатель Н. Н. Гомартели

Под редакцией А. В. Урушадзе

Рецензенты: Л. Е. Горгиладзе, Г. Г. Жорданиа

THOMAE MORI

UTOPIA

In linguam georgicam convertit prolegomenis commentariis
et indicibus illustravit N. Gomarthelī

Redactor: A. URUŠADZE

ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА
ТБИЛИСИ 1983

SUMPTIBUS UNIVERSITATIS THBILISSIENSIS
THBILISSIIS MCMLXXXIII

ტომას მორი

უტოპია

ლათინურიდან თარგმნა, შესავალი წერილი, შენიშვნები და
საძიებელი დაურთო ნინო გომართელმა

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1983

I Ф
66.02
335.1/4
ბ 85

დიდი ინგლისელი მოაზროვნის, გამოჩენილი ჰუმანისტისა და საზოგადო მოღვაწის ტომას მორის „უტოპია" უტოპიური სოციალიზმის იდეების ამსახველი ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლია. იგი ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება.

წიგნი განკუთვნილია ფილოსოფოსების, ისტორიკოსებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

თსუ ბერძნულ-ლათინური გიბლიოთეკის
სარედაქციო კომისია:

ა. ალექსიძე, შ. აფაქიძე, ბ. ბრეგვაძე, რ. გორდეზიანი, გ. თევზაძე, რ. მიმინოშვილი, ო. ნოდია, ა. ურუშაძე (თავმჯდომარე), თ. ყაუხჩიშვილი, ი. შენგელია, შ. ძიძიგური.

რედაქტორი ა. ურუშაძე
რეცენზენტები: ლ. გორგილაძე
გ. ჟორდანია

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983

М $\frac{60103}{М\ 608\ (06)—83}$

VTOPIA

ტომას მორი და მისი „უტოპია“

1977 წლის თებერვალში შესრულდა გამოჩენილი ინგლისელი ჰუმანისტის, უტოპიური სოციალიზმის ფუძემდებლის და მეცნიერული სოციალიზმის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი წინამორბედის ტომას მორის დაბადების 500 წლისთავი.

მოსკოვში, კრემლის კედელთან, სოციალიზმის უდიდეს დამცველთა ხსოვნისადმი აღმართულ ობელისკზე, სხვათა გვერდით ტომას მორის სახელიცაა ამოტვიფრული.

ტომას მორი დაიბადა შეძლებული ლონდონელი იურისტის ოჯახში. მამამისი, ჯონ მორი, სამეფო სასამართლოს წევრი იყო. მორის სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი ოჯახი „ნაკლებად ცნობილი, მაგრამ პატიოსანი გვარისა“ იყო. მორის დაბადების თარიღის დადგენაზე დიდხანს დაობდნენ. 1886 წელს ინგლისელმა ისტორიკოსმა უილიამ რაიტმა კემბრიჯის სამების კოლეჯის ბიბლიოთეკაში მიაგნო მორის მამის ხელნაწერს, საიდანაც ირკვევა, რომ „უახლოეს პარასკევს, ნეტარი ქალწული მარიამის მირქმის დღესასწაულის შემდეგ, სახელდობრ თებერვლის მეშვიდე დღეს, ორიდან სამ საათამდე, ქვეყნად იშვა ტომას მორი, ძე ჯონ მორისა, ჯენტლმენისა, ედუარდ მეოთხის ინგლისში გამეფების მეჩვიდმეტე წელს“. ამ დოკუმენტზე დაყრდნობით ირკვევა ტ. მორის დაბადების ზუსტი თარიღი. მირქმის დღესასწაული ძველი სტილით, ანუ იულიუსის კალენდრით ყოველთვის 2 თებერვალზე მოდის. რადგან ედუარდ IV გამეფდა 1461 წელს (ტაუნტონთან ბრძოლის შემდეგ), მისი მეფობის მეჩვიდმეტე წელი იქნება არა 1478, როგორც მკვლევრები ფიქრობენ, არამედ 1477, ხოლო რადგან 1477 წლის 2 თებერვალი კვირა იყო, „უახლოესი პარასკევი“ იქნებოდა 7 თებერვალს. ამ დოკუმენტიდან ნათელი ხდება, რომ ტომას მორი 1477 წლის 7 თებერვალს დაბადებულა.

ტომას მორმა პირველდაწყებითი განათლება წმ. ანტონიუსის გრამატიკულ სკოლაში მიიღო, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო დაწყე-

ბითი სკოლა იყო ინგლისში. იმ დროს გავრცელებული ჩვეულების თანახმად 12—14 წლის ვაჟებს პაჟებად გზავნიდნენ რომელსამე დიდებულის ოჯახში. ჯონ მორმა თავისი ვაჟი მიაბარა ლამბერტის სასახლეში კენტერბერის არქიეპისკოპოსს (შემდგომში კარდინალს) ჯონ მორტონს (1420—1500 წწ.). მისივე რჩევითა და რეკომენდაციით 1497 წელს მორი ოქსფორდის უნივერსიტეტში შევიდა.

XV—XVI საუკუნეების მიჯნაზე ოქსფორდის უნივერსიტეტი ინგლისის ჰუმანიზმის ცენტრს წარმოადგენდა. XVI საუკუნის 90-იან წლებში ჰუმანისტური იდეების გავრცელება ოქსფორდში უკავშირდება გამოჩენილ მეცნიერ-ჰუმანისტების უილიამ გროსინის, ტომას ლინაკრისა და ჯონ კოლეტის მოღვაწეობას.

1499 წელს მამის დაჟინებული თხოვნით ტომას მორმა დატოვა ოქსფორდის უნივერსიტეტი. სერ ჯონ მორს არ სურდა, რომ მისი შვილი „უფულო“ მეცნიერი გამხდარიყო. მორი ლონდონში დაბრუნდა და დაიწყო იურისპრუდენციის შესწავლა ინგლისური სამართლის სკოლაში. 1502 წელს მან დაამთავრა ეს სკოლა და „სრულუფლებიანი“ ადვოკატი გახდა. როგორც ერაზმ როტერდამელი აღნიშნავს, მორი იყო „ყველაზე სამართლიანი და კეთილსინდისიერი ადვოკატი, რომელიც საკუთარ თავზე უფრო ნაკლებად ზრუნავდა, ვიდრე სხვის კეთილდღეობაზე“.

1504 წელს, როცა მორი მხოლოდ 27 წლისა იყო, პარლამენტში თემთა პალატის წევრად აირჩიეს. ეს იყო უკანასკნელი პარლამენტი ჰენრი VII მეფობის პერიოდში. იმავე წელს მეფემ თემთა პალატისაგან მოითხოვა დაემტკიცებინათ ახალი სუბსიდია, 38 ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობით, ამ პარლამენტის მოწვევამდე ორი წლით ადრე გარდაცვალებული მისი უფროსი ძის, უელსის პრინც არტურის რაინდად კურთხევასა და მეფის ასულის, მარგარიტას გათხოვებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად.

დეპუტატთა წინაშე გამოვიდა ტ. მორი და იმდენად გაბედულად და დამაჯერებლად უარყო მეფის მოთხოვნა, რომ თემთა პალატამ მას სავსებით დაუჭირა მხარი. მეფეს მოახსენეს, რომ ვიღაც „უწვერო ბიჭუნამ ჩაშალა მთელი მისი ჩანაფიქრი“. მეფე სიამოვნებით დასჯიდა მას, მაგრამ თემთა პალატის წევრები ხელშეუხებლად ითვლებოდნენ, ამიტომ მეფის მთელი რისხვა თავს დაატყდა მამამისს: ჰენრი VII იგი დაამწყვდევინა ტაუერში, ვიდრე 100 გირვანქა სტერლინგის ოდენო-

ბით ჯარიმა არ გადაიხადა. ამ ინციდენტის შემდეგ მორმა, რეპრესიის შიშით, თავი დაანება პოლიტიკურ მოღვაწეობას.

ტომას მორის ჰუმანისტური მსოფლმხედველობის ფორმირებისა და განვითარებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის შეხვედრას ერაზმ როტერდამელთან. მათი გაცნობა მოხდა ინგლისში ერაზმის ჩამოსვლის დროს, 1499 წლის შემოდგომაზე, ხოლო ნაცნობობა შემდგომ მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობაში გადაიზარდა.

1509 წელს ერაზმმა მორის სახლში, მისივე დაჟინებული თხოვნით, დაწერა „ხოტბა სისულელისა", რომელმაც მორი აღაფრთოვანა. თხზულება გამოიცა 1511 წელს პარიზში მორის თაოსნობით.

1504—1509 წლებში ტომას მორმა იმოგზაურა ნიდერლანდსა და საფრანგეთში. მან ინახულა ლუვენის და პარიზის ცნობილი უნივერსიტეტები.

1509 წელს, მეფე ჰენრი VII გარდაცვალების შემდეგ, ტომას მორი დაბრუნდა სამშობლოში და კვლავ შეუდგა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1510 წლის იანვარში იგი აირჩიეს პარლამენტის დეპუტატად. ამავე დროს მორი დაინიშნა ლონდონის შერიფის ერთ-ერთი თანაშემწის ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. პარალელურად იგი განაგრძობდა ლიტერატურულ მოღვაწეობას, რომელიც არ შეუწყვეტია მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში.

ტომას მორის შემოქმედება გამოირჩევა არა მარტო მდიდარი შინაარსით, არამედ ჟანრთა მრავალფეროვნებით. გარდა გამოჩენილი იტალიელი ჰუმანისტის პიკო-დელა მირანდოლას (1462—1494 წწ.) ბიოგრაფიისა, რომელიც მორმა 1510 წელს თარგმნა ლათინურიდან ინგლისურ ენაზე, მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას შეადგენს „რიჩარდ III ისტორია", „უტოპია", ძველი ბერძენი პოეტების ნაწარმოებთა თარგმანები, შესრულებული ლათინურ ენაზე, მდიდარი ეპისტოლარული მასალა და მწვავე პოლემიკური ტრაქტატები ლუთერისა და რეფორმაციის ინგლისელ მიმდევართა წინააღმდეგ.

1515 წელს ტომას მორი დიპლომატიური მისიით იმყოფება ფლანდრიაში. აქ მან გაიცნო გამოჩენილი ნიდერლანდელი ჰუმანისტი პეტრე ეგიდიუსი (1486—1533). აქვე იგი იწყებს თავის ცნობილ ნაწარმოებზე „უტოპიაზე" მუშაობას. როგორც ერაზმ როტერდამელი აღნიშნავს, თავდაპირველად მორმა დაწერა მეორე წიგნი, ხოლო შემდეგ მიუმატა მას პირველი. 1516 წლის 3 სექტემბერს მორმა ლონდონიდან ლუვენში ერაზმს გაუგზავნა ახლად დამთავრებული წიგნის

ხელნაწერი. იგი აცნობდა ერაზმს, რომ წინასიტყვაობის მაგივრად იგი შომავალში წიგნს დაურთავდა ხელნაწერს, რომელიც დასათაურებული იქნებოდა ასე: „შესავალი წერილი ჩემს მეგობარ პეტრეს“ (ე. ი. პეტრე ეგიდიუსს). მორის მეგობრების — ერაზმისა და ეგიდიუსის გულმოდგინების წყალობით, 1516 წლის შემოდგომაზე „უტოპია“ გამოქვეყნდა ბელგიის ქალაქ ლუვენში ასეთი სათაურით: „უთვალსაჩინოესი და ენამზეობით გამორჩეული ვაჟკაცის, ლონდონის სახელოვანი მოქალაქისა და ვიკონტის ტომას მორის — არანაკლებ სასარგებლო, ვიდრე გასართობი, — ჰეშმარიტად ოქროს წიგნი სახელმწიფოს საუკეთესო წყობილებისა და ახალი კუნძულის უტოპიის თაობაზე“.

„უტოპიის“ გამოსვლისთანავე ტომას მორი მთელი განათლებული ევროპის ყურადღების ცენტრში მოექცა. მორის პოლიტიკურ პოპულარობასთან ერთად იზრდებოდა მისი, როგორც მეცნიერ-ჰუმანისტის დიდება.

1518 წელს მორი გახდა მეფის საიდუმლო საბჭოს ერთ-ერთი წევრი და იმ პეტიციათა მომხსენებელი, რომელნიც შემოდიოდა მეფის სახელზე. მორს უნდა მოეხსენებინა მეფისათვის განსახილველი საქმეების ვითარება და მის მიერ წინასწარ მოფიქრებული გადაწყვეტილებანიც.

1521 წლის მაისში მორი დაინიშნა ხაზინადრის თანაშემწის თანამდებობაზე. ამასთან ერთად მან მიიღო რაინდის წოდება და მონაწილეობდა დიპლომატიურ მისიებში, თან ახლდა კანცლერ უოლსს კალესა და ბრიუგეში. 1522 და 1525 წლებში, მეფის ბრძანებით მორს საჩუქრად გადასცეს მიწები ოქსფორდისა და კენტის საგრაფოებში.

ტომას მორის შემდგომ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე დიდი გავლენა მოახდინა რეფორმაციამ. გამოდიოდნენ რა თეოლოგ-სქოლასტიკოსებისა და კათოლიკური სამღვდელოების კრიტიკით, ჰუმანისტებმა ობიექტურად ბევრი რამ გააკეთეს რეფორმაციის მოსამზადებლად. მაგრამ მათ ამოცანად არ დაუსახავთ არსებული კათოლიკური ეკლესიისა და, მით უმეტეს, არსებული საზოგადოებრივი წყობილების დანგრევა. მათი კრიტიკის სუბიექტური მიზანი იყო ნაკლოვანებების გამოსწორება „ზევიდან“, ხალხთა ფართო მასების მონაწილეობის გარეშე.

ამიტომ, როდესაც ევროპაში გაიშალა რეფორმაციული მოძრაობა და მან მოიცვა საზოგადოების უფრო ფართო სოციალური წრეები, ჰუმანისტებმა ცივილიზაციის ბედი განათლებულ ადამიანთა წრეს მი-

ანდეს, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ მხოლოდ მას შეეძლო მსოფლიოს ბედის გადაწყვეტა და არა ხალხთა ფართო მასებს. სწორედ ამის გამო არა მარტო მორი, არამედ მისი მეგობარი ჰუმანისტებიც, მათ შორის ერაზმ როტერდამელიც, მკვეთრად განუდგნენ რეფორმაციას.

მორი მარტინ ლუთერის გამოსვლისთანავე რეფორმაციის მოწინააღმდეგე გახდა. მორსავით მეფეც ასევე მტრულად შეხვდა ლუთერის რეფორმაციას. ჰენრი VIII ხშირად იხილავდა მორთან ერთად რეფორმაციის საკითხებს. 1521 წელს ჰენრი VIII ლუთერის წინააღმდეგ სპეციალური წიგნი გამოაქვეყნა—„შვიდი საიდუმლოს დასაცავად". ტომას მორმა მონაწილეობა მიიღო ამ წიგნის რედაქტირებაში, მეტიც, არსებითად იგი მეფის თანაავტორი იყო. ამ შრომის საფასურად ჰენრი VIII პაპისაგან „რწმენის დამცველის" საპატიო ტიტული მიიღო. გარდა ამისა, ყველა იმას, ვინც ამ წიგნს წაიკითხავდა, პაპი ჰპირდებოდა ცოდვების შენდობას. ამ დროიდან უკვე იწყება მორის პოლემიკური ბრძოლა რეფორმაციის წინააღმდეგ.

1523 წელს, მეფის თანხმობით, ტომას მორი აირჩიეს თემთა პალატის სპიკერად, ე. ი. თავმჯდომარედ, მაგრამ მეფისა და მისი პირველი მინისტრის, კარდინალ უოლსის იმედები არ გამართლდა — მორი არ გამხდარა მეფის მორჩილი იარაღი პარლამენტში.

1525 წელს მორმა ლანკასტერის საჰერცოგოს კანცლერის მაღალი პოსტი დაიკავა. ამასთან ერთად, იგი მონაწილეობდა მნიშვნელოვან დიპლომატიურ მისიებში.

1529 წელს, კარდინალ უოლსის ჩამოგდების შემდეგ, ტომას მორი ინგლისის ლორდ-კანცლერი გახდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ ინგლისში ეს პოსტი დაიკავა ბურჟუაზიული წრის წარმომადგენელმა, მაგრამ მორს არ გამოუხატავს დიდი აღფრთოვანება, იგი არ ფიქრობდა თავისი შეხედულებების შეცვლას და მეფის მორჩილ იარაღად გახდომას. ტრადიციულ სიტყვაში, რომელიც წარმოთქვა ამ თანამდებობის მინიჭების ცერემონიალის დროს, მან ნათლად გამოხატა თავისი შეხედულება კანცლერის მოწოდების შესახებ: „მე ვფიქრობ, რომ ეს სავარძელი აღსავსეა შრომითა და საფრთხით და არა პატივით. რაც უფრო მაღალია თანამდებობა, მით უფრო მძიმეა დაცემა. ეს კარგად ჩანს ჩემი წინამორბედის (იგულისხმება უოლსი—ნ. გ.) მაგალითიდან. რომ არ ყოფილიყო წყალობა, ჩემს ადგილს მივიჩნევდი ისეთსავე სასიამოვნო ადგილად, როგორც დამოკლესათვის იყო სასიამოვნო მის თავზე აღმართული მახვილი".

მორის შეჯახება ჰენრი VIII-სთან მორის დაღუპვით დამთავრდა და ეს სწორედ რეფორმაციის საფუძველზე მოხდა. ინგლისის ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა მოითხოვდნენ და თანაუგრძნობდნენ რეფორმაციას. ინგლისის ისტორიული განვითარება თვით განაპირობებდა ჰენრი VIII და პაპის კურიას შორის განხეთქილებას. გაბურჟუებული თავადაზნაურობა და ბურჟუაზია დაინტერესებული იყვნენ უფრო იაფი ეროვნული ეკლესიის შექმნით, დიდ მოგებას უქადდა მათ საეკლესიო ქონების სეკულარიზაცია. როგორც ცნობილია, პაპთან უთანხმოების საბაბად იქცა მეფის განქორწინების ამბავი. მეფეს სურდა გაპყროდა თავის პირველ ცოლს—ეკატერინე არაგონელს და დედოფლის ლამაზი სეფე-ქალი ანა ბოლეინი ცოლად შეერთო. მეფეს სჭირდებოდა პოლიტიკური მხარდაჭერა თავისი კანცლერისაგან — ტომას მორისაგან. მეფის იმედები არ გამართლდა. მორმა მხარი არ დაუჭირა ჰენრი VIII და 1532 წელს უარი განაცხადა კანცლერის თანამდებობაზე.

მის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ დაიწყო რეპრესიები. სასამართლომ მორს ბრალი დასდო „სახელმწიფო ღალატში“ და კენტენბერის მონაზვნის ელისაბედ ბარტონის მხარდაჭერაში, რომელმაც უწინასწარმეტყველა მეფეს დაღუპვა ანა ბოლეინზე დაქორწინების შემთხვევაში.

1534 წლის 17 აპრილს მორი ტაუერში გადაიყვანეს, სადაც მან წელიწადზე მეტი დაჰყო. მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა მას შემდეგ, რაც 1534 წლის ნოემბერში მიიღეს სპეციალური აქტი, რომლითაც მეფე ოფიციალურად ცნეს „ინგლისის ეკლესიის უზენაეს მეთაურად“. ამავე დროს გამოაქვეყნეს აქტი „სახელმწიფო ღალატის შესახებ“. ღალატად ითვლებოდა მეფის რომელიმე ტიტულის უარყოფა. ამის შემდეგ პარლამენტმა დაამტკიცა, რომ ფიცი, რომლის დადებაც უარყო მორმა, „ჰეშმარიტია“ და სრულიად შეესაბამება ახალ აქტს „ტახტის მემკვიდრეობის შესახებ“.

ტ. მორს ბრალად დასდეს სახელმწიფო ღალატი და თავს დაატეხეს ათასგვარი უბედურება: ჩამოართვეს 1522 წელს მეფის მიერ ნაბოძები მიწები, მისი ოჯახი ყოველგვარი შემოსავლის გარეშე დატოვეს. დაიწყო ხანგრძლივი სასამართლო პროცესი.

1535 წლის 1 ივლისს მორი უკანასკნელად წარსდგა სასამართლოს კომისიის წინაშე. მას მრავალრიცხოვანი ბრალდება წაუყენეს და გამოუცხადეს სასტიკი განაჩენი: „იგი უნდა წაიყვანოს კონსტებლ უი-

ლიამ კინგსტონმა სასამართლოდან ტაუერში, საიდანაც გადაიყვანენ ტაიბერნში. იქ სახრჩობელაზე უნდა ჩამოკიდონ, სანამ ნახევრად არ მოკვდება. შემდეგ გადაჭრან თოკი, მოჰკვეთონ სასქესო ორგანო, გაუფატრონ მუცელი, გამოჰგლიჯონ და დაწვან შიგნეულობა, შემდეგ ოთხად გაკვეთონ და დაკიდონ მისი სხეულის ოთხი ნაწილი ქალაქის კარიბჭეზე, ხოლო თავი — ლონდონის ხიდზე". შემდგომში მეფემ ერთგვარად „შეამსუბუქა" განაჩენი და ბრძანა „მხოლოდ თავი მოეკვეთათ დამნაშავისათვის". მორი განაჩენის მოსმენის შემდეგ მიხვდა, რომ უსაფუძვლო იყო თავისი შეხედულებების დამალვა. ამიტომ მან განაცხადა: „მე შვიდი წელი ვსწავლობდი ეკლესიის ისტორიას და ვამტკიცებ, რომ საერო ხელისუფალი არ შეიძლება იყოს ეკლესიის მეთაური".

განაჩენი სისრულეში მოიყვანეს სასამართლოს უკანასკნელი სხდომიდან ოთხი დღის შემდეგ. 1535 წლის 6 ივლისს, დილაადრიანად, ტაუერში მივიდა მორის მეგობარი — ტომას პოპი, რომელმაც აუწყა მორს, რომ დასჯიდნენ ცხრა საათზე და რომ მეფემ მტანჯველი სიკვდილი „შეუმსუბუქა" თავის მოკვეთით. ამაზე მორმა წამოიძახა: „ღმერთო! შენ დაიფარე ჩემი მეგობრები მეფის ამგვარი მოწყალებისაგან". ეს არაჩვეულებრივი სიმტკიცე მორს ეშაფოტზეც არ დაუკარგავს. მას აუკრძალეს სიკვდილის წინ ხალხისათვის მიემართა. ალბათ მეფეს ეშინოდა არ გამომჟღავნებულიყო მორის მკვლელობის ნამდვილი მიზეზი. როდესაც მორი ეშაფოტზე ადიოდა, მედილეგეს უთხრა: „დამეხმარეთ ასვლაში, ჩამოსვლას კი თვითონ შევეცდები". მორმა წარმოთქვა მოკლე ლოცვა და სიკდილით დასჯის წინ ჯალათი გაამხნევა: „ცოცხლად, მეგობარო! ნუ გეშინია შენი მოვალეობისა, კისერი მოკლე მაქვს, კარგად დაუმიზნე, რომ არ შერცხვე". უკანასკნელ წუთებში კი წამოიძახა: „ცოტა დამაცადე, წვერი გადავწიო, მას ხომ არ მიუძღვის ბრალი სახელმწიფო ღალატში".

ასე დაიღუპა XV—XVI საუკუნეების ინგლისის დიდი ჰუმანისტი და სახელმწიფო მოღვაწე ტომას მორი, „ინგლისის ერთადერთი გენიოსი", როგორც უწოდა მას თავისმა თანამედროვე მეცნიერ-ჰუმანისტმა ჯონ კოლეტმა.

მორის ტრაგიკულ ბედთან ერთად დასამარდა ჰუმანისტური ილუზიები, კეთილი მრჩეველებით გარშემორტყმული განათლებული მონარქისადმი რწმენა. ჯერ კიდევ 1519 წლის ივლისში ერაზმ როტერ-

დამელი აღნიშნავდა, რომ „ბედნიერნი იქნებოდნენ სახელმწიფონი, თუ მათი მმართველნი ქვეყნის სათავეში ჩააყენებდნენ მორის მსგავს თანამდებობის პირთ“.

* * *

ძნელია მოიძებნოს XVI საუკუნის ინგლისის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პრობლემა, რომელიც მეტ-ნაკლებად არ იყოს განხილული „უტოპიაში“. ამ ნაწარმოებში ტომას მორმა არა მარტო დაგვიხატა XVI საუკუნის ინგლისის ეკონომიკური განვითარების ნათელი სურათი, არამედ გვიჩვენა „კაპიტალის ეგრეთწოდებული თავდაპირველი დაგროვების“ შედეგად გამოწვეული ეკონომიკური ცვლილებების სოციალური შედეგები, რომლებიც გამოიხატა ათასობით წვრილი მესაკუთრის მასობრივ ექსპროპრიაციასა და გაღატაკებაში.

ტომას მორმა ამასთანავე მოგვცა მისი თანამედროვე ინგლისის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების ღრმა კრიტიკა და შეეცადა ემხილებინა სოციალური უთანასწორობისა და მშრომელი მასების ექსპლუატაციის მთავარი მიზეზი. ამ თვალსაზრისით, ტ. მორის „უტოპია“ წარმოადგენდა ძლიერ პროტესტს არა მარტო შემოღობვათა — მშრომელთა ამ მძიმე და ძალდატანებითი ექსპროპრიაციის — წინააღმდეგ, არამედ მთელი სოციალურ-პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგაც, რომელიც დამყარებული იყო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციაზე და კერძო საკუთრების ბატონობაზე.

ტომას მორის თანამედროვე სოციალური წყობილების წინააღმდეგ პროტესტის თავისებურ გამოხატულებას წარმოადგენდა მის მიერ დაწვრილებით შემუშავებული კომუნისტური საზოგადოების სქემა. მორის უტოპიურ-სოციალისტური იდეალი პროტესტია არა მარტო ხრწნადი ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ, არამედ, აგრეთვე, მზარდი კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგაც. უკანასკნელ შემთხვევაში ტომას მორი თავს აღწევს ფილოსოფოს-ჰუმანისტის ბურჟუაზიულ შეზღუდულობას, მისი სახით ჩვენ გვევლინება სოციალისტ-უტოპისტი. მორის სოციალისტური სქემა ობიექტურად ასახავდა ანტაგონიზმს, რომელიც წინაპროლეტარიატსა და ბურჟუაზიის ფორმირებად კლასს შორის ისახებოდა.

ტომას მორის მიერ „უტოპიაში“ დახატული იდეალური სოციალისტური წყობილების სქემაში ფანტასტიკურ ნიშნებთან ერთად მოი-

ძებნება ისეთი ნიშნებიც, რომლებსაც დღესაც აღტაცებაში მოვყავართ. ესაა „გენიალური იდეებისა და გენიალური აზრების ჩანასახები, რომლებიც ყველგან გამოსჭვივის ფანტასტიკური საბურველის ქვეშ"[1].

„უტოპიაში" ინგლისის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ღრმა კრიტიკა, ე. წ. „კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების" პერიოდში, მორის მგზნებარე პროტესტი შემოღობვათა შედეგად მშრომელთა ძალდატანებითი ექსპროპრიაციის წინააღმდეგ, ტიუდორთა ფეოდალურ-აბსოლუტისტური სახელმწიფოს კლასობრივი არსის მხილება, ექსპლუატატორთა სიძულვილი, ხოლო მშრომელთა მიმართ მხურვალე თანაგრძნობა და სიმპათია — ყველაფერი ეს გვიხასიათებს ტომას მორს, როგორც ორიგინალურ მოაზროვნეს, რომელმაც გადალახა ჰუმანიზმის ბურჟუაზიული შეზღუდულობა.

ტომას მორმა მოგვცა თავისი თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების, კერძოდ აბსოლუტიზმის, როგორც ფეოდალიზმის უკანასკნელი პოლიტიკური ფორმის, კრიტიკა; ამავე დროს მორი გვევლინება ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენლად, თავისი დროის მოწინავე ბურჟუაზიულ-პოლიტიკური იდეების წინასწარმეტყველად. ხოლო როდესაც მორი ამხელს თანამედროვე საზოგადოების სოციალურ მანკიერებებს და ყველა უბედურების მიზეზად, სოციალური უთანასწორობისა და მშრომელთა ესპლუატაციის ძირითად წყაროდ კერძო საკუთრებას მიიჩნევს, იგი წინ უსწრებს თავისი ეპოქის ყველაზე უფრო მოწინავე მოაზროვნეებსაც კი.

ფეოდალურ–აბსოლუტისტური სახელმწიფოს კლასობრივი პოლიტიკის მხილების დროს მორმა შესძლო დაენახა ბურჟუაზიული სახელმწიფოს ექსპლუატატორული არსი, რომელიც დამყარებულია კერძო საკუთრების ბატონობის პრინციპზე.

„ფეოდალური შუასაუკუნეობრიობის ზღურბლზე და კაპიტალისტური ეპოქის დასაწყისში" ტ. მორმა არაჩვეულებრივი ძალით გამოკვეთა ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წყობილების ძირითადი ნაკლოვანებები: კერძო საკუთრების ბატონობა, როგორც მშრომელთა ექსპლუატაციის წყარო, და ბურჟუაზიული სახელმწიფო, როგორც „ერთ მუჭა მდიდართა შეთქმულება ჩაგრულთა წინააღმდეგ". გამოდიოდა რა ე. წ. „კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების" ბარბარო-

---

1. ფ. ენგელსი, „ანტი-დიურინგი", სოციალიზმი, ისტორიული ნარკვევი, თბ., 1952, გვ. 305.

სული მეთოდების წინააღმდეგ, მორმა მოგვცა მისი თანამედროვე საზოგადოების გაბატონებული ფენების გამანადგურებელი კრიტიკა, ამხილა სასულიერო წოდების, თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის სოციალური პარაზიტიზმი და ექსპლუატატორული არსი.

ამავე დროს, განსხვავებით თავისი თანამედროვე ჰუმანისტებისაგან, კერძოდ, ნ. მაკიაველისა და თ. გვიჩარდინისაგან, რომლებიც ზიზღით იყვნენ განწყობილი ხალხისადმი (მშრომელ მასებს უყურებდნენ როგორც „ბრბოს", „შავ ხალხს" და ისტორიის შემოქმედად მიიჩნევდნენ ძლიერ პიროვნებებს), მორი არა მარტო თანაუგრძნობდა ჩაგრულთა მდგომარეობას, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა მშრომელებს, „ყველა მატერიალური დოვლათის შემქმნელს, რომლის გარეშე, — როგორც იგი აღნიშნავს, — არ იარსებებდა არავითარი საზოგადოება".

თავის თანამედროვე ფეოდალურ-აბსოლუტისტურსა და, აგრეთვე, მომავალ ბურჟუაზიულ წყობილებას, რომლებიც დამყარებულნი არიან კერძო საკუთრების პრინციპზე, მორმა დაუპირისპირა „უტოპიის" სოციალისტური იდეალი. ამ ნაწარმოებში მან დაგვიხატა უკლასო საზოგადოება, სადაც არ არსებობს კერძო საკუთრება და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია.

ტ. მორმა გენიალურად იწინასწარმეტყველა მომავალი კომუნისტური საზოგადოების ისეთი დამახასიათებელი ნიშნები, როგორიცაა ექსპლუატატორთა და ექსპლუატირებულთა კლასების და კერძო საკუთრების მოსპობა, ქალთა ემანსიპაცია, ექვსსაათიანი სამუშაო დღე, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის, აგრეთვე ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ დაპირისპირებულობათა ლიკვიდაცია, ყველა ადამიანის მოვალეობა — იშრომოს შესაძლებლობისდა მიხედვით, მატერიალური სიმდიდრის სიუხვე და განაწილების უმაღლესი კომუნისტური პრინციპი: „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს — მოთხოვნილების მიხედვით".

გენიალური აზრების გვერდით, ტ. მორის სოციალისტურ უტოპიას სუსტი მხარეებიც გააჩნია:

1. ტექნიკური პროგრესის გაუთვალისწინებლობა, აქედან უტოპიურობა მატერიალურ სიმდიდრეთა სიუხვის შექმნის შესაძლებლობის საკითხის გადაწყვეტაში. ტ. მორი ამ პრობლემის გადაწყვეტას ცდილობს საყოველთაო შრომის ვალდებულების შემოღებით და სოციალური პარაზიტიზმის მოსპობით.

2. ტექნიკური პროგრესის უქონლობის გამო კუნძულ უტოპიაზე არსებობენ მონები, რომელთა მთავარი ფუნქციაა ყველაზე მძიმე და უსიამოვნო სამუშაოს შესრულება, მაშინ როცა მონების, როგორც სოციალური კატეგორიის, არსებობა უცხოა სოციალისტური იდეალისათვის და აშკარად ეწინააღმდეგება მას.

3. მორს არ ესმოდა საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერებანი, რომლებიც მიიყვანდნენ მას სოციალისტური იდეალის გამარჯვებამდე. ამიტომ ბედნიერი საზოგადოებრივი წყობილების შესახებ თავისი ოცნების განხორციელების შესაძლებლობა მას თვითონაც არ სჯეროდა. „ვაღიარებ, რომ უტოპიურ სახელმწიფოში ბევრი რამაა ისეთი, რასაც ჩვენს ქვეყნებს ვუსურვებდი, თუმც კი ამ სურვილების აღსრულების არავითარი იმედი არა მაქვს“, — წერს ტომას მორი თავისი ტრაქტატის დასასრულს.

ტომას მორის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა ასეთი შეზღუდულობა ისტორიულად გამართლებული იყო იმ პირობებში, როდესაც კაპიტალიზმი ჯერ კიდევ იბადებოდა, ხოლო პროლეტარიატი,— „ერთადერთი კლასი, რომელსაც უნარი შესწევდა დაემხო კერძო საკუთრების ბატონობა და მოესპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია“ — ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ტომას მორის ეპოქაში შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ წინაპროლეტარიატზე, რომელიც ჯერ კიდევ მოკლებული იყო „დამოუკიდებელი პოლიტიკური მოქმედების უნარს“[1]. სწორედ ამ ისტორიულმა მდგომარეობამ, — აღნიშნავდა ფრ. ენგელსი, — გავლენა მოახდინა სოციალიზმის დამაარსებლებზე. კაპიტალისტური წარმოების უმწიფარ ვითარებას უმწიფარი თეორიები შეესაბამებოდა. საზოგადოებრივი ამოცანების გადაჭრა, რომელიც ჯერ კიდევ განვითარებულ ეკონომიკურ ურთიერთობაში იყო დამალული, ადამიანის თავში უნდა შექმნილიყო. საზოგადოება სავსე იყო ნაკლოვანებებით. მათი მოსპობა მოაზროვნე გონების ამოცანას შეადგენდა“[2].

ტომას მორის სოციალისტურმა ოცნებებმა ობიექტურად გამოხატეს გაჭირვება და უიმედობა წინაპროლეტარიატისა — უღარიბესი გლეხობისა და ხელოსნებისა, რომლებიც იტანჯებოდნენ ე. წ. „კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების“ ეპოქაში. როგორც ხაზგასმით აღნიშნავდა ფრ. ენგელსი, XVI და XVII საუკუნეების უტოპიური თე-

---

[1] ფრ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 304.

[2] იქვე.

ორიები, რომლებმაც დაგვიხატეს იდეალური საზოგადოებრივი წყობილების სურათი, უცილობლად თან ახლდნენ „ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი კლასის (პროლეტარიატის) რევოლუციურ გამოსვლებს"[1]. და თუმცა მორი სუბიექტურად კიცხავდა ქვედა ფენების რევოლუციურ გამოსვლებს და პროტესტს აცხადებდა არსებული წყობილების წინააღმდეგ ყოველგვარი ძალადობითი გამოხდომების მიმართ, მთელი თავისი სოციალისტური იდეებით ობიექტურად გამოხატავდა ინგლისის საზოგადოებაში მზარდ კლასობრივ წინააღმდეგობებს „კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების" ეპოქაში.

ტომას მორის გენიალურობა და მისი, როგორც უტოპიური სოციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, უდიდესი ისტორიული დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან მოგვცა ახლად ჩასახული ბურჟუაზიული წყობილების ღრმა კრიტიკა. უტოპიური სოციალიზმის ეს უდიდესი დამსახურება აღნიშნეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა: „როდესაც ბატონყმობა დაემხო და დღის სინათლეზე „თავისუფალი" კაპიტალისტური საზოგადოება გამოვიდა, მაშინვე გამოაშკარავდა, რომ ეს თავისუფლება მშრომელთა ჩაგვრისა და ექსპლუატაციის ახალ სისტემას ნიშნავდა. დაუყოვნებლივ იწყო წარმოშობა სხვადასხვა სოციალისტურმა მოძღვრებამ, როგორც ამ ჩაგვრის ანარეკლმა და პროტესტმა მის წინააღმდეგ"[2].

უტოპიური სოციალიზმის ფუძემდებლებმა პირველებმა დააყენეს საკითხი ბურჟუაზიული წყობილების გარდაქმნისა სოციალისტურ წყობილებად, სადაც არ იქნებოდა კერძო საკუთრება, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, სწორედ ამაშია მორის, როგორც უტოპიური სოციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, უდიდესი დამსახურება. უტოპიური სოციალიზმის ისტორიული როლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს მეცნიერული კომუნიზმის წინამორბედს, მარქსიზმის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დიდი უტოპისტები „იქითკენ იყურებოდნენ, საითკენაც ნამდვილი განვითარება მიემართებოდა, ისინი მართლაც წინ უსწრებდნენ ამ განვითარებას"[3].

---

1 ფრ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 23.

2 ვ. ი. ლენინი, მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი, თხზ., ტ. 19. გვ. 8.

3 ვ. ი. ლენინი, ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის, თხზ., ტ. 2. გვ. 296.

მათი ფანტაზია ხშირად ხატავდა იდეალური წყობილების უცნაურ სურათებს, მაგრამ ამ ფანტასტიკურ საბურველში მოჩანდა იმ დიად იდეათა ჩანასახები[1], რომლებიც განავითარა და პრაქტიკულად განახორციელა მეცნიერულმა კომუნიზმმა.

სოციალ-უტოპისტების უდიდესი დამსახურება კაცობრიობის იდეურ განვითარებაში, პირველ ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ მათ მოგვცეს კაპიტალისტური წყობილების მკვეთრი კრიტიკა. დამაჯერებლად გვიჩვენეს, რომ კერძო საკუთრებასა და ექსპლუატაციაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წყობილება ვერ მისცემს ხალხს თავისუფლებას, თანასწორობასა და ძმობას. სოციალისტ-უტოპისტებს მომავალი საზოგადოების უმნიშვნელოვანეს პრინციპად მიაჩნდათ საზოგადოების ყველა წევრის აუცილებელი შრომა. ისინი მიხვდნენ, რომ მომავალ საზოგადოებაში შრომა საპატიო საქმედ იქცევა. უტოპისტებმა წამოაყენეს პროგრესული იდეა ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებული დაპირისპირებულობის გადალახვის შესახებ. ისინი დიდ ყურადღებას აქცევდნენ მატერიალური დოვლათის განაწილების საკითხებს, გამოთქვამდნენ ღრმა აზრებს შრომისა და მოთხოვნილების მიხედვით პროდუქციის განაწილების შესახებ.

„პირვანდელი სოციალიზმი, — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, — უტოპიური სოციალიზმი იყო. იგი აკრიტიკებდა კაპიტალისტურ საზოგადოებას. ჰგმობდა, წყევლიდა მას, ოცნებობდა მის მოსპობაზე, ფანტაზიორობდა უკეთეს წყობილებაზე, არწმუნებდა მდიდრებს ექსპლუატაციის უზნეობაზე. მაგრამ უტოპიურ სოციალიზმს არ შეეძლო... გამოენახა ისეთი საზოგადოებრივი ძალა, რომელსაც უნარი შესწევს გახდეს ახალი საზოგადოების შემოქმედი“[2]. სოციალ-უტოპისტები ისაზღვრებოდნენ ისტორიული პირობებით და არ შესწევდათ საზოგადოებრივი განვითარების კანონთა გაგების უნარი. სწორედ ამიტომ ისინი უძლურნი იყვნენ განეხორციელებინათ მათ მიერ დასახული იდეალური ამოცანები. მხოლოდ განვითარებული კაპიტალიზმის პირობებში, ეყრდნობოდა რა საზოგადოების განვითარების ობიექტურ კა-

---

1 ფრ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 305.

2 ვ. ი. ლენინი, მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი, თხზ., ტ. 19, გვ. 8—9.

ნონებს, კ. მარქსის მეცნიერულმა სოციალიზმმა „გარდამქმნელი მისწრაფებანი განსაზღვრული კლასის (პროლეტარიატის) ბრძოლას დაუკავშირა“. მხოლოდ ამის შემდეგ „სოციალისტური ოცნებანი მრავალი მილიონი ადამიანის სოციალისტურ ბრძოლად გადაიქცა“[1].

ამასთანავე მეცნიერული სოციალიზმი წარმოიშვა „როგორც ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიისა და უტოპიური სოციალიზმის უდიდეს წარმომადგენელთა მოძღვრების პირდაპირი და უშუალო გაგრძელება“[2]. ყველაფერი ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს ჯეროვნად შევაფასოთ ტომას მორის, როგორც უტოპიური სოციალიზმის ფუძემდებლის, აზრთა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა.

უტოპიური სოციალიზმის უდიდესი ძეგლი—ტ. მორის „უტოპია“ წარმოადგენს უძვირფასეს წყაროს ე. წ. „კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების“ ეპოქაში ინგლისის ისტორიის შესასწავლად. ტომას მორის „უტოპიას“, როგორც ინგლისის შემოღობვათა ისტორიის მნიშვნელოვან დოკუმენტს, დიდი შეფასება მისცა კ. მარქსმა, რომელმაც იგი გამოიყენა როგორც ერთ-ერთი მთავარი წყარო XVI საუკუნის ინგლისში ე. წ. კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესის დახასიათებისას[3].

ვ. პ. ვოლგინი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „სოციალისტური აზრის ისტორიაში, თვით XVIII საუკუნის საფრანგეთის რევოლუციის ჩათვლით, არ შეიძლება მოინახოს ისეთი ნაწარმოები, რომელიც თავისი მნიშვნელობით გაუტოლდება „უტოპიას“. ტომას მორი, — დაასკვნის ვოლგინი — სრული უფლებით შეიძლება ჩაითვალოს უტოპიური სოციალიზმის მამამთავრად და მის ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენლად“[4].

„უტოპიის“ გამოცემები და თარგმანები

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი:

ტომას მორის „უტოპიის“ ლათინური ორიგინალის ხელნაწერი არ შემორჩენილა. პირველი ნაბეჭდი გამოცემა განხორციელდა 1516

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ბურჟუაზიული და პროლეტარული სოციალიზმი, თხზ., ტ 9, გვ. 545.

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი თხზ., ტ. 19. გვ. 4.

3 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1. გვ. 923—924.

4 В. П. В о л г и н, Историческое значение «Утопии», Т. М о р, Утопия, М., 1953, გვ. 28.

წელს ქ. ლუვენში. ამ პირველ გამოცემას ხელმძღვანელობდნენ მორის მეგობრები ერაზმ როტერდამელი და პეტრე ეგიდიუსი, რომლისადმიც მიმართულია „უტოპიის“ შესავალი წერილი. „უტოპიის“ პირველი გამოცემა (A) უიშვიათეს წიგნთა რიცხვს მიეკუთვნება. დასავლეთში მისი მხოლოდ ოთხი ეგზემპლარია ცნობილი. სსრ კავშირში მარქს-ენგელს-ლენინის სახ. ბიბლიოთეკის იშვიათ წიგნთა ფონდში ინახება ამ გამოცემის ერთი ეგზემპლარი. მეორე გამოცემა გამოვიდა 1517 წელს, პარიზში, ჟილ დე გურმონის (Gilles de Gourmont) საფასით. ეს გამოცემა (B) შეიცავს რიგ საინტერესო ვარიანტებს. ჩვენთან ეს გამოცემა ინახება ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში. ამ ორი გამოცემის შემდეგ ერაზმ როტერდამელმა მიმართა ბაზელში ცნობილ გამომცემელს—ტიპოგრაფ ფრობენს. 1518 წლის მარტსა და ნოემბერში განხორციელდა „უტოპიის“ ორი გამოცემა (C), დანარჩენებისა — უკვე ტ. მორის სიკვდილის შემდეგ. A გამოცემაზე დაყრდნობით გამოვიდა „უტოპიის“ ვიქტორ მიხელსისეული (Michels) გამოცემა „XV და XVI საუკუნეების ლათინური ლიტერატურული ძეგლების“ სერიით (ბერლინი, გამომც. ვეიდმანი, 1895).

1895 წელს „უტოპია“ გამოსცა ლეპტონმა (Lupton)—კომენტარებითურთ. The Utopia of sir Thomas More in Latin from the edition of March 1518 and in English from the first edition of Ralph Robynson's translation in 1551 with additional translations, introduction and notes by J. H. Lupton... Oxford, 1895.

თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი:

XVI საუკუნეში „უტოპია“ ითარგმნა გერმანულ (1524), იტალიურ (1548), ფრანგულ (1550 და 1559), ინგლისურ (1551 და 1556) და ჰოლანდიურ (1562) ენებზე. 1551 წელს რალფ რობინსონმა (Ralph Robynson) გამოსცა „უტოპიის“ პირველი ინგლისური თარგმანი. ფრანგულ ენაზე აღსანიშნავია გიოდევილის (Guedeville) გამოცემა, რომელიც წარმოადგენს არა თარგმანს, არამედ „უტოპიის“ თხრობას. ამ გამოცემის მთავარი ღირსებაა ის, რომ ერთვის გრავიურები. ეს იყო „უტოპიის“ ილუსტრირების პირველი ცდა, თუ არ ჩავთვლით ჰანს ჰოლბაინის რამოდენიმე ნახატს C გამოცემაში. ეს წიგნი გამოიცა 1715 წელს ლეიდენში.

მეორე ფრანგული თარგმანი ეკუთვნის ტომას რუსოს, იაკობინელთა კლუბის არქივარიუსს. ეს თარგმანი ზუსტად საფრანგეთის

დიდი რევოლუციის დროს, 1789 წელს, გამოვიდა. რუსოსეული თარგმანი განმეორებით 1888 წელს გამოსცეს. გერმანულ ენაზე ცნობილია კოტის (Kothe) თარგმანი, რომელიც გამოსცა ცნობილმა ფირმამ „რეკლამამ“ 1864 წელს და შემდეგ დაიბეჭდა „უნივერსალური ბიბლიოთეკის“ სერიით.

რუსმა მკითხველმა ტომას მორი პირველად ვ. კ. ტრედიაკოვსკის შეშვეობით გაიცნო. რაც შეეხება საკუთრივ „უტოპიას“, მისი ორი თარგმანი XVIII საუკუნის დამლევს გამოსცეს: 1. Картина всевозможно лучшего правления, или Утопия. Сочинение Томаса Мориса, Канцлера Аглинского, в двух книгах. Переведена с Аглинского на Французский г. Руссо, а с Французского на Российский. С дозволения Управы Благочиния. В Санкт-Петербурге, на иждивении И. К. Шнора. 1789 года.

2. Философа Рафаила Гитлоде странствование в новом свете и описание любопытства достойных примечаний и благоразумных установлений жизни миролюбивого народа острова Утопии. Перевод с Аглийского языка, сочинение Томаса Мориса. Цена без переплета 1 руб. В Санкт-Петербурге. С дозволения Управы Благочиния. На иждивении И. К. Шнора. 1790 года.

1901 წელს ე. ვ. ტარლემ გამოაქვეყნა თავისი სამაგისტრო დისერტაცია „უტოპიის“ თარგმანის დამატებით. «Общественные воззрения Томаса Мора в связи с экономическим состоянием Англии его времени». (СПб., 1901).

მისი შეფასება მოცემულია ვ. ვ. ვოდოვოზოვის სტატიაში „ინგლისის სოციალური ისტორიის ახალი გამოკვლევა „Народное хозяйство“, 1901, кн. 10, ст. 161—176. „უტოპიის“ რუსული მორიგი თარგმანი შეასრულა ა. გ. გენკელმა. Томас Мор. Утопия. Перевод с латинского А. Г. Генкель при участии Н. А. Макшеевой. С биографическим очерком Т. Мора, составленным Н. А. Макшеевой (с портретом Т. Мора), СПБ., 1903. ეს თარგმანი რამდენიმეჯერ იქნა გამოცემული. მისი მესამე გამოცემა გამოვიდა 1918 წ. პეტროგრადში, „მუშათა და წითელარმიელთა პეტროგრადის დეპუტატების საბჭოს გამოცემა“, ხოლო მეოთხე—ხარკოვში (1923).

1935 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა ა. მალეინის

თარგმანი: „Томас Мор. Золотая книга, столь же полезная, как забавная, о наилучшем устройстве государства и о новом острове Утопии. Перевод и комментарии А. И. Малеина. Предисловие В. П. Волгина. ACADEMIA, 1935. М—Л. ეს თარგმანი შემდეგ ორგზის გამოიცა—1947 და 1953 წლებში. Томас Мор. Утопия. Перевод с латинского и комментарии А. И. Малейна. Вступительная статья В. П. Волгина. MCMXLVII. Издательство Академии наук СССР. М.—Л., „Томас Мор, Утопия, перевод с латинского и комментарии А. И. Малейна и Ф. А. Петровского. Вступительная статья В. П. Волгина. М., 1953. ეს გამოცემა განმეორდა 1971 წელს. „უტოპიის“ ახალი თარგმანი უკავშირდება 1978 წელს მორის დაბადების 500 წლისთავს და მიჩნეულია საუკეთესო თარგმანად: Т. Мор. Утопия, перевод с латинского Ю. М. Каган. Комментарии Ю. М. Каган и И. Н. Осиновского. Вступительная статья И. Н. Осиновского. Изд. „Наука“, 1978.

„უტოპიის“ ქართულ თარგმანზე მუშაობის დროს ჩვენ გამოვიყენეთ 1895 წლის ლეპტონის ზემოთ დასახელებული გამოცემა და ვ. მიხელსისა და თ. ციგლერის მიერ გამოქვეყნებული „XV და XVI საუკუნეების ლათინური ლიტერატურული ძეგლები“.

უთვალსაჩინოესი და ენამზეობით
გამორჩეული ვაჟკაცის,
ლონდონის სახელოვანი მოქალაქისა და
ვიკონტის ტომას მორის—
არანაკლებ სასარგებლო, ვიდრე გასართობი,—
ჯეშმარიტად ოქროს წიგნი
სახელმწიფოს საუკეთესო წყობილებისა და
ახალი კუნძულის უტოპიის[1] თაობაზე.

ტომას მორი სალამს უძღვნის პეტრე ეგიდიუსს[2]

ძვირფასო პეტრე ეგიდიუს, მართალი გითხრა, ცოტა მრცხვენია კიდეც ამ წიგნის გამოგზავნისა უტოპიელთა სახელმწიფოს თაობაზე ასე დაგვიანებით, თითქმის ერთი წლის შემდეგ, რადგან მას, ალბათ, თვენახევარში მაინც მოელოდი. მეტადრე იცოდი, რომ ამ ნაშრომში მასალის მოპოვების ტვირთიც მოხსნილი მქონდა და გეგმაზე ფიქრიც კი არ მჭირდებოდა. მარტო ის უნდა მომეწერა, რაც შენთან ერთად მოვისმინე რაფაელისაგან. არც მჭევრმეტყველებაზე დამდგომია ჯაფა, რაკი თვით მთხრობელის სიტყვაც ერთობ ნაუცბადევი და მოუმზადებელი[3] გახლდათ. თანაც, ვითარცა უწყი, ეს სიტყვა ეკუთვნის კაცს, ვინც ისე ვერაა განსწავლული ლათინურში, როგორც ბერძნულში; და რაც უფრო მიუახლოვდებოდა ჩემი გადმონაცემი მის უბრალოდ მონათხრობს, მით უფრო ახლოს იქნებოდა იგი ჭეშმარიტებასთან. ამ ნაშრომში კი მე მხოლოდ ამაზე უნდა ვიზრუნო და აკი ვზრუნავ კიდეც.

ვაღიარებ, ჩემო პეტრე, რომ ამ უკვე მზა მასალამ თითქმის სრულიად ამაცილა თავიდან შრომა, ვინაიდან მასალის მოფიქრება და მისი დაგეგმვა საკმაო ნიჭს, სათანადო განსწავლულობასა და გარკვეულ დროსა და გულმოდგინებას მოითხოვდა; ხოლო თუ საჭირო იქნებოდა საგნის გადმოცემა არა მარტო ჭეშმარიტების, არამედ მჭევრმეტყველების თვალსაზრისითაც, მაშინ ამისთვის არ მეყოფოდა არც დრო და არც გულმოდგინება. მაგრამ რაკი ასეთი საზრუნავი აღარ მქონდა, რის გამოც ამდენი ოფლის დაღვრა იქნებოდა საჭირო, მე მხოლოდ ისღა დამრჩენოდა — უბრალოდ ჩამეწერა მოსმენილი; ეს კი უკვე მეტად იოლი საქმე იყო; და მაინც ამ მეტად იოლი საქმის შესასრულებლადაც კი ჩემი სხვა საქმენი ჩვეულებრივ სულ მცირეზე ნაკლებ დროს მიტოვებდნენ. მე ხომ მუდამ ხან სასამართლო საქმეებზე ვხარჯავ დროს (ზოგი მე მიმყავს, ზოგს ვისმენ, ზოგს ვამთავრებ, ვითარცა შუამავალი, ზოგსაც ვწყვეტ მოსამართლის უფლებით), ხან ზოგიერთი პირი მყავს სანახავი, ზოგი მოვალეობის, ზოგი კი — მართლა საქმეთა გამო. და აი, ვწირავ რა მსხვერპლად თითქმის მთელ დღეს სხვებს და ცოტას ახლობლებს ვუთმობ, ჩემთვის — მწერლობისათვის აღარაფერი მრჩება.

მართლაცდა, შინ დაბრუნებული ცოტა ცოლსაც ხომ უნდა ეგბ-ასო, ბავშვებს ეტიტინო, მსახურთ გაესაუბრო. ყველაფერი ეს მე საქ-მედ მიმაჩნია, რადგან აუცილებელია მათი შესრულება (დიახ, აუცი-ლებელია, თუ არ გინდა საკუთარ სახლში უცხოდ გიგულონ). საერ-თოდ კი უნდა ეცადო, რაც შეიძლება სასიამოვნო იყო იმათთვის, ვინც შენ ცხოვრების თანამგზავრად გერგო ან ბუნების ძალით, ან შემთხ-ვევის წყალობით, ან კიდევ შენივე არჩევანით; მაგრამ ესეც კია, არ უნდა გააფუჭო ისინი ალერსით ანდა შენი გულმოწყალებით მსახურე-ბი ბატონებად არ უნდა აქციო. ამ საქმეებში გადის დღეები, თვეები, წლები. აბა, როდისღა უნდა ვწერო? თანაც მე არაფერი მითქვამს ძილზე, ისევე როგორც სადილზე, რასაც ზოგიერთები არანაკლებ დროს უთმობენ, ვიდრე თვით ძილს, რომელსაც ისედაც ცხოვრების ნახევარი მიაქვს. მე კი ჩემთვის მოვიხელთებ ხოლმე იმ დროს, რო-მელსაც ძილსა და ჭამა-სმას ვპარავ; რა თქმა უნდა, ეს ცოტაა, მაგ-რამ მაინც რაღაცას შეადგენს. ამიტომაც, როგორც იქნა, დავასრულე „უტოპია" და წასაკითხად გამოგიგზავნე შენ, ჩემო პეტრე. გთხოვ წაიკითხო და შემახსენო, თუ რაიმე გამომრჩა. მართალია, ამ მხრივ თითქოს ეჭვი არ მეპარება და მინდა ჭკუაც და განსწავლულობაც ისეთივე მქონდეს, როგორიც მეხსიერება, მაგრამ საკუთარ თავს იმდე-ნად მაინც ვერ ვენდობი, რომ ვიფიქრო, არაფერი დამვიწყებია-მეთქი!

აი, მაგალითად, ჩემმა აღზრდილმა, იოანე კლემენტიმ[4], ვინც, რო-გორც იცი, ჩვენთან ერთად იყო (მას ხომ არ ვუკრძალავ დასწრებას არც ერთ საუბარზე, რომელმაც შეიძლება რაიმე სარგებლობა მოუტა-ნოს, ვინაიდან დროთა განმავლობაში საუცხოო ნაყოფს ველოდები იმ მცენარისაგან, რომელმაც ამწვანება დაიწყო ბერძნულსა და ლათინუ-რში მისი მეცადინეობის წყალობით), მეტად უხერხულ მდგომარეო-ბაში ჩამაგდო. რამდენადაც მახსოვს, ჰითლოდევსი[5] ჰყვებოდა, რომ ამაუროტის[6] ხიდი, რომელიც მდინარე ანიდრუსზეა[7] გადებული, სიგრ-ძით ხუთასი ნაბიჯია. ჩემი იოანე კი მეუბნება, რომ საჭიროა ორასის გამოკლება, რადგან მდინარის სიგანე სამას ნაბიჯს არ აღემატებაო. გთხოვ აღიდგინო შენს მეხსიერებაში ეს. თუ შენც ამ აზრისა ხარ, მაშინ მეც დაგეთანხმებით და ვაღიარებ ჩემს შეცდომას. მაგრამ თუ ვერ გაიხსენებ, მაშინ დავტოვებ ისე, როგორც დავწერე, სწორედ იმას, რაც თვითონ მახსოვს. რა თქმა უნდა, ყოველ ღონეს ვიხმარ იმი-სათვის, რათა ჩემს წიგნში არავითარი სიცრუე არ იყოს; თუმცა სხვა მხრივ, საეჭვო შემთხვევებში, სიცრუეს უნებურად უფრო ვიტყვი,

ვიდრე შეგნებულად დავუშვებ მას, ვინაიდან მირჩევნია პატიოსანი ადამიანი უფრო ვიყო, ვიდრე მოხერხებული!

ამ სადარდებელს ადვილად ეშველება, თუკი რაფაელს ჰკითხავ პირადად ანდა წერილობით; ამის გაკეთება კი საჭიროა ჩვენთან წამოჭრილი მეორე სიძნელის გამოც, რაც, არ ვიცი, ვისი მიზეზით მოხდა: ჩემი, შენი თუ თვითონ რაფაელისა. სახელდობრ, არც ჩვენ მოგვსვლია აზრად და არც მას უთქვამს, ახალი ქვეყნის რომელ ნაწილში მდებარეობს უტოპია. მე, რასაკვირველია, მზად ვარ გამოვისყიდო ეს დაუდევრობა რიგიანი თანხით; ჩემთვის ხომ მეტად სამარცხვინოა არ ვიცოდე, რომელ ზღვაში მდებარეობს კუნძული, რომელზეც ამდენს ვლაპარაკობ; მეორე მხრივ, ჩვენთან იმყოფება რამდენიმე ცნობისმოყვარე პიროვნება, განსაკუთრებით კი ერთი სათნო კაცი, ხელობით ღვთისმეტყველი, ვინც შეპყრობილია გასაოცარი სურვილით, მოინახულოს უტოპია არა ახირებული ჟინის ან ახლის ნახვის ცნობისმოყვარეობის გამო, არამედ იმიტომ, რომ დაამშვენოს, დაიცვას და განამტკიცოს ჩვენი რელიგია, რაც იქ ასე კარგად დაიწყო. ამიტომ მან გადაწყვიტა წინასწარ მიიღოს ზომები, რათა იგი იქ გაამწესოს პაპმა და უტოპიელთა ეპისკოპოსადაც აირჩიონ; მას სრულიადაც არ აკავებს ის, რომ ამ წოდების მოპოვება ესოდენ დიდი თხოვნით უხდება. მას წმიდათაწმიდად მიაჩნია ასეთი ცდა, რომელიც პატივმოყვარეობით და გამორჩენის ანგარებით კი არაა ნაკარნახევი, არამედ ღვთის წინაშე მოკრძალებითაა ჩაგონებული.

ამიტომ გთხოვ, ჩემო პეტრე, მიმართო ჰითლოდეკსს ან პირადად, თუ ეს შენთვის მოსახერხებელია, ანდა წერილობით და მიიღო ზომები, რათა ჩემს ნაშრომში არ იყოს არავითარი სიცრუე, ან არ გამომრჩეს რაიმე ჭეშმარიტება. ეგებ ჯობდეს ეს წიგნი ვაჩვენოთ მას. მასავით ხომ არავის შეუძლია აქ დაშვებული შეცდომების გასწორება; თვითონ კი ამას ვერ შეძლებს, თუ ბოლომდე არ წაიკითხავს ჩემს ნაწერს. ამ გზით შევიტყობ იმასაც, მოსწონს თუ არა ეს თხზულება. თუკი მან თვითონ გადაწყვიტა თავისი მოგზაურობის აღწერა, მაშინ ალბათ არ მოისურვებდა, რომ ეს მე გამეკეთებინა. ყოველ შემთხვევაში, მე არ ვისურვებდი უტოპიელთა სახელმწიფოს შესახებ ჩემი ნაშრომის გამოქვეყნებით მის ისტორიას სიახლის სურნელება და სილაზათე დავუკარგო.

სიმართლე გითხრა, ბოლომდე არც კი ვიცი, გამოვცემ თუ არა ამ წიგნს. ადამიანთა გემოვნება ზედმიწევნით მრავალფეროვანია, ხასიათები ახირებული, მათი ბუნება მეტისმეტად უმადური; მსჯელობა კი

ხანდახან სრულ უაზრობამდე მიდის. ეტყობა, შედარებით ბედნიერად უფრო ისინი გრძნობენ თავს, ვინც განცხრომითა და მხიარულად ცხოვრობს და თავის ჭიას ახარებს, ვიდრე ისინი, ვინც იტანჯება იმის გამოცემაზე ზრუნვით, რასაც სხვებისათვის — ამპარტავანთა და უმადურთათვის—სარგებლობის ან კმაყოფილების მოტანა შეუძლია. ადამიანთა დიდი უმრავლესობა არ იცნობს მწერლობას, ბევრი ზიზღითაც უყურებს მას. ბარბაროსი მძიმე ტვირთივით ჩამოიშორებს ხოლმე ყოველივეს, რაც მთლად ბარბაროსული არ არის; ნახევრად უმეცარნი უკუაგდებენ ყოველივეს, ვითარცა უხამსობას, რაც არ არის გადატვირთული დრომოჭმული სიტყვებით; ზოგიერთს მხოლოდ ძველმანი მოსწონს, უმრავლესობას კი — მხოლოდ საკუთარი; ერთი იმდენად კუშტია, რომ ვერ ურიგდება ხუმრობას, მეორე კი იმდენად ბრიყვი, რომ მახვილგონიერებას ვერ ეგუება; ზოგიერთი ისეთი უყმურია, რომ ყოველგვარ ოხუნჯობას ისე უფრთხის, ვით ცოფიანი ძაღლისაგან დაკბენილი — წყალს. ზოგი ისეთი მერყევია, რომ დამჯდარი ერთს აქებს, ფეხზე წამომდგარი — მეორეს[8]. ზოგიერთები დუქანში სხედან, სასმისით ხელში მწერალთა ნიჭზე მსჯელობენ და ყველაფერს, რასაც კი მოისურვებენ, დიდი რიხით კიცხავენ ხოლმე, ყოველ მწერალს თავისი ნაწერისათვის, ასე ვთქვათ, თმით ათრევენ, თვითონ კი სამზნიდან შორს უჭირავთ თავი. ეს ვაჟბატონები ისეთი მჩატე და ისე პირწმინდად გადაპარსულნი არიან, რომ ბეწვის ნასახიც არ გააჩნიათ ხელის წასავლებად! იმდენად უმადური ადამიანებიც არსებობენ, რომ ნაწარმოებით ძალზე დატკბობის შემდეგაც კი არავითარ განსაკუთრებულ მოწიწებას არ გრძნობენ ავტორისადმი. ისინი როდი განსხვავდებიან იმ უმადური სტუმრებისაგან, რომლებიც მდიდრულ ნადიმზე გულუხვად ღრეობის შემდეგ გამაძღარნი ბრუნდებიან შინ და მასპინძელს მადლობასაც კი არ უხდიან. მოდი და გამართე საკუთარ ხარჯზე ნადიმი ასეთი ღრჯუ ხასიათისა და სხვადასხვა გემოვნების მქონე, ამასთანავე ასეთი უმადური ადამიანებისათვის.

და მაინც, ჩემო პეტრე, მომიგვარე ჰითლოდევსთან ის საქმე, რაზედაც შემოგჩივლე. შემდეგ კი, ცხადია, სრული შესაძლებლობა მექნება ახალი გადაწყვეტილება მივიღო. დავასრულე რა წერა, გვიან მოვედი გონს. ამიტომ, თუკი ეს ემთხვევა მის სურვილს გამოქვეყნების თაობაზე, დავუჯერებ მეგობრებისა და, უპირველესად, შენს რჩევას. ახლა კი კარგად იყავი, ჩემო ტკბილო პეტრე ეგიდიუს, შენს მშვენიერ მეუღლესთან ერთად[9], მინდა წინანდებურად გაყვარდე, მე კი სულ უფრო და უფრო მეტად მიყვარხარ!

პირველი წიგნი საუბრისა, რომელიც გამართა
გამოჩენილმა კაცმა რაფაელ ჰითლოდეესმა
სახელმწიფოს საუკეთესო წეობილების თაობაზე
და გადმოსცა უსაჩინოესმა ვაჟკაცმა,
ბრიტანეთის სახელოვანი ქალაქის ლონდონის
მოქალაქემ და ვიკონტმა ტომას მორმა.

ინგლისის უძლეველ მეფე ჰენრის[10], ამ სახელით მერვეს, გამოჩენილი ხელმწიფის ყველა თვისებით უხვად შემკულს, ახლახან მეტად მნიშვნელოვანი სადავო საქმეები ჰქონდა კასტილიის მეფე კარლოსთან[11]. მათი განხილვისა და მოგვარებისათვის მეფემ ელჩად ფლანდრიაში[12] გამგზავნა და წილად მხვდა ვყოფილიყავი თანამგზავრი და ამხანაგი შეუდარებელი ვაჟკაცისა — კატბერტ ტუნსტალისა[13], რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ, ყველას სასიხარულოდ, მეფემ სასულიერო არქივების მცველად დანიშნა. არაფერს ვიტყვი მის საქებად, მაგრამ იმის შიშით კი არა, რომ მასთან მეგობრობა ჩემი გულახდილობის უტყუარ საბუთად არ გამოდგება, არამედ იმიტომ, რომ მისი სიმამაცე და ცოდნა ჩემს ყოველგვარ შეფასებას აღემატება. მისი სიქველე და განსწავლულობა იმდენად საჩინოა და გასხივოსნებული, მათ გამოცხადებას რომ შევდგომოდი, იგივე იქნებოდა, მზე გამეშუქებინა ლამპრით.

ბრიუგეში[14] (როგორც დაითქვა) შევხვდით მათ, ვისაც მეფემ საქმის წარმოება დაავალა. ყველანი უსაჩინოესი ვაჟკაცნი იყვნენ. მათ შორის პირველი და მოთავე იყო ბრიუგეს პრეფექტი, ხოლო მათი სული და გული — გეორგ ტემზიციუსი[15], კასელის ტაძრის წინამძღვარი, მჭევრმეტყველი არა მარტო განსწავლულობით, არამედ ბუნებითაც. ამასთანავე იგი სამართლის საუკეთესო მცოდნე და მოლაპარაკების წარმართვის დიდოსტატი იყო, როგორც თავისი ჭკუის, ისე დიდი გამოცდილების წყალობით. რამდენიმე შეხვედრაზე ჩვენ ვერ მივაღწიეთ სრულ თანხმობას ზოგიერთ საკითხში. ამიტომ ისინი ჩვენთან გამომშვიდობების შემდეგ ცოტა ხნით ბრიუსელში გაემგზავრნენ თავიანთი ხელმწიფის ნება-სურვილის გასაგებად, მე კი ამასობაში (სხვადასხვა გარემოების გამო) ანტვერპენს ვეწვიე.

იქ ყოფნის დროს ყველაზე უფრო სასიამოვნო კაცი, ვინც კი მინახულა, იყო პეტრე ეგიდიუსი, ანტვერპენის მკვიდრი, ადამიანი, რომელიც თანამოქალაქეთა შორის დიდი ნდობითა და პატივით სარგებლობს და კიდევ უფრო მეტიც ეკუთვნის. არ ვიცი, რომელი სჭარბობს

ამ ჭაბუკში — მისი განსწავლულობა თუ ზნეობა, რადგან იგი მშვენიერი ადამიანიცაა და დიდად განათლებული პიროვნებაც. გარდა ამისა, იგი ყველასთან ერთნაირად სათნოა, მეგობრებისადმი კი — განსაკუთრებით კეთილგანწყობილი, უყვარს ისინი, მათი ერთგულია, ისე გულთბილად ექცევა, ძნელად თუ მოიძებნება მეორე, მეგობრობაში რომ შეედაროს. პეტრე ეგიდიუსი უჩვეულოდ თავმდაბალიცაა, მისთვის უცხოა მაღალფარდოვნება, გაბღენძვა; მასში საოცრადაა შეზავებული გულწრფელობა და კეთილგონიერება. იშვიათი მოლაპარაკეა, თანაც ენამახვილი, მაგრამ უწყინარი. მასთან ზედმიწევნით სასიამოვნო ურთიერთობამ და საამო საუბრებმა მართლაც რომ შემიმსუბუქეს სამშობლოსთან და ოჯახურ კერასთან, ცოლთან და შვილებთან დაშორებით გამოწვეული სევდა, მე ხომ უკვე ვეღარ ვითმენდი და სულმოუთქმელად მოველოდი შინ დაბრუნებას (მაშინ უკვე ოთხ თვეზე მეტი ხნის წამოსული ვიყავი სახლიდან).

ერთხელ ღვთისმსახურებას ვესწრებოდი ღვთისმშობლის ტაძარში, ამ ულამაზეს შენობაში, სადაც მხოლოდ უწარჩინებულესნი დადიან. წირვის დამთავრების შემდეგ ის-ის იყო სასტუმროში დაბრუნებას ვაპირებდი, რომ უცებ, შემთხვევით, დავინახე პეტრე, რომელიც ერთ ხანში შესულ, მზისაგან გარუჯულ, გრძელწვერა, ლაბადაწამოსხმულ უცხოელს ესაუბრებოდა. სახითა და გარეგნობით მეზღვაურს მივამსგავსე უცნობი. როგორც კი შემამჩნია, პეტრე მომიახლოვდა და მომესალმა. სანამ სალამზე ვუპასუხებდი, მან განზე გამიხმო და მკითხა: „ხედავ ამას?“ და სწორედ იმ კაცზე მიმითითა. „მინდოდა, — მითხრა მან, — აქედან პირდაპირ შენთან წამომეყვანა...“. „მისი მოსვლა ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იქნებოდა შენს გამო“, — ვუპასუხე მე. „არა,—მომიგო მან, — შენ რომ ამ კაცს იცნობდე, გამოვიდოდა, რომ უფრო მის გამო. სხვა არავინ მეგულება ქვეყნად ისეთი, ამდენი ისტორიის მოყოლა შეეძლოს უცნობ ადამიანებზე და ქვეყნებზე. მე ვიცი, რომ ამ ამბების მოსმენით უდიდეს სიამოვნებას მიიღებ“. „როგორც ჩანს, — ვუთხარი მე, — სწორად მივმხვდარვარ. პირველივე შეხედვით მივხვდი, რომ ეს კაცი მეზღვაურია!“ ამაზე პეტრემ მიპასუხა: „ო, როგორ ცდები. იგი მართლაც დიდხანს იყო ზღვაზე, მაგრამ არა როგორც პალინურუსი[16], არამედ როგორც ულისე[17], უფრო სწორად კი როგორც პლატონი[18]. ეს კაცი რაფაელია. საგვარეულო სახელად ჰითლოდევსს უწოდებენ; ლათინური კარგად იცის, მაგრამ ბერძნული კიდევ უკეთესად. იგი უფრო გულმოდგინედ სწავლობდა

ბერძნულს, ვიდრე რომაულს (ვინაიდან მთლიანად შესწირა თავი ფილოსოფიას. ამ მეცნიერების სფეროში კი, როგორც მან შეიტყო, ლათინურ ენაზე არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი, გარდა სენეკას[19] და ციცერონის[20] ზოგიერთი თხზულებისა). რაც რამე გააჩნდა შინ მამისეული, რაფაელმა ძმებს დაუტოვა (იგი ლუზიტანელია)[21], თვით კი, მსოფლიოს გაცნობის სურვილით, ამერიგო ვესპუჩის[22] შეუერთდა და უკვე საქვეყნოდ ცნობილ ოთხიდან სამ მოგზაურობაში მიაი განუყრელი თანამგზავრი იყო. მაგრამ ბოლო მოგზაურობიდან უკან აღარ ჩამოჰყოლია, რამეთუ ამერიგო დაითანხმა და იმ ოცდაოთხთა რიცხვში აღმოჩნდა, ვინც ციხე-სიმაგრეში დარჩნენ ბოლო ნაოსნობის შედეგად. რაფაელი იქ დატოვეს თავისი ხასიათის წყალობით, რადგან მოგზაურობა ერჩია შინ ჯდომასა და იქ ზარზეიმით დაკრძალვას. ამიტომ მას მუდამ პირზე ეკერა: „ვისაც ურნა არ გააჩნია, მას ზეცა დაფარავს“[23]; ან კიდევ: „საიქიოსაკენ მიმავალი გზა ყოველგნით ერთია!“[24]. ღმერთი რომ მისადმი კეთილგანწყობილი არ ყოფილიყო, ასეთი აზრები ძვირად დაუჯდებოდა. ვესპუჩისთან განშორების შემდეგ რაფაელმა ციხესიმაგრელ ხუთ ამხანაგთან ერთად ბევრი ქვეყანა შემოიარა და ბოლოს გასაოცარი შემთხვევითობის გამო ტაპრობანაზე[25] აღმოჩნდა. აქედან იგი კალიკვიტში[26] ჩავიდა, სადაც მას ბედად ლუზიტანელთა ხომალდები დახვდა და, ბოლოსდაბოლოს, მოულოდნელად სამშობლოში დაბრუნდა“.

როცა პეტრემ თხრობა შეწყვიტა, მადლობა გადავუხადე იმ მზრუნველობისათვის, იმ დიდი მონდომებისათვის, რომელიც გამოიჩინა მან ჩემდამი და საშუალება მომცა, დავმტკბარიყავი ხსენებულ კაცთან ესოდენ სასიამოვნო საუბრით. შემდეგ კი რაფაელს მივუბრუნდი; ურთიერთმისალმებისა და იმ საყოველთაოდ მიღებულ მიმართვათა გაცვლის შემდეგ, რომლებიც ჩვეულებრივ ითქმება ხოლმე უცნობ პირთა პირველი შეხვედრისას, ჩემთან, შინისკენ გავემართეთ, იქ, მწვანე კორდით დაფარულ ბაღში, სკამზე ჩამოვსხედით და საუბარი გავაბით.

აქ რაფაელმა მოგვითხრო, თუ ვესპუჩის გამგზავრების შემდეგ მან და ციხე-სიმაგრეში დარჩენილმა მისმა ამხანაგებმა თანდათანობით და ტკბილი სიტყვებით როგორ მოიპოვეს იმ ქვეყნის მცხოვრებ-

თა კეთილგანწყობა. შემდეგ კი არა თუ საფრთხე აღარ ელოდათ, დამეგობრდნენ კიდეც მათთან. ბოლოს მათი მმართველის (არც ქვეყნის სახელი მახსოვს და არც ის, მმართველს რა ერქვა) კეთილგანწყობა და მოწყალებაც დაიმსახურეს. მისი გულუხვობის წყალობით რაფაელმა და მისმა ხუთმა მეგობარმა უხვად მიიღეს სანოვაგე და ფული, ამავე დროს სანდო გამყოლიც იშოვეს (ისინი წყალზე ტივებით გადადიოდნენ, ხმელეთზე კი ურმებით მოგზაურობდნენ). გამყოლს მგზავრები სხვა თავკაცებთან უნდა მიეყვანა და კეთილი შუამდგომლობით წარედგინა. რაფაელმა თქვა, რომ მრავალდღიანი მგზავრობის შემდეგ იხილა დიდი და პატარა ქალაქები, მჭიდროდ დასახლებული სახელმწიფოები, სადაც არცთუ ურიგო წესწყობილება სუფევდა.

მართლაც, ეკვატორული ხაზის მახლობლად, მის ორივე მხარეს, რომელსაც მზის ბრუნვა მოიცავს, ხვატისაგან გამომშრალი ვრცელი უდაბნოებია გადაჭიმული. ყველგან ჭუჭყია, საგნებს უბადრუკი იერი დასდებია, ყველაფერი მკაცრია და მოუვლელი, ყველგან მხეცები და გველები დაბუდებულან, და ბოლოს აქვეა ხალხი, რომელიც ურჩხულებზე ნაკლებად ველური და ბოროტი როდია; მაგრამ როცა წინ წაიწევ, ყველაფერი თანდათან შეიცვლება, თითქოს ცაც იხსნება, ირგვლივ სიმწვანე და სიმშვიდე ისადგურებს, აი, ხალხიც გამოჩნდა. დიდ და პატარა ქალაქებში ვაჭრობა გაჩაღებულა, თანაც მარტო ურთიერთშორის და მეზობლებთან კი არა, შორს მცხოვრებ ტომებთანაც, სადაც კი სწვდებიან ზღვითა და ხმელეთით.

რაფაელს საშუალება ჰქონდა მრავალი ქვეყანა მოეარა, ვინაიდან არა მარტო მას, არამედ მის თანამგზავრებსაც სიამოვნებით ღებულობდნენ ნებისმიერ ხომალდზე, რომელიც ისე იყო აღჭურვილი, რომ ყოველგვარ მგზავრობას გაუძლებდა. პირველად ნანახ ქვეყნებში ნაირნაირი გემები ნახეს, ზოგს პაპირუსის ფოთლებისგან შეკერილი აფრები ჰქონდა, ზოგს — ღეროებისგან დაჭიმული, ზოგს — ტყავისა. შემდეგ მსხვილძირა გემები იხილეს, რომელთაც ტილოს აფრები ჰქონდათ; ბოლოს ჩვენი გემების მსგავსნიც უნახავთ. მათმა მეზღვაურებმა თურმე ზღვაც კარგად იციან და ცაც. მაგრამ, როგორც რაფაელი ჰყვებოდა, თვითონაც დიდი გავლენა მოუხდენია მათზე, რამეთუ მაგნიტის გამოყენება[27] ასწავლა. აქამდე ისინი კრძალვით უყურებდნენ

ზღვას და მხოლოდ კარგ ამინდში თუ ენდობოდნენ მას. ახლა კი, რაც მაგნიტის ძალა იწამეს, უკვე არაფრად აგდებდნენ ზამთარში ცურვასაც. ყველაფრის შედეგი კი ის იყო, რომ არათუ შიში აღარ ჰქონდათ არაფრის, უფრო უდარდელობა დასჩემდათ და ამიტომ მოსალოდნელი იყო ახალი საშიშროება: ნივთი, რომელსაც სარგებლობა უნდა მოეტანა ადგილობრივი მეზღვაურებისათვის, მათი არაგონივრულობის გამო, დიდი უბედურების მიზეზი არ გამხდარიყო.

რაფაელმა ისიც მოგვითხრო, თუ სად რა ნახა, მაგრამ ახლა ამის გადმოცემა საუბარს დიდად გაგვიგრძელებდა და ეს არც არის ამ ნაწარმოების მიზანი, ამაზე სხვაგან შეიძლებოდა გვეთქვა. ახლა ჩვენთვის განსაკუთრებით სასარგებლო, რა თქმა უნდა, იმ სწორი და ბრძნული ღონისძიებების გაცნობა იქნება, რომლებიც რაფაელს იქ, კეთილმოწყობილ სახელმწიფოებში შეუნიშნავს. ჩვენ სხაპასხუპით ვაყრიდით რაფაელს შეკითხვებს და ისიც ყველაზე უფრო დიდი სიამოვნებით ამაზე გველაპარაკებოდა. დროებით თავი ვანებოთ ყოველგვარ შეკითხვებს ურჩხულებზე, ვინაიდან აქ არაფერია ახალი. მართლაც, მტაცებელ სკილებსა[28] და კელენოებს[29], კაციჭამია ლესტრიგონებსა[30] და მათ მსგავს უზარმაზარ ურჩხულებს თითქმის ყველგან შეხვდები, ხოლო საღად და გონივრულად აღზრდილი მოქალაქენი ადვილი საპოვნი როდია.

და რაფაელი გვესაუბრა ამ ახალგაცნობილი ხალხის მრავალ მცდარ კანონზე, მეორე მხრივ კი ბევრი ისეთიც ჩამოთვალა, რომელთაგან მაგალითის აღება შეიძლება ჩვენი ქალაქების, ხალხების, ტომებისა და სამეფოების ცხოვრების წესის გამოსასწორებლად; ამათზე, როგორც უკვე ვთქვი, სხვაგან ვილაპარაკებ. ახლა კი მსურს გადმოგცეთ რაფაელის მონაყოლი უტოპიელთა ჩვეულებებზე და დაწესებულებებზე, მაგრამ წინასწარ მაინც გაგაცნობთ იმ საუბარს, რომელმაც ამ სახელმწიფოს დასახელებამდე მიგვიყვანა.

რაფაელმა მეტად ჭკვიანურად დაიწყო ამა თუ იმ შეცდომების ჩამოთვლა, რომლებიც ასე ბლომად აქვს ორივე მხარეს. ხოლო შემდეგ დაასახელა როგორც ჩვენი, ისე მათი ბრძნული და კეთილგონივრული კანონები. იგი ყოველი ხალხის ჩვეულებებსა და წამოწყებებს ისე აყალიბებდა, გეგონებოდა რომელიმე მხარეში მთელი სიცოცხლე გაუტარებიაო. აღტაცებულმა პეტრემ შესძახა: „გაოცებული ვარ, ჩემო რაფაელ, რატომ არ ამოუდგები მხარში რომელიმე მეფეს? მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ სავსებით მოახერხებ მისი გულის მო-

ნადირებას, რადგან შენი განსწავლულობის, ქვეყნებისა და ადამიანების ეს ოდენ დიდი ცოდნის გამო შეგიძლია არა მარტო გაართო იგი, არამედ ჭკუის სასწავლი მაგალითიც მოუყვანო და ბევრი რჩევაც მისცე. თანაც ამ ხერხით საკუთარ საქმეებსაც შესანიშნავად მოიწყობ და დიდ დახმარებას გაუწევ ყველა შენს ახლობელს". „რაც შეეხება ჩემს ახლობლებს, — თქვა მან, — მეტისმეტად არ ვდარდობ მათზე. მიმაჩნია, რომ ჩემი ვალი მათ წინაშე შეძლებისამებრ მოვიხადე. არა მარტო ჯერ კიდევ სრულიად ჯანმრთელმა და მხნემ, არამედ ახალგაზრდამაც, ჩემს ნათესავებსა და მეგობრებს დავუნაწილე მთელი ჩემი ქონება. სხვები კი ქონებაზე მხოლოდ სიბერეში ან ავადმყოფობის ჟამს ამბობენ უარს, მაშინაც დიდის გაჭირვებით ელევიან და მხოლოდ იმიტომ, რომ უკვე აღარ ძალუძთ მისი შენარჩუნება. ვფიქრობ, ჩემი ახლობლები კმაყოფილნი უნდა იყვნენ ამ მოწყალების გამო და არ მოითხოვენ და არ დაელოდებიან იმას, რომ მათი გულისათვის მეფეებს დაევემონო". „კარგი სიტყვებია! — შენიშნა პეტრემ, — მაგრამ მგონი აქ იგულისხმება არა „დამონება", არამედ „მომსახურება".

„ამ სიტყვაში, — მიუგო რაფაელმა — ერთადერთი მარცვალია მეტი!" „მე კი ვფიქრობ, — უპასუხა პეტრემ, — რომ რა სახელიც არ უნდა უწოდო შენს ამ საქმიანობას, სწორედ ის არის საშუალება, რომლითაც სარგებლობის მოტანა შეგვიძლია არა მხოლოდ ადამიანთა ვიწრო წრისათვის, არამედ საზოგადოებისათვისაც და საკუთარი მდგომარეობის გასაუმჯობესებლადაც". „გაუმჯობესდება კი იგი, — ჰკითხა რაფაელმა — იმ გზით, რომელიც ჩემს გულს არ ეკარება? ახლა ხომ ისე ვცხოვრობ, როგორც მინდა; დარწმუნებული კი ვარ, რომ ეს მხოლოდ უმცირესობის ხვედრია ძოწით მოსილთა შორისაც! განა ცოტანი არიან ისეთები, თვითონ რომ ეძებენ მეგობრობას მეუფეებთან და განა, შენი აზრით, დიდი უბედურება იქნება, თუკი ისინი უჩემოდ ან ჩემს მსგავსთა გარეშე შეძლებენ არსებობას?".

მაშინ მე ვთქვი: „ჩემო რაფაელ, ცხადია, არა ხარ დახარბებული არც სიმდიდრეს, არც ძალა-უფლებას და, რა თქმა უნდა, ასეთი აზრების კაცს იმაზე ნაკლებ პატივს როდი ვცემ და ვაფასებ, ვისაც უმაღლესი გამგებლობა უპყრია ხელთ. მაგრამ მგონია, შენი საქციელი მეტად ღირსეული იქნება როგორც შენთვის, ისე შენი ამაღლებული და ჭეშმარიტად ფილოსოფიური გონებისათვის, თუკი შეეცდები გარკვეული პირადი ზარალის ფასადაც კი საკუთარი ნიჭი და გულმოდგინება საზოგადოების სამსახურს შესწირო; ამის ხორცშესხმას კი ისე ნაყო-

ფიერად ვერსად შესძლებ, როგორც იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე დიდი ხელმწიფის მრჩეველი გახდები და (ეუვიც არ მეპარება) მას სათანადო პატიოსან აზრებს ჩაუნერგავ. არ უნდა დაივიწყოთ, რომ ხელმწიფე, დაუშრეტელი წყაროს მსგავსად, მთელ ხალხს აწვდის როგორც კარგს, ისე ცუდს. შენ ყოველთვის, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების გარეშეც, შესანიშნავი მრჩეველი იქნები ყოველი მეფისათვის შენი სრულყოფილი განსწავლულობის გამო, ანდა ამ განსწავლულობის გარეშეც, ესოდენი გამოცდილების წყალობით". „ჩემო შორ, — მიპასუხა მან, — შენ ორჯერ შეცდი: ჯერ ერთი, ჩემს გამო და, მეორეც, თვით საკითხის არსში. მე არა მაქვს ის ღირსებები, რომელთაც მომაწერ და, კიდეც რომ მქონდეს და შევეწირო ამ საქმეს, მაინც ვერავითარ სარგებლობას ვერ მოვუტან სახელმწიფოს, პირველ ყოვლისა, ყველა მეფე უმრავლეს შემთხვევაში მთელ თავის დროს უფრო დიდი სიამოვნებით მხოლოდ სამხედრო საქმეებს უთმობს (მე კი ამის არავითარი გამოცდილება არა მაქვს და არც მინდა მქონდეს), ვიდრე ქვეყნის სასიკეთო საქმეებს; ამას გარდა, მეფენი უფრო დიდი სიამოვნებით ზრუნავენ იმაზე, როგორმე კანონიერი ან უკანონო გზებით ხელში ჩაიგდონ ახალ-ახალი სამეფოები, ვიდრე იმაზე, როგორ უკეთ მართონ უკვე მოპოვებული. ამასთან, მეფეთა მრჩევლებს შორის არ მეგულება არავინ ისეთი, მართლა ჭკვიანი, სხვისი რჩევა არ სჭირდებოდეს, ანდა ვისაც საკუთარი თავი ისე ბრძენი ეგონოს, სხვისი აზრის მოწონება არ ეგებოდეს, არის გამონაკლისიც, როცა ისინი მლიქვნელურად და მდაბლად უხრიან თავს მეფესთან დაახლოებულ იმ პირთა სულელურ აზრებს, რომლებიც ხელმწიფის კეთილგანწყობით სარგებლობენ და ამ მლიქვნელობით ცდილობენ მათ მომადლიერებას. რასაკვირველია, ბუნებისაგან ისეა მოწყობილი, რომ ყველას თავისი ქმნილება მოსწონს, როგორც ყვავს თავისი ბახალა და მაიმუნს — თავისი ნაშიერი.

ამიტომ, თუკი ამგვარ პირთა წრეში, რომელთაც სხვისი შურთ და მხოლოდ საკუთარს აძლევენ უპირატესობას, ვინმე გამოჩნდება და რაიმე ამბავს ამოიკითხავს შორეული წარსულიდან, ან სხვა ქვეყნებში ნანახს მოჰყვება, მსმენელები შეშინდებიან, თითქოს მათ სიბრძნეს დაკნინების საფრთხე ემუქრება და ამის შემდეგ უმეცრებად გამოაცხადებენ. თუ ვერ მოახერხეს, მთხრობელს რაიმე მოუგონონ და სახელი გაუტეხონ. თუ სხვა ვერაფერი იღონეს, ისინი ამ აზრს მოიმარჯვებენ: ყველაფერი ეს ჩვენს წინაპრებს მოსწონდათ და ჩვენ ვისურვებდით

მათ სიბრძნეშიც გავტოლებოდითო. ამით ისინი მშვიდდებიან, რადგან მიაჩნიათ, რომ ამგვარი შენიშვნით თავი შესანიშნავად დაიცვეს. თითქოსდა რაღაც საშინელი მოხდება, თუ ვინმე რომელიმე საქმეში თავის წინაპრებზე ჭკვიანი აღმოჩნდება. სინამდვილეში კი ყველაფერი, რასაც ისინი ასე მოხერხებულად დაადგენენ და რაშიც ჩვენ ასე აუღელვებლად ვეთანხმებით, ცხოვრებაში ფეხს იკიდებს და მკვიდრდება. მაგრამ თუკი რაიმე საბაბით შეიძლება რაღაც გონივრულის მოფიქრება, ჩვენ მაშინვე გატაცებით ვეჭიდებით ამ საბუთს, მაგრამ ადრე დადგენილსაც აღარ ვეშვებით. ასეთ მაღალფარდოვან, უაზრო და ჭირვეულ მოსაზრებებს არაერთხელ შევხვედრივარ სხვაგან, მაგრამ ერთხელ ინგლისშიც წავაწყდი.

„მითხარი, გეთაყვა, — ვკითხე მე, — მაშ შენ ნამყოფი ხარ ჩვენთან?“ „დიახ, — მიპასუხა, — და იქ რამდენიმე თვე გავატარე დასავლეთ ინგლისელთა დამარცხების შემდეგ მეფის წინააღმდეგ გაჩაღებულ სამოქალაქო ომში, რომელშიც თვითონვე უმოწყალოდ განადგურდნენ[31]. აპასთან ერთად დიდად დავალებული დავრჩი ღრმად პატივცემული მამა იოანე მორტონისაგან[32], კენტერბერის არქიეპისკოპოსისა და კარდინალისაგან, რომელიც მაშინ ინგლისის კანცლერიც იყო. ეს კაცი, ჩემო პეტრე (მორისათვის ცნობილი ამბავი უნდა მოგითხრო), დიდ პატივისცემას იმსახურებდა როგორც თავისი მდგომარეობით, ისე კეთილგონიერებითა და სათნოებით. ტანად საშუალო კაცი იყო, საკმაო ხნისაც, მაგრამ ასაკს ვერ მოეხარა. მისი სახე მოწიწების გრძნობას იწვევდა და არა შიშს. ურთიერთობაში მძიმე კი არ იყო, არამედ დინჯი და ზვიადი. მას ხანდახან უჩნდებოდა სურვილი, მეტად მკაცრად მოქცეოდა მთხოვნელებს, მაგრამ მათთვის ზიანის მიუყენებლად, რათა ამით გამოეცადა როგორი მოსაზრებულობით, სულის სიმტკიცით იყო დაჯილდოებული ყოველი მათგანი. მათ სიმამაცეში, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა თავხედობასთან, იგი დიდ სიამოვნებას პოულობდა, ვინაიდან ეს თვისება მისთვისაც ნაცნობი იყო და ასეთ ადამიანს საქმეში გამოსადეგად თვლიდა. მისი საუბარი დახვეწილი და გულშიჩამწვდომი იყო. სამართლის შესანიშნავი მცოდნე, დაჯილდოებული იყო ენამახვილობით, იშვიათი მეხსიერებით. ეს შესანიშნავი ბუნებრივი თვისებები მან სწავლით და ვარჯიშით განივითარა. მეფე სავსებით ენდობოდა მის რჩევებს (ჩემი იქ ყოფნისას), ისე ჩანდა, თითქოს სახელმწიფოც კი ეყრდნობოდა მათ. სიყრმიდანვე, პირდაპირ სკოლის მერხიდან მოხვდა იგი სამეფო კარზე, მთელი ცხოვრება მნი-

შვნელოვანი საქმეების გარემოცვასა და ბედის ტრიალში გაატარა. მრავალჭირნახულმა დიდი შიშის ფასად შეიძინა ესოდენი სახელმწიფოებრივი გამოცდილება (რომელიც არცთუ ისე მალე იკარგება, როცა ასეთი გზითაა დაგროვილი).

როცა ერთ დღეს, ბედნიერი შემთხვევის წყალობით, მის სუფრაზე მოვხვდი, აქვე შევხვდი ერთ ერისკაცს, თქვენი კანონების მცოდნეს. არ მახსოვს, რა საბაბით მონახა მან ხელსაყრელი შემთხვევა იმ მკაცრი მართლმსაჯულების ქებისათვის, რომელსაც მაშინ ქურდების მიმართ იყენებდნენ. თურმე ქურდებს, როგორც იგი ჰყვებოდა, ზოგჯერ ოც-ოცად ჰკიდებდნენ ერთ სახრჩობელაზე. მისი სიტყვებით, მით უფრო გასაკვირი იყო ის, რომ, თუ უმნიშვნელო უმცირესობა ხანდახან დაუძვრებოდა სასჯელს, რაღაც ბოროტი ძალის გავლენით ბევრი მაინც განაგრძობდა ავაზაკობას. მაშინ გავბედე და თავისუფლად დავიწყე ლაპარაკი კარდინალის თანდასწრებით: „აქ არაფერია გასაკვირი. ქურდების ამგვარი დასჯა სცილდება სამართლიანობას და არც სახელმწიფოს მოუტანს რაიმე კარგს. იგი მეტად შემაძრწუნებელია ქურდობისათვის სასჯელად და მაინც უსუსურია მის აღმოსაფხვრელად. მართლაც, უბრალო ქურდობა არცთუ ისეთი დიდი დანაშაულია, რომ ქურდს თავი მოჰკვეთონ, ხოლო, მეორე მხრივ, არც ერთი სასჯელი არ არის იმდენად ძლიერი, რომ ძარცვა-გლეჯას გადააჩვიოს ისინი, ვისაც სარჩოს შოვნის არავითარი სხვა საშუალება არ გააჩნია. ამ მხრივ თქვენ, ისევე როგორც ადამიანთა უმრავლესობა მთელ ქვეყნიერებაზე, ალბათ ცუდ მოძღვართ ჰბაძავთ, რომლებიც უფრო დიდი სიამოვნებით წკეპლავენ თავიანთ მოსწავლეებს, ვიდრე ასწავლიან. მართლაც, ქურდს მძიმე და მკაცრ სასჯელს ადებენ, მაშინ როდესაც უკეთესი იქნებოდა ეზრუნათ მათთვის ცხოვრების სახსრების აღმოსაჩენად, რათა არავინ იყოს განწირული ისეთი მკაცრი აუცილებლობისათვის, ჯერ მოიპაროს და შემდეგ დაიღუპოს“. ამაზე სამართლისმცოდნემ მიპასუხა: „ამ მხრივ საკმაოდ არის მიღებული ზომები; არსებობს ხელობები, არსებობს მიწათმოქმედება; მათი საშუალებით შეიძლება თავის გატანა, თუკი ადამიანები თვითონ არ მოისურვებენ ცუდ გზაზე დადგომას“. მე ვუპასუხე: „არა, ასე ადვილად ვერ მოგეშვებით. თავი დავანებოთ პირველ რიგში იმათ, ვინც სხვა ქვეყნებთან ლაშქრობიდან ან სამოქალაქო ომიდან სახლში ხშირად ხეიბრად ბრუნდება, როგორც ეს თქვენთან ახლახან მოხდა კორნუელთან და ცოტა უფრო ადრე — გალიასთან ბრძოლის შემდეგ[33]. სახელმწიფოსა და მეფისა-

თვის ომში დასახიჩრების შემდეგ მათ აღარ ძალუძთ ძველ საქმიანობას დაუბრუნდნენ, ხოლო ასაკი ახლის შესწავლის საშუალებას აღარ იძლევა, მაგრამ თავი დავანებოთ ამას, რადგან ომები მაინც დროის გარკვეულ მონაკვეთში ხდება ხოლმე. მოდი განვსაჯოთ ის, რაც ყოველდღიურია. ჯერ ერთი, არსებობს წარჩინებულთა უმრავლესობა. ისინი მამალი ფუტკრებივით უქმად, სხვისი შრომით ცხოვრობენ, სახელდობრ, თავიანთი მამულების იჯარადართა ხარჯზე, რომლებსაც შემოსავლის გადიდების მიზნით ტყავს აძრობენ. აქ ასეთ სასტიკ სიძუნწეს იჩენენ ეს ადამიანები, ისე კი გაღატაკებამდე ხელგაშლილები არიან. ეს კიდევ არაფერი, ისინი გარშემო იკრებენ პირად მცველთა უზარმაზარ ბრბოს[34], რომლებსაც არასოდეს არსად არ უსწავლიათ სარჩოს მოპოვების არანაირი ხერხი. მაგრამ საკმარისია ბატონი მოკვდეს ან ეს მსახურები დასნეულდნენ, მათ მაშინვე გარეთ ისვრიან; ბატონები უსაქმურებს უფრო დიდი სიამოვნებით ინახავენ, ვიდრე ავადმყოფებს. ხშირად გარდაცვლილის მემკვიდრეს არ ძალუძს მამისეული ჯალაბის რჩენა. და, აი, ისინი განწირულნი არიან შიმშილისათვის, თუ ყაჩაღობაზე არ გადავიდნენ. მართლაცდა, რაღა დარჩენიათ მათ? როცა ისინი უქმად ხეტიალში რამდენიმე ხელ ტანსაცმელს გაცვეთენ და ზედ თავის ჯანმრთელობასაც მიაყოლებენ, მაშინ დასნეულებულთა და დაძონძილთა მიღებას კეთილშობილნი არ მოისურვებენ, გლეხები კი ვერ გაბედავენ. ამ უკანასკნელებმა კარგად უწყიან ისინიც, ვინც აზიზად არიან გაზრდილნი უსაქმურობასა და ფუფუნებაში, მიჩვეულნი არიან დაშნას ცალ გვერდზე და ფარს მეორე ხელში, ამაყად უმზერენ მეზობლებს და საკუთარ თავთან შედარებით სხვები ჩირადაც არ უღირთ. ასეთი ადამიანი სულაც არ არის იმისთვის მზად, რომ წერაქვითა და სახნისით ხელში მცირე გასამრჯელოსა და მწირი საჭმლისათვის ემსახუროს ღარიბებს". ამაზე სამართლისმცოდნემ მოგვიგო: „ჩვენ განსაკუთრებით უნდა შევუწყოთ ხელი ამგვარ ხალხს, მათში ხომ, როგორც უფრო ამაღლებული და კეთილშობილი განწყობილების ხალხში, უფრო მეტად, ვიდრე მიწის მუშებსა და ხელოსნებში (იმ შემთხვევაში, თუ საქმე ომამდე მივა), თავმოყრილია ლაშქრის მთავარი ძალა და სიმტკიცე!".

„რასაკვირველია, — ვუპასუხე მე, — მაშინ ასევე შეგიძლიათ თქვათ, რომ ომის მხარდასაჭერად საჭიროა ქურდების ხელისშეწყობაც, რასაც ვერასოდეს დააღწევთ თავს, სანამ ეს ხალხი გეყოლებათ. რატომ ავაზაკებს არ შეუძლიათ გახდნენ ჯარისკაცები, ხოლო ჯარის-

კაცებს ავაზაკები, იმდენად ბევრი რამ აქვს საერთო ამ ორ საქმიანობას? თქვენში ქურდობის გავრცელების მიუხედავად, ეს მანკიერება არ წარმოადგენს თქვენს განმასხვავებელ თავისებურებას: იგი საერთოა თითქმის ყველა ხალხისათვის. რაც შეეხება გალიას[35], მას აღატაკებს კიდევ ერთი ჭირი: მთელი ქვეყანა მშვიდობიანობის დროსაც კი (თუკი ამას მშვიდობიანობა ჰქვია) სავსეა და გარშემორტყმულია დაქირავებული ჯარისკაცებით, რომლებიც მოწვეულნი არიან იმავე რწმენის ძალით, რომლის გავლენითაც თქვენ საჭიროდ ჩათვალეთ აქ, ამ უსაქმო მსახურების დაქირავება. მართლაცდა, ამ ჭკვიანი უგნურების აზრით, სახელმწიფოს კეთილდღეობა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველთვის მზად ჰყავდეს ძლიერი და მტკიცე თავდაცვა, რომელიც ძირითადად ვეტერანებისაგან შედგება. ეს ვაი-მოღვაწენი არ ენდობიან ახალწვეულებს. ამიტომ მათ უხდებათ ომის საბაბის ძებნა, თუნდაც იმისთვის, რომ ჯარისკაცებს გამოცდილება შესძინონ, ანდა საერთოდ ჰყავდეთ ხალხი ხოცვა-ყლეტისთვის მზად. სხვაგვარად (სალუსტიუსის[36] გონებამახვილური ნათქვამისა არ იყოს) მათი გონება და სული უმოქმედობისაგან გახევდება.

გალიამ საკუთარ უბედურებაზე გამოსცადა, თუ რამდენად დამღუპველია ასეთი ურჩხულების შენახვა. ამასვე ამტკიცებენ რომაელთა, კართაგენელთა, სირიელთა და საერთოდ სხვა მრავალი ხალხის მაგალითები. ამ ხალხთა მუდმივმა ჯარებმა სხვადასხვა მიზეზით გაანადგურეს არა მარტო მათი უმაღლესი ხელისუფლება, არამედ შთანთქეს დიდი სივრცეები და თვით ქალაქებიც. თუ რამდენად არ არის ეს აუცილებელი, კარგად ჩანს შემდეგი მაგალითიდან: თვით გალიელი ჯარისკაცებიც კი, ბრძოლებში ბავშვობიდან გამობრძმედილნი, თქვენს ახალწვეულებთან შეტაკებისას ხშირად ვერ დაიკვეხნიან გამარჯვებას. თუმცა მე აღარ გავაგრძელებ ამაზე საუბარს თქვენი თანდასწრებით, რათა მლიქვნელობაში არ ჩამომართვათ. მაგრამ არა მგონია თქვენთანაც არისტოკრატთა უქმი მცველები მაინდამაინც დიდი შიშის ზარს სცემდნენ ქალაქის ხელოსნებს ანდა უბრალო და მოუქნელ მიწათმოქმედთ, გარდა ზოგიერთისა, ვინც თავისი აკებულებით, განსაკუთრებული ფიზიკური ძალითა და სიჩაუქით არ გამოირჩევა, ანდა ვისი სიმხნეევეც სიღარიბეს გაუტეხია. ამიტომ არავითარი საფუძველი არა გვაქვს გვეშინოდეს, რომ ეს ფიზიკურად ძლიერი ადამიანები (არისტოკრატიის წამხდარ ყურადღებას ხომ მხოლოდ რჩეულნი იმსახურებენ), რომლებიც ახლა უსაქმურობით ანდა თითქმის დიაცის შესაფე-

რისი საქმიანობით მისუსტებულან, ვერ დადგებიან ვაჟკაცები, თუკი სასარგებლო ხელობას ისწავლიან ან კაცურ საქმეში ჩაებმებიან. ყოველ შემთხვევაში, სულაც არ მიმაჩნია სახელმწიფოსათვის სასარგებლოდ ამგვარ ადამიანთა ურიცხვი ბრბოს შენახვა მხოლოდ იმ ომის მოლოდინში, რომელიც არასოდეს გექნებათ თქვენი ნება-სურვილის გარეშე, ისინი ზიანს აყენებენ მშვიდობას, რომლისთვისაც, ვფიქრობ, გაცილებით მეტი ზრუნვაა საჭირო, ვიდრე ომისთვის. მაგრამ ეს მაინც არ არის ქურდობის ერთადერთი მიზეზი. არის მეორე მიზეზი, რომელიც, როგორც ვფიქრობ, უფრო მეტადაა დამახასიათებელი თქვენთვის". რომელი? — იკითხა კარდინალმა. „თქვენი ცხვრები, — ვუპასუხე მე, — ჩვეულებრივ ასეთი უწყინარნი და მცირედითაც კმაყოფილნი, ახლა (როგორც ამბობენ) კი ისეთი გაუმაძღარნი და დაუოკებელნი გამხდარან, რომ ადამიანებსაც კი ჭამენ, ანადგურებენ და მუსრს ავლებენ მინდვრებს, სახლებს, ქალაქებს. სახელდობრ, სამეფოს იმ ნაწილში, სადაც უფრო ნაზ და ამიტომ ძვირფას მატყლს ამუშავებენ, წარჩინებული არისტოკრატები და თვით ზოგიერთი აბატიც კი, წმინდა მამა, არ სჯერდებიან იმ ყოველწლიურ შემოსავალსა და ნამატს, რომელიც ჩვეულებრივ იზრდებოდა მათი წინაპრების მამულების შემოსავლის ხარჯზე. არ კმაყოფილდებიან იმით, რომ მათ უსაქმო და ფუფუნებაში ცხოვრებას არათუ არავითარი სარგებლობა აღარ მოაქვს საზოგადოებისათვის, კიდევაც ზიანს აყენებს მას. ამიტომ თავიანთ მამულებში ისინი აღარაფერს ტოვებენ სახნავად — ყველაფერს საძოვრებად აქცევენ, სპობენ სახლებს, ანგრევენ ქალაქებს, ტაძრებს კი მხოლოდ ცხვრების სადგომად ტოვებენ. ეს „უწყინარი" ადამიანები ყოველგვარ დასახლებას და დამუშავებული მიწის თითოეულ გოჯს უდაბნოდ აქცევენ, თითქოს უამისოდ თქვენთან ცოტა მიწა იკარგებოდეს ნადირთა სადგომებისა და სამხეცეთათვის. ამრიგად, მას შემდეგ[37], რაც მხოლოდ ერთი ღორმუცელა, ქვეყნის გაუმაძღარი და სასტიკი წყლული ანადგურებს მინდვრების საზღვრებს, ერთიანი ღობით ფარგლავს რამდენიმე ათას აკრს, იგი ქუჩაში ყრის ზოგიერთ იჯარადარს, მოტყუებით ან ძალადობით ართმევს მას საკუთარ ქონებასაც კი, ანდა შეურაცხყოფილს აიძულებს გაყიდოს იგი. ყველა შემთხვევაში ხდება გაუბედურებული უსახლკაროების — კაცების, ქალების, ქმრების, ცოლების, ობლების, ქვრივების, მცირეწლოვან შვილებიანი მშობლების გადასახლება თავისი მრავალრიცხოვანი ჯალაბით — ხენა-თესვა ხომ დიდძალ მუშახელს მოითხოვდა. ისინი, ვიმეორებ, იძულებულნი

არიან აიყარონ ნაცნობი და შეჩვეული ადგილებიდან და გადაიხვეწონ უცხო მხარეში. მთელ თავიანთ ღარიბულ ავლადიდებას მაშინაც კი, მყიდველი რომც იყოს და დაცდა შეიძლებოდეს, ისინი ჩალის ფასად ყიდიან, რადგან იძულებულნი არიან მოიცილონ იგი და როცა ხეტიალში უცებ ესეც დაეხარჯებათ, სხვა რაღა რჩებათ, თუ არა ქურდობა და დამსახურებულად სახრჩობელაზე მოხვედრა, ანდა წანწალი და მათხოვრობა? თუმცა ამ შემთხვევაშიც, როცა მაწანწალები ციხეში ხვდებიან უქმად ხეტიალისათვის, მათ მარჯვენას არავინ ჭირაობს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავგამოდებით სთავაზობენ თავიანთ თავს ყველას. სოფლის სამუშაოებს კი, რომელსაც ისინი ბავშვობიდანვე არიან შეჩვეულნი, რა უნდა იქ, სადაც არაფერს თესავენ. საკმარისია მხოლოდ ერთი ნაგაზის ან მეცხვარის გამოჩენა, რომ ის მიწა, რომლის დასათესად და სათანადოდ დასამუშავებლად ამდენი მუშახელი იყო საჭირო, საძოვრად გადაიქცეს. ამის გამო ბევრგან უსაშველოდ გაიზარდა აგრეთვე პურის ფასი. გარდა ამისა, თვით მატყლის ფასმაც ისე მოიმატა, რომ მისი შესყიდვა სრულიად შეუძლებელი გახდა იმ ღარიბი ხალხისათვის, ვინც მისგან ტანსაცმლის დამზადებას მისდევდა. ამიტომ მათი უმრავლესობაც ამ საქმეს თავს ანებებს და უსაქმურების რიცხვს ემატება. საქმე ისაა, რომ საძოვრების გაზრდის შემდეგ ცხვრის ურიცხვი რაოდენობა დაიღუპა ჭირისაგან, თითქოსდა ეს ჭირი ზეცამ მიუზღო მათ გაუმაძღრობისათვის. უფრო სამარლიანი კი იქნებოდა ჭირი ცხვრის მესაკუთრეებს შეჰყროდათ. მაგრამ ცხვრის რაოდენობა ძალიანაც რომ გაიზარდოს, მატყლის ფასი მაინც არ დაეცემა, ვინაიდან თუკი მის გაყიდვას არ შეიძლება მონოპოლია ეწოდოს, რადგან მას მხოლოდ ერთი პიროვნება არ მისდევს, მაშინ ყოველ შემთხვევაში ოლიგოპოლია[38] მაინცაა. ეს საქმე ხომ მცირერიცხოვან და, ამასთან, მდიდარ ადამიანთა ხელში მოხვდა, რომლებსაც არავითარი აუცილებლობა არ აიძულებს გაყიდონ ცხვარი უფრო ადრე, ვიდრე ეს მათთვის ხელსაყრელი არ იქნება. მათ კი ეს არ მოესურვებათ, ვიდრე მათთვის სასარგებლო დრო არ დადგება. იგივე მიზეზი იწვევს საქონლის სხვა ჯიშების ერთნაირ სიძვირესაც და თანაც მით უფრო, რომ მამულთა რღვევისა და ხვნა-თესვის შეზღუდვასთან ერთად აღარ რჩება არავინ, ვინც საქონლის მომატებაზე იზრუნებდა. მდიდრები არც ბატკნებს ზრდიან და არც ხბოებს, ისინი ყიდულობენ მათ სხვაგან იაფად, ასუქებენ თავიანთ საძოვრებზე და შემდეგ ძვირად ყიდიან. მე ვფიქრობ, ამგვარი მდგომარეობის მთელი სიმძიმე სათანა-

დოდ ჯერ კიდევ არ იგრძნობა, ვინაიდან ეს პირები საქონლის სიძვირეს მხოლოდ იქ ქმნიან, სადაც ყიდიან მას, მაგრამ როდესაც გაიტანენ შესყიდვის ადგილიდან უფრო სწრაფად, ვიდრე ის გამრავლებას შეძლებს, მაშინ მისი მარაგი იქაც თანდათანობით შემცირდება და ძალაუნებურად მისი ნაკლებობა მეტად საგრძნობი გახდება.

ამრიგად, ერთი მუჭა ადამიანების გაუმაძღრობამ თქვენი კუნძულის დამლუპველად აქცია სწორედ ის, რის გამოც იგი განსაკუთრებით ბედნიერი ჩანდა. პურის ეს სიძვირე იმის მიზეზი გახდა, რომ ყველა გარეთ აგდებს რაც შეიძლება მეტ ადამიანს, მაგრამ საკითხავია, განა ეს ხიღტაკისკენ ან, რაზედაც უფრო ადვილად თანხმდებიან კეთილშობილი პირები, ძარცვა-გლეჯისკენ არ უბიძგებს მათ?

ამასთანავე ამ საცოდავ სიღტაკეს და სიბეჩავეს ემატება უსაზღვრო ფუფუნება. დიდკაცების მსახურებსაც, ხელოსნებსაც და თვით გლეხებსაც კი, ერთი სიტყვით, ყველა წოდების ხალხს ტანსაცმელსა და ჭამა-სმაში ზედმეტი ფუფუნება ეტყობა. განა პირდაპირ ძარცვა-გლეჯისკენ არ უბიძგებენ თავიანთ თაყვანისმცემლებს მათი საფულეების წინასწარ და სწრაფად დაცარიელების შემდეგ ეს სამეკიტნოები, სარდაფები, მეძავთა სახლები და ისევ სამეძაოები ღვინისა და ლუდის ჯიხურების სახით? და ბოლოს ამდენი უწესო თამაში — ზარი, ბანქო, დისკო და სხვა?

მოიცილეთ ეს დამღუპველი წყლულები, დააწესეთ, რომ ფერმებისა და სოფლების განმანადგურებლებმა ან აღადგინონ ისინი, ანდა დააცადონ მათ, ვისაც სურს აღდგენა და აშენება. შეუზღუდეთ მდიდრებს შესყიდვის უფლება, აუკრძალეთ თვითნებობა, რომელიც მონოპოლიაში გადადის, ნაკლები მუქთახორა არჩინეთ. აღადგინეთ მიწათმოქმედება, განაახლეთ მატყლის დამუშავება, დაე, ის საპატიო საქმედ იქცეს! დაე, სარგებლობა მოჰქონდეს მას უსაქმური ბრბოსათვის, იმათთვის, ვინც აქამდე სიღარიბემ ქურდებად აქცია, ან იმათთვის, ვინც ახლა მაწანწალაა და უსაქმური მსახური — ორივე ხომ მომავალი ქურდია. თუ თქვენ ვერ უმკურნალებთ ამ სატკივარს, მაშინ ტყუილუბრალოდ დაიტრაბახებთ ქურდობის დასჯაში გამოცდილი თქვენი მართლმსაჯულებით, რომელიც უფრო გარეგნულად არის შთამბეჭდავი, ვიდრე სამართლიანი და სასარგებლო. თუ რომელიმე თქვენგანი ადამიანებს აძლევს შესანიშნავ აღზრდას, თანდათანობით სიყრმიდანვე აფუჭებს მათ ზნეობას, ხოლო სასჯელის ღირსად მათ თვლით მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი, უკვე მოწიფულ ასაკში, სამარცხვინო

საქმეებს სჩადიან, მაგრამ ეს ხომ მათგან თავიდანვე იყო მოსალოდნელი. ასეთი ქცევით თქვენ ხომ ქურდებს კიდევაც ქმნით და იმავე დროს კიდეც სჯით?"

ამ ჩემი სიტყვის პასუხად ზემოხსენებული სამართლისმცოდნე გულმოდგინედ მოემზადა და გადაწყვიტა მიემართა მსჯელობის იმ ჩვეულებრივი ხერხისათვის, როცა უფრო დიდი გულმოდგინებით იმეორებენ მოწინააღმდეგის მტკიცებას, ვიდრე პასუხს სცემენ მათ; ასეთ მოპასუხეთა დამსახურების საწინდარი პირველ რიგში მათი კარგი მახსოვრობაა. „შენ, რა თქმა უნდა, ლამაზად ილაპარაკე, — თქვა მან, — მაგრამ ადვილია იმის მიხვედრა, რომ შენ უცხოელი ხარ, რომელსაც უფრო ადვილად შეეძლო რაიმე ყურმოკრულად სცოდნოდა ამ საქმეების შესახებ, ვიდრე მათზე რაიმე ზუსტი ცნობა ჰქონოდა, ამას სულ ადვილად დაგიმტკიცებ. პირველ რიგში თანამიმდევრობით ჩამოვთვლი ყველა შენს მოსაზრებას, შემდეგ კი გიჩვენებ, რომელ პუნქტში შეცდი ჩვენი საქმეების არცოდნის გამო და, ბოლოს, გავანადგურებ შენს ყველა დებულებას. დაპირებისამებრ, დავიწყებ პირველიდან: შენ, როგორც მომეჩვენა, ოთხ პუნქტში.." „გაჩუმდი, — შეაწყვეტინა კარდინალმა, — რადგან შენ ასე იწყებ, ჩანს, მოკლედ არ აპირებ პასუხის გაცემას. ამიტომ ჩვენ გაგათავისუფლებთ ამჟამად ამ მძიმე პასუხისაგან, მაგრამ ამ ამოცანას გადასაწყვეტად მთლიანად გიტოვებთ ჩვენი მორიგი შეხვედრისათვის. მე ვისურვებდი ამ შეხვედრას ხვალვე, თუკი არაფერი შეგიშლით ხელს არც შენ და არც რაფაელს. ამასთანავე, ჩემო რაფაელ, მე დიდი სიამოვნებით მოვისმენდი შენგან, რატომ არ მიგაჩნია საჭიროდ ქურდობის დასჯა სასჯელის უმაღლესი ზომით და რას დააწესებდი მის მაგივრად. ხომ არ მიგაჩნია ქურდობა მოსათმენად? და თუკი ახლა ადამიანები სიკვდილით დასჯის მიუხედავადაც კი ქურდობენ, ამ საშიშროების მოსპობის შემთხვევაში რა ძალა დააკავებთ ბოროტმოქმედთ? სასჯელის შემსუბუქებას ისინი ალბათ ისე შეხედავენ, როგორც ხელშეწყობასა და ბოროტმოქმედებისაკენ მიპატიჟებას".

„ყოველ შემთხვევაში, მოწყალეო მეუფეო, — ვუპასუხე მე, — ჩემი აზრით, სრულიად უსამართლოა ფულის წართმევისათვის ადამიანს სიცოცხლე წაართვა. მიმაჩნია, რომ ერთი ადამიანის სიცოცხლეც არ შეიძლება შეედაროს მთელი ქვეყნიერების სიმდიდრეს, ხოლო თუკი მეტყვიან, რომ ეს სასჯელი არის შურისძიება არა ფულისთვის, არამედ სამართლიანობის შებღალვისათვის, კანონების დარღვევისა-

თვის, მაშინ რატომ არ შეიძლება ამ უმაღლეს სამართალს უმაღლესი უსამართლობა ვუწოდოთ? მართლაცდა, როგორ შეიძლება მოვიწონოთ მანლიუსის კანონები[39], რომლებიც მოგვიწოდებენ მახვილის აღმართვას წესრიგის უმნიშვნელო დარღვევისათვისაც კი, და გასაკიცხია სტოელთა[40] ის დებულებანიც, რომლებიც ყოველგვარ შეცოდებას იმდენად ერთნაირად თვლიან, რომ, მათი აზრით, არავითარი განსხვავება არ არის ადამიანის მოკვლასა და მისთვის გროშის მოპარვას შორის. სინამდვილეში კი ეს ორი დანაშაული, თუ ოდნავ მაინც მიუკერძოებლად განვიხილავთ, არაფრით არა ჰგავს ერთმანეთს. ღმერთი ხომ სასტიკად კრძალავს ადამიანის მოკვლას, ვინც არ უნდა იყოს იგი, ჩვენ კი ასე ადვილად ვუსწრაფებთ სიცოცხლეს მას უმნიშვნელო ფულადი თანხის წართმევისათვის. ხოლო თუ ვინმე მოინდომებდა ამის ახსნას ისე, თითქოს ღვთის ეს შეგონება კრძალავს მკვლელობას ყველა შემთხვევაში, გარდა ისეთისა, როდესაც იგი დაშვებულია ადამიანური კანონებით, მაშინ რაღა უშლის ხელს ადამიანებს ზუსტად ასევე შეუთანხმდნენ ერთმანეთს გარყვნილების, აღვირახსნილობისა და ფიცის დარღვევის შესახებ? ღმერთმა წაგვართვა არა მარტო სხვისი მოკვლის უფლება, არამედ საკუთარი თავისაც კი. მაშ, განა ადამიანთა მიერ მიღებულ შეთანხმებას ერთმანეთის მოკვლის შესახებ, რომელიც გარკვეულ სამართლებრივ პირობებში მიიღეს, ისეთი ძალა აქვს, რომ მის შემსრულებლებს ათავისუფლებს ღვთის ამ შეგონებისაგან? ისინი ხომ ღმერთის ყოველგვარი მითითების გარეშე კლავენ მას, ვისაც განაჩენი ადამიანთა მსჯავრმა გამოუტანა? ხომ არ იქნება ღვთის ეს შეგონება უფლებამოსილი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას ადამიანური სამართალი დაუშვებს? ეს თუ ასეა, ადამიანებს ამგვარადვე შეუძლიათ საერთო დადგენილების მიღება იმაზე, თუ რამდენადაა საჭირო ღვთის სხვა მცნებათა შესრულება. დასასრულ, მოსეს კანონიც, მთელი მისი უმოწყალობისა და სიმკაცრის მიუხედავად (ის ხომ მონათა და თანაც ჯიუტ მონათა წინააღმდეგ იყო გამოცემული), ქურდობისათვის მაინც ფულადი გადასახდელით სჯიდა ადამიანს და არა სიკვდილით. არ უნდა ვიფიქროთ, რომ მოწყალების ახალ კანონში, რომელშიც ღმერთი ისე გვარიგებს, როგორც მშობელი შვილებს, იგი მეტ თავისუფლებას გვაძლევს ერთმანეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

ამიტომ მიმაჩნია, რომ სიკვდილით დასჯა დაუშვებელია, ხოლო თუ რამდენად უაზროა და დამღუპველიც სახელმწიფოსათვის ქურ-

დისა და მკვლელის ერთნაირად დასჯა, ეს, მგონი, ყველასათვის გასაგებია. რაკი მძარცველმა იცის, რომ მარტო ქურდობისათვის მას იგივე სასჯელი ელის, რაც მკვლელობისათვის, ესეც უბიძგებს მას იმის მოკვლისკენ, ვისაც მხოლოდ გაძარცვავდა სხვა გარემოებაში. მართლაც, დაჭერის შემთხვევაში საფრთხე მისთვის სრულიადაც არ იზრდება, ხოლო მკვლელობის შემთხვევაში მცირდება კიდეც, ვინაიდან დანაშაულის მოწმის მოსპობის მერე მიმალვა უფრო ადვილია. ამიტომ ქურდებს მეტისმეტი დაშინების სურვილით კარგი ადამიანების მოსპობისაკენ უფრო ვუბიძგებთ.

რაც შეეხება ჩვეულებრივ შემდეგ კითხვას, თუ როგორი სასჯელია უფრო შესაფერისი, ამაზე პასუხის გაცემა, ჩემი აზრით, გაცილებით ადვილია, ვიდრე იმაზე, თუ როგორი სასჯელი შეიძლება იყოს უფრო სასტიკი. რატომ უნდა დაგვაეჭვოს ჩვენ დანაშაულისათვის მიგებული იმ სასჯელის საკმარისობამ, რომელსაც, როგორც ვიცით, ასე დიდი ხანია მიმართავდნენ რომაელები, სახელმწიფოს მართვის ამოდენა გამოცდილება რომ ჰქონდათ. დიდ ბოროტმოქმედთ ისინი ქვის სამტეხლოებსა და საბადოებში გზავნიდნენ, თანაც სამუდამო ბორკილებს ადებდნენ.

თუმცა ესეც უნდა ითქვას, რომ, ამ მხრივ, არსად არ შევხვედრივარ უკეთეს წესებს, ვიდრე ეს სპარსეთში[41] მოგზაურობისას ვნახე. აქ ცხოვრობს ერთი, არცთუ ისე პატარა, სავსებით მოწესრიგებული ხალხი — პოლილერიტები[42]. იმ ხარკის გარდა, რომელსაც ყოველწლიურად უხდის სპარსეთის მეფეს, ეს ხალხი თავისუფალია და მხოლოდ საკუთარ კანონებს ემორჩილება. პოლილერიტები ზღვისაგან მოშორებით ცხოვრობენ, თითქმის ყოველმხრივ მთებით გარშემორტყმულ ადგილზე. ისინი სჯერდებიან თავიანთი ქვეყნის მოსავალს, რომელიც არც ისე მწირია, თვითონაც იშვიათად დადიან სხვაგან და არც სტუმრები ჰყავთ ხშირად; უძველესი ეროვნული ჩვეულებისამებრ, ისინი არ ცდილობენ თავიანთი საზღვრების გაფართოებას, დაცვით კი კარგად იცავენ მთებისა და იმ გადასახადის წყალობით, რომელსაც თავიანთ მბრძანებელს უხდიან. თვითონ სრულიად თავისუფალნი არიან სამხედრო სამსახურისაგან. მართალია, პოლილერიტები ფუფუნებაში ვერ ცხოვრობენ, მაგრამ ბედნიერად კი გრძნობენ თავს. იმდენად წყნარად და უშფოთველად მიდის მათი ცხოვრება, რომ მათი არსებობა მხოლოდ ახლო მეზობლებმა თუ იციან.

პოლილერიტები თავიანთ ქვეყანაში ნაქურდალს პატრონს უბრუნებენ და არა მეფეს, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება სხვაგან. მათი აზრით, მეფეს იმდენივე უფლება აქვს ნაქურდალ ნივთზე, რამდენიც ქურდს. თუ ნაქურდალი დაიკარგება, შეფასების შემდეგ მის ღირებულებას ქურდების ქონებიდან გამოქვითავენ, დანარჩენს კი მთლიანად უტოვებენ მათ ცოლ-შვილს. თვით ქურდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ეკისრებათ. თუ ქურდობა არ არის დამძიმებული სხვა დანაშაულით, მაშინ მძარცველებს არ სვამენ ციხეში, არც ბორკილებს ადებენ, ისინი თავისუფლად მუშაობენ, მაგრამ თუ დამნაშავენი თავს არიდებენ შრომას ან მათ უგულობას შეამჩნევენ, მაშინ ცემით უფრო აიძულებენ საქმის გაკეთებას, ვიდრე ბორკილებით. იმას, ვინც ბეჯითად იშრომებს, არავინ არ შეურაცხყოფს. მათ ღამღამობით სათითაოდ ამოწმებენ და საკნებში შეჰყავთ. გარდა იმისა, რომ მუდმივი შრომა აქვთ მისჯილი, მათი ცხოვრება სხვა მხრივ არ არის აუტანელი. ისინი ცუდად არ იკვებებიან: სახელმწიფოს სასარგებლოდ ვინც შრომობს, სახელმწიფოს ხარჯზეა, სხვა შემთხვევებში კი სხვადასხვაგვარად. ზოგჯერ მათი ხარჯებისათვის ფული შემოწირულებათა სახით იკრიბება. მართალია, ეს გზა არცთუ ისე საიმედოა, მაგრამ, ამ ხალხისათვის დამახასიათებელი გულმოწყალების გამო, იგი სხვაზე უკეთეს შედეგს იძლევა. სხვაგან ამ დანიშნულებისათვის გამოჰყოფენ გარკვეულ საზოგადოებრივ შემოსავალს, ზოგან კი საყოველთაო გადასახადს აწესებენ. არის ისეთი ადგილებიც, სადაც დამნაშავენი არავითარ საზოგადოებრივ შრომას არ ასრულებენ, მაგრამ თუ ამა თუ იმ კერძო პირს ესაჭიროება დაქირავებული მუშები, იგი ქირაობს ბაზარზე ნებისმიერ მათგანს გარკვეული საფასურით და შედარებით იაფად, ვიდრე თავისუფალ ადამიანს. გარდა ამისა, მონა (ასე უწოდებენ დამნაშავეს) სიზარმაცისათვის მათრახითაც შეიძლება დაისაჯოს.

საბოლოოდ ქურდები არასოდეს არ არიან თავისუფალნი შრომისაგან და, საკუთარი თავის შესანახად მიღებული გასამრჯელოს გარდა, მათ შეაქვთ კიდეც გარკვეული თანხა სახელმწიფო სალაროში. მონებს ერთი რომელიმე ფერის ტანსაცმელი აცვიათ, თმას მათ არ პარსავენ, მხოლოდ კრეჭენ ყურებზე ცოტა ზემოთ, ერთ-ერთ ყურს კი ოდნავ უმოკლებენ. მეგობრებს შეუძლიათ ყოველ მათგანს მიაწოდონ საკვები, სასმელი და შესაფერისი ტანსაცმელი, მაგრამ ფულის მიცემა მათთვის სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება, როგორც იმისათვის, ვინც მისცემს, ისე იმისათვის, ვისაც აძლევენ. თავისუფალი ადამია-

ნისათვის არანაკლებ სახიფათოა ფულის მიღება დამნაშავისაგან. გარდა ამისა, მონებს ეკრძალებათ იარაღის ტარება. თითოეული ოლქი თავის მონებს განსაკუთრებული ნიშნით განასხვავებს, მისი უგულებელყოფა სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება, ისევე როგორც საკუთარ საზღვრებს იქით გამოჩენა და სხვა ოლქის მონასთან საუბარი. გაქცევაზე ფიქრიც კი ისევე სახიფათოა, როგორც თვით გაქცევა. ამგვარ გადაწყვეტილებაში თანამონაწილეობისათვის მონას მიესჯება სიკვდილი, თავისუფალს — მონობა, მაცნეს კი — ჯილდო, ამასთანავე, თავისუფალს — ფული, მონას — თავისუფლება, თანაც ორივეს — შეწყალება და არავითარი სასჯელი თანამონაწილეობისათვის; ამრიგად, ავი განზრახვის შესრულებისა და თუნდაც გაფიქრებისათვის საფრთხე ერთნაირია. კანონები და წესები ქურდობისათვის კი ისეთია, როგორც ზემოთ აღვნიშნე. ადვილი შესამჩნევია, რამდენად ჰუმანური და მისაღებია ისინი. განრისხება აქ მეღავნდება იმდენად, რამდენადაც საჭიროა მანკიერებათა აღმოსაფხვრელად; თვითონ ადამიანები კი უვნებლად რჩებიან და ირგვლივ ისეთი პირობებია შექმნილი, რომ მათთვის აუცილებელი ხდება გამოსწორება და დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე იმ ბოროტების გამოსყიდვა, რომელიც სხვებს მიაყენეს. არც იმის არავითარი საშიშროება არის, რომ ისინი თავიანთ ძველ საქმეს დაუბრუნდებიან. უფრო მეტიც, აქ მგზავრები თავს უშიშრად მაშინ გრძნობენ, როცა მათი გამყოლები სწორედ ეს მონები არიან; მონებს კი ისინი რამდენჯერმე იცვლიან სხვადასხვა ოლქში. მართლაც და, ძარცვა-გლეჯისათვის მონები ვერავითარ ხელშეწყობას ვერ ხედავენ: იარაღი არა აქვთ, ფულს მათთვის მხოლოდ უბედურება მოაქვს, დაჭერის შემთხვევაში კი სიკვდილი არ ასცდებათ, არც სადმე გაქცევის არავითარი იმედი აქვთ. ანდა როგორ შეიძლება შეუმჩნევლად და ფარულად გაიქცეს ადამიანი, რომლის ტანსაცმელი ამდენად გამოირჩევა სხვებისაგან. შიშველი ხომ არ გაიქცევა? მაგრამ ამ შემთხვევაშიც გაქცეულს მისი ყური გასცემს. დასასრულ, შეიძლება კიდევ შეიქმნას იმის საშიშროება, რომ ისინი მოინდომებენ სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობას, თითქოსდა რომელიმე ცალკეულ ოლქს შეიძლება გაუჩნდეს ასეთი სურვილი წინასწარ სხვა ოლქების მონებთან შეუთანხმებლად და დაუკითხავად. მაგრამ არათუ შეთქმულება მოაწყონ, მათ მისალმებაც და სასაუბროდ შეკრებაც აკრძალული აქვთ. აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი უშიშრად გაანდობენ თავიანთ ამხანაგებს მხოლოდ ისეთ გეგმას, რომლის დაფარვაც,

როგორც ცნობილია, სახიფათოა, ხოლო გაცემა — ძალიან ხელსაყრელი. მეორე მხრივ, არც ერთ მონას არ დაუკარგავს იმის იმედი, რომ თუ იგი მორჩილი და თავმდაბალია, თავისი შეცდომის გამოსწორებას ცდილობს, შეიძლება თავისუფლება დაუბრუნონ. სწორედ ასე აჯილდოებენ ყოველწლიურად რამდენიმეს მათი მოთმინებისადმი პატივისცემის ნიშნად", — ვთქვი და თან დავუმატე, რომ ვერ ვხედავ იმის საფუძველს, თუ რატომ არ შეიძლება ასეთმა მოქმედებამ გაცილებით მეტი ნაყოფი გამოიღოს ინგლისშიც, ვიდრე იმ სამართალმა, რომელსაც ასეთ ქება-დიდებას ასხამდა ხსენებული სჯულის მცოდნე. მაშინ ამ უკანასკნელმა შენიშნა: „არასოდეს არ შეიძლება მსგავსი რამის შემოღება ინგლისში, რადგან ამით სახელმწიფოს უდიდესი საფრთხე დაემუქრება", — თქვა და თავი გადაიქნია, ტუჩი აიბზუა და გაჩუმდა. ყველა იქ მყოფი მაშინვე დაეთანხმა მის სიტყვებს. მაშინ კარდინალმა თქვა: „ძნელია განვერეტა, მოჰყვება თუ არა ამას წარმატება, რადგან არავითარი წინასწარი ცდა არ ჩატარებულა. მაგრამ, თუ სასიკვდილო განაჩენის გამოტანისას მეფე ბრძანებს სიკვდილით დასჯის გადადებას, მაშინ შესაძლებელია მათი ჩვეულების გამოყენება და თავშესაფრების უფლებების შეზღუდვა. და, აი, აქ, თუკი საქმის შედეგი მის სარგებლობას დაამტკიცებს, სწორი იქნებოდა ამ წესის შემოღება; წინააღმდეგ შემთხვევაში იმათი დამსახურებული სიკვდილით დასჯა, ვინც უკვე განკიცხულია, ისევე სასარგებლო იქნებოდა სახელმწიფოსათვის და ისევე სამართლიანი, თითქოს იგი ადრევე მომხდარიყოს. ამასთან, ამას არავითარი საფრთხე არ შეიძლება მოჰყვეს. კიდევ მეტიც, ჩემი აზრით, ასეთი ზომების გამოყენება დიდი წარმატებით შეიძლება მაწანწალების მიმართაც. თორემ მრავალრიცხოვანი კანონების გამოცემის მიუხედავად, ჩვენ ვერავითარ შედეგს ვერ მივაღწიეთ მათ ალაგმვაში".

როგორც კი კარდინალმა თქვა ეს, ყველამ ერთხმად მოიწონა მისი აზრი, მე კი უფრო ადრე ვთქვი იგივე, მაგრამ ჩემს ნათქვამს ათვალისწუნებით შეხვდნენ. განსაკუთრებით მოიწონეს კარდინალის აზრი მაწანწალებზე, ვინაიდან ეს უკვე მისი საკუთარი დამატება იყო.

არ ვიცი, უკეთესი ხომ არ იქნება გავჩუმდე იმაზე, რაც შემდეგ მოხდა. ეს სასაცილოა, მაგრამ მაინც გიამბობთ, რადგან არცთუ ისე ურიგო ამბავია და გარკვეული კავშირიც აქვს ამ საგანთან.

ჩემი კამათის დროს შემთხვევით იქ იდგა ერთი მუქთახორა, რო-

მელსაც, როგორც ჩანს, სულელად უნდოდა მოეჩვენებინა თავი, მაგრამ ვაი, რომ მართლაც ძალიან ჰგავდა მას. მისი ხუმრობა, რომლითაც საზოგადოების გაცინებას ცდილობდა, იმდენად უკბილო იყო, რომ მასზე უფრო ეცინებოდათ, ვიდრე მის სიტყვებზე. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ზოგჯერ მაინც წამოსცდებოდა ხოლმე რაიმე ჭკვიანური, ხომ გაგიგონიათ, ცდა ბედის მონახევრეაო[43]. ერთ-ერთმა სტუმარმა შენიშნა, რომ მე ჩემს სიტყვაში სათანადო ზომები მივიღე ქურდობის საწინააღმდეგოდ, კარდინალმა მაწანწალები ახსენა და ახლა სახელმწიფოს ისღა დარჩენია, მხოლოდ იმათზე იზრუნოს, ვინც სიღატაკემდე ავადმყოფობამ ან სიბერემ მიიყვანა და საკუთარი თავის რჩენის უნარი აღარა აქვს. მაშინ ზემოხსენებულმა მუქთახორამ შენიშნა: „ნება მომეცით და ამასაც კარგად მოვაგვარებ. ძალიან მინდა თავიდან მოვიცილო ასეთი ხალხი. ისინი ხშირად მაბეზრებენ თავს ფულის გაუთავებელი თხოვნით და შესაწყალებელი ოხვრით, მაგრამ მათ წუწუნს ჩემთვის გროშიც კი არ დაუცინცლავს. ყოველთვის ორიდან ერთი გამოდიოდა: ან მე არ მინდოდა მიმეცა, ანდა არც შემეძლო, რადგან არაფერი გამაჩნდა. ამიტომ ახლა მათ ჭკუა იხმარეს და, როცა ხედავენ, რომ მოვდივარ, თავს აღარ იწბილებენ და ჩუმად მატარებენ. ისინი არაფერს გამოელიან ჩემგან, თითქოს მღვდელი ვიყო. და, აი, შემომაქვს კანონი, რომ ყველა ეს მათხოვარი განაწილდეს და მოთავსდეს ბენედიქტინელთა მონასტრებში[44] — მამაკაცები ბერებად, ხოლო ქალები — მონაზვნებად“. კარდინალმა გაიღიმა, რადგან ეს ხუმრობად მიიღო, დანარჩენებმა კი სინამდვილედ ჩათვალეს.

მაგრამ მღვდლებისა და მონაზვნების შესახებ ამ შენიშვნამ განსაკუთრებით გაამხიარულა ერთი სწავლული ღვთისმეტყველი, თანაც ისე, რომ მასაც მოუნდა გახუმრება, თუმცა მეტად პირქუში კაცი იყო. „მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, — შენიშნა მან, — თავიდან ვერ მოიშორებ მათხოვრებს, თუ არ იფიქრებ ჩვენზე — ბერებზე“. „ეს ხომ უკვე გათვალისწინებულია, — მიუგო მუქთახორამ — კარდინალმა საუცხოოდ იზრუნა თქვენზე, როდესაც გამოიტანა დადგენილება მაწანწალათა დაკავებასა და შრომაში ჩაბმაზე. თქვენ ხომ მთავარი მაწანწალები ბრძანდებით“. ამ სიტყვებზე ყველამ კარდინალს შეხედა და შეამჩნიეს, რომ იგი არც ცდილობდა ამის უარყოფას. ბერის გარდა ეს შენიშვნა ყველამ დიდი სიამოვნებით მიიღო, იგი კი (რაც არცაა გასაკვირი), გაცებული ასეთი ენამწარობით, გაშმაგდა და იმდენად გაწიწმატდა, თავი ვეღარ შეიკავა და მოჰყვა ლანძღვას. მან მოწინა-

ალმდეგეს ცუღლუტი, არამზადა, ცილისწამებელი და წაწყმედის ნაშიერი უწოდა, თანაც საშინელი მუქარის სიტყვებს იშველიებდა საღვთო წიგნიდან. მაშინ მასხარამ თავისი ხელობა მთლიანად მოიმარჯვა და ნამდვილ ხუმრობაზე გადავიდა: „ნუ განრისხდები, კეთილო ძმაო,— მიუგო მან, — საღვთო წერილში ნათქვამია: მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენიო". ამაზე ბერმა (ზუსტად დავიმოწმებ მის სიტყვებს) ასე უპასუხა: „მე არ ვბრაზობ, გაიძვერავ; ყოველ შემთხვევაში, არ ვცოდავ. მეფსალმუნეც ამბობს: რისხავდეთ, მაგრამ არა სცოდავდეთო"[45]. შემდეგ კარდინალმა მორიდებულად ურჩია ორივეს შეეკავებინათ თავი. მაშინ ბერმა შენიშნა: „არა, მეუფეო, მე ისე ვლაპარაკობ, როგორც უნდა ვლაპარაკობდე კეთილი განზრახვით". წმინდანებს ხომ კეთილი განზრახვა ჰქონდათ, ამიტომაა ნათქვამი: შენს სახლზე ეჭვიანობამ შემჭამაო[46], ეკლესიებშიც ხომ გალობენ: „ელისეს[47] ვინ დასცინოდა, როს ტაძარში შედიოდა". მათ შენიშნეს მელოტი ელისეს თავგამოდება, — ისევე როგორც ალბათ ეს დამცინავი, მასხარა და უზრდელი ამბობს. „შენ, — უპასუხა კარდინალმა, — ალბათ კეთილი სურვილები გამოძრავებს, მაგრამ უფრო სწორად, ყოველ შემთხვევაში, უფრო გონივრულად მოიქცევი, თუკი არ მოინდომებ სულელ და სასაცილო ადამიანთან გაპაექრებას". „არა, მეუფეო, — უპასუხა მან, — მე არ მოვიქცეოდი უფრო გონივრულად. თვით უბრძნესი სოლომონიც ხომ ამბობს: „სულელს მისი სისულელის მიხედვით უპასუხეო"[48]. „სწორედ ასე ვიქცევი ახლა და მივუთითებ მას ორმოზე, რომელშიც მალე აღმოჩნდება, თუ კარგად არ გაუფრთხილდა თავს. და თუკი ელისეს მრავალმა მასხარად ამგდებმა ამ ერთადერთი მელოტის თავგამოდება შენიშნა, მაშინ რამდენად უფრო ძლიერად იგრძნობს ამას თავისი ურიცხვი ძმის ერთი მასხარად ამგდები, ძმებისა, რომელთა შორის ბევრია მელოტი? ამასთან ჩვენ პაპის ბულა გვაქვს, რომლის მიხედვით, ყველა, ვინც ჩვენ დაგვცინის, განიკვეთება ეკლესიიდან". კარდინალმა იგრძნო, რომ ყველაფერ ამას მალე არ მოეღებოდა ბოლო, მუქთახორას თავი დაუკრა, გაისტუმრა და საუბარი ოსტატურად გადაიტანა სხვა თემაზე, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ სუფრიდან წამოდგა, ჩვენც გამოგვემშვიდობა და მთხოვნელ ხელქვეითთა საქმეებში გაერთო.

„აი, ჩემო მორ, რა გრძელი ამბით მოგაბეზრე თავი; ძალიან მერიდებოდა ასე დიდხანს მასლაათი, მაგრამ, ერთი მხრივ, შენ ძალიან გინდოდა ეს, ხოლო, მეორე მხრივ, ვამჩნევდი, როგორ ხარბად მისმენდი.

მაგრამ მე, თუნდაც ძალიან მოკლედ, უნდა მომეყოლა ეს შენთვის, ვინაიდან იმავე პირებმა, რომლებმაც უარყვეს ჩემ მიერ გამოთქმული აზრი, მაშინვე მოიწონეს იგი კარდინალის დადებითი შეფასების შემდეგ. ისინი ელაქუცებოდნენ მას იმ ზომამდე, რომ ეპირფერებოდნენ, თვით მისი მუქთახორის მონაჩმახსაც კი, რომელიც, თუმცა კარდინალმა ხუმრობად მიიღო, მათ კინაღამ მნიშვნელოვნად მიიჩნიეს. აქედან შენ შეგიძლია განსაზღვრო, თუ რა ფასი გვექნებოდა მე და ჩემს აზრებს კარისკაცთა თვალში“.

„რა თქმა უნდა, ჩემო რაფაელ, — ვუპასუხე მე, — დიდად მასიამოვნე, იმდენად გონივრული და ამავე დროს დახვეწილი იყო შენი სიტყვა. გარდა ამისა, შენი საუბრის დროს თავი სამშობლოში მეგონა, თითქოს ბავშვობა დამიბრუნდა კარდინალის გახსენებაზე, მე ხომ მის კარზე ვიზრდებოდი. ჩემო რაფაელ, თუმცა ყოველთვის ძალიან ძვირფასი იყავი ჩემთვის, არ დაიჯერებ, ახლა კიდევ რამდენი მოგემატა ჩემს თვალში იმის გამო, რომ ასეთი მოწიწებით ეპყრობი ამ კაცის ხსოვნას. მაგრამ, მაინც, ჯერ არავითარ შემთხვევაში არ შემიძლია აზრის შეცვლა. სახელმწიფოში, თუკი გადაწყვეტ არ მოერიდო ხელმწიფეთა სასახლეებს, მაშინ შენი რჩევებით ძალიან დიდი სარგებლობის მოტანა შეგიძლია საზოგადოებისათვის. ამიტომ ამის შესრულება გევალება, პირველ ყოვლისა, როგორც პატიოსან ადამიანს. შენი პლატონიც ხომ ფიქრობს, რომ სახელმწიფოში მხოლოდ მაშინ დაისადგურებს ბედნიერება, როცა ფილოსოფოსები დაიწყებენ მეფობას, ან მაშინ, როცა მეფენი გაფილოსოფოსდებიან[49]. არცთუ მალე დადგება ეს ბედნიერი დღე, ჩემო რაფაელ, თუ ფილოსოფოსები არ ისურვებენ თავიანთი რჩევები მეფეებს გაუზიარონ“. „არა, — მიპასუხა რაფაელმა, — ფილოსოფოსები არც იმდენად უმადურნი არიან, რომ ეს დიდი სიამოვნებით არ გააკეთონ. პირიქით, ბევრმა უკვე შეასრულა კიდეც ეს თავისი წიგნების გამოცემით, ოღონდ კი ძლიერნი ამა ქვეყნისანი მისდევნებოდნენ მათ რჩევებს. მაგრამ პლატონი, უეჭველია, კარგად ხედავდა, რომ თუ მეფენი თვითონ არ გახდებიან ფილოსოფოსები, მაშინ ისინი, ბავშვობიდანვე მცდარი აზრებით გამსჭვალულნი და დაავადებულნი, ბოლომდე არასოდეს მოიწონებენ ფილოსოფოსთა გეგმებს. ეს თვით პლატონმა გამოსცადა დიონისიოსის კარზე[50]. როგორ, შენ ერთი წუთით მაინც ფიქრობ, რომ თუკი მე რომელიმე მეფეს შევთავაზებ გონივრული კანონების პროექტს და შევეცდები აღმოვფხვრა ბოროტი და დამღუპველი თესლები მის კარზე, დაუყოვნებლივ არ

გამაგდებენ და მასხარად არ ამიგდებენ? წარმოიდგინე, რომ გალიის მეფის კარზე[51] ვარ, მის მრჩეველად ვითვლები და მეტად საიდუმლო თათბირზე, რომელსაც თვით მეფე ხელმძღვანელობს, უჭკვიანეს ადამიანთა წრეში გულდასმით ვიხილავთ საკითხს, თუ რა საშუალებებითა და ხრიკებით შეუძლია მეფეს მედიოლანუმის[52] შენარჩუნება, ხელიდან გამსხლტარი ნეაპოლის[53] კვლავ დაბრუნება, ხოლო შემდეგ ვენეტების დარბევა[54], მთელი იტალიის დამორჩილება[55], ძალაუფლების მოპოვება ფლანდრიაზე, ბრაბანტზე, ბოლოს მთელ ბურგუნდიაზე[56] და, გარდა ამისა, სხვა ხალხებზე, რომელთა სამეფოებს ის ფიქრით უკვე არაერთხელ დაუხმია თავს. აქ ერთ-ერთი მრჩეველი წინადადებას აძლევს მეფეს ვენეტებთან დაამყაროს კავშირი, რაც მანამ დარჩებოდა ძალაში, სანამ ხელსაყრელი იქნებოდა მეფისთვის, შეატყობინონ მათ თავიანთი გეგმები, დაუტოვონ კიდეც მათთვის ნადავლის გარკვეული ნაწილი, რათა უკანვე მოსთხოვონ საქმის სასურველად დაბოლოების შემთხვევაში; მეორე სთავაზობს მეფეს გერმანელთა დაქირავებას[57], მესამე — ჰელვეტთა ფულით მოსყიდვას, მეოთხე აცხადებს, რომ ფულის ძლიერებით შეარბილონ მისი უდიდებულესობა იმპერატორის[58] რისხვა, მეხუთეს აუცილებლად მიაჩნია საქმის მოგვარება არაგონიის მეფესთან[59] და მშვიდობის საზღაურად უარის თქმა უცხო ნავარის სამეფოზე[60], მეექვსე სთავაზობს კრებას რაღაც საქორწინო იმედებით გააბრუონ კასტილიის მეფე[61] და გარკვეული ყოველწლიური გადასახადით გადმოიბირონ თავის მხარეზე თუნდაც რამდენიმე წარჩინებული კარისკაცი. აქ წამოიჭრა მთავარი დაბრკოლება — როგორი გადაწყვეტილება მიიღონ ინგლისის მიმართ. გამოითქვა აზრი, რომ, ყოველ შემთხვევაში, საჭიროა მასთან მოლაპარაკება მშვიდობის საკითხზე და ასეთი არამყარი კავშირის განმტკიცება საიმედო კავშირით, საჭიროა ინგლისელებს მეგობრები ვუწოდოთ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი არ არიან მეგობრები. ამიტომ ყოველთვის შეიარაღებული უნდა გვყავდნენ სკოტები[62] და ოდნავი ამოძრავებისთანავე მივუსიოთ ისინი ინგლისელებს. ამისათვის საჭიროა ფარულად (ამის აშკარა განხორციელებას სამოკავშირეო ხელშეკრულებანი უშლის ხელს) დავუჭიროთ მხარი რომელიმე წარჩინებულ დევნილს, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს სახელმწიფო მას ეკუთვნის, და ამ საშუალებით დავთრგუნოთ ჩვენთვის საეჭვო ხელისუფალი. ასე რომ, როგორც ვთქვი, თუკი ასეთ დაძაბულ ვითარებაში, როდესაც ამდენი გამოჩენილი მრჩეველი ერთმანეთს არ აცლის თავისი საომარი გეგმების შეთა-

ვაზებას, უცებ ავდგები და შევთავაზებ იალქნები უკუღმა შემოაბრუ-
ნონ, ვურჩევ თავი დაანებონ იტალიას და ვეტყვი, რომ საჭიროა სახლ-
ში ჯდომა, რადგან მარტო გალიის სახელმწიფოც მეტისმეტად დიდია
იმისათვის, რომ მას სათანადოდ მართავდეს ერთი ადამიანი და ამიტომ
მეფემ უარი უნდა თქვას სხვა მიწების დაპყრობაზე, როგორ ფიქ-
რობთ, როგორ მომექცეოდნენ მე?! შემდეგ შემეძლო მათი ყურადღე-
ბა მიმექცია და მომეყვანა მაგალითი ახორიელთა[63] ცხოვრებიდან. გა-
მეცნო ხალხი, რომელიც უტოპიის კუნძულის პირდაპირ, მისგან სამ-
ხრეთ-აღმოსავლეთით ცხოვრობს. სწორედ ისინი აწარმოებდნენ
ოდესღაც ომს, რათა თავიანთი მეფისათვის დაეპყროთ სხვა სამეფო,
რომელიც, როგორც იგი ამტკიცებდა, მემკვიდრეობით ეკუთვნოდა
ძველისძველი ნათესაური კავშირების ძალით. როცა, ბოლოსდაბო-
ლოს, დაიპყრეს ეს სამეფო, სულ მალე იგრძნეს, რომ მისი შენარჩუ-
ნება არანაკლებ ძალებს მოითხოვდა, ვიდრე მის მოპოვებაზე დაიხარ-
ჯა. ახალი ქვეშევრდომნი შინაგანად მუდამ უკმაყოფილონი იყვნენ ან
უცხოელთა დარბევის მსხვერპლი ხდებოდნენ. ამიტომ გამუდმებით
საჭირო იყო ბრძოლა ან მათ წინააღმდეგ, ან მათ დასაცავად, რის გა-
მოც ვერასდროს ვერ ახერხებდნენ ჯარის დათხოვნას, ამავე დროს კი
ახორიელნი თვითონ ძარცვავდნენ საკუთარ თავს — ფული საზღვარ-
გარეთ გადიოდა, ისინი კი სისხლს ღვრიდნენ უმაქნისი და ამავე დროს
უცხო დიდებისათვის. ბოლოს მიხვდნენ, რომ მშვიდობა ასე ვერ გან-
მტკიცდებოდა, ომმა წაბილწა ზნეობა მთელ სახელმწიფოში, მოსახლე-
ობა ძარცვა-გლეჯას შეეჩვია, ხელი მიჰყვეს მკვლელობას, აბუჩად იგ-
დებდნენ კანონებს. ამავე დროს მეფეს, რომლის ყურადღება ორ სა-
ხელმწიფოს შორის ნაწილდებოდა, აღარ შეეძლო რომელიმე ერთზე
ეზრუნა გამორჩეულად. როცა უკვე აშკარა გახდა, რომ ამ დიდ გასა-
ჭირს ბოლო არ უჩანდა, მოითათბირეს და შესთავაზეს მეფეს თავის-
თვის რომელიმე ერთი ქვეყანა დაეტოვებინა, რომელიც სურდა, ვინა-
იდან ორი ქვეყნის მართვის ძალა არ შესწევდა. ისინი ამბობდნენ, რომ
მეტად ბევრი არიან იმისათვის, რომ მათი მართვა შეეძლოს ნახევარ
მეფეს, ხოლო, მეორე მხრივ, ნეტავ ვინ დაყაბულდება იმაზე, რომ
თუნდაც საქონლის მწყემსიც კი სხვასთან საზიარო ჰყავდეს? ამრიგად,
ეს კეთილი მონარქი იძულებული გახდა ახალი სამეფო დაეთმო თავი-
სი ერთი მეგობრისათვის (რომელიც იქიდან მალე განდევნეს) და თვი-
თონ ძველს დასჯერებოდა. გარდა ამისა, მე რომ მერჩია მეფისათვის,
რომ ყველა ეს საომარი წამოწყება, რომლებსაც არევ-დარევა შეაქვთ

ხალხის ცხოვრებაში, გააღატაკებს მის სალაროს, ქვეშევრდომებს და რაიმე შემთხვევითობის გამო შეიძლება სულაც უშედეგოდ დამთავრდეს და შემეთავაზებინა მისთვის ეზრუნა მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით ნაბოძებ სამეფოზე, შეძლებისდაგვარად აეყვავებინა იგი, შეეყვარებინა თავისი ქვეშევრდომნი, დაემსახურებინა მათი სიყვარული, ეცხოვრა მათთან ერთი ცხოვრებით, ემართა ისინი ლმობიერად და თავი დაენებებინა სხვა ქვეყნებისათვის, ვინაიდან ის, რაც მას ერგო, საკმარისზე მეტია თავისი მოცულობით, — როგორ ფიქრობ, ჩემო მორ, როგორი განწყობილებით მიიღებდნენ ისინი ამგვარ სიტყვებს?" „რა თქმა უნდა, არცთუ დიდი სიამოვნებით", — მივუგე მე. „მაშინ წავიდეთ წინ, — თქვა მან. — დავუშვათ, რომ რომელიმე მეფის მრჩეველნი მასთან საუბარში განიხილავენ და იგონებენ საშუალებებს განძის გასამდიდრებლად. ერთი წინადადებას იძლევა გაზარდონ მონეტის ღირებულება[64], როდესაც ფულის გადახდა იქნება საჭირო, და დასცენ მისი ფასი, როცა საჭირო იქნება ფულის შეგროვება, — ამრიგად შესაძლებელი გახდება დიდი თანხის გადახდა ფულის მცირე რაოდენობით და პატარა თანხით დიდის შესყიდვა. მეორე სთავაზობს მეფეს ომისათვის მოჩვენებით მზადებას და ამ გზით ფულის შეგროვებას, ხოლო ამ მიზნის მიღწევის შემდეგ საზეიმო ზავის დადებას წმიდა ბღვდელმსახურების თანხლებით და ამ გზით უბრალო ხალხში ისეთი წარმოდგენის შექმნას, ვითომდა კეთილმა მეფემ ადამიანებზე ზრუნვის გამო შეწყვიტა სისხლისღვრა[65]; მესამემ, ვთქვათ, ამოქექა, რომელიღაც ძველისძველი, ჭიანაჭამი კანონები[66], უქმად ყოფნისაგან მოძველებულნი და რადგან აღარავის ახსოვს მათი არსებობა, ყველა არღვევს მათ და ამიტომ საჭიროა ჯარიმის გადახდევინება; აქედან მიღებული შემოსავალი უფრო უხვი და საპატიო იქნება, ვიდრე სხვა გზით მიღებული, რადგან იგი სამართლიანობის ნიღბით იქნება დაფარული; მეოთხის აზრით, დიდი ჯარიმის შიშით საჭიროა ბევრი ისეთი რაიმის აკრძალვა, რაც ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ხოლო შემდეგ მიღებული ფულის განაწილება მათ შორის, ვის მოგებასაც განსაკუთრებით ზღუდავს ეს კანონი; ამრიგად შესაძლებელია ხალხის გულის მოგება და ორგვარი სარგებლის მიღება: ერთი მხრივ, ჯარიმდებიან მხოლოდ ისინი, ვინც ამ ბადეში მოგებისადმი სიხარბემ მოაქცია, ხოლო, მეორე მხრივ, პრივილეგიების მაღალი საფასური სრულიად ეთანხმება მშვენიერ ზნეობრივ თვისებებს იმ მეფისას, რომელიც ძნელად

თუ აჩუქებს რომელიმე კერძო პირს ისეთ რაიმეს, რაც ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგება, და ისიც მხოლოდ მაღალი საფასურით; მეხუთე არწმუნებს მეფეს, რომ საჭიროა მოსამართლეთა მიმხრობა, ისინი ყოველგვარი საქმის გადაწყვეტისას მეფის უფლებებს მიიღებენ მხედველობაში, გარდა ამისა, საჭიროა მათი თავმოყრა სასახლეში და საქმეთა გარჩევა მეფის თანდასწრებით; მაშინ მეფის არც ერთი საქმე არ იქნება იმდენად უსამართლო, რომ რომელიმე მოსამართლემ ან წინააღმდეგობის სურვილით, ან იმის სირცხვილით, რომ იგივე არ გაიმეოროს, ანდა მბრძანებლის კეთილგანწყობის მოპოვებით დაბრმავებულმა ვერ მოძებნოს ამ საქმის განხილვაში რაიმე ხვრელი, რომელიც შარის მოდების საშუალებას არ იძლეოდეს. ამრიგად, მოსამართლეთა აზრის სხვადასხვაობისას თავისთავად სრულიად ნათელი საქმე იწვევს აზრთა გაცვლა-გამოცვლას, ხოლო ჭეშმარიტება მოითხოვს კამათს და სწორედ ეს აძლევს მეფეს საშუალებას, რომ კანონი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს; სხვები ეთანხმებიან მას ან სირცხვილის, ან შიშის გამო. ამიტომ ამის შედეგად აუღელვებლად ცხადდება შესაბამისი განაჩენი; მეფისათვის ხმის მისაცემად ხომ ყოველთვის მოიძებნება საშაბი; ამისათვის საკმარისია მის მხარეზე იყოს ან სამართლიანობა, ან კანონი, ანდა დოკუმენტის დახლართული აზრი, ან, ბოლოსდაბოლოს, ის, რაც პატიოსან მოსამართლეთა თვალში კანონებზე მაღლა დგას— ხელმწიფის უცილობელი უპირატესობა.[67]. ყველა ეს მრჩეველი ერთხმად აღიარებს კრასუსის[68] მცნების სისწორეს იმის შესახებ, რომ ოქრო რაც არ უნდა ბევრი ჰქონდეს, მაინც მისი არავითარი რაოდენობა არ ეყოფა მეფეს, რომელსაც ჯარი ჰყავს შესანახი, და კიდევ, მეფე ვერასდროს ვერ მოიქცევა უსამართლოდ, ამის დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს, ვინაიდან ყველა და ყველაფერი მას ეკუთვნის, ხოლო ყოველ ადამიანს აქვს იმდენი, რამდენიც მეფემ დაუტოვა და არ ჩამოართვა თავისი გულმოწყალების გამო. ამასთანავე, მეფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ასეთი საკუთრება რაც შეიძლება ნაკლები იყოს, ვინაიდან მისი ძალაუფლების მთავარი დასაყრდენი ისაა, რომ არ მისცეს ხალხს ჭიმდიდრისა და თავისუფლებისაგან განებივრების საშუალება: ასეთი მდგომარეობის დროს ადამიანები არცთუ ისე ადვილად ურიგდებიან სასტიკ და ულმობელ ბრძანებებს, იმ დროს, როდესაც, პირიქით, სიღატაკე და უკმარობა აჩლუნგებს განწყობილებას, აჩვევს მოთმინებას და დამონებულთ მეამბოხის კეთილშობილ სულს უსპობს. და, აი, აქ თუ ისევ ავდგები და დავიწყებ კამათს იმა-

ზე, რომ ყველა ეს რჩევა მეფისათვის ულირსიცაა და დამღუპველიც, ვინაიდან არა მარტო მისი ღირსება, არამედ მისი უსაფრთხოებაც კი უფრო ხალხის კეთილდღეობაზეა დამოკიდებული, ვიდრე მეფის საკუთარ სალაროზე, შემდეგ ავუხსნი, რომ ისინი მეფეს ირჩევენ თავისთვის და არა თვითონ მისთვის, სწორედ იმიტომ, რომ მეფის შრომისა და კეთილგანწყობის წყალობით კეთილად და უწყინრად იცხოვრონ, და მეფესაც უფრო შეეფერება ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა, ვიდრე საკუთარ თავზე, ისევე როგორც მწყემსის მოვალეობა[69], რამდენადაც ის საქონელს მწყემსავს, უფრო საქონლის გამოკვებაა, ვიდრე საკუთარი თავისა; თუ ვიტყვი, რომ მრჩევლები მწარედ სცდებიან, როცა ამბობენ, რომ ხალხის სიღატაკე მშვიდობის დაცვას ემსახურება — მართლაცდა სად ხდება უფრო მეტი აყალმაყალი, თუ არა ღატაკთა შორის? ვინ უფრო მეტად ისწრაფვის გადატრიალებისაკენ, თუ არა ის, ვისაც სრულიადაც არ მოსწონს არსებული წესწყობილება? ბოლოს, ვის უფრო უჩნდება თავხედური მოთხოვნილება, არევ-დარევა გამოიწვიოს იმის იმედით, რომ რასმე გამორჩეს, ვიდრე იმას, ვისაც აღარაფერი აქვს დასაკარგი? თუ დავამტკიცებ, რომ როცა რომელიმე მეფე თავის ქვეშევრდომებში ისეთ ზიზღსა და სიძულვილს იწვევს, რომ მათი მორჩილებაში ყოლა მხოლოდ შეურაცხყოფით, ძარცვა-გლეჯითა და აღკვეთით, ხალხის გაღატაკებამდე მიყვანის გზით შეუძლია, მაშინ, რა თქმა უნდა, მან უმჯობესია უარი თქვას სამეფოზე, ვიდრე შეინარჩუნოს იგი ისეთი საშუალებებით, რომელთა დროსაც, თუკი ის მაინც ახერხებს მბრძანებლის სახელის შენარჩუნებას, ყოველ შემთხვევაში კარგავს თავის დიდებულებას. მეფის ღირსებას არ შეეფერება ძალაუფლების გამოყენება ღატაკთა მიმართ, ეს დასაშვებია უფრო მდიდართა და შეძლებულთა მისამართით. სწორედ ეს აღნიშნა მაღალი და კეთილშობილი გონების ადამიანმა ფაბრიციუსმა[70] თავის პასუხში — რომ ის არჩევს მდიდართა მართვას და არა მდიდრად ყოფნას. და, რა თქმა უნდა, იმის დაშვება, რომ ერთნი ფუფუნებასა და განცხრომაში ცხოვრობდნენ, ხოლო მეორენი კვნესოდნენ და ტიროდნენ, ნიშნავს იყო ციხის და არა სამეფოს მცველი; დასასრულ, თუ ვიტყვი, რომ სრულიად უმეცარია ექიმი, რომელსაც ავადმყოფის მკურნალობა მხოლოდ ავადმყოფობითვე შეუძლია, ასევე მან, ვისაც სხვა გზით არ შეუძლია მოქალაქეთა ცხოვრების წარმართვა, თუ მათ ცხოვრების სიკეთე არ წაართვა, უნდა აღიაროს თავისი უსუსურობა თავისუფალ ადამიანთა ცხოვრების მართვის საქმეში, უფრო მეტიც,

შან უარი უნდა თქვას ახირებულობაზე ან მედიდურობაზე: ამ ნაკლით ის ხალხში იწვევს ან ზიზღს, ან სიძულვილს; მან სხვისთვის ზიანის მოუტანლად უნდა იცხოვროს საკუთარი სახსრებით და ერთმანეთს შეუფარდოს შემოსავალი და გასავალი, ალაგმოს ბოროტმოქმედება, რათა ქვეშევრდომთა სამართლიანი გაძღოლით უფრო აღმოფხვრას ბოროტმოქმედებანი, ვიდრე გაძლიერების საშუალება მისცეს მათ იმ მიზნით, რომ შემდეგ ამისათვის დასაჯოს სხვები; თუ დავიწყებ მტკიცებას, რომ საჭირო აღარ არის იმ კანონთა აღდგენა, რომლებიც ცხოვრებამ უკუაგდო, განსაკუთრებით ისეთებისა, რომლებიც დიდი ხანია მომოძველდა და არც თავის დროზე ყოფილა დიდად სასურველი. არასოდეს ჯარიმის მომიზეზებით არ შეიძლება ისეთი რაიმის მიღება, რის ნებასაც მოსამართლე არ მისცემდა არც ერთ პატიოსან ადამიანს, როგორც უსამართლობითა და მოტყუებით მოპოვებულისას; და ბოლოს, თუ განვუმარტავ და შევთავაზებ აქ მაკარიელთა[71] კანონს, რომლებიც აგრეთვე უტოპიის მახლობლად ცხოვრობენ?! — მათმა მეფემ ტახტზე ასვლის პირველსავე დღეს, მსხვერპლის შეწირვის საზეიმო აღსრულების შემდეგ, ფიცი დადო არასოდეს ჰქონოდა ერთდროულად სალაროში ათას გირვანქაზე მეტი ოქრო ან ამ ოქროს ღირებულების შესაბამისი ვერცხლი. ამბობენ, რომ ეს კანონი დააწესა ერთმა შესანიშნავმა მეფემ, რომელიც სამშობლოს კეთილდღეობაზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე თავის გამდიდრებაზე. ეს კანონი დაბრკოლებას უნდა წარმოადგენდეს ისეთი დიდი თანხების დაგროვების წინააღმდეგ, რამაც ხალხში მათი ნაკლებობა შეიძლება გამოიწვიოს. მეფე ხედავდა, რომ ეს თანხა საკმარისი იქნებოდა იმისათვის, თუ მას მოუხდებოდა ბრძოლა მეამბოხეებთან, ანდა მის სახელმწიფოს დასჭირდებოდა მტრის თავდასხმის მოგერიება. მაგრამ ეს თანხა საკმარისი არ იქნებოდა იმისათვის, რათა შესაფერისი განწყობილება შექმნილიყო სხვის სამფლობელოებზე თავდასასხმელად. აი, ეს იყო კანონის გამოცემის უმთავრესი მიზეზი. მეორე მიზეზი, მეფის აზრით, ის იყო, რომ ხალხში ყოველდღიურად საბრუნავი ფულის ნაკლებობა დაეძლიათ, ხოლო ვინაიდან მეფე ვალდებულია გასცეს ყველაფერი, რაც სალაროში დაგროვდა კანონით დადგენილი ოდენობის ზევით, ამის გამო მას არ დასჭირდებოდა საბაბის მოძებნა ქვეშევრდომთათვის წყენის მისაყენებლად. ასეთი მეფე შიშის ზარს დასცემს ბოროტმოქმედთ და კარგი მოქალაქეების სიყვარულს დაიმსახურებს. ასე რომ, თუკი ამ და ამგვარ ზემოჩამოთვლილ დებულებებს თავს მოვახვევ სრულიად საწინააღმ-

დეგო აზრის მქონე ადამიანებს, მაშინ ყრუთა წინაშე მქადაგებელს ხომ არ დავემსგავსები?“.

„რა თქმა უნდა, — ვუპასუხე მე, — თანაც როგორ ყრუთა წინაშე! მართალი გითხრათ, სულაც არ მაკვირვებს ეს, და უნდა ვაღიარო, აუცილებლადაც არ მიმაჩნია ამგვარი აზრების თავს მოხვევა და ისეთი რჩევების მიცემა, რომლებსაც, როგორც შენა ხარ დარწმუნებული, არასოდეს მიიღებენ. მართლაც, რა სარგებლობა უნდა მოუტანოს ან როგორ უნდა მოახდინოს გავლენა ასეთმა უცნაურმა გამოსვლამ იმათ განწყობილებაზე, ვის გულშიც ადრევე დაიბუდა სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებამ? ახლო მეგობართა შორის გამართულ სასიამოვნო საუბრისას ამგვარი სქოლასტიკური ფილოსოფია შეიძლება სასიამოვნო აღმოჩნდეს, მაგრამ მეფეთა სათათბიროებში, სადაც მნიშვნელოვანი და მეტად ავტორიტეტული საქმეები წყდება, ამის ადგილი არ არის“. „ზუსტად ამასვე ვამბობდი: მეფეებს არ სცალიათ ფილოსოფიისათვის-მეთქი“. ვუპასუხე მე,—იმ სქოლასტიკური ფილოსოფიისათვის[72], რომელსაც მიაჩნია, რომ იგი გაღოსადეგია ყველგან და ყოველთვის. მაგრამ არის სხვა ფილოსოფიაც, უფრო საჭირო, რომელმაც იცის თავისი ადგილი და მის ხელთ მყოფ პიესაში თავის როლს ბოლომდე კეთილსინდისიერად ასრულებს. აი, შენ სწორედ ასეთი ფილოსოფია უნდა გამოიყენო. აი, დავუშვათ, რომ იდგმება პლავტუსის[73] რომელიმე კომედია, სადაც საცოდავი მონები ერთმანეთზე სისულელეებს ჩმახავენ, შენ კი უცებ მოევლინები ფილოსოფოსის მოსასხამით სცენაზე, წარდგები ყველაზე წინ და დაიწყებ „ოქტავიადან“[74] იმ ადგილის კითხვას, სენეკა რომ ნერონს ეკამათება. განა უკეთესი არ არის გამოხვიდე და ხმა არ ამოიღო, ვიდრე შეუფერებელი ტექსტის კითხვით ასეთი ტრაგიკომედია მოაწყო! შენ ხომ გააფუჭებ და დაამახინჯებ ამ პიესას, აურ-დაურევ ყველაფერს მაშინაც კი, თუ შენი დამატებანი დედანზე უკეთესი იქნება. გახსოვდეს, რაც შეიძლება უკეთესად ითამაშე ის პიესა, რომელიც ხელთა გაქვს და ნუ დაანაგვიანებ მას ასე საშინლად იმით, რაც გაგახსენდება თუნდაც უფრო სრულყოფილი პიესიდან.

ასეთი მდგომარეობაა როგორც სახელმწიფოში, ისე მეფეთა თათბირებზეც. თუ არ შეიძლება ძირფესვიანად ამოიძირკვოს არასწორი აზრები, თუ გულწრფელად ხარ დარწმუნებული, რომ არ შეგიძლია განკურნო ასე მტკიცედ ფესვგადგმული მანკიერებანი, შენ მაინც არ უნდა მიატოვო სახელმწიფო საქმეები, ისევე როგორც არ შეიძლება

ხომალდის მიტოვება ქარიშხალში იმ მიზეზით, რომ შენ ქარებს მაინც ვერ გაუმკლავდები. მაგრამ არც ის შეიძლება, ძალით მოახვიო თავს ახალი და უცნაური აზრები ხალხს, რომელიც პირიქით ფიქრობს, ვინაიდან ამ ახალ აზრებს მისთვის არავითარი ფასი არ ექნება; შენ როგორმე სხვა გზით უნდა ეცადო შეძლებისამებრ ყველაფერი კარგად შეასრულო, ხოლო ის, რის მობრუნებაც კარგისაკენ არ შეგიძლია, შეეცადე ოდნავ მაინც გააკეთილშობილო, ხომ არ შეიძლება ყველაფერი კარგად იყოს მოწყობილი, ყველა ადამიანი ხომ არ არის აუცილებლად კარგი. არა მგონია, რომ ეს სულ რამდენიმე წელში მოხდეს".

„ამ საშუალებიდან სხვა არაფერი გამოვა, — მიპასუხა რაფაელმა, — გარდა იმისა, რომ თუ ვეცდები განვკურნო სხვათა სიშმაგე, თვით დავკარგავ გონებას მათთან ერთად. რაკი სიმართლის თქმა მინდა, აუცილებლად უნდა ვილაპარაკო, თუმცა არ ვიცი, ფილოსოფოსის საქმეა თუ არა სიცრუის ლაპარაკი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩემი საქმე სიმართლის თქმაა. მართალია, ჩემი სიტყვა არასასიამოვნო და მძიმე იქნება მოწინააღმდეგეებისათვის, მაგრამ მაინც ვერ ვხვდები რატომ უნდა მოგვეჩვენოს იგი სისულელემდე უცნაურად. დავუშვათ, ვიტყოდი იმას, რასაც ფიქრობს პლატონი თავის „სახელმწიფოში", ანდა რასაც აკეთებენ უტოპიელები თავიანთ ქვეყანაში; მართალია, ჩვენთვისაც უკეთესი იქნებოდა ის, რაც იქ სინამდვილეშია, მაგრამ მაინც უცხოდ მოგვეჩვენებოდა, ვინაიდან აქ ყველას აქვს კერძო საკუთრება, იქ კი ყველაფერი საერთოა. რაც შეეხება ჩემს სიტყვას, იგი გვაფრთხილებს, და მიგვითითებს ამაზე, ამიტომ იგი შეიძლება უსიამოვნო იყოს მხოლოდ იმათთვის, ვინც საწინააღმდეგო მხარეზე სიარულისას უფსკრულში საკუთარ თავთან ერთად სხვების გადაჩეხვასაც ლამობს. სხვაგვარად რა იყო ჩემს სიტყვებში ისეთი, რის თქმაც ყველგან არ შეიძლებოდა ან სასურველი არ იყო? მართლაც, თუკი, როგორც უცხო და სულელური, უნდა გამოვრიცხოთ ყველაფერი ის, რასაც ადამიანთა მანკიერმა ზნე-ჩვეულებებმა არაჩვეულებრივი სახე მისცეს, მაშინ ქრისტიანებთანაც უნდა დავფაროთ ბევრი რამ ქრისტეს მოძღვრებიდან, იგი კი არა მარტო კრძალავს ამის დამალვას, არამედ მოგვიწოდებს კიდეც აშკარად, ხმამაღლა ვიქადაგოთ ის, რაც ქრისტემ მათ ყურში ჩასჩურჩულა. ყველაფერი ამის უდიდესი ნაწილი უფრო უცხოა თანამედროვე ზნე-ჩვეულებებისათვის, ვიდრე ჩემი სიტყვა იყო. მართლაც, მქადაგებლები, ცბიერი ადამიანები, მისდევენ შენს რჩევას და ხედავენ, რომ ადამიანებისათვის ძნელია თავიანთი დანაშაულის მისადაგება

ქრისტეს მოძღვრებისადმი. მათ მისი მოძღვრება ისევე მიუსადაგეს ადამიანთა ზნე-ჩვეულებებს, როგორც მოქნილი ტყვიის სახაზავი, რათა ოდნავ მაინც შეუგუონ ისინი ერთმანეთს. როგორც ვხედავ, ამით მხოლოდ ცუდმა ადამიანებმა ისარგებლეს და უზრუნველ ცხოვრებას მიაღწიეს. და მე, რა თქმა უნდა, მეფეთა სათათბიროებში ასევე დიდ შედეგებს მივაღწევ. ანდა ჩემი აზრების საწინააღმდეგო მოსაზრება რომ გავიზიარო, ეს იგივე არ იქნება, რომ არავითარი აზრი არ გამაჩნდეს? თუ ისე ვიფიქრებ, როგორც წინათ, ტერენციუს მიკიონის[75] სიტყვებით რომ ვთქვათ, რას წარმოადგენს ის სხვა გზები, რომლებითაც, შენი აზრით, უნდა ვეცადო ყველაფრის მოწესრიგებას? სასურველ მხარეს მაინც უნდა შევაბრუნო იგი და რამდენადაც შესაძლებელია, გადავაქციო ნაკლებ ბოროტებად. იქ არაა ადგილი იმისათვის, რომ ვიმალებოდე ან ზერელედ მოვეკიდო ყველაფერს; საჭიროა აშკარად მოვიწონო მცდარი აზრები და ხელი მოვაწერო ყველაზე ცუდ გადაწყვეტილებებს. მაგრამ ულირსი დადგენილებების ძუნწად შექებაც კი ხომ მხოლოდ ჯაშუშის ან უბრალოდ გამცემის საქმე იქნებოდა. შემდგომ, იმ გარემოში მოხვედრისას, სადაც უფრო ადვილია შესანიშნავი ადამიანის წახდენა, ვიდრე ამ გარემოს გამოსწორება, შენ ვერ გააკეთებ ვერაფერს ისეთს, რითაც შესძლებდი რაიმე სარგებლობის მოტანას. ასეთი საზოგადოების მახინჯი წეს-ჩვეულებანი შენც დაგამახინჯებენ, ანდა, დარჩები რა უცოდველი და უბიწო, შენ სხვისი სისულელის დამფარველად გამოხვალ. აქ ლაპარაკიც კი ზედმეტია ამგვარი გზით რაიმე წარმატების მიღწევაზე. ამიტომ პლატონი მეტად ლამაზი შედარებით წარმოგვიდგენს, თუ რამდენად სწორია ფილოსოფოსთა მიერ სახელმწიფო საქმეებში ჩარევისაგან თავის შეკავება. ფილოსოფოსები ხედავენ, რომ ქუჩაში გამოსული ხალხი კოკისპირულ წვიმაში მოჰყვა, მაგრამ არ შეუძლიათ აიძულონ ისინი სახურავის ქვეშ შევიდნენ და თავი შეაფარონ, აი, ფილოსოფოსებმა იციან, თუ ქუჩაში გამოვლენ, ვერაფერს მიაღწევენ, გარდა იმისა, რომ ხალხთან ერთად თვითონაც დასველდებიან, და ამიტომ ისინი რჩებიან სახლში და კმაყოფილდებიან იმით, რომ რადგან არ ძალუძთ სხვისი სისულელის შველა, თვითონ მაინც არ გაისულელეს თავი და დარჩნენ მშრალები. ო, ჩემო მორ, თუ გინდა იცოდე ჩემი ნამდვილი აზრი, მე ასე მგონია, რომ იქ, სადაც ბატონობს კერძო საკუთრება, სადაც ყველაფერი ფულით იზომება, თითქმის შეუძლებელია სახელმწიფო საქმეთა სწორად და წარმატებით მართვა. სხვაგვარად, ასეთ საზოგადოებაში გამართლებულად უნდა ჩაი-

თვალოს ის გარემოება, რომ ყველაფერი საუკეთესო ყველაზე უფრო უღირსთ ხვდებათ, ანდა ის, რომ ყველაფერი მხოლოდ ხალხის ძალიან მცირე ნაწილს აქვს განაწილებული და, წარმოიდგინე, ისიხიც ვერ ცხოვრობენ როგორც საჭიროა, დანარჩენებს კი სრულ სიღატაკეში სძვრებათ სული.

ამიტომ აქ, ერთი მხრივ, საკუთარ თავთან მარტო დარჩენილი განვიხილავ უტოპიელთა ზედმიწევნით ბრძნულ და წმინდა წამოწყებებს, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფოს მართვა შესაძლებელია კანონთა სულ მცირე რაოდენობით, მაგრამ ეს ისე კარგად კეთდება, რომ სიკეთე სათანადო შეფასებას იმსახურებს და, მიუხედავად ქონების თანასწორობისა, ყველაფერში შეიმჩნევა საერთო კეთილდღეობა. მეორე მხრივ, პირიქით, მათ ზნე-ჩვეულებებს ვადარებ ბევრი სხვა ხალხის ცხოვრებას, რომლებიც სულ მუდამ იმის ცდაში არიან, როგორმე წესრიგი დაამყარონ, მაგრამ ამაოდ. თითოეული იქ თავის საკუთრებას უწოდებს ყველაფერს, რაც მოხვდება. ესენი ყოველდღიურად ურიცხვ კანონს სცემენ, მაგრამ არ ძალუძთ მათი მიღწევა, დაცვა. ამას კი ნათლად ადასტურებს უთავბოლო და დაუსრულებელი უთანხმოებანი. ასე რომ, ვიმეორებ, როდესაც ჩემთვის დავფიქრდები ამაზე, უფრო მეტ სამართლიანობას ვიჩენ პლატონისადმი და ნაკლებად მაკვირვებს მისი უარი იმ ხალხებისათვის რაიმე კანონების მიცემაზე, რომლებმაც უარყვეს წესდება ყოველგვარი ცხოვრებისეული სიკეთის თანაბრად განაწილებისა. ამ ბრძენმა ადვილად შენიშნა, რომ ერთადერთი გზა საზოგადოების კეთილდღეობისაკენ არის ქონებრივი თანასწორობის გამოცხადება, ხოლო ეს ძნელად თუ განხორციელდება იქ, სადაც ყველას კერძო საკუთრება აქვს და თუ ყოველი მათგანი თუნდაც კანონიერ საფუძველზე შეეცდება მიითვისოს იმდენი, რამდენსაც შეძლებს, მაშინ როგორი დიდიც არ უნდა იყოს დოვლათი, იგი მთლიანად მაინც მხოლოდ უმცირესობას ხვდება წილად. დანარჩენების ხვედრი კი მხოლოდ სიღატაკეა. ჩვეულებრივ ისე ხდება, რომ მტაცებლები, უპატიოსნო და უმაქნისი ადამიანები იმარჯვებენ თავმდაბალ და უბრალო ადამიანებზე, რომლებსაც ყოველდღიური შრომით საზოგადოებისათვის უფრო მეტი სარგებლობა მოაქვთ, ვიდრე საკუთარი თავისათვის. ამიტომ მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ სახსრების განაწილება თანაბარი და სამართლიანი წესით და საერთო-სახალხო საქმეთა ჭეშმარიტად აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ კერძო საკუთრების სრული მოსპობის პირობებში, ხოლო თუ იგი მაინც დარჩება,

კაცობრიობის საუკეთესო და უდიდესი ნაწილი ვერასოდეს მოიშორებს სიღატაკის მძიმე ტვირთს. მართალია, დასაშვებად მიმაჩნია, რომ იგი გარკვეული მოცულობით შეიძლება შემცირდეს კიდეც, მაგრამ გადაჭრით ვამტკიცებ, რომ სრულიად შეუძლებელია მისი მოსპობა. მაგალითად, შესაძლებელია დავადგინოთ შემდეგი: არავის არ უნდა ჰქონდეს გარკვეულ ოდენობაზე მეტი მიწის საკუთრების უფლება, თითოეულის ფულადი ქონების მოცულობა შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს; უნდა გამოიცეს გარკვეული კანონები, რომლებიც აუკრძალავს მეფეს მისი ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას, ხოლო ხალხს — ზედმეტ თავნებობას; შესაძლებელია აიკრძალოს თანამდებობათა შეძენა შესყიდვით ან ქრთამით. ამ თანამდებობებზე მუშაობას არ უნდა ერთვოდეს თან ხარჯები, ვინაიდან ეს ხელსაყრელ პირობებს შექმნის იმისათვის, რათა ეს ფული შემდეგ მოტყუებისა და ძარცვის გზით იქნეს ამოგებული და წარმოიქმნება იმის აუცილებლობა, რომ ამ თანამდებობებზე დაინიშნონ მდიდარი ადამიანები, მაშინ როდესაც ჭკვიანები გაცილებით უკეთ გაართმევდნენ თავს. ამგვარ კანონებს, ვიმეორებ, ძალუძთ გააადვილონ და შეამსუბუქონ ეს უბედურებანი ზუსტად ისევე, როგორც საფენებს, რომლებითაც ჩვეულებრივ აყუჩებენ უიმედო ავადმყოფის ტკივილებს. მაგრამ სანამ თითოეულს აქვს კერძო საკუთრება, გამოჯანმრთელებისა და სხეულის მდგომარეობის გაუმჯობესების არავითარი იმედი არ არის. კიდევ მეტიც, ერთი რომელიმე ნაწილის გამოჯანმრთელებაზე ზრუნვისას შენ სხვა ნაწილების ჭრილობებსაც აღიზიანებ. ამრიგად, ერთის მკურნალობა იწვევს მეორის დაავადებას, რაკი არ შეიძლება ერთს მივუმატოთ რაიმე ისე, თუ მეორეს არ წავართვით".

„მე კი პირიქით მეჩვენება, — შევეპასუხე რაფაელს, — არასოდეს არ შეიძლება მდიდრულად ცხოვრება იქ, სადაც ყველაფერი საერთოა. როგორ შეიძლება მიეაღწიოთ სანოვაგის სიუხვეს, თუკი თითოეული თავს აარიდებს სამუშაოს, ვინაიდან მას აღარ იზიდავს კერძო მოგება, ხოლო, მეორე მხრივ, სხვისი შრომის იმედი სიზარმაცეს უწყობს ხელს? მაშინ კი, როდესაც ხალხს დააშინებს სახსართა ნაკლებობა და ვერავითარი კანონი ვერ დაიცავს თითოეული მათგანის შენაძენს, როგორც კერძო საკუთრებას, ხომ არ შეწუხდებიან ადამიანები მუდმივი სისხლისღვრითა და არეულობით? და ეს მოხდება მით უფრო, რომ გაქრება ყოველგვარი პატივისცემა და მოწიწება ხელისუფლებისადმი, წარმოდგენაც არ შემიძლია იმისა, თუ რა ადგილი

მოინახებოდა მათთვის ისეთ ადამიანებთან, რომელთა შორის არავითარი განსხვავება არ არის“. „მე არ მიკვირს, — მიპასუხა რაფაელმა, — შენ რომ ასეთი აზრისა ხარ, ვინაიდან სრულიად არ შეგიძლია ასეთი მდგომარეობის წარმოდგენა, ანდა მას მცდარად წარმოიდგენ. მაგრამ შენ რომ ჩემთან ერთად ყოფილიყავი უტოპიაზე და თვითონ გასცნობოდი მათ ზნე-ჩვეულებებს და კანონებს, ისე როგორც გავაკეთე მე, რომელმაც იქ ხუთი წელი ვიცხოვრე და არასოდეს წამოვიდოდი იქიდან, რომ არ მქონოდა სურვილი, ყველასათვის მეამბნა ამ ახალი სამყაროს შესახებ, შენ ადვილად აღიარებდი, რომ არსად სხვა ადგილას არ გინახავს სახელმწიფოს უკეთესი წესწყობილება ვიდრე იქაა“.

„რა თქმა უნდა, — შენიშნა პეტრე ეგიდიუსმა, — შენ ძნელად დამარწმუნებ იმაში, რომ ხალხისათვის უკეთესი წესწყობილებაა იმ ახალ სამყაროში, ვიდრე ჩვენთვის ნაცნობში. ჩემი აზრით, აქ გონებაც უფრო ნაკლებად როდი უკრია, სახელმწიფოებიც უფრო ძველია, ვიდრე იქ და ხანგრძლივმა გამოცდილებამაც ბევრი სიკეთე შესძინა ხალხს ცხოვრების გასაუმჯობესებლად; აღარაფერს ვამბობ ზოგიერთ ჩვენს შემთხვევით აღმოჩენაზე, რომლის გამოგონებასაც არავითარი გონება არ ეყოფოდა“.

„რაც შეეხება იმ სახელმწიფოების სიძველეს, — მიუგო რაფაელმა, —შენ უფრო სწორად განსჯიდი, თუ წაიკითხავდი იმ ქვეყნების ისტორიას, და თუ მას დაეჯერება, მაშინ მათ ქალაქები გაცილებით უფრო ადრე ჰქონიათ, ვიდრე ჩვენს ხალხს. შემდგომ იქაც და აქაც შეიძლებოდა ყველაფერი ის ყოფილიყო, რაც აქამდე გამოიგონა გონებამ ანდა შემთხვევით აღმოჩნდა. თუმცა, ვვარაუდობ, რომ, როგორც ჩვენ აღვემატებით მათ ნიჭიერებით, ისე ისინი გვისწრებენ თავიანთი გულმოდგინებითა და შრომისმოყვარეობით. მათი მატიანეების ცნობით, ჩვენი გემების ჩასვლამდე მათ არასოდეს არაფერი გაუგიათ ჩვენს საქმეებზე (ისინი ჩვენ ბუნიობის ხაზს იქით მცხოვრებთ გვიწოდებენ). ჰო, მართლა, ოდესღაც, ათას ორასი წლის წინათ, ერთი ხომალდი, რომელიც იქ ქარიშხლის გამო მოხვდა, უტოპიის კუნძულთან დაიღუპა; ნაპირზე გამოირიყნენ ვიღაც რომაელები და ეგვიპტელები, რომლებიც იქიდან აღარ დაბრუნებულან. დაუკვირდი, რა მოხერხებულად გამოიყენეს ეს შემთხვევა უტოპიელებმა. გამორიყული უცხოელებისაგან მათ შეისწავლეს ყოველგვარი ხელოსნობა, რაც კი რომის იმპერიაში არსებობდა და რასაც რაიმე სარგებლობის მოტანა

შეეძლო; ანდა გაიჩნეს რა ამ ხელოსნობის მხოლოდ ჩანასახები, მათ ხელმეორედ გამოიგონეს ისინი. უტოპიელებს კარგად გამოადგათ ის გარემოება, რომ ზოგიერთი ჩვენგანი მხოლოდ ერთხელ მოხვდა მათთან. ადრე რომ ასეთ შემთხვევას ჩვენთან მოეყვანა რომელიმე იქაური, ეს ისევე აღმოიფხვრებოდა ჩვენი მეხსიერებიდან, როგორც ალბათ, ჩვენს შემდგომ თაობებს დაავიწყდებათ ოდესღაც ჩემი აქ ყოფნა, და ისევე, როგორც მათ პირველივე შეხვედრის შემდეგ შეითვისეს ყველაფერი, რაც ჩვენს მიერ ასე კარგად იყო მოფიქრებული. ვფიქრობ, დიდი დრო გავა, სანამ შევიტყობდეთ რამეს მათი წამოწყებების შესახებ, თუნდაც ისინი ჩვენსას აღემატებოდეს. ამის მიზეზი, ჩემი აზრით, მხოლოდ ისაა, რომ, მართალია, ჩვენ არ ჩამოვუვარდებით მათ არც ჭკუით და არც საშუალებებით, მათ მაინც, ჩვენთან შედარებით, სახელმწიფოს მართვის უკეთესი ხერხები აქვთ და ხალხიც უფრო ბედნიერად ცხოვრობს".

„ამიტომ, ჩემო რაფაელ, — ვუთხარი მე, — დაჟინებით გთხოვ აგვიწერე ეს კუნძული ენაწყლიანად, ნუ გამოიჩენ სიტყვაძუნწობას, დაწვრილებით მოგვიყევი ყველაფერი მისი მიწების, მდინარეების, ქალაქების, მოსახლეობის, ზნე-ჩვეულებების, დაწესებულებების, კანონებისა და, ბოლოს, ყველაფერი იმის შესახებ, რის გაცნობასაც ჩვენთვის სასურველად მიიჩნევ. შენ ხომ იცი, რომ ჩვენ ყველაფერი გვაინტერესებს, რაც ახალი და უცნობია ჩვენთვის". „დიდი სიამოვნებით შევასრულებ ამას, — მიპასუხა მან, — რადგან ყველაფერი კარგად მახსოვს. მაგრამ ამას თავისუფალი დრო დასჭირდება". „მაშინ წავიდეთ, — ვთქვი მე, — ვიასადილოთ, ხოლო შემდეგ კი სურვილისამებრ გავანაწილოთ დრო". ამაზე შევთანხმდით. ჩვენ შევედით სახლში სასადილოდ. სადილის შემდეგ კი დავბრუნდით, იმავე სკამზე ჩამოვსხედით და ვუბრძანეთ მსახურებს არავის შეეწუხებინეთ. მე და პეტრე ეგიდიუსმა დავიყოლიეთ რაფაელი, შეესრულებინა დანაპირები. როდესაც რაფაელმა დაინახა, როგორ ვიქეციით სმენად, ცოტა ხნის დუმილისა და ჩაფიქრების შემდეგ ასე დაიწყო:

პირველი წიგნის დასასრული

მეორე წიგნი საუბრისა,
რომელიც გამართა რაფაელ ჰითლოდეევსმა
სახელმწიფოს საუკეთესო წყობილების თაობაზე
ლონდონელ მოქალაქესა და
ვიკონტთან ტომას მორთან.

უტოპიელთა კუნძულის[76] შუა—ყველაზე უფრო განიერი ნაწილი ორას მილზეა გადაჭიმული, შემდეგ კი კარგა დიდ მანძილზე სიგანეში ცოტათი კლებულობს, ხოლო თავსა და ბოლოში თანდათანობით ვიწროვდება, რაც კუნძულს ნამგალა მთვარის სახეს აძლევს. ამ ბოლოების ფარგლით შემოხაზვა რომ შეიძლებოდეს, ხუთასმილიან გარშემოწერილობას მივიღებთ. მის რქებს შორის შეჭრილია დაახლოებით თერთმეტმილიანი სიგრძის ყურე. მთელ ამ უზარმაზარ სივრცეზე ყოველი მხრიდან ხმელეთით გარშემორტყმული, ქარებისაგან დაცული წყალი დიდ ტბას წააგავს, რომელიც უფრო მდორეა, ვიდრე ბობოქარი. ამ ქვეყნის თითქმის მთელი შიდა ნაწილი ერთი დიდი ნავთსაყუდელია, რომელიც აქ მაცხოვრებელთა სარფიანი მოგებისათვის სულ სხვადასხვა მხარეს უშვებს ხომალდებს. ყურის შესასვლელი მეტად სახიფათოა, ერთი მხრივ, მეჩეჩების, ხოლო მეორე მხრივ, ფრიალო კლდეების გამო. თითქმის შუა გზაზე წყლიდან ამოშვერილია ერთი ეხიფათო კლდე და მასზე აღმართულია კოშკი, რომელშიც საგუშაგოა მოთავსებული. დანარჩენი კლდეები წყლითაა დაფარული და იქ ხიფათია ჩასაფრებული. მათ შორის გასასვლელები მხოლოდ უტოპიელებმა იციან და ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ვერც ერთი უცხოელი ვერ შევა ყურეში უტოპიელი გამყოლის დაუხმარებლად. ზოგჯერ თვით უტოპიელთათვისაც სახიფათოა იქ შესვლა და მაშინ ზოგიერთ ნიშანს ნაპირიდან აძლევენ მათ. თუ საჭიროების დროს ასევე სხვა ადგილებიდანაც ანიშნებენ, მაშინ ადვილად შეიძლება მოწინააღმდეგის ურიცხვი ხომალდთკრებულის განადგურება. კუნძულის მეორე მხარეს ბევრზე ბევრი ნავსადგურია. მაგრამ ხმელეთთან მისასვლელი ყველგან ისეა გამაგრებული ან ბუნებრივად, ან ხელოვნურად, რომ ხმელეთზე მყოფ მცირერიცხოვან დამცველებსაც კი შეუძლიათ მტრის ურიცხვი ლაშქრის უკუგდება.

როგორც თქმულებები გადმოგვცემენ და თვით ხმელეთის ფორმაც გვიჩვენებს, ეს ქვეყანა ყოველთვის როდი ყოფილა ზღვით გარშემორტყმული. მაგრამ უტოპუსმა, რომლის მძლეთამძლე სახელსაც

ატარებს კუნძული, ადრე რომ აბრაქსა[77] ერქვა, გამარჯვებისთანავე ბრძანა გაეთხარათ თხუთმეტი მილი იქ, სადაც ეს ქვეყანა კონტინენტს უერთდებოდა, და ხმელეთს გარშემო ზღვა შემოარტყა. ამავე უტოპუსმა თავისი მოუქნელი და ველური ბრბო განსწავლისა და განათლების ისეთ დონეზე აიყვანა, რომ ახლა იგი ამ მხრივ თითქმის ყველა სხვა მოკვდავთ აღემატება. ეს სამუშაო რომ ვინმეს სამარცხვინოდ არ მიეჩნია, უტოპუსმა თავისი ჯარისკაცებიც ჩართო შრომაში. ერთდროულად შრომა მრავალ ადამიანზე რომ განაწილდა, იგი არნახული სისწრაფით დასრულდა. უტოპიელთა წარმატებამ განაცვიფრა და თანაც შეაძრწუნა მეზობლები, რომლებიც თავიდან დასცინოდნენ ამ ვითომ უსარგებლო წამოწყებას.

კუნძულზე ორმოცდათოთხმეტი ქალაქია[78], ყველა ვრცელი და დიდებული; ენა, ზნე-ჩვეულებები, დაწესებულებები და კანონები მათ სავსებით ერთნაირი აქვთ. მათი მდებარეობაც ასევე ერთნაირია და ერთნაირადვე გამოიყურება, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა ადგილმდებარეობა. ქალაქები ერთმანეთისაგან ოცდაოთხი მილითაა დაშორებული. ამავე დროს არცერთი ქალაქი არ არის ისე მოწყვეტილი, რომ მეორე ქალაქამდე ფეხით ერთ დღეში არ შეიძლებოდეს მისვლა.

ყოველი ქალაქიდან ყოველწლიურად სამი მოხუცი და გამოცდილი მოქალაქე ამაუროტში[79] იკრიბება კუნძულის საერთო საქმეთა განსახილველად. ამ ქალაქს უპირატესობა ენიჭება, ვინაიდან იგი ქვეყნის შუაგულში მდებარეობს და ამდენად მოსახერხებელია ყოველი მხრიდან მივლინებულთათვის მისადგომად. ქალაქებს შორის მინდვრები იმდენად მარჯვედაა განაწილებული, რომ თითოეულს ცალ-ცალკე ყოველი მხრიდან არანაკლებ ოცი მილი მიწა აკრავს, ხოლო ერთი მხრიდან გაცილებით მეტიც კია, და ეს სწორედ იმ მხრიდან, საიდანაც ქალაქები უფრო მეტად არიან დაშორებული ერთმანეთს. არც ერთ ქალაქს არა აქვს თავისი საზღვრების გავრცობის სურვილი, ვინაიდან მისი მეკვიდრნი საკუთარ თავს მიწათმოქმედებად უფრო მიიჩნევენ, ვიდრე ამ სამფლობელოს ბატონ-პატრონებად. სოფლებში ყველგან მოხერხებულად არის განლაგებული სახლები, სადაც სოფლის მეურნეობისათვის საჭირო იარაღები ინახება. იქვეა დასახლებული მაცხოვრებლები, რომლებსაც მორიგეობით უწევთ იქ ცხოვრება. არც ერთი სოფლის ოჯახის შემადგენლობა არ არის ორმოც კაცზე ნაკლები, მათ რიცხვში შედის აგრეთვე ორი მიწერილი მონა. ოჯახის სათავეში დგანან ოჯახის მამა და დედა, პატივცემული და ხანდაზმული ადამიანები,

ხოლო ყოველი ოცდაათი ოჯახის სათავეში — ერთი ფილარქოსი[80]; თითოეული ოჯახიდან ოც-ოცი კაცი ყოველწლიურად ბრუნდება საცხოვრებლად ქალაქში. ეს ისინი არიან, ვინც სოფელში ორი წელი გაატარეს. მათ ადგილს იჭერენ ქალაქიდან ჩამოსულები, რათა ხელმძღვანელობა გაუწიონ იმათ, ვინც სოფელში ერთი წელი იცხოვრეს და ამიტომ უფრო მეტი გამოცდილება აქვთ სოფლის მეურნეობის საქმეებში. ამ ჩამოსულებმა შემდეგ წელს უნდა ასწავლონ სხვებს, რათა მოსავლის მოწევაში რაიმე შეცდომა არ მოხდეს, რაკი ყველა ერთნაირად ახალბედა და გამოუცდელი იქნება. თუმცა მიწათმოქმედთა გადახალისების ეს ხერხი საყოველთაოდ მიღებულია, რათა არავის არ მოუხდეს ნება-სურვილის გარეშე მეტად ხანგრძლივად ცხოვრება სოფლად, მკაცრ პირობებში, მაინც ისე ხდება, რომ ისინი, ვისაც ბუნებრივი მიდრეკილება აქვს სოფელში ცხოვრებისადმი, თავის მხრივ, იქ დარჩენას უფრო მეტ ხანს ითხოვს. მიწათმოქმედნი ამუშავებენ მიწას, კვებავენ პირუტყვს, იმარაგებენ შეშას და ჩააქვთ ქალაქში როგორც მოეხერხებათ — ხმელეთით ან ზღვით. ისინი განუსაზღვრელი რაოდენობით, საოცრად უნარიანად ზრდიან წიწილებს. გამოსაჩეკად[81] კვერცხებს ქათმებს კი არ უწყობენ, არამედ ათასობით ცალს ერთად ათბობენ თანაბარი სითბოთი და ისე გამოჩეკენ. როგორც კი წიწილები გამოიჩეკებიან ნაჭუჭიდან, ისინი უკვე უკან დასდევენ ადამიანებს, როგორც დედას, და, წარმოიდგინეთ, სცნობენ კიდეც მათ.

უტოპიელებს ძალიან ცოტა ცხენი ჰყავთ, თანაც მხოლოდ ფიცხნი და ისიც მხოლოდ ჯირითში ახალგაზრდობის გასაწრთვნელად[82]. მთელი სამიწათმოქმედო და ტვირთსაზიდი შრომა ხარებს ეკისრებათ. უტოპიელებს მიაჩნიათ, რომ ხარები სირბილში, მართალია, ჩამოუვარდებიან ცხენებს, მაგრამ გამძლეობით სჯობნიან მათ. გარდა ამისა, ხარებს ნაკლებად ემართებათ ავადმყოფობა, უფრო ადვილი შესანახი არიან და, როცა სამუშაოდ აღარ ივარგებენ, შეიძლება მათი საკვებად გამოყენება.

მარცვლეულიდან უტოპიელები მხოლოდ პურს ამზადებენ, ხოლო ღვინოს ყურძნისას ან მსხლისას მიირთმევენ, ბოლოსდაბოლოს, ხანდახან მხოლოდ სუფთა წყალს, ხშირად კი თაფლის ან ალაოს ფესვის ნაყენს სვამენ. თუმცა მათ კარგად იციან (და თანაც მეტად ზუსტადაც), თუ რამდენი პური სჭირდება ქალაქს და მის მიმდებარე ოლქს, მაინც უფრო მეტი ნათესები აქვთ და საქონელსაც მეტს ზრდიან, რადგან ვარაუდობენ, რომ ზოგს მეზობლებს შესთავაზებენ. ყვე-

ლაფერს, რაც მათ ესაჭიროებათ და რაც სოფლად არ არის, ისინი ქალაქიდან ღებულობენ, თანაც ძალიან ადვილად, ყოველგვარი სამაგიერო გაცვლის გარეშე. ქალაქში ისინი ყოველთვიურად თავს იყრიან დღესასწაულებზე. როდესაც მოსავლის აღების დღე დგება, მიწათმოქმედთა ფილარქოსები შეატყობინებენ ქალაქის ხელისუფალთ, თუ რამდენი მოქალაქის გამოგზავნაა საჭირო და რადგან მუშაკთა ეს ლაშქარი დროზე და ზუსტად ვადაზე ცხადდება, ისინი თითქმის ერთ მზიან დღეში ამთავრებენ მოსავლის აღებას.

ქალაქებისა და უპირატესად ამაუროტისათვის

ის, ვინც გაეცნობა უტოპიის ერთ ქალაქს, უნდა ჩათვალოს, რომ დანარჩენებსაც გაეცნო, იმდენად ჰგვანან ისინი ერთმანეთს (ამას ხელს არ უშლის სხვადასხვა ადგილმდებარეობა) და რადგან ასეა, მეც აღვწერ ერთ რომელსამე მათგანს (დიდი მნიშვნელობა არც აქვს სახელდობრ რომელს). მაგრამ, აბა სხვა რომელია ამაუროტზე უკეთესი? არც ერთი ქალაქი არაა მასზე ღირსეული, სხვები მას კიდეც ჩამოუვარდებიან, როგორც სენატის ადგილსამყოფელს; ამასთან არც ერთ ქალაქს არ ვიცნობ მასზე უკეთ, რადგან იქ ზედიზედ ხუთი წელი გავატარე.

ამაუროტი მთის დამრეც ფერდობზეა გაშენებული და თითქმის კვადრატის ფორმა აქვს. დაწყებული ბორცვის მწვერვალიდან ცოტა ქვემოთ, იგი სიგანეზე გადაჭიმულია ორ მილზე, მდინარე ანიდრუსამდე, მისი ნაპირების გასწვრივ კი ქალაქის სიგრძე ცოტა უფრო მეტია. ანიდრუსი სათავეს იღებს ამაუროტიდან ოთხმოციოდე მილის ზევით, პატარა წყაროდან, რომელიც თანდათან იზრდება სხვა მდინარეთა შენაკადებით (მათგან ორი საშუალო სიდიდისაა). შემდეგ ანიდრუსი ზედ ქალაქის მისადგომებთან ნახევარ მილამდე ფართოვდება, კიდევ უფრო იზრდება და სამოც მილს რომ გაივლის, ოკეანეს უერთდება. მთელ ამ სიგრძეზე ქალაქსა და ზღვას შორის და ქალაქის ზემოთ რამდენიმე მილზე ყოველ ექვს საათში ერთმანეთს ენაცვლება ზღვის მოქცევა და უკუქცევა. მოქცევის დროს ზღვა უკუაგდებს მდინარეს და ანიდრუსის მთელ კალაპოტს ოცდაათი მილის მანძილზე თავისი ტალღებით ავსებს. აქ და ცოტა უფრო შორსაც იგი მლაშე წყლით ამღვრევს მდინარის ნაკადს; უკუქცევისას ისევ მტკნარი წყალი იმარჯვებს და ქალაქში უკვე სუფთად მიედინება თითქმის ზედა შესართავამდე.

მდინარის გაღმა-გამოღმა გაშენებულ ქალაქს აერთებს შესანიშ-ნავ ქვის თაღებზე და არა ბოძებსა და ხიმინჯებზე გადებული ხიდი. იგი მოწყობილია ქალაქის იმ მხარეს, რომელიც ყველაზე უფრო და-შორებულია ზღვას, რომ ხომალდებს ხელი არ შეუშალოს. აქ მეორე მდინარეც არის, მართალია, პატარა, მაგრამ ლივლივა და ლამაზი. იგი იმავე მთაზე იწყება, რომელზედაც ქალაქია გაშენებული, მის ფერდობებზე მიედინება და ანიდრუსს უერთდება. რადგან ეს მდინარე ქალაქიდან არც თუ ისე შორიახლოს მოედინება, ამაურობის მცხოვრებლებმა იგი ქალაქში შემოიყვანეს და ჯებირებით გაამაგრეს, რომელიმე მტრის თავდასხმის შემთხვევაში რომ არც წყლის გადაგდება შეიძლებოდეს და არც კალაპოტის შეცვლა ან დაბინძურება. აქედან აგურის მილებით წყალი სხვადასხვა მიმართულებით მიედინება ქალაქის ქვედა ნაწილებში. იქ, სადაც ბუნებრივი პირობები ამის საშუალებას არ იძლევა, დიდ საცავებში აგროვებენ წვიმის წყალს, რომელიც ასევე გამოსადეგია.

ქალაქს მაღალი და ფართო გალავანი არტყია, კედლებში კოშკები და სათოფურებია ჩატანებული. სამი მხრიდან სიმაგრეები გარემოცულია უწყლო, მაგრამ ფართო, ღრმა და კვრინჩხნარით შემოღობილი თხრილით. მეოთხე მხრიდან თხრილს თვით მდინარე ცვლის. მოედნები მოხერხებულადაა განლაგებული როგორც მგზავრობისათვის, ისე ქარისაგან დასაცავად. თვალში გეცემა სუფთა, ქათქათა შენობების გრძელი, უსასრულო რიგი, რომელიც მთელ ქუჩას გასდევს. მნახველის ყურადღებას იპყრობს სახლების გარეგნული იერი; კვარტალებს შუაზე ჰყოფს ოცი ფუტის სიგანის ქუჩა. სახლების უკანა მხარეს კი ქუჩის მთელ სიგრძეზე ფართო და ყოველი მხრიდან შემოღობილი ბაღებია. აქ ვერ ნახავთ ვერც ერთ სახლს, ორი ორფრთიანი კარი რომ არ ჰქონდეს, ერთი წინიდან — ქუჩაში და მეორე უკნიდან— ბაღში გამავალი. ყველა კარი ადვილად იღება მსუბუქი მიწოლით და შემდეგ თვითონვე იხურება, შესვლა კი ყველას შეუძლია[83], იმდენად უცხოა კერძო საკუთრება. თვით სახლებსაც კი ისინი ყოველ ათ წელიწადში იცვლიან კენჭისყრით.

ბაღებს ამაურობელები დიდად აფასებენ. აქ მოჰყავთ ყურძენი, ნაირნაირი ხილი, ბაღებს ამშვენებს ბალახი და ყვავილები. ყველაფერი იმდენად კარგად არის მოვლილი და ისე გამოიყურება, რომ სხვაგან არსად მინახავს მსგავსი სიუხვე და სილამაზე. ისინი ასეთ გულმოდგინებას იჩენენ არა მარტო იმიტომ, რომ ეს სიამოვნებას ჰგვრით,

არამედ იმიტომაც, რომ ქუჩები ერთმანეთს ეჯიბრებიან საკუთარი ბაღების მოვლაში. ყოველ შემთხვევაში ქალაქში უფრო საჭიროსა და თან ლამაზს ვერაფერს ნახავთ. ეტყობა, ქალაქის დამაარსებელი არაფერზე ისე არ ზრუნავდა, როგორც ამ ბაღებზე.

ამბობენ, ქალაქის მთელი ეს გეგმა თავიდანვე უტოპუსმა შეადგინაო, მაგრამ მოსაკაზმავი და სხვა მოსართავი საქმეები, რასაც, როგორც თვითონაც გრძნობდა, არ ეყოფოდა ერთი ადამიანის სიცოცხლე, მან თავის შთამომავლებს დაუტოვაო. ამიტომ მათ მატიანეებში, რომლებსაც ისინი გულმოდგინედ ადგენენ და ფაქიზად ინახავენ, დაწყებული კუნძულის დაპყრობიდან 1760 წლის მანძილზე, ნათქვამია, რომ წინათ აქ დაბალი სახლები იდგა და ქოხებსა და გომურებს წაგავდა, შენდებოდა განურჩევლად ყოველგვარი ხისაგან, კედლები თიხით იყო შელესილი, წვეტიანი სახურავები — თივით დაფარული. ახლა კი ყოველი სახლი თავისი ფორმით იპყრობს ყურადღებას, სამსართულიანია, კედლები ქვის ან აგურისაა, შიგნით კი ცარიელი ადგილები მსხვილი ღორღითაა ამოვსებული. ბრტყელი სახურავები დაფარულია რაღაც საცხით, რომელიც, მართალია, იაფფასიანია, მაგრამ ისეთი შედგენილობისაა, რომ არ ეშინია ცეცხლისა, ხოლო ავდარში ტყვიაზე უფრო გამძლეა. ფანჯრებს ქარისაგან იცავს მინა[84], რომელიც აქ ბევრზე ბევრია, ზოგჯერ მას თხელი ცხიმით პოხავენ ან ქარვის[85] ფენით ფარავენ. ეს ორმხრივ სასარგებლოა, ჯერ ერთი, მეტ სინათლეს ატარებს და, მეორეც, ქარიც ვერ ატანს.

თანამდებობის პირთათვის

ყოველი ოცდაათი ოჯახი თავის მხრივ ყოველწლიურად ირჩევს თანამდებობის პირს, რომელსაც ადრე სიფოგრანტუსი[86] ერქვა, ხოლო ახალ ენაზე ფილარქოსი ჰქვია. ყოველ ათ სიფოგრანტუსს თავის ოჯახებიანად მეთაურობს კაცი, რომელსაც ძველებურად ტრანიბორუსი[87] ერქვა, ახლა კი პროტოფილარქოსად იწოდება.

ყველა სიფოგრანტუსი, სულ ორასი კაცი, ფიცის დადების შემდეგ იმის თაობაზე, რომ აირჩევს ყველაზე ღირსეულს, ფარული კენჭისყრით შეარჩევს თავადს (ბატონს), სახელდობრ, ერთ-ერთს იმ ოთხი პიროვნებისაგან, რომლებსაც მათ ხალხი შესთავაზებს. ქალაქის მოსახლეობის ყოველი მეოთხედი ირჩევს ერთ ტრანიბორუსს და შუამდგომლობას უწევს სენატში. თავადის თანამდებობა უცვლელია მთე-

ლი მისი ცხოვრების მანძილზე, თუკი რაიმე მიდრეკილებას არ გამოავლენს იგი ტირანიისადმი. ტრანიბორუსები ყოველ სამ დღეში, ზოგჯერ, თუ გარემოება მოითხოვს, უფრო ხშირადაც, დადიან სათათბიროდ თავადთან. ისინი ბჭობენ საზოგადო საქმეებზე და მყისვე შეწყვეტენ ხოლმე ყოველგვარ კერძო კამათს, თუკი ასეთი რამ წამოიჭრება. სიფოგრანტუსებიდან სენატში ყოველთვის უნდა იყოს ორი, თანაც ყოველდღე სხვადასხვა. არსებობს დადგენილება, რათა იმ საქმეთაგან, რომლებიც რესპუბლიკას ეხება, არც ერთი არ გადაიჭრას მანამ, სანამ არ განიხილავს სენატი გადაწყვეტილების მიღებამდე სამი დღით ადრე. სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება საზოგადო საქმეებზე გადაწყვეტილების მიღება სენატის ან სახალხო კრების გარეშე. ამბობენ, რომ ეს ღონისძიება შემოღებულია იმ მიზნით, რომ არავინ გაბედოს სახელმწიფო წყობილების შეცვლა თავადისა და ტრანიბორუსების შეთქმულებით ან ხალხის დამორჩილება ტირანიით. ამიტომ ყოველგვარი საქმე, რომელსაც რაიმე მნიშვნელობა აქვს, სიფოგრანტუსთა კრებას მოხსენდება, ისინი თავის მხრივ აცნობენ მას თავთავიანთი განყოფილებების ოჯახებს, შემდეგ ერთმანეთში ითათბირებენ და თავის გადაწყვეტილებას სენატს აცნობებენ[88]. ზოგჯერ საქმე გადააქვთ მთელი კუნძულის კრებაზე. სენატს, გარდა ამისა, აქვს ასეთი წესიც: არც ერთი წინადადება არ გაარჩიონ იმ დღეს, როდესაც იგი პირველად შევა, და გადადონ სენატის მორიგ თათბირამდე, რათა არავინ არ წამოროშოს, რაც ენაზე მოადგება. ასე რომ არ იყოს, მაშინ კაცი იმაზე იფიქრებს, თუ როგორ დაიცვას თავისი პირველი გადაწყვეტილება და არა იმაზე, თუ რა უფრო არგებს სახელმწიფოს. მახინჯი და ცრუ პატივმოყვარეობის გამო იგი უფრო ადრე დათმობს საზოგადოებრივ კეთილდღეობას, ვიდრე საკუთარ ნათქვამს, საკუთარ წარმოდგენას, ვითომდა მან ნაკლები იზრუნა იმაზე, რაზეც უნდა ეზრუნა, სახელდობრ — ელაპარაკა უფრო დინჯად და დაფიქრებულად, ვიდრე სულსწრაფად და ნაჩქარევად.

ხელობათათვის

ყველა ქალსა და კაცს ერთი საქმე აქვს — მიწათმოქმედება, რომლისგანაც არავინ თავისუფლდება. პირიქით, მას ყველა სწავლობს ბავშვობიდანვე, ნაწილობრივ სკოლაში მოძღვრების დაუფლების გზით, ნაწილობრივ კი ქალაქის ახლომახლო მინდვრებზე, სადაც ბავშვები

თითქოსდა სათამაშოდ გაჰყავთ, მაგრამ ისე გამოდის, რომ იქ ისინი არა მარტო აკვირდებიან გარემოს, არამედ ფიზიკური ვარჯიშის სახით მუშაობენ კიდეც.

მიწათმოქმედების გარდა (რასაც, როგორც უკვე ვთქვი, ყველა მისდევს), თითოეული სწავლობს ერთ რომელიმე საკუთარ ხელობას, ჩვეულებრივ ეს ან მატყლის დართვაა, ან სელის გამოყვანა, ან ქვისმთლელთა, მელითონეთა და ხის ოსტატთა ხელობა. შეიძლება ითქვას, რომ ამის გარდა მათ არა აქვთ სხვა რაიმე ისეთი, რომელიც აღნიშვნის ღირსი იყოს. რაც შეეხება ტანსაცმელს, იმის გარდა, რომ იგი გარეგნულად განსხვავებულია სხვადასხვა სქესის პირთათვის, როგორც მარტოხელათათვის, ისე დაქორწინებულთათვის, მისი შეკერილობა ყოველთვის ერთნაირი, უცვლელი და მუდმივია, შესახედავად სავსებით მოსაწონი, მოძრაობისათვის მოსახერხებელი და სიცივისა და სიცხესთან შეფარდებული. და, აი, ამ ტანსაცმელს თითოეული ოჯახი თვითონვე იმზადებს. სხვა ხელობებიდან ისინი სწავლობენ კიდევ ერთ რომელიმეს, თანაც სწავლობენ არა მარტო კაცები, არამედ ქალებიც. ქალები, როგორც შედარებით სუსტები, უფრო ადვილი საქმით არიან დაკავებულნი: ჩვეულებრივ ამუშავებენ მატყლს ან სელს. მამაკაცებს ეკისრებათ სხვა, უფრო ძნელი ხელობები. ხშირად ახალგაზრდები მამის ხელობას მისდევენ, უმრავლესობას მისკენ ბუნებრივი მიდრეკილება აქვს. მაგრამ თუ ვინმეს სხვა საქმიანობისადმი აქვს მისწრაფება, მას ისეთ ოჯახს მიაშვილებენ, რომლის საქმიანობისადმიც იჩენს სიყვარულს. ასეთ შემთხვევაში არა მარტო ამ ახალგაზრდის მამა, არამედ ხელისუფლებაც ზრუნავს იმაზე, რომ იგი დარბაისელსა და კეთილშობილ ოჯახის უფროსს ჩაებარონ. გარდა ამისა, თუ ვინმე ერთი ხელობის შესწავლის შემდეგ მოინდომებს მეორის შესწავლასაც, ამის ნებართვას ისევ იმავე გზით იღებს. როცა იგი ორივე ხელობას დაეუფლება, აირჩევს სამუშაოდ იმას, რომელიც თვითონ უნდა, თუ, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს უფრო სხვა არ ესაჭიროება.

სიფოგრანტუსთა უმთავრესი და თითქმის ერთადერთი საქმიანობაა ზრუნვა და დაკვირვება იმაზე, რომ არავინ იჯდეს უქმად, თითოეული მუშაობდეს თავისი ხელობის მიხედვით, მაგრამ არა ადრე დილიდან გვიან ღამემდე[89], რათა საქონელივით არ დაიქანცოს, თორემ ასეთი მძიმე შრომა ხომ მონების ხვედრსაც კი აღემატება, თუმცა ასეთ ცხოვრებას ეწევიან მუშები ყველგან, გარდა უტოპიისა. უტოპიელები დღე-ღამეს ოცდაოთხ თანაბარ ნაწილად ყოფენ და სამუშაოს აქედან

მხოლოდ ექვს საათს უთმობენ: პირველ სამ საათს შუადღემდე მუშაობენ, რის შემდეგაც სასადილოდ მიდიან, სადილის შემდეგ ნაშუადღევის ორ საათს ისვენებენ და ისევ განაგრძობენ მუშაობას მეორე სამ საათს. საშუშაო დღეს ვახშმით ამთავრებენ. ვინაიდან უტოპიელები პირველ საათს შუადღიდან ითვლიან, დაახლოებით რვა საათისათვის უკვე დასაძინებლად მიდიან. ძილისთვის გამოყოფილი აქვთ რვა საათი. მთელი დრო, რომელიც მუშაობას, ძილსა და ჭამას შორის რჩება, თითოეულს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს, მაგრამ არა განცხრომისა და მცონარობისათვის, არამედ იმისათვის, რომ, თავისი ხელობისაგან თავისუფალმა, აზრიანად, სარგებლიანად გამოიყენოს ეს საათები რაიმე სხვა საქმისათვის. ამ დროს უტოპიელთა უმრავლესობა მეცნიერების შესწავლას უთმობს[90]. ისინი ჩვეულებრივ ყოველდღიურად გარიჟრაჟამდე[91] აწყობენ საჯარო კითხვას. ეს საქმე მინდობილი აქვს მხოლოდ იმას, ვინც საგანგებოდაა შერჩეული მეცნიერებისათვის. ამათ გარდა, ყველა წოდების როგორც კაცები, ისე ქალები, დიდ-დიდ ჯგუფებად იკრიბებიან და მიდიან ზოგნი ერთ, ზოგნი კი მეორე საჯარო კითხვაზე დასასწრებლად, იმის მიხედვით, თუ რომლისკენ აქვთ მისწრაფება. თუმცა ისიც ხდება, რომ თუკი ვინმე არჩევს ეს დრო ისევ თავის ხელობას დაუთმოს, და ასეთი კი ბევრია, ვისაც რომელიმე მეცნიერების დაუფლების სურვილი არა აქვს,— მას არავინ უშლის ხელს ამაში, უფრო მეტიც, ასეთი პიროვნება ქებასაც კი იმსახურებს, როგორც სახელმწიფოსათვის სარგებლობის მომტანი.

ნავახშმევს უტოპიელები ერთ საათს გართობაში ატარებენ: ზაფხულში ბაღებში, ზამთარში კი იმ საერთო დარბაზებში, სადაც სადილობენ. აქ ისინი ან მუსიკას უსმენენ, ან სასიამოვნო საუბრებს მართავენ. რაც შეეხება კამათლებით თამაშსა და სხვა ამგვარ უაზრო და დამღუპველ გასართობებს, წარმოიდგინეთ, მათ უტოპიელები არც კი იცნობენ. თუმცა მათთან გავრცელებულია ორი თამაში, რომელიც რაღაცით წააგავს ჭადრაკს. ერთი—ესაა ციფრების ბრძოლა, სადაც ერთი ციფრი იჭერს მეორეს, და მეორე თამაში, როდესაც მანკიერებანი სამხედრო წესით ებრძვიან ღირსებებს. ამ თამაშში მეტად მოხერხებულადაა მითითებული როგორც მანკიერებათა შორის არსებულ განხეთქილებაზე, ისე მათ ერთსულოვნებაზე ღირსებების წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე იმაზე, თუ რომელი მანკიერება რომელ ღირსებას უპირისპირდება, როგორ ძალებს უცხადებენ ისინი აშკარა ბრძოლას,

როგორი ხრიკებით ეპარებიან შეფარვით, თავის მხრივ, რის დახმარებით ასუსტებენ ღირსებანი მანკიერებათა ძალებს, როგორი ხერხებით არიდებენ ისინი თავს თავდასხმას და, ბოლოს, როგორ იმარჯვებს ესა თუ ის მხარე.

მაგრამ აქ, შემდგომი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ერთი საკითხი. სახელდობრ, თუ მხოლოდ ექვსი საათი ეთმობა სამუშაოს, მაშინ აქედან, როგორც ჩანს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამის შედეგად პირველი მოთხოვნილების საგნების გარკვეული ნაკლებობა შეიმჩნევა. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე როდია; უფრო მეტიც, სამუშაო დროის ეს რაოდენობა არა მარტო სავსებით საკმარისია ცხოვრებისათვის აუცილებელი მარაგის შესაქმნელად, არამედ გარკვეულ დანაზოგსაც იძლევა. ეს გასაგები გახდება, თუ თქვენ უფრო ღრმად ჩაუკვირდებით იმას, თუ სხვა ხალხების მოსახლეობის რა უზარმაზარი ნაწილი ცხოვრობს უსაქმოდ: ჯერ ერთი, ასე ცხოვრობს თითქმის ყველა ქალი — საერთო მასის ნახევარი, ხოლო თუ სადმე ქალები მუშაობენ, ივარაუდება, რომ მაშინ იქ მამაკაცები ხვრინავენ. ამასთან, წარმოიდგინეთ, რა ვეებერთელა და რა უსაქმურ ბრბოს შეადგენენ მღვდლები და ეგრეთ წოდებული ბერები. ამას დაუმატეთ კიდევ მდიდრები, განსაკუთრებით მემამულეები, რომლებსაც, ჩვეულებრივ, კეთილშობილებსა და წარჩინებულებს უწოდებენ; მიუმატეთ მათი ჯალაბი, აღკაზმული უსაქმურების მთელი ეს ხროვა, ბოლოს ჯაწმრთელი და საღ-სალამათი მათხოვრები, რომლებიც რაიმე ავადმყოფობის მომიზეზებით უსაქმურად ცხოვრობენ — და იძულებული გახდებით საბოლოო ჯამში აღიაროთ, რომ იმათი რაოდენობა, ვისი შრომითაც იქმნება ყოველივე ის, რითაც მოკვდავნი სარგებლობენ, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე თქვენ გეგონათ. დაფიქრდით ახლა, ამ მართლა მშრომელი ადამიანებიდან რა ცოტანი არიან დაკავებული საჭირო და აუცილებელი საქმით. სახელდობრ, რადგან ჩვენ ყველაფერს ფულით ვზომავთ, გარდუვალია ბევრი ისეთი საქმიანობის გამოყენება, სრულიად უაზრო და ზედმეტისა, რომლებიც მხოლოდ ფუფუნებასა და უზნეობას ემსახურება. მართლაც, მთელი ეს ბრბო, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოთი, რომ განაწილდეს იმ მეტად მცირერიცხოვანი ხელობების მიხედვით, რაც საჭიროა ბუნებრივ მოთხოვნილებათა სათანადოდ დასაკმაყოფილებლად, მაშინ ასეთი უხვი წარმოებისას, რომელიც უეჭველად უნდა მოჰყვეს ამას, შრომის ფასი, ცხადია, გაცილებით ნაკლები იქნება იმაზე,

რაც მუშებს სჭირდებათ თავიანთი არსებობისათვის. მაგრამ ავიღოთ ყველა ის პიროვნება, რომელიც ახლა უსარგებლო ხელობებით არის დაკავებული, და კიდევ მთელი ეს უსაქმურობისა და მცონარობისაგან დასავათებული ხალხის რიცხვი, რომელთაგან თითოეული სხვისი შრომით შექმნილ იმდენ სანოვაგეს ნთქავს, რაც მის ორ დამამზადებელს ეყოფოდა. ასე რომ, ვიმეორებ, თუკი ამ პიროვნებათა მთელ ერთობლიობას სამუშაოს მივუჩენთ და თანაც სასარგებლოს, ადვილად შევამჩნევთ, თუ რა ცოტა დრო იქნებოდა საჭირო ყველაფერი იმის საკმაო და უფრო ჭარბი რაოდენობით საწარმოებლად, რასაც სარგებლიანობისა და მიზანშეწონილობის პრინციპები მოითხოვს (ამას მიუმატეთ კიდევ სიამოვნებანი, ოღონდ ნამდვილი და ბუნებრივი).

ყოველივე ამას უტოპიაში ცხადად ადასტურებს თვით სინამდვილე. სახელდობრ, იქ მთელ ქალაქში, თავისი ოლქიანად, იმ მამაკაცებისა და ქალებისაგან, რომლებიც თავიანთი ძალაითა და ძალ-ღონით შრომისათვის ვარგისი არიან, მხოლოდ ხუთასი კაცი თუა განთავისუფლებული. მათ შორის სიფოგრანტუსები, რომლებსაც, მართალია, კანონით აქვთ უფლება არ იმუშაონ, მაგრამ მაინც არ არიდებენ შრომას თავს, რათა თავისი მაგალითით დანარჩენებს შრომის ხალისი შემატონ. ამავე შეღავათით სარგებლობენ ისინი, ვისაც ხალხი სასულიერო წოდების შუამდგომლობით და სიფოგრანტუსთა ფარული კენჭისყრით სამუდამოდ უბოძებს თავისუფლებას მეცნიერების საფუძვლიანად შესასწავლად. თუ რომელიმე ამ პირთაგან არ გაამართლებს მასზე დამყარებულ იმედს, მას უკან აბრუნებენ ხელოსნებთან. და, პირიქით, ხშირად ხდება, რომ რომელიმე მუშა ისე ბეჯითად მეცადინეობს მეცნიერებაში ზემოთ აღნიშნულ თავისუფალ საათებში და ისეთი სიბეჯითით გამოირჩევა, რომ მას ათავისუფლებენ თავისი ხელობიდან და მეცნიერთა თანრიგში გადაჰყავთ.

მეცნიერთა ამ წოდებიდან ირჩევენ ელჩებს, სასულიერო პირებს, ტრანიბორუსებს და, ბოლოს, თვით სახელმწიფოს მეთაურს, რომელსაც თავიანთ უძველეს ენაზე ისინი ბარზანს[92] უწოდებენ, ხოლო ახალზე — ადემუსს[93]. ვინაიდან უქმად თითქმის არავინ არ არის და ყველა სასარგებლო ხელობას მისდევს, ადვილი გამოსათვლელია, თუ რამდენ საჭირო საგანს ქმნიან ისინი და რა მცირე დროში. ჩემ მიერ მოტანილ მოსაზრებებს განამტკიცებს ის გარემოებაც, რომ აუცილებელ ხელობათა უმრავლესობა მათ გაცილებით ნაკლებ დროს ართმევს, ვიდრე სხვა ხალხებს. აი, მაგალითად, ავიღოთ მშენებლობის საქმე. შე-

ნობათა აგება ან შეკეთება ყველა ქვეყანაში ძალიან ბევრი მუშახელის განუწყვეტელ შრომას მოითხოვს, რადგან მფლანგველი მემკვიდრე თანდათან ანადგურებს მამის დანატოვარს. ამრიგად, ის, რისი შენარჩუნებაც მინიმალური დანახარჯებით შეიძლებოდა, მემკვიდრემ უნდა აღადგინოს დიდძალი თანხით. ესეც არ კმარა, ხშირად განებივრებული გემოვნების ადამიანი უსაფუძვლოდ იწუნებს სახლს, რომელიც სხვას აურაცხელი თანხა დაუჯდა, და როდესაც შეუკეთებლად დარჩენილი ეს სახლი მოკლე დროში ინგრევა, პატრონი იშენებს სხვაგან მეორეს და ამაზე დიდ ფულს ხარჯავს. უტოპიელებს კი, რომლებსაც ყველაფერი მოწესრიგებული აქვთ და რომელთა სახელმწიფოც კეთილმოწყობით გამოირჩევა, ძალიან იშვიათად უხდებათ ახალი ნაკვეთის შერჩევა სახლების ასაშენებლად. მუშები არა მარტო სწრაფად აღადგენენ უკვე დაზიანებულ შენობას, არამედ ისე აგებენ, რომ შეკეთება ნაადრევად აღარ დასჭირდეს. ამიტომ შრომის სულ მცირე დანახარჯებით შენობები ძალიან დიდხანს ძლებს და ამ ხელობის მუშები ძნელად შოულობენ სამუშაოს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ისინი იღებენ ბრძანებას, მასალა დროებით სახლში დაამზადონ, მაგალითად, გათალონ და გააპრიალონ ქვები, რათა საქმე წინ წაიგდონ.

და კიდევ, მიაქციეთ ყურადღება იმას, თუ რა მცირე შრომა სჭირდებათ მათ საკუთარი ტანსაცმლის დასამზადებლად. ჯერ ერთი, ვიდრე ისინი სამუშაოზე არიან, ზერელედ იფარავენ ტანს ტყავით ან ბეწვით, რომელიც მათ თითქმის შვიდ წელს ჰყოფნით. როდესაც ისინი ქუჩაში გამოდიან, ზემოდან იცვამენ გრძელ მოსასხამს, რომელიც ზემოაღნიშნულ უხეშ ტანსაცმელს ფარავს. ამ მოსასხამის ფერი ერთნაირია მთელს კუნძულზე და ამასთან ესაა შალის ბუნებრივი ფერი. ამიტომ აქ არა მარტო ყველაზე უფრო ნაკლები მაუდი იხარჯება, ვიდრე სადმე სხვაგან, არამედ მისი დამზადებაც გაცილებით ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს. სელის დამზადებაზე ხომ კიდევ უფრო ნაკლები შრომა იხარჯება და ამიტომ მას უფრო ფართოდ იყენებენ. მაგრამ ტილოში ისინი უპირატესობას პირველ ყოვლისა სითეთრეს ანიჭებენ, ხოლო შალის ქსოვილში — მხოლოდ და მხოლოდ სისუფთავეს. უფრო ნატიფ ნამუშევარს აქ არავითარი ფასი არა აქვს. ამის შედეგად მათთან თითოეული კმაყოფილდება ერთი ხელი ტანსაცმლით და ამასთან ჩვეულებრივ ორი წლის განმავლობაში ჰყოფნის. სხვა ქვეყნებში კი ერთ ადამიანს არ ჰყოფნის ოთხი ან ხუთი ხელი შალის ზედა ტანსაცმელი და ისიც ნაირფერი, და ამასთან ერთად აქვთ კიდევ ამდენივე აბრეშუ-

მის პერანგი, ზოგიერთ ნებიერას კი ათიც არ ჰყოფნის. უტოპიელს არავითარი საფუძველი არა აქვს ტანსაცმელზე მოთხოვნილებისათვის: რამოდენიმე ხელი ტანსაცმელი მას უკეთ ვერ დაიცავს სიცივისაგან და არც სხვაზე უფრო მორთულ-მოკაზმულად ჩაითვლება.

ვინაიდან უტოპიელები სასარგებლო შრომით არიან დაკავებული და მის შესასრულებლად საკმარისია მხოლოდ მცირე შრომა, მათ ყველაფერი უხვად აქვთ. ამის შედეგად მოსახლეობის დიდ რაოდენობას დრო რჩება და ხანდახან ქალაქგარეთ უხდება გასვლა გზების შესაკეთებლად, თუ ისინი გაფუჭებულია. ძალიან ხშირად, როცა არ არის რაიმე ამგვარი სამუშაო, სახელმწიფო აცხადებს სამუშაო საათების ნაკლებ რაოდენობას. ხელისუფლებას სულაც არ სურს იძულებით ამუშაოს ხალხი უფრო მეტ ხანს, ვიდრე საჭიროა. ამ მოვალეობის დაწესება პირველ ყოვლისა იმ მიზანს ემსახურება, რომ, რამდენადაც ეს შესაძლებელია საზოგადოებრივი საჭიროების თვალსაზრისით, ყოველი მოქალაქე უზრუნველყოფილი იყოს დროის მაქსიმალური ოდენობით, რათა ფიზიკური მონობის შემდეგ დრო გამოიყენოს სულიერი სიამოვნებისა და განათლებისათვის. ამაშია, მათი აზრით, ჰარმონია, ცხოვრების ბედნიერება.

ერთმანეთთან დამოკიდებულებისათვის

ახლა კი, ვფიქრობ, უკვე დროა მოგიყვეთ, თუ როგორი ურთიერთობა აქვთ ცალკეულ მოქალაქეებს ერთმანეთში, რანაირია მთელი ხალხის ურთიერთკავშირი და როგორ ნაწილდება მათთან ყველა საგანი. პირველ ყოვლისა ვილაპარაკებ ქალაქებზე. ყოველი ქალაქი შედგება ოჯახებისაგან: ეს ოჯახები უმრავლეს შემთხვევაში აერთიანებენ ნათესავებს. სათანადო ასაკს მიღწეული და გათხოვილი ქალები საცხოვრებლად ქმრის სახლში გადადიან, ხოლო ვაჟიშვილები და შემდეგ შვილიშვილებიც ოჯახში რჩებიან და ნათესავთა შორის უხუცესს ემორჩილებიან, თუკი მისი გონებრივი შესაძლებლობანი არ შესუსტდა სიბერის გამო (მაშინ მას ცვლის მისი მომდევნო ოჯახის წევრი ასაკის მიხედვით).

ქალაქების მეტისმეტად მეჩხერად დასახლების ან ჭარბი მოსახლეობის თავიდან ასაცილებლად მიღებულია სიფრთხილის ასეთი ზომა: ყოველ ოჯახში, რომელთა რაოდენობა თითოეულ ქალაქში, მიდამოთა გარდა, ექვს ათასს შეადგენს, არ უნდა იყოს ათზე ნაკლები და

თექვსმეტზე მეტი მოზრდილი. რაც შეეხება ბავშვებს, მათი რაოდენობა არავითარ აღრიცხვას არ ექვემდებარება. ამ ზომების დაცვა ადვილია მცირერიცხოვან ოჯახებში იმათი გადაყვანით, ვინც ზედმეტია მრავალრიცხოვანებში. ხოლო თუ ქალაქის გაზრდა საერთოდ დაარღვევს სათანადო ზღვრებს, უტოპიელები ამის ხარჯზე შეავსებენ სხვა ქალაქების მცირერიცხოვნობას. თუ ხალხის რაოდენობა ძალიან გაიზრდება მთელს კუნძულზე, ისინი ირჩევენ მოქალაქეებს ყოველი ქალაქიდან და თავიანთი კანონების მიხედვით აწყობენ კოლონიას უახლოეს მატერიკზე, სადაც კი უცხოელებს ზედმეტი და თანაც დაუმუშავებელი მიწა აქვთ. ამასთან უტოპიელები მოიხმობენ უცხოელთ და ეკითხებიან, თანახმანი არიან თუ არა, მათთან ერთად იცხოვრონ. თანხმობის შემთხვევაში უტოპიელები ადვილად ეთვისებიან მათ, სარგებლობენ რა ერთი და იმავე წესითა და ჩვეულებებით. ეს კი სასიკეთოა როგორც ერთი, ისე მეორე ხალხისათვის. თავიანთი წესებით უტოპიელები აღწევენ იმას, რომ ის მიწა, რომელიც ადრე მწირი და ხრიოკი ეჩვენებოდათ, ახლა ორივესთვის მსუყედ იქცევა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი მკვიდრნი უარს ამბობენ უტოპიელთა წესების მიხედვით ცხოვრებაზე, ეს უკანასკნელნი განდევნიან მათ თავისთვის არჩეული საზღვრებიდან. წინააღმდეგობის შემთხვევაში უტოპიელები ომს იწყებენ. მათ ომისათვის სავსებით სამართლიან მიზეზად მიაჩნიათ ის შემთხვევა, როდესაც რომელიმე ხალხი, რომელიც ტყუილად და უმაქნისად ფლობს მიწა-წყალს, არც თვითონ სარგებლობს და არც სხვას ასარგებლებს, უარს ეუბნება სარგებლობასა და გამოყენებაზე იმათ, ვინც ბუნების კანონით მისგან უნდა იკვებებოდეს. თუ რაიმე უბედური შემთხვევის გამო თვით უტოპიელთა ზოგიერთი ქალაქის მოსახლეობა შემცირდება იქამდე, რომ მისი შევსება არ ხერხდება კუნძულის სხვა ნაწილებიდან (ეს კი, როგორც ამბობენ, სულ ორჯერ მოხდა სასტიკი და მძვინვარე შავი ჭირის შემდეგ), იგი შეივსება კოლონიიდან უკან გადმოსახლებულ მოქალაქეთა ხარჯზე. უტოპიელებს ურჩევნიათ კოლონიებს შეელიონ, ვიდრე კუნძულის რომელიმე ქალაქი დასუსტდეს.

ისევ ვუბრუნდები მოქალაქეთა ერთად ცხოვრების წესებს. როგორც უკვე ვთქვი, ოჯახს სათავეში უდგას უხუცესი. ცოლები ემსახურებიან ქმრებს[94], შვილები — მშობლებს და საერთოდ — უმცროსები უფროსებს. ყოველი ქალაქი დაყოფილია ოთხ თანაბარ ნაწილად. თითოეული ნაწილის შუაგულში არის ბაზარი, სადაც ყველაფერია.

თითოეული ოჯახის ნახელავი მიაქვთ იქ, საგანგებო სახლებში, და სახეობათა მიხედვით ცალობით ანაწილებენ საწყობებში. იქიდან კი თითოეული ოჯახის უფროსი ითხოვს, რაც სჭირდება, და უფულოდ, ყოველგვარი სასყიდლის გარეშე მიაქვს შინ. რატომ უნდა უთხრან მას უარი? ჯერ ერთი, ყველაფერი ხომ საკმაოდ უხვადაა და, მეორეც, არ არსებობს იმის არავითარი საფრთხე, რომ ვინმე მოითხოვს იმაზე მეტს, რაც სჭირდება. რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ზედმეტს მოითხოვს ის, ვინც დარწმუნებულია, რომ არასდროს არაფერი დააკლდება? მართლაცდა, ყოველ ცოცხალ არსებაში და მით უმეტეს ადამიანში ხომ სიხარბე და მტაცებლობა იმიტომ იღვიძებს, რომ სიღარიბისა ეშინია ანდა ეამაყება, როცა თავისი ქონებით სხვებს აღემატება. აი, ასეთი რამ უცხოა უტოპიელებისათვის.

ჩემ მიერ აღნიშნულ ბაზრებს მიეკუთვნება სურსათის ბაზრები, სადაც არა მარტო ბოსტნეული, ხილი და პური გამოაქვთ, არამედ თევზიცა და ხორცეულიც — ოთხფეხა პირუტყვისა და ფრინველის საჭმელად ვარგისი ყველა ნაწილი. საინტერესოა, რომ უტოპიელებს ქალაქგარეთ მოწყობილი აქვთ საგანგებო ადგილები, სადაც მდინარის წყალი ჩარეცხავს ყოველგვარ ჭუჭყსა და სიბინძურეს. მათ იქიდან ჩამოაქვთ ხორცეული მას შემდეგ, რაც მსახურები დაკლავენ და გაატყავებენ პირუტყვს. უტოპიელებს აკრძალული აქვთ საქონლის დაკვლა-გატყავება ადგილებზე, ვინაიდან ამით, მათი აზრით, თანდათანობით ქრება გულმოწყალება, ჩვენი ბუნების ყველაზე უფრო ადამიანური გრძნობა. გარდა ამისა, კრძალავენ ქალაქში ყოველგვარი სიბინძურისა და ჭუჭყის შემოტანას, რადგან ლპობა აბინძურებს ჰაერს და შეიძლება სხვადასხვა ავადმყოფობაც გამოიწვიოს.

გარდა ამისა, ყველა ქუჩაზე დგას ერთმანეთისაგან ტოლი მანძილით დაშორებული ფართო სასახლე. ყოველ მათგანს თავისი სახელი ჰქვია. მათში სიფოგრანტუსები ცხოვრობენ. თითოეულ ამ სასახლეზე მიწერილია ოცდაათი ოჯახი, თხუთმეტ-თხუთმეტი ორივე მხრიდან. ამ ოჯახებმა აქ უნდა ისადილონ. თითოეული სასახლის სამზარეულოს გამგე გარკვეულ საათებში მიდის ბაზარში და მოაქვს მათთვის საკმარისი საკვები.

უტოპიელები პირველ რიგში ზრუნავენ ავადმყოფებზე, რომლებსაც საზოგადოებრივ დაწესებულებებში მკურნალობენ. მათ ოთხი საავადმყოფო[85] აქვთ ქალაქიდან მცირე მანძილის დაშორებით. ეს საავადმყოფოები იმდენად დიდებია, რომ ამდენსავე დაბას შეიძლება

გაუთანაბრდეს. ეს იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ავადმყოფებმა, რაც არ უნდა ბევრი იყვნენ, ვიწროდ და ამიტომ მოუხერხებლად არ იგრძნონ თავი, ხოლო მეორეც ის, რომ გადამდები დაავადებით შეპყრობილნი რაც შეიძლება შორს იყვნენ ჯანმრთელებისაგან. საავადმყოფოები შესანიშნავადაა მოწყობილი, აღჭურვილია ყველაფრით, რაც კი ჯანმრთელობის აღსადგენადაა საჭირო; მოვლა აქ მეტად სათუთი და გულმოდგინეა, ავადმყოფებს თავს დასტრიალებენ ყველაზე უფრო გამოცდილი ექიმები. ამიტომ, მართალია, აქ არავის არ გზავნიან იძულებით, მაგრამ მთელ ქალაქში არ მოიძებნება ვინმე, რომელსაც ავადმყოფობის შემთხვევაში იქ ყოფნა არ ერჩივნოს სახლში წოლას.

მას შემდეგ, რაც საავადმყოფოს სამზარეულოს გამგეები მიიღებენ საკვებს ექიმთა დანიშნულების მიხედვით, ყველაფერი საუკეთესო თანაბრად ნაწილდება სასახლეებზე, სიფოგრანტუსთა რაოდენობის შესაბამისად, მათ შორის იგულისხმება აგრეთვე თავადი, მღვდელმთავარი, ტრანიბორუსები, ელჩები და ყველა უცხოელი (თუკი ასეთები არიან; ჩვეულებრივ კი ისინი ცოტანი არიან და თანაც იშვიათად; მაგრამ როდესაც კი გამოჩნდებიან, მათთვისაც აქვთ კეთილმოწყობილი სახლები).

სასახლეებში სადილისა და ვახშმისათვის დადგენილ საათებში იკრიბება მთელი სიფოგრანტია, მათ სპილენძის საყვირი მოუხმობს (გარდა ჰოსპიტლებში ან სახლებში მწოლიარე ავადმყოფებისა). არავის არ ეკრძალება სასახლეში სადილობის შემდეგ ბაზრიდან საკვების მოტანა სახლისათვის, რადგან ყველამ იცის, რომ არავინ არ აკეთებს ამას ტყუილუბრალოდ. მართლაცდა, თუმცა არავის არ ეკრძალება სახლში სადილობა, არავინ არ აკეთებს ამას სიამოვნებით, ვინაიდან უზნეობად და სისულელედ ითვლება დროის დახარჯვა უარესი საკვების დამზადებაზე, როდესაც სასახლეში, რომელიც ასე ახლოსაა, მზადაა მდიდრული და უხვი სუფრა. ამ სასახლეში ყველა სამუშაოს, უფრო ჭუჭყიანსა და ძნელს, მონები ასრულებენ. მაგრამ საკვების მომზადება და აგრეთვე საერთოდ მთელი სადილის გაძღოლა ეკისრებათ მხოლოდ ქალებს, თანაც მორიგეობით ყოველი ოჯახიდან. სადილის დროს მეინახენი შემოუსხდებიან სამ ან მეტ მაგიდას, იმის მიხედვით, რამდენი არიან. მამაკაცები სხდებიან შიგნითა მხარეს, კედლის გასწვრივ, ხოლო ქალები — მოპირდაპირე მხარეს, რათა იმ შემთხვევაში, თუ მათ რაიმე შეემთხვათ მოულოდნელად (ეს კი ხანდახან ემართე-

ბათ ორსულებს), შეეძლოთ ადგომა და ძიძებთან წასვლა სხვების შეუწუხებლად.

ძიძები ცალკე სხედან ჩვილ ბავშვებთან ერთად საგანგებოდ გამოყოფილ სასადილოში, სადაც ყოველთვის არის ცეცხლი და სუფთა წყალი, ზოგჯერ კი აკვნებიც დგას, რათა შეიძლებოდეს იქ ჩვილ ბავშვთა ჩაწვენა ან, სურვილისამებრ, სახვევებისაგან გამოხსნა, ცეცხლთან ახლოს დასვენება, გართობა. ყოველი დედა თვითონ კვებავს თავის შვილს, სანამ ცოცხალია ან ავადმყოფობა არ შეუშლის ხელს. თუ ასეთი რამ მოხდება, სიფოგრანტუსთა ცოლები ეძებენ ძიძას, რაც არაა ძნელი: ქალები, რომლებსაც ამ მოვალეობის შესრულება შეუძლიათ, უფრო დიდი სიამოვნებით ასრულებენ მას, ვიდრე სხვა რომელიმე სამუშაოს, რადგან ყველას ქებას იმსახურებენ თანაგრძნობისათვის და აღზრდილიც თავის ძიძას დედად მიიჩნევს. ძიძათა თავშესაფარშია ყველა ბავშვი, რომელსაც ჯერ ხუთი წელი არ შესრულებია. რაც შეეხება დანარჩენ არასრულწლოვანებს, რომელთა შორისაც ირიცხება ორივე სქესის ყველა ახალგაზრდა, რომელსაც საქორწინო ასაკი არ შესრულებია, ისინი ან ემსახურებიან სუფრის წევრებს, ანდა, თუკი მათ ეს თავიანთი წლოვანების გამო არ შეუძლიათ, იქ მდუმარედ დგანან. ისინი იკვებებიან იმით, რასაც მათ მაგიდებთან მსხდომნი მიაწოდებენ, რადგან სხვა გარკვეული დრო არა აქვთ გამოყოფილი ჭამისათვის. პირველი მაგიდის შუა ადგილი უმაღლესად ითვლება და, ვინაიდან ეს მაგიდა სასადილო ოთახის ბოლოში გარდიგარდმო დგას, იქიდან მოჩანს მთელი შეკრება. აქ სხედან სიფოგრანტუსი და მისი ცოლი, მათ გვერდით ზის ორი უხუცესი, რადგან ყველა მაგიდასთან საერთოდ ოთხ-ოთხნი სხედან. თუ ამ სიფოგრანტიაში ტაძარიც არის, მაშინ მღვდელი და მისი მეუღლე სხდებიან სიფოგრანტუსთან, ისე რომ ისინი სუფრის თავში მოხვდნენ. სუფრას ორივე მხრიდან უზის ახალგაზრდობა, შემდეგ ისევ მოხუცები სხედან და, ამგვარად, მთელ სახლში ტოლები ერთად არიან თავმოყრილი და თანაც შეთვისებული სხვა ასაკის ადამიანებთან. ამ ჩვეულების მიზეზი, როგორც ამბობენ, არის შემდეგი: ვინაიდან სუფრასთან დაუშვებელია რაიმე ისეთის გაკეთება ან თქმა, რაც არ შეეფერება უხუცესთა საზოგადოებას, მათი დარბაისლობისა და მათდამი პატივისცემის გამო, ეს აკავებს ახალგაზრდობას უადგილო და უხეში სიტყვა-პასუხის ან უკადრისი ქცევებისაგან. აქ კერძები რიგდება არა მიყოლებით, დაწყებული პირველი ადგილიდან, არამედ ყველაფერ საუკეთესოს პირველ რიგში

მიართმევენ უხუცესებს, რომელთა ადგილები საგანგებოდაა შერჩეული, ხოლო შემდეგ თანაბრად მიუტანენ სხვებსაც. უხუცესნი, თავის მხრივ, თავიანთი შეხედულებისამებრ ურიგებენ გარშემო მსხდომთ ნუგბარს, როცა მარაგი შედარებით ნაკლები აქვთ და უნდათ ყველას ამყოფინონ. ამრიგად, ხანდაზმულებს შენარჩუნებული აქვთ მათი კუთვნილი პატივისცემა და ყველანი კმაყოფილი რჩებიან.

ყოველი სადილი და ვახშამი იწყება რაიმე დამრიგებლური ხასიათის, თანაც ძალიან მოკლე კითხვით, რათა თავი არავის მოაბეზრონ. ამის შემდეგ უფროსები გააბამენ დინჯ საუბარს, არც უსიამოვნო მოსასმენს და არც გონებამახვილობას მოკლებულს. ისინი სულაც არ ანდომებენ ჭამის მთელ დროს გრძელ-გრძელი ამბების თხრობას, პირიქით, უფრო დიდი სიამოვნებით უსმენენ ახალგაზრდებს და იწვევენ კიდევაც მათ საუბარში. ამით მათ სურთ გაიგონ თითოეულის შესაძლებლობანი და ნიჭიერება, რაც სუფრასთან ძალდაუტანებელ ურთიერთობაში უფრო მეღავნდება. სადილი საკმაოდ ხანმოკლეა, ვახშამი კი უფრო ხანგრძლივი, რადგან პირველს მოსდევს შრომა, ხოლო მეორეს—ძილი, მოსვენება, რაც უტოპიელთა შეხედულებით უფრო სასარგებლოა საჭმლის მონელებისათვის. აქ არც ერთი ვახშამი არ ტარდება მუსიკის გარეშე, სადილზე დასაყოლებლად ყოველთვის აქვთ ტკბილეული. ისინი ანთებულ სურნელოვან საკმეველს ასხურებენ ირგვლივ და საერთოდ ყველაფერს აკეთებენ, რასაც ჭამის დროს მხიარული განწყობის შექმნა შეუძლია. უტოპიელები განსაკუთრებული მონდომებით იზიარებენ იმ მოსაზრებას, რომ არ შეიძლება არც ერთი სახის სიამოვნების აკრძალვა, თუ იგი რაიმე უსიამოვნების მიზეზი არ გახდება.

აი, როგორ არის მოწყობილი უტოპიელთა თანაცხოვრება ქალაქებში; სოფლებში კი, სადაც ოჯახები უფრო შორ-შორს არიან ერთმანეთისაგან, თითოეული ოჯახი თავის სახლში სადილობს და ვახშმობს. აქ სურსათის ნაკლებობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება — სოფელი ხომ თვითონ კვებავს ქალაქს.

უტოპიელთა მოგზაურობისათვის

თუ რომელიმე უტოპიელი მოისურვებს სხვა ქალაქებში მცხოვრები მეგობრების მონახულებას ან უბრალოდ ამ ადგილების დათვალიერებას, ამაზე თანხმობას ადვილად მიიღებს თავისი სიფოგრანტუ-

სისა და ტრანიბორუსისაგან, რა თქმა უნდა, რაიმე ხელის შემშლელი მიზეზი თუ არ იქნა. მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფები ერთდროულად გადიან სამოგზაუროდ. გამგზავრებისათვის გამგებლის ნებადამრთველი ბარათით, რომელშიც დაბრუნების დღეცაა აღნიშნული, ისინი ღებულობენ ოთხთვალას და სახელმწიფო მონას, რათა მან გარეკოს ხარები და მოუაროს მათ. თუ მოგზაურთა შორის ქალები არ არიან, ოთხთვალას, როგორც ზედმეტ ბარგს, უკან აბრუნებენ. თუმცა სამოგზაუროდ წასულებს თან არაფერი მიაქვთ, მაინც უზრუნველად არიან, ვინაიდან თავს ყველგან ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში. თუ რომელიმე ადგილზე ისინი ერთ დღეზე მეტ ხანს შეყოვნდებიან, თითოეული ხელს ჰკიდებს თავის ხელობას და ამავე ხელობის მასპინძლებისაგან დიდ მოწონებას იმსახურებს. მაგრამ თუ ვინმე საკუთარი სურვილით გადალახავს თავის საზღვარს, მაშინ მმართველის ნებართვის უქონლობის გამო დაკავებულს ყოველნაირად არცხვენენ; მას, როგორც გაქცეულს, აბრუნებენ და სასტიკად სჯიან, და თუ მეორედ გაბედავს წასვლას — მონად აქცევენ.

თუ ვინმე თავისი ქალაქის შემოგარენში ხეტიალს მოისურვებს, არავინ დაუშლის, ოღონდ ნებართვა ჰქონდეს ოჯახის უფროსისაგან და თანხმობა მეუღლისაგან. ეს კია, რომელ სოფელშიც უნდა მივიდეს, არსად არ გაუმასპინძლდებიან, სანამ ნახევარი დღის სამუშაოს არ შეასრულებს (ანდა იმდენს, რამდენის გაკეთებაც არის დათქმული სამხრობამდე). ამ პირობით მას თავისი ქალაქის ახლომახლო ყველგან შეუძლია გასვლა, რადგან ნაკლები სარგებლობა როდი მოაქვს ქალაქისათვის, ვიდრე შინ რომ დარჩენილიყო.

როგორც ხედავთ, უსაქმურობისა და სიზარმაცისათვის უტოპიელებს არავითარი საბაბი არ გააჩნიათ. იქ არ არის არც ერთი სამიკიტნო, არც ერთი ლუდხანა, სამეძაო, არ ყოფილა მოსყიდვის არც ერთი შემთხვევა, ნაძირალათა არც ერთი ბუდე, არც ერთი უკანონო თავყრილობა. ისინი ერთად არიან, და ამიტომ დროს ჩვეულებისამებრ მუშაობაში ან გონივრულ დასვენებაში ატარებენ.

ამ დაკანონებული ჩვეულების ბუნებრივი შედეგია ის, რომ ამ ხალხს ყოველთვის ჭარბი საქონელი აქვს, და რადგან თითოეულ კაცზე ყველაფერი თანაბრად ნაწილდება, გაჭირვებული და ღარიბი საბოლოოდ აღარავინ რჩება. როგორც კი ამაუროტის სენატში (რომლის შემადგენლობაში, როგორც აღვნიშნეთ, ყოველწლიურად თითოეული ქალაქიდან სამ-სამ წარმომადგენელს ირჩევენ) შეიტყობენ, რომ რაი-

მე სანოვაგე სადღაც ზედმეტია ან, პირიქით, ნაკლები, ცდილობენ მდგომარეობა გააწონასწორონ. ეს კეთდება უანგაროდ — სანაცვლოდ არაფერს ითხოვენ მათგან, ვისაც რაიმეს აჩუქებენ. რაკი თავიანთ ნამეტს რომელიმე ქალაქს აძლევენ და სამაგიეროს არ იღებენ, საჭიროების შემთხვევაში ისინი სხვა ქალაქებიდან ღებულობენ ყველაფერს, თანაც ასევე უანგაროდ. ამგვარად, მთელი კუნძული თითქოსდა ერთ ოჯახად ცხოვრობს.

როდესაც უტოპიელები თავიანთთვის საკმარისად გაირჯებიან (და ამას ორი წლის სურსათის მარაგის დაგროვების შემდეგ მიიჩნევენ საჭიროდ, რადგან არ იციან, როგორი მოსავალი ექნებათ გაისად), დარჩენილი ჭარბი საქონელი — ხორბალი, თაფლი, მატყლი, სელი, ხეტყე, ძოწეულის ქსოვილები და ტანსაცმელი, ცვილი, ქონი, ტყავი და კიდევ დამატებით დიდძალი პირუტყვი სხვა ქვეყნებში გააქვთ. ამ საქონლის მეშვიდედ ნაწილს ისინი იქაურ უქონელ მცხოვრებთ უტოვებენ საჩუქრად, დანარჩენს კი ზომიერ ფასად ყიდიან. ასეთი ვაჭრობის შედეგად მათ თავიანთ ქვეყანაში შეაქვთ არა მხოლოდ ის საქონელი, რომელიც სჭირდებათ (ასეთი კი მხოლოდ და მხოლოდ რკინაა), არამედ დიდძალი ოქრო და ვერცხლი. ამ წესის ხანგრძლივად დამკვიდრების შედეგად უტოპიელებს ყველგან ურიცხვი რაოდენობით აქვთ განძეულობა. ამიტომ ახლა უკვე ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, თუ როგორ გაყიდიან საქონელს — ნაღდ ფულზე თუ სესხით, დიდ ფულს ხელშეკრულების საფუძველზე ვალში აბანდებენ. ამ ხელშეკრულების დადების დროს, გარკვეული წესების შესრულებისას, უტოპიელები კერძო პირთა თავდებობას კი არ მოითხოვენ, არამედ მთელი ქალაქისას. თავის მხრივ კი ქალაქი, როგორც კი მოვა გადახდის დრო, კერძო პირებისაგან ითხოვს ვალის დაფარვას, ფული ხაზინაში შეაქვს და მანამ სარგებლობს ამ თავნის ნამატით, სანამ უტოპიელები უკან არ მოითხოვენ. უტოპიელები კი უმეტეს შემთხვევაში არ თხოულობენ ფულს, რადგან, სანამ არ დასჭირდებათ, უსამართლობად მიაჩნიათ მისი წართმევა. სხვათა შორის ისინი ფულს მხოლოდ იმ შემთხვევაში თხოულობენ უკან, როცა აუცილებელი ხდება ფულის განსაზღვრული ნაწილის მიცემა სხვა ხალხისათვის, ან როცა ომი გარდაუვალია. ასეთი შემთხვევისათვის ისინი თავიანთ საგანძურს ინახავენ, რათა მოულოდნელი საშიშროებისას გამოიყენონ, უფრო კი იმისათვის, რომ ნებისმიერი თანხის ფასად დაიქირაონ უცხოელი ჯარისკაცები, რომლებსაც უფრო ადვილად იმეტებენ ხიფათისათვის, ვიდრე თავისიანებს.

უტოპიელებმა იციან, რომ დიდი თანხით თვით მტრების მოსყიდვაც შეიძლება, რომლებიც მზად არიან არა მარტო უღალატონ, არამედ აშკარად ებრძოლონ ერთმანეთს. ამისათვის უტოპიელები აურაცხელ ოქრო-ვერცხლს საგანძურად კი არ ინახავენ, არამედ ისე იყენებენ, რომ მრცხვენია კიდეც ამაზე ლაპარაკი. თანაც, ვშიშობ, ჩემს სიტყვებს არ დაიჯერებთ. ვშიშობ იმიტომ, რომ ყოველივე ეს ჩემთვისაც ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა, საკუთარი თვალით რომ არ მენახა და მხოლოდ სხვისაგან გამეგონა. თითქმის ყოველთვის ასეა: რამდენადაც უცხოა ესა თუ ის მოვლენა სხვისი ადათ-წესებისათვის, იმდენად დაუჯერებელია. მართალია, უტოპიელთა ცხოვრების წესის დანარჩენი მხარეებიც მკვეთრად განსხვავდებიან ჩვენეულისაგან და ამიტომ ის, ვინც გონივრულად შეაფასებს მდგომარეობას, ნაკლებად გაოცდება, რომ ოქროსა და ვერცხლის მოხმარება მათ საკუთარ ჩვევებს უფრო შეესაბამება, ვიდრე ჩვენსას. ისინი ხომ ფულით თვითონ არ სარგებლობენ, ფულს მხოლოდ რაღაც შემთხვევისათვის ინახავენ, რომელიც ან მოხდება, ან არა.

ოქროსა და ვერცხლს[96], რომლისგანაც მზადდება ფული, უტოპიელები ისე ეკიდებიან, რომ იმაზე მეტად არავინ შეაფასოს, ვიდრე ბუნებრივად უნდა ღირდეს. ოქრო-ვერცხლი თავისი ღირსებით ხომ ბევრად ჩამორჩება რკინას? რკინის გარეშე, ისევე როგორც უცეცხლოდ და უწყლოდ, ადამიანს არსებობა არ შეუძლია. ამასთან ერთად, ბუნებამ ოქროსა და ვერცხლს არ მიანიჭა ისეთი თვისებები, ურომლისოდაც ჩვენ იოლად წასვლა გაგვიჭირდებოდა, მაგრამ ადამიანმა თავისი სისულელით მათ ფასი იშვიათობის გამო დაადო. გარდა ამისა, ბუნებამ, როგორც მზრუნველმა დედამ, ყველა საუცხოო თვისება ჰაერს, წყალსა და თვით მიწას უბოძა, ხოლო ამაო და უსარგებლო საგნები სიღრმეში ჩამალა. დავუშვათ, რომ უტოპიელებმა ეს ლითონები რომელიმე კოშკში გადამალეს, მაშინ ბრბოს უგუნურების წყალობით მმართველსა და სენატს ეჭვის თვალით დაუწყებენ ცქერას, თითქოსდა მათ სურთ გაიძვერობით მოატყუონ ხალხი და ამით თვითონ რაიმე მოგება ნახონ. ვივარაუდოთ, რომ დაიწყეს ამ ლითონებისაგან თასების და სხვა ნაკეთობების ხელმარჯვედ დამზადება, შემდეგ კი, შემთხვევითი ჯარისკაცების დაქირავების თანხის გასასტუმრებლად კვლავ დასჭირდათ მათი გადადნობა; მაშინ, შესაძლებელია იმის ვარაუდი, რომ ძნელადღა დათმობენ მას, რაც ერთხელ გასართობად მიიჩნიეს. სწორედ ამის საწინააღმდეგოდ მათ თავიანთი ცხოვრების შესაბამისი ხერ-

ხი მოიგონეს, რომელიც ძალიან განსხვავდება ჩვენეულისაგან, სადაც ოქროს ასე დიდად აფასებენ და გულმოდგინედ იცავენ. ვისთვისაც ეს ხერხი ცნობილია, ის ნამდვილად დამიჯერებს. უტოპიელები, მართალია, იაფფასიანი, მაგრამ ოსტატურად ნახელავი თიხისა და მინის ჭურჭლიდან ჭამენ და სვამენ. ოქროსა და ვერცხლისაგან არა მარტო საერთო სასახლეებში, არამედ კერძო სახლებშიც ღამის ქოთნებს და სიბინძურისათვის განკუთვნილ ჭურჭელს ამზადებენ[97]. ამასთან, ამ ლითონებისაგან უტოპიელები ჭედავენ ჯაჭვებსა და მძიმე ხუნდებს, რომლებსაც მონებს ადებენ. ყველა დამნაშავეს ყურზე ოქროს რგოლს ჰკიდებენ, თითებზე ბეჭდებს უკეთებენ, ყელზე ოქროს მძივებს, თავზე ოქროს სალტეს აჭდობენ. ამგვარად, ისინი ყოველგვარი საშუალებით ცდილობენ, ოქრო და ვერცხლი მათთან საძრახის საგნებად ითვლებოდეს. გამოდის, რომ უტოპიელები არავითარ ზარალს არ ნახავენ, თუნდაც ერთ მშვენიერ დღეს გამოიყენონ ლითონების მთელი მარაგი, რომლის დახარჯვაც სხვა ხალხს ისეთ ტანჯვას მიაყენებდა, ვით საკუთარი შიგნეულის წეწვა. უტოპიელებმა სულ ერთიანად რომ დახარჯონ ოქროს მთელი მარაგი, ამით არავის არაფერი დააკლდება. გარდა ამისა, ისინი ზღვის ნაპირზე აგროვებენ მარგალიტს, კლდეებში— ალმასს და ლალს, მაგრამ განა თავს იკლავენ მათი ძებნით, არა, შემთხვევით ნაპოვნს ამუშავებენ. ამ „ძვირფასეულობით“ რთავენ ბავშვებს, რომლებიც პატარობისას ამგვარი სამკაულებით ტრაბახობენ და ამაყობენ, მაგრამ როგორც კი მოიზრდებიან და დაინახავენ, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ ბავშვთა გასართობია, მშობლების ყოველგვარი შეხსენების გარეშე, სირცხვილით გვერდზე აწყობენ. ჩვენი ბავშვები კი, როდესაც წამოიზრდებიან, მარტო კოჭებს, ბურთებს და თოჯინებს ანებებენ თავს. ამგვარი, სხვა ხალხებისაგან მკვეთრად განსხვავებული წეს-ჩვეულებანი წარმოშობს განსხვავებულ მსოფლმხედველობას, რაშიც განსაკუთრებით ნათლად დამარწმუნა ანემოლიელი ელჩების[98] ერთმა შემთხვევამ.

უტოპიაში ჩემი ყოფნის პერიოდში ანემოლიელები ამაუროტში ჩამოვიდნენ ერთი საჭირო საქმის გასარჩევად. უტოპიელებმა წინასწარ სხვადასხვა ქალაქიდან სამ-სამი წარმომადგენელი გამოგზავნეს. მეზობელი ხალხების ელჩებმა, რომლებიც იქ უწინაც ჩადიოდნენ, კარგად იცოდნენ უტოპიელთა ადათ-წესები, მათ გაგონილი ჰქონდათ, რომ მათთან ძვირფასი სამოსი არ ფასობდა, ფარჩეულობას აბუჩად იგდებდნენ, ხოლო ოქროს სამკაულების ასხმას საძრახისად მიიჩნევდნენ.

ამიტომ ისინი, ჩვეულებრივ, ძალზე მოკრძალებული სამოსით ჩავიდნენ. მაგრამ მოშორებით მცხოვრებმა ანემოლიელებმა, რომლებსაც უტოპიელებთან იშვიათად თუ ჰქონიათ ურთიერთობა, როდესაც გაიგეს, რომ უტოპიელებს ერთი და იგივე, თანაც უხეში ტანსაცმელი აცვიათ, იფიქრეს, რაც არა აქვთ, რას ჩაიცმევენო და გადაწყვიტეს, უფრო ქედმაღლურად, ვიდრე ბრძნულად, ღმერთების სახით, მთელი ბრწყინვალებით წარმდგარიყვნენ და „საწყალი" უტოპიელებისათვის თავიანთი ჩაცმულობის ელვარებით თვალი მოეჭრათ. ასე მიადგა მათ სამი ელჩი ასი თანამგზავრის თანხლებით, ყველანი სხვადასხვაგვარ სამოსში, უმეტესობა ფარჩეულში გამოხვეული. თვით ელჩები (ვინაიდან ისინი საკუთარ ქვეყანაში ცნობილ პიროვნებებად ითვლებოდნენ) ოქრომკედით ნაქარგ მოსასხამებში იყვნენ გამოწყობილი, დიდი ყელსაბამები და ოქროს საყურეები ეკეთათ, თითები ოქროს ბეჭდებით ჰქონდათ დამშვენებული. მათ ქუდებს ამკობდა მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით მოოჭვილი მძივები. ერთი სიტყვით, ისინი იმით იყვნენ მორთულ-მოკაზმული, რითაც უტოპიელები მონებს სჯიან, ანდა საძრახისად და ბავშვთა გასართობ ნივთებად მიიჩნევენ. ერთ ნახვად ღირდა, თუ როგორ იფხორებოდნენ ანემოლიელები, როდესაც თავიანთ ჩაცმულობას უტოპიელებისას ადარებდნენ (მითუმეტეს, ამ დროისათვის ხალხი უკვე მოედანზე გამოეფინა). მეორე მხრივ, არანაკლებ საინტერესო იყო იმის ხილვა, თუ როგორ მწარედ გაუცრუვდათ იმედი და მოლოდინი ანემოლიელებს და რა შორს აღმოჩნდნენ ისინი სავარაუდო მისაგებელი პატივისცემისაგან. და მართლაც, თითქმის ყველა უტოპიელის აზრით, ზოგიერთების გარდა, რომელთაც რაღაც შემთხვევის წყალობით ნანახი ჰყავდათ სხვა ხალხები, მთელი ეს ბრწყინვალე სამოსი მეტად სამარცხვინო იყო. ისინი დიდებულთა ნაცვლად ყოველ მდაბიოს მოწიწებით ესალმებოდნენ, ხოლო ოქროს ჯაჭვებით დამშვენებული ელჩები მონებად მიიჩნიეს და მათდამი არავითარი პატივისცემა არ გამოიჩინეს. გარდა ამისა, იმასაც დაინახავდი, თუ როგორ უდიერად თამაშობდნენ უტოპიელი ბავშვები მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით. როცა ეს ნივთები ელჩების ქუდებზე შენიშნეს, მუჯლუგუნს წაჰკრავდნენ დედას და ასე ეუბნებოდნენ: „აი, დედა, რა დიდი რეგვენია, ის ბიჭუნასავით ჯერ კიდევ მარგალიტებითა და ქვებით ერთობა!" ხოლო მშობელი მთელი სიდინჯით უპასუხებდა: „ჩუმად, შვილო, ეს ალბათ ელჩთა რომელიმე მასხარათაგანია..." სხვები ზემოხსენებულ ოქროს ჯაჭვებზე ამბობდნენ, რომ ისინი ყველაფერში გა-

მოუსადეგარია, ვინაიდან იმდენად წვრილია, რომ მონა ადვილად შეძლებს მის გაწყვეტას, თანაც იმდენად ხალვათია, რომ მას როცა მოეხასიათება, შეუძლია მოიგლიჯოს და გაიქცეს, სადაც მოესურვება შეუბორკავი და თავისუფალი.

ორიოდე დღის შემდეგ ელჩებმა იქ ოქრო უზომო რაოდენობით იხილეს და მიხვდნენ, რომ უტოპიელთათვის მას ფასი თითქმის არც ჰქონდა და იმდენად სამარცხვინო იყო, რამდენადაც ამათთვის პატივსაცემი. ანემოლიელებმა ისიც დაინახეს, რომ ერთი ლტოლვილი მონის ჯაჭვებსა და ხუნდებზე უფრო მეტი ოქრო და ვერცხლი იყო დახარჯული, ვიდრე სამივე ელჩის. მთელ აღკაზმულობაზე. ამიტომ ელჩებს მოეკვეცათ ფრთები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უტოპიელებს მეგობრულად გაესაუბრნენ და მათი ადათ-წესები და შეხედულებები შეიტყვეს, ანემოლიელებმა იმ წამსვე ზიზღით მოიშორეს ყველაფერი ის, რითაც აქამდე ქედმაღლურად ტრაბახობდნენ. უტოპიელებს სწორედ რომ აოცებთ, თუ როგორ შეუძლია მოკვდავთაგან ვინმეს ციცქნა მარგალიტის ან ბრჭყვიალა ქვის საეჭვო ელვარებით აღფრთოვანდეს მაშინ, როცა მას არავინ უშლის შეხედოს რომელიმე ვარსკვლავს და, ბოლოსდაბოლოს, თვით მზის ჭვრეტაც ნებადართულია. განა შეიძლება ვინმე იმდენად უჭკუო იყოს, რომ თავისი თავი კეთილშობილად წარმოიდგინოს იმის გამო, რომ ნაზი შალისაგან დამზადებულ ქსოვილის სამოსს ატარებს? რაც არ უნდა ნაზი მატყლისაგან იყოს დამზადებული, ამ მატყლს ხომ ოდესღაც ცხვარი ატარებდა და იგი არასოდეს სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა ცხვარი. უტოპიელთათვის ისიც გასაოცარია, რომ ოქროს, რომელიც თავისი ბუნებით გამოუსადეგარია, ამჟამად დედამიწის ზურგზე ისეთი დიდი ფასი ადევს, რომ თვით ადამიანი, რომლის სარგებლობისთვისაც მიიღო მან ასეთი ფასი, გაცილებით იაფია ოქროზე. საქმე იქამდე მიდის, რომ რომელიმე ყეყეჩს, რომელსაც ჭკუა კუნძზე მეტი არა აქვს და რომელიც იმდენადვე ურცხვია, რამდენადაც სულელი, მონობაში ჰყავს ბევრი კარგი და ჭკვიანი ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მას ოქროს მონეტების დიდი გროვა ხვდა წილად, ხოლო თუ ბედი ან კანონთა რაიმე ფანდი (რომელსაც ბედზე ნაკლებად არ ძალუძს ყველაფრის ყირამალა ატრიალება) ოქროს ამ გროვას ხსენებულ ბატონს, მთელ მის ჯალაბს წაართმევს და ყველაზე საცოდავ და დამცირებულ უსაქმურს არგუნებს, ამის შედეგად ცოტა მოგვიანებით ბატონი, როგორც ფულზე დანამა-

ტი და დანაწონი, ყოფილი მსახურის კუთვნილებად იქცევა. მაგრამ უტოპიელებს გაცილებით აოცებთ და ეზიზღებათ ისინი, ვინც თითქმის ღვთიურ პატივს მიაგებს იმ მდიდრებს, რომელთაც მათი არც არაფერი მართებთ და არც არაფრით არიან დავალებული. ისინი ასე მხოლოდ მათი ქონებისადმი პატივისცემით იქცევიან, თუმცა ამავე დროს მათ უკიდურეს ძუნწებად და ხარბებად მიიჩნევენ და მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ ამ მდიდართა სიცოცხლეში მათი ურიცხვი ფულიდან გროშიც კი არასოდეს ერგებათ.

ამგვარი აზრები უტოპიელებმა ბავშვობიდანვე შეითვისეს — ისინი ხომ ისეთ სახელმწიფოში აღიზარდნენ, რომლის წეს-ჩვეულებანიც შორსაა ყოველგვარი მსგავსი სიბრიყვისაგან, ნაწილობრივ კი ეს წიგნებიდანაც ისწავლეს. მართალია, თითოეულ ქალაქში ძალიან ცოტაა ისეთი, რომელიც განთავისუფლებულია ყოველგვარი შრომისაგან და თავს მხოლოდ მეცნიერებას სწირავს (ეს ის ადამიანებია, რომლებმაც ბავშვობაში ამა თუ იმ მეცნიერებების დაუფლების არნახული უნარი გამოიჩინეს), მაგრამ უტოპიაში ხომ ყველა ბავშვი სწავლობს და ადამიანთა დიდი ჯგუფები, კაცები და ქალები, შრომისაგან თავისუფალ მთელ დროს მეცნიერების დაუფლებას ახმარენ. ისინი სწავლობენ მშობლიურ ენაზე, რომლის სიტყვების მარაგი ღარიბი როდია, არც კეთილხმოვანებასაა მოკლებული და აზრსაც სხვაზე ნაკლებ როდი გადმოსცემს. თითქმის იგივე ენა (მეტ-ნაკლებად დამახინჯებული ფორმით) სამყაროს უდიდეს ნაწილშია გავრცელებული. ჩვენს ჩასვლამდე მათ ყურიც არ ჰქონდათ მოკრული იმ ფილოსოფოსების[99] სახელებისათვის, რომლებიც ჩვენთვის ცნობილ სამყაროში საკმაოდ განთქმული არიან, მაგრამ მუსიკაში, დიალექტიკაში[100], ათვლისა და ზომის მეცნიერებების შესწავლა-დაუფლებაში მათ იმდენივეს მიაღწიეს, რამდენსაც ჩვენმა წინაპრებმა. უტოპიელები რამდენადაც ყველაფერში უტოლდებიან ძველ ხალხებს, იმდენად ჩამორჩებიან ახალ დიალექტიკოსთა[101] ყველა გამოგონებას, რამეთუ მათ არც ერთი შორსმჭვრეტელურად მოფიქრებული წესი არ შეუქმნიათ შემოფარგვლის, გაფართოებისა და შენაცვლების შესახებ, რომლებსაც აქ ყველგან ასწავლიან ბავშვებს „მცირე ლოგიკაში“[102]. რაც შეეხება „მეორე ინტენციებს“[103], ისინი ისე შორს არიან მისი სრულყოფილი კვლევისაგან, რომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო დაენახა „თვით ადამიანი საერთოდ“, თუმცა ის, როგორც იცით, ნებისმიერ გოლიათზე დიდია, ჩვენ კი მისი ჩვენება თითითაც კი შეგვიძლია. სამაგიეროდ, უტოპიელები ციური სხეულების

ფრენასა და მოძრაობაში კარგად არიან გათვითცნობიერებული. უფრო მეტიც, მათ ოსტატურად გამოიგონეს სხვადასხვა სახის მოწყობილობა, რომელთა დახმარებითაც ძალზე კარგად იჭერენ მზის, მთვარის, აგრეთვე სხვა მნათობთა მოძრაობას, რომლებიც მათი ცის კამარაზე ჩანან. მაგრამ პლანეტების მეგობრობასა და განხეთქილებაზე, აგრეთვე ვარსკვლავების მიხედვით ცრუ წინასწარმეტყველებაზე ისინი სიზმარშიაც კი არ ფიქრობენ. ქარს, წვიმას და ამინდის სხვა ცვლილებებს ისინი ხანგრძლივი გამოცდილებიდან კარგად ცნობილი ზოგიერთი ნიშნის მიხედვით წინასწარმეტყველებენ; მაგრამ ყველა ამ მოვლენის მიზეზზე და ზღვის მოქცევის, მისი სიმლაშის და საერთოდ ცისა და სამყაროს წარმოშობისა და ბუნების შესახებ ისინი წინაპართა მსგავსად მსჯელობენ. ახალი დასკვნების გამოტანისას კი არც უტოპიელები ეთანხმებიან ერთმანეთს, ისინიც დაობენ და ყველაფერში ვერ თანხმდებიან.

ფილოსოფიის იმ ნაწილში, რომელიც ზნეობას ეხება, უტოპიელები ჩვენსავით მსჯელობენ, იკვლევენ სულიერ, ხორციელ და გარეგნულ სიკეთეს, შემდეგ კი დაობენ იმაზე, მხოლოდ სულიერი ღირსებებისთვისაა ნიშანდობლივი სიკეთის ცნება, თუ ყველა ამათთვის ერთად. ისინი კამათობენ სათნოებასა და სიამოვნებაზე, თუმცა მათთვის უპირველესი და ძირითადია დავა იმის თაობაზე, თუ რაში მდგომარეობს ადამიანური ბედნიერება — რაიმე ერთში, თუ ბევრში. ამ საკითხში, ვფიქრობ, ისინი მეტისმეტად ემხრობიან სხვადასხვაგვარი სიამოვნებათა მომხრეების დაჯგუფებას[104]. მათი აზრით ადამიანის ბედნიერება სიამოვნებაშია.

შენ კიდევ უფრო გაგაკვირვებს ის, რომ ამ სასიამოვნო შეხედულებებისათვის ისინი რელიგიას იშველიებენ, რომელიც სასტიკი, მკაცრი და, ჩვეულებრივ, სევდიანი და შეუვალია. უტოპიელები ხომ ბედნიერებაზე ისე არასოდეს ლაპარაკობენ, თუ არ დაუკავშირეს იგი რელიგიიდან ან ფილოსოფიიდან აღებულ რაიმე საწყისს, რომელიც იყენებს გონების მოსაზრებებს. ისინი ვარაუდობენ, რომ ამის გარეშე თავისთავად ნამდვილი ბედნიერების კვლევა უსუსური და უძლური იქნება. ეს საწყისები კი ასეთია: სული უკვდავია და ღვთის ნებით ბედნიერებისათვისაა გაჩენილი, სათნოებისა და კეთილი საქმეებისათვის ჩვენთვის ჯილდოა დაწესებული, უკეთურობისათვის — სასჯელი, თუმცა ეს რელიგიას ეხება, ისინი მაინც ფიქრობენ, რომ გონება იქამდე მიგვიყვანს, რომ ეს დავიჯეროთ და ვაღიაროთ.

უტოპიელები ყოველგვარი ყოყმანის გარეშე აცხადებენ, რომ თუკი თავიდან ავიცილებთ ამ საწყისებს, მაშინ შეუძლებელი იქნება ისეთი ბრიყვის ნახვა, რომელიც ვერ მიხვდება, რომ საჭიროა, სამართლიანად თუ უსამართლოდ, სიამოვნებისაკენ სწრაფვა; მხოლოდ ერთი რამის უნდა გვეშინოდეს: მცირე სიამოვნებამ ხელი არ შეუშალოს დიდს და რომ არ ესწრაფოს იმას, რისთვისაც ტანჯვით უნდა აგო პასუხი. ისინი ამბობენ, რომ დიდი უგუნურებაა მკაცრი და ძნელი სიკეთისაკენ სწრაფვა და არა მარტო ტკბილი ცხოვრების უარყოფა, არამედ საკუთარი ნებით ტანჯვის ატანა, რომლისგანაც ვერავითარ სარგებლობას ვერ ეღირსები (რა სარგებლობაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, თუკი სიკვდილის შემდეგ ვერაფერს მიიღებ, მთელ ცხოვრებას კი სიამოვნების გარეშე, ე. ი. უბედურად გაატარებ).

ახლა კი ისინი ფიქრობენ, რომ ბედნიერება ყოველგვარ სიამოვნებაში კი არა, პატიოსან და წესიერ სიამოვნებაშია. რამეთუ მისკენ, როგორც უმაღლესი სიკეთისაკენ, თვით სათნოებაც იზიდავს ჩვენს ბუნებას და მოწინააღმდეგეთა ჯგუფიც[105] ბედნიერებას მხოლოდ და მხოლოდ სათნოებაში პოვებს. უტოპიელები ხომ სათნოებას განსაზღვრავენ როგორც ბუნების შესაბამისად ცხოვრებას, და სწორედ ხომ ამისათვის მოგვავლინა ჩვენ ღმერთმა. იმისათვის, თუ რისკენ ვისწრაფოთ და რისკენ არა — უნდა მივდიოთ ბუნების იმ ლტოლვას, რომელიც გონებას ემორჩილება.

მეორე მხრივ, გონება მოკვდავთ, უწინარეს ყოვლისა, უღვივებს ღვთაებრივი სიდიადის სიყვარულსა და მოწიწებას, რომელსაც უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ ვარსებობთ და გვაქვს უნარი ვიყოთ ბედნიერნი. მერმე კი გონება გვასწავლის, რომ ჩვენ თვითონაც რაც შეიძლება მშვიდად და ბედნიერად ვიცხოვროთ, სხვა დანარჩენებსაც მეგობრულად დავეხმაროთ, რათა იმავეს მიაღწიონ, რასაც ჩვენ, რადგან იგი არასოდეს არ ყოფილა სათნოების ისეთი მკაცრი და სასტიკი ქომაგი და სიამოვნების ისეთი მოძულე, რომელიც მხოლოდ შრომაზე, ურვასა და სევდაზე მიგითითებდა შენ და ამასთან არ დაგაკისრებდა შეძლებისდაგვარად სხვისი სიღარიბისა და გაჭირვების შემსუბუქებას. იგი ქების ღირსად ჩათვლიდა იმ ადამიანურ თვისებებს, რომ ადამიანმა უნდა იზრუნოს მეორე ადამიანის კეთილდღეობასა და ნუგეშისცემაზე! თუკი ყველაზე ადამიანურია სხვათა ურვის შემსუბუქება და მწუხარების დაძლევის შემდეგ მათი მობრუნება ცხოვრების სიტკბოებისაკენ, ე. ი. სიამოვნებისაკენ (არ არსებობს ადამიანისათვის უფრო

შეტად ჩვეული სათნოება), ბუნება რატომ არ აგულიანებს თითოეულს, საკუთარი თავისათვის იგივე გააკეთოს? ალბათ ტკბილი ცხოვრებაა ცუდი, ე. ი. ის, რომელიც სიამოვნებას გვანიჭებს, და თუკი ასეა, შენ არა მარტო უნდა დაეხმარო სხვას, არამედ რაც შეიძლება უნდა ეცადო ყველას ააცილო ის თავიდან, როგორც მავნე და მომაკვდინებელი, ანდა შენ არა მარტო შეგიძლია, არამედ ვალდებულიც ხარ სხვები ამგვარ ცხოვრებაზე, როგორც სიკეთეზე, დაითანხმო, მაშინ რატომ არ უნდა დაიყოლიო ამაზე ჯერ საკუთარი თავი? საკუთარი თავი შენ სხვაზე არანაკლებად უნდა შეიწყალო, როდესაც ბუნება შთაგაგონებს სხვებისადმი კეთილი იყო, იგი როდი გიბრძანებს პირიქით, შენი თავისადმი იყო მკაცრი და უმოწყალო. გამომდინარე აქედან, ამბობენ ისინი, ტკბილ ცხოვრებას, ანუ სიამოვნებას, ვითარცა ყველა ჩვენი მოქმედების საბოლოო მიზანს, თვით ბუნება გვიმზადებს. ცხოვრება ბუნების ნებით — ასე განსაზღვრავენ ისინი სათნოებას. და რაკი ბუნება მოკვდავთ სთავაზობს, დაეხმარონ ერთმანეთს, რათა უფრო მხიარულად იცხოვრონ (იგი ამას ძალზე სამართლიანად აკეთებს, რამეთუ არავინ ისე არ მაღლდება ადამიანთა მოდგმის ხვედრზე, რომ ბუნება მხოლოდ მასზე ზრუნავდეს. იგი ერთნაირად მოწყალეა ერთ სახეობად გაერთიანებულთა მიმართ), ის, რა თქმა უნდა, გიბრძანებს კიდეც, თვალყური ადევნო, რათა შენთვის ხელსაყრელი პირობების შექმნით სხვას ზიანი არ მიაყენო.

ამიტომ უტოპიელები ფიქრობენ, რომ საჭიროა არა მარტო კერძო პირებს შორის დადებული შეთანხმებების, არამედ საზოგადოების კანონების დაცვაც, რომელიც გამოსცა კეთილმა ხელისუფალმა, ან ერთხმად მიიღო ხალხმა, რომელსაც არ განუცდია ტირანიის უღელი და არ მოტყუებულა ცხოვრებისეული კეთილდღეობის, ანუ სიამოვნების საფუძვლების განაწილების შესახებ კანონის გაიძვერობით. ამ კანონების დაცვასთან ერთად საკუთარ სარგებლობაზე ფიქრი კეთილგონიერი საქმეა, ხოლო ამასთან საზოგადოების ინტერესებზე ზრუნვა — ღვთისმოსაობის ნიშანი. მაგრამ საკუთარი სიამოვნებისათვის სხვისი სიამოვნების მითვისება უსამართლობაა. და, პირიქით, ადამიანურობისა და სიკეთის ვალია, მოაკლო საკუთარ თავს და მისცე სხვას, ეს მოვალეობა იმდენს არაფერს გვაკლებს, რამდენსაც გვმატებს, რამეთუ მადლით გვიბრუნდება უკან, და თვით სიკეთის შეცნობა და მათი სიყვარულისა და კეთილგანწყობის გახსენება, ვისაც შენ სიკეთე გაუკეთე, მეტ სიამოვნებას მიანიჭებს სულს, ვიდრე ის ხორციელი

სიამოვნება, რომლისგანაც შენ თავი შეიკავე. დაბოლოს (ჩვენ, ვინც ამაზე სიამოვნებით ვთანხმდებით, ადვილად ვრწმუნდებით რელიგიითაც), ხანმოკლე და მცირე სიამოვნებისათვის ღმერთი სამაგიეროს დიდი და სამარადისო სიხარულით იხდის. უტოპიელებმა გულდასმით მოიფიქრეს და აწონ-დაწონეს ყოველივე და მიაჩნიათ, რომ ჩვენი მოქმედებანი და მათ შორის თვით სათნოებანიც საბოლოო მიზნად სიამოვნებასა და ბედნიერებას გულისხმობენ.

სიამოვნებას უტოპიელები სულისა და სხეულის ყოველგვარ მოძრაობასა და მდგომარეობას ეძახიან. როდესაც სული და სხეული ბუნების ნებით შეხამებულად მოძრაობს, ადამიანი სიამოვნებას ღებულობს. ისინი ბუნებრივ მიდრეკილებას შემთხვევით არ ამატებენ, რამეთუ ბუნებრივად ყველაფერი სასიამოვნოა, რისკენაც მიისწრაფვის ადამიანი უსამართლობის ჩარევის გარეშე, რასაც სხვა უფრო სასიამოვნო არ ეწირება, ყველაფერი რასაც ტანჯვა არ მოსდევს, რასაც არა მარტო გრძნობა, არამედ კეთილგონიერებაც ესწრაფვის. არსებობს არაბუნებრივი სიამოვნებანიც. მოკვდავნი ამაოდ ფიქრობენ, რომ ეს სიამოვნებანი ტკბილია (თითქოს ადამიანებს შეუძლიათ შეცვალონ საგნები, ისევე როგორც მათი სახელწოდებანი). უტოპიელების აზრით, ყველაფერ ამას ბედნიერებისაკენ სულაც არ მივყავართ და უმეტეს შემთხვევაში მას ხელსაც კი უშლის, რადგან აღმოჩნდა, რომ ვისთანაც კი ამ სიამოვნებებმა ერთხელ გაიდგა ფესვი, იქ ჭეშმარიტი და ნამდვილი სიხარულისათვის აღარ დარჩა ადგილი, მისი სული კი მთლიანად სავსეა სიამოვნების ცრუ გაგებით. ხომ ბევრი რამაა ისეთი, რასაც თავისი ბუნებით საამო არაფერი გააჩნია, პირიქით, მის მნიშვნელოვან ნაწილს სიმწარე ახლავს, და მაინც ბიწიერი სურვილები გვაცდუნებენ, მივიჩნიოთ ისინი არა მარტო უდიდეს სიამოვნებად, არამედ ცხოვრების ერთ-ერთ უპირველეს ღირსებად. ამ სახის ცრუ სიამოვნებას, უტოპიელების აზრით, განიცდიან ისინი, ვინც ზემოთ მოვიხსენიე: ადამიანები, რომელთაც ეჩვენებათ, რომ რაც უფრო კარგად აცვიათ, მით უკეთესები არიან. ამ ერთ საკითხში ისინი ორ შეცდომას უშვებენ, რამეთუ არანაკლებ ცდებიან, როდესაც ფიქრობენ, რომ მათი ტანსაცმელი მათზე უკეთესია. თუკი ვიფიქრებთ ტანსაცმლის სარგებლობაზე, რატომაა, რომ წვრილი ნართისაგან მოქსოვილი შალი მსხვილისაგან მოქსოვილზე უკეთესია? თუმცა ადამიანები ისე იფხორებიან, თითქოს კი არ ცდებიან, არამედ მართალი არიან, თანაც დარწმუნებულებიც ბრძანდებიან, რომ ამით მათ ფასი

ემატებათ. ამის გამო ისინი (თითქოს ძვირფასი ტანსაცმელი მათ ამის უფლებას აძლევთ) ესწრაფვიან პატივისცემას, რომელზედაც ვერც კი გაბედავდნენ ოცნებას, ნაკლებად რომ ყოფილიყვნენ ჩაცმული, ხოლო, თუ კი მათ ყურადღებას არ აქცევენ, — ბრაზობენ.

ასეთივე უგუნურების ნიშანი ხომ არ არის სწრაფვა ფუჭი და უსარგებლო პატივისაკენ? რა ბუნებრივ და ჭეშმარიტ სიამოვნებას მიიღებ, თუკი ვინმემ ქუდი მოგიხადა ან დაიჩოქა შენს წინაშე? განა ეს მოგირჩენს მუხლის ტკივილს? ანდა გაგკურნავს უგუნურებისაგან? ასეთივე ყალბი სიამოვნების აღქმისას საოცრად სულელურად ნეტარებენ ისინი, ვინც ტრაბახობს და თავი მოაქვს თავისი წარჩინებულობით, აგრეთვე იმით, რომ წილად ხვდა ყოფილიყო იმ შტოს შთამომავალი, რომელიც მდიდრად ითვლებოდა იმიტომ, რომ მიწები ჰქონდა (ახლა ხომ წარჩინებულობა სწორედ ასე ესმით). ასეთმა ადამიანებმა არც კი იციან, რომ მათ დიდგვაროვნობას ოდნავადაც არ დააკლდებოდა რაიმე იმ შემთხვევაშიც კი, თუკი წინაპრები არაფერს დაუტოვებდნენ ან თვითონვე გაფლანგავდნენ დარჩენილ მემკვიდრეობას. მათ რიცხვს მიაკუთვნებენ უტოპიელები იმათაც, ვინც, როგორც ვთქვი, ძვირფასეულობისა და თვალმარგალიტის ტყვეობაშია, ვისაც თავი თითქმის ღმერთად წარმოუდგენია, რადგან ხელში ჩაიგდო რომელიმე სანუკვარი ქვა, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც ამ დროს ამ ქვეყანაში ყველაზე მეტი ღირს (რამეთუ ერთი და იგივე რამ ყველგან და ყოველთვის ერთნაირად არ ფასობს). ადამიანები ასეთ ქვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში იყიდიან, თუკი ოქროს რკალიდან ამოღებულია და გამყიდველი დაიფიცებს და დაარწმუნებს, რომ მარგალიტი ან ქვა ნამდვილია. სხვაგვარად მათ ეშინიათ, ვაითუ, ყალბი ქვა ნამდვილისაგან ვერ გაარჩიონ. მაგრამ ყალბმა ქვამ ნამდვილზე ნაკლები სიამოვნება რატომ უნდა მოგანიჭოს, მითუმეტეს, რომ თვალით ერთმანეთისაგან ვერც კი არჩევ? ჰერკულესს ვფიცავ, ერთიც და მეორეც შენთვის ისეთივე ძვირფასი უნდა იყოს, როგორც ბრმისათვის. განა ისინი, რომლებიც ჭარბ სიმდიდრეს ინახავენ ისე, რომ ამ გროვით სულაც არ სარგებლობენ და მხოლოდ ჭვრეტით ტკბებიან, ნამდვილ სიამოვნებას განიცდიან, თუ, უფრო სწორად, თავს ცრუ სიამოვნებებით იწყნარებენ? ან ისინი, ვინც დაავადებულია სხვაგვარი მანკით და ოქროს ინახავს, რომელსაც არასოდეს გამოიყენებს და რომელიც შესაძლოა ვეღარც კი იხილოს. განა ეს ასე არ არის, თუკი მოაკლებ შენს თავს (და შეიძლება ყველა მოკვდავს) ოქროთი სარგებლობის საშუა-

ლებას და მას მიწას მიაბარებ? ჩაფლავ თუ არა მიწაში განძს, მშვიდ-
დები და ხარობ. თუკი ვინმე მოგპარავს მას და ათი წლის შემდეგ შენ
ისე მოკვდები, რომ განძის დაკარგვას ვერც კი გაიგებ, რა მნიშვნე-
ლობა ექნება შენთვის იმ ათი წლის განმავლობაში, რომელიც შენ
იცხოვრე განძის დაკარგვის შემდეგ, იგი მოპარულია თუ საიმედოდ
დაცული?

ასეთივე შეუფერებელ სიამოვნებას მიაკუთვნებენ უტოპიელები
კოჭით თამაშს[106] (ამ უგუნურების შესახებ მათ მხოლოდ სმენიათ), ნა-
დირობასა და ჩიტბადეობას[107]. მათთვერ გაუგიათ, რა სიამოვნებაა და-
ფაზე კოჭების დაყრა. შენ კი ეს იმდენჯერ გაქვს გაკეთებული, რომ
ამაში რაიმე სიამოვნებაც რომ ყოფილიყო, იმდენჯერ გითამაშია, შე-
იძლება მოგბეზრდა კიდეც. ანდა რა სიამოვნებაა ძაღლების ყეფისა
და ყმუილის მოსმენა? ეს უფრო საზიზღრობაა. ანდა მეტია სიამოვ-
ნება, როცა ძაღლი მისდევს კურდღელს, ვიდრე ძაღლი — ძაღლს? თუ-
კი შენ სირბილი განიჭებს სიხარულს, ორივე შემთხვევაში ხომ ერ-
თი და იგივე ხდება — სირბილი.

თუკი შენ მკვლელობა გიზიდავს, მწევარ-მეძებრებით ნადირო-
ბამ, რომელიც შენს თვალწინ ხდება, იმის ხილვამ, თუ როგორ გაგ-
ლეჯს ძაღლი კურდღელს, სუსტს — უფრო ძლიერი, მშიშარასა და
მხდალს — დაუნდობელი, დაბოლოს, უდანაშაულოს — სასტიკი, ამან
შენში უფრო თანაგრძნობა არ უნდა გამოიწვიოს? ამიტომ ყოველგვა-
რი ნადირობა, როგორც თავისუფალი ადამიანისათვის უკადრისი საქ-
მე, უტოპიელებმა ყასბებს გადააბარეს (ზემოთ მე ვთქვი, რომ ეს საქ-
მე მათთან მონებს ევალებოდათ). უტოპიელები ფიქრობენ, რომ ნა-
დირობა ყასბების საქმიანობის ყველაზე მდაბალი მხარეა, ამ საქმია-
ნობის სხვა მხარე უფრო საპატიო და საჭიროა, რამდენადაც მათ უფ-
რო მეტი სარგებლობა მოაქვთ და კლავენ პირუტყვს მხოლოდ და
მხოლოდ იმიტომ, რომ აუცილებელია. მონადირე კი საბრალო ცხო-
ველის მწევარ-მეძებრებით დევნასა და მოკვლაში მხოლოდ სიამოვ-
ნებას ეძებს. უტოპიელები ფიქრობენ, რომ სიკვდილის, თუნდ ნადი-
რის სიკვდილის ხილვის დაუოკებელი სურვილი სულის სისასტიკი-
დან, ანდა ამ ველური სიამოვნების მუდმივი განცდიდან წარმოიშვება,
ამას კი, ბოლოს და ბოლოს, გულქვაობა მოსდევს.

მიუხედავად იმისა, რომ ამას და სხვა ამგვარ რამეებს (ისინი კი
საკმაოდ ბევრია) ადამიანები სიამოვნებად მიიჩნევენ, უტოპიელები,
რა თქმა უნდა, მაინც ფიქრობენ, რომ რამდენადაც ამათში ბუნებრი-

ვად არაფერია სასიამოვნო, იმდენად მათ ჭეშმარიტ სიამოვნებასთან არაფერი აქვთ საერთო. ის, რომ ეს მანკიერებანი ავსებს გრძნობას სასიამოვნოთი (სწორედ ამას მიიჩნევენ ადამიანები სიამოვნებად), უტოპიელებს სულაც არ აიძულებს თავიანთ შეხედულებებზე უარი თქვან. ამის მიზეზი თვითონ ბუნება კი არ არის, არამედ ადამიანების მახინჯი ჩვევები. ამ მანკიერების გამოა, რომ ადამიანებს მწარე ტკბილად ეჩვენებათ, ისევე როგორც ფეხმძიმე ქალებს თავიანთი წამხდარი გემოს გამო ფისი და ქონი თაფლზე ტკბილი ჰგონიათ. ავადმყოფობით ან ჩვევებით დამახინჯებული ვისიმე მსჯელობა არ ცვლის არც სხვა საგნებისა და არც სიამოვნების ბუნებას.

უტოპიელებს მიაჩნიათ, რომ არსებობს სხვადასხვაგვარი სიამოვნება, რომლებსაც ისინი ჭეშმარიტ სიამოვნებად მიიჩნევენ. ისინი ზოგიერთს — სულს, ზოგიერთს კი სხეულს აკუთვნებენ. სულს მიაწერენ გაგებას და იმ სიამოვნებას, რომლებსაც ჭეშმარიტების ჭვრეტა წარმოშობს. მასვე ეკუთვნის კარგად გავლილ ცხოვრებაზე სასიამოვნო მოგონება და მომავალი კეთილდღეობის უეჭველი იმედი. ხორციელ სიამოვნებას ისინი ორ სახედ ყოფენ. პირველი ისაა, რომელიც გრძნობას აშკარა სიამოვნებით ავსებს, ეს ხდება იმ ნაწილების აღდგენისას, რომელიც ჩვენი შინაგანი სიმხურვალით შთაინთქა. იგი საკვებითა და სასმელით აღდგება. მეორე სახის სიამოვნება კი იმის გამოდევნაა, რამაც ჩვენი სხეული გადატვირთა. ეს ხდება მაშინ, როდესაც ვითავისუფლებთ სტომაქს ანდა ვძაბავთ ძალებს მშობიაროობისათვის, ანდა სხეულის რომელიმე ნაწილის ქავილს ხელის წასმითა და ფხანით ვიწყნარებთ.

ზოგჯერ სიამოვნება აღიძვრება და არ იძლევა იმას, რასაც ჩვენი სხეულის ნაწილები თხოულობს, არ აყუჩებს მათ ტკივილებს, თუმცა ეს სიამოვნება აღიზიანებს და აღელვებს ჩვენს გრძნობებს, იზიდავს თავისკენ რაღაც იდუმალი ძალით, შესამჩნევი მოქმედებებით. ასეთ სიამოვნებას ადამიანებს მუსიკა ანიჭებთ.

ხორციელი სიამოვნების სხვა სახეობა, ფიქრობენ უტოპიელები, სხეულის მშვიდი და აუღელვებელი მდგომარეობაა, ესაა თითოეულისათვის, ყოველგვარი ავადმყოფობისაგან თავისუფალი ჯანმრთელობა. მართლაც თუკი ადამიანს არაფერი არ სტკივა, ჯანმრთელობა თავისთავადაა სიამოვნება იმ შემთხვევაშიც კი, როცა არავითარი გარედან მიღებული სიამოვნება არ ახლავს მას, თუმცა ეს ნაკლებ შესამჩნევია და გრძნობას ნაკლებად აღელვებს, ვიდრე ჭამა-სმის დაუოკე-

ბელი სურვილი. მაინც ბევრი თვლის, რომ ჯანმრთელობა უდიდესი სიამოვნებაა, ამასთან ერთგვარი საფუძველი და საწყისი ყველაფრისა, რასაც კი იძლევა ცხოვრების მშვიდი და სასურველი პირობები. ხოლო როდესაც კაცი ჯანმრთელად არ არის, როგორი სიამოვნებაც არ უნდა მიანიჭო, იგი მაინც ვერ შეიტკბობს, რამეთუ როცა რამე არ სტკივათ, მაგრამ არც ჯანმრთელად არიან, ისინი ამას უფრო უგრძნობლობას ეძახიან, ვიდრე სიამოვნებას.

გულმოდგინე მსჯელობის შემდეგ უტოპიელებმა უკვე დიდი ხანია უარყვეს იმათი აზრი, ვისაც არ მიაჩნდა, რომ სიამოვნება მტკიცე და ურყევ ჯანმრთელობაშია. ისინი ამბობდნენ, რომ თუ ეს სიამოვნება არსებობს, მისი შეგრძნება მხოლოდ რაღაც გარეგანი მოძრაობის დროს შეიძლება. ახლა კი, პირიქით, თითქმის ყველა უტოპიელი იმ აზრს იზიარებს, რომ სიამოვნებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ჯანმრთელობაა. ისინი ამბობენ, რომ თუკი ავადმყოფობას ახლავს ტანჯვა, რომელიც სიამოვნების ისეთივე შეურიგებელი მტერია, როგორიც ჯანმრთელობისა — ავადმყოფობა, მაშინ ურყევი ჯანმრთელობა თავის თავში რატომ არ უნდა შეიცავდეს სიამოვნებას? მათ მიაჩნიათ, რომ აქ სულაც არაა მნიშვნელოვანი — ავადმყოფობაა ტანჯვა თუ ტანჯვაა ავადმყოფობისათვის დამახასიათებელი — ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე გამოდის. თუკი ჯანმრთელობა სიამოვნებაა ანდა ის აუცილებლად წარმოშობს სიამოვნებას, როგორც ცეცხლი სითბოს, მაშინ, რა თქმა უნდა, ორივე შემთხვევაში გამოდის, რომ სიამოვნებას მოკლებული არ შეიძლება იყოს ის, ვინც ჯანმრთელია.

გარდა ამისა, უტოპიელები ამბობენ: სხვა რა ხდება ჭამის დროს, თუ არა ბრძოლა ჯანმრთელობისა (რომელიც ნელ-ნელა ირყევა) შიმშილთან? (ამასთან, საკვები აქ ჯანმრთელობის თანამებრძოლია). სანამ ჯანმრთელობა ამ ბრძოლაში თანდათან ძალებს იკრებს, ამ წარმატებას ჩვეულ სიძლიერემდე მიჰყავს სიამოვნება, რომელიც ჩვენ ესოდენ მოგვწონს. ნუთუ ჯანმრთელობა, რომელსაც ამხნევებს ბრძოლა, არ გაიხარებს, როცა გაიმარჯვებს? ნუთუ ის უგრძნობი გახდება, როდესაც ბედნიერად დაიბრუნებს ძველ ძალას, რომელსაც ის ასე ესწრაფოდა მთელი ამ ბრძოლის განმავლობაში? არ შეიცნობს თავის კეთილდღეობას და არ დააფასებს მას? უტოპიელები ფიქრობენ, რომ გამოთქმა — ჯანმრთელობის შეგრძნება შეუძლებელია, ძალზე შორსაა ჭეშმარიტებისაგან. ვინ არ გრძნობს თავს ჯანმრთელად, კითხულობენ ისინი, თუკი მხნედ არის და თუკი ის მართლაც ჯანმრთე-

ლია? ვისზე ბოქმედებს უგრძნობლობა და ლეთარგია ისე, რომ არ ალიაროს, რა ტკბილი და სასიამოვნოა მისთვის ჯანმრთელობა? და რა არის სიტკბოება, თუ არა სიამოვნების სხვა სახელწოდება?

უტოპიელები უფრო აფასებენ სულიერ სიამოვნებას (ისინი მას მთავარ და უპირველეს სიამოვნებად თვლიან). მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილი, ფიქრობენ ისინი, სათნოებაში ვარჯიშით და ცხოვრების კეთილდღეობის შეცნობით წარმოიშობა: იმ სიამოვნებიდან, რომლებსაც სხეული გვანიჭებს, პირველობა ჯანმრთელობას ეკუთვნის, რაც კი ადამიანს ამგვარად ახარებს, საჭიროა სწრაფვა, სწრაფვა მხოლოდ ჯანმრთელობისაკენ! რამეთუ ყველაფერი ეს სასიამოვნოა, არა თავისთავად, არამედ იმიტომ, რომ იგი ჩუმად შემოპარულ სენს ეწინააღმდეგება, რამდენადაც ბრძენისათვის უფრო ნიშანდობლივია გაექცეს ავადმყოფობას, ვიდრე ეძიოს მისგან განკურნების საშუალება — ავადმყოფობის თავიდან აცილება სჯობს მის შემსუბუქებას, ასევე უტოპიელებიც ფიქრობენ, სჯობს ამგვარ სიამოვნებას არ საჭიროებდე, ვიდრე მათი განკურნებით სიამოვნებას ღებულობდე. თუკი ვინმე ფიქრობს, რომ განიცდის ამგვარ ნეტარებას, მაშინ უნდა აღიაროს კიდეც, რომ უდიდეს ბედნიერებას ის მხოლოდ მაშინ ეწევა, თუ მას წილად ხვდება იცხოვროს მუდმივ შიმშილში, წყურვილში, ქავილში, ჭამაში, სმასა და ფხანაში. მაინც ვინ ვერ მიხვდება, რომ ამგვარი ცხოვრება არა მარტო საშინელი, არამედ შესაბრალისიცაა? რა თქმა უნდა, ეს სიამოვნებანი, როგორც ყველაზე ნაკლებად ჭეშმარიტნი, ყველაზე უფრო მდაბალია, და ისინი მხოლოდ საწინააღმდეგო განცდებთან ურთიერთობაში მეღავნდებიან, რამეთუ ჭამისაგან მიღებულ სიამოვნებას შიმშილი უკავშირდება, ისიც სხვადასხვა ზომით, რამეთუ ტანჯვა რაც უფრო ძლიერია, მით უფრო ხანგრძლივია. ის სიამოვნებაზე ადრე წარმოიშვება და არ ქრება, სანამ მასთან ერთად სიამოვნებაც არ მოკვდება.

უტოპიელები ფიქრობენ, რომ ამგვარი სიამოვნებანი, თუკი მხოლოდ აუცილებლობამ არ გამოიწვია, მაღლა არ უნდა დავაყენოთ. მაინც უტოპიელები ამით ბედნიერნი არიან და მადლობას სწირავენ დედა-ბუნებას, რომელიც უნაზესი სიტკბოებით ეწევა თავის შთამომავლობას იქითკენაც კი, რაც საჭიროა, აუცილებელია და მუდმივად კეთდება. რა საშინელი იქნებოდა ცხოვრება, რომ მსგავსად სხვა დაავადებებისა, რომლებიც შედარებით იშვიათად გვაწუხებენ, შიმშილი-

სა და წყურვილისგან გამოწვეული უსიამოვნებანიც შხამებითა და მწარე წამლებით მოგვეშორებინა?

უტოპიელები ყოველნაირად ცდილობენ შეინარჩუნონ სილამაზე, ძალა და სიმკვირცხლე — ბუნების ეს სასიამოვნო და განსაკუთრებული საჩუქარი. უფრო მეტიც, იმ სიამოვნებებს, რომლებიც აღიქმება ყურის, თვალის, ცხვირის საშუალებით და რაც ბუნებამ ადამიანს მიანიჭა როგორც მისი თვისება და თავისებურება (რამეთუ არ არსებობს სხვა ცოცხალი არსება, რომელსაც აღელვებს სამყაროს ხილვა და მშვენიერება, ანდა ატკბობს სუნი — სხვა ცოცხალ არსებებს ეს გრძნობა მხოლოდ საკვების მიმართ აქვთ და ვერ არჩევენ განსხვავებას თანამჟღერ და განსხვავებულ ბგერებს შორის), — ყველაფერ ამას, ვამბობ მე, უტოპიელები ცხოვრების ერთგვარ სასიამოვნო საკაზმად მიიჩნევენ, ოღონდ ყველაფერ ამაში მათ ასეთი შეზღუდვა აქვთ: მცირე სიამოვნებამ ხელი არ უნდა შეუშალოს დიდს, სიამოვნებას არ უნდა მოსდევდეს რაიმე ტანჯვა, რომელიც გარდაუვალია, თუკი სიამოვნება უზნეოა.

უტოპიელები ფიქრობენ, რომ სილამაზის შეძულება, ძალების მოდუნება, სიმკვირცხლის სიზარმაცედ გადაქცევა, სხეულის დაუძლურება მარხულობით, ჯანმრთელობის ვნება და ბუნების სხვა სიკეთის უარყოფა უდიდესი უგუნურებაა, შენი თავის დაუნდობლობა და ბუნებისადმი შენი დიდი უმადურობაა. ეს ნიშნავს უარყო შენი ვალდებულებანი, თავიდან აიცილო ყველა მისი სიკეთე. მხოლოდ ზოგიერთს შეუძლია უარყოს თავისი უპირატესობანი და უფრო მხურვალედ იზრუნოს სხვა ადამიანებსა და საზოგადოებაზე იმ იმედით, რომ ამ გარჯისათვის ღმერთი მას უფრო დიდ სიამოვნებას მიანიჭებს. სხვა შემთხვევაში ეს ნიშნავს ეწამო სათნოების ფუჭი მოჩვენებისათვის, რომელიც არც არავისთვის არის სასარგებლო და არც იმისათვის, რომ ნაკლები წვალებით გადაიტანო ტანჯვა, რომელიც შესაძლოა არასოდეს შეგხვდეს.

ასე მსჯელობენ უტოპიელები სათნოებასა და სიამოვნებაზე. მათ სწამთ, რომ თუკი ზეციდან მოვლენილი რელიგია ადამიანს რაიმეს უფრო წმინდას არ შთააგონებს, მაშინ ადამიანის გონების დახმარებით უფრო სარწმუნო რამის გამონახვა შეუძლებელია. ჩვენ ახლა დრო არ გვაძლევს საშუალებას, გავარჩიოთ სწორად ფიქრობენ თუ არა ისინი ამაზე. ჩვენ მხოლოდ მათი საფუძვლების გაცნობა ვიკისრეთ და არა დაცვა.

ასეა თუ ისე, ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ როგორიც არ უნდა იყოს მათი დებულებები, უკეთესი ხალხი და უფრო ბედნიერი სახელმწიფო არსად მეგულება. სხეულით ისინი ღონიერნი არიან; ძალები მოსალოდნელზე მეტი აქვთ, თუ ვიმსჯელებთ მათი სიმაღლის მიხედვით, თუმცა იგი არცთუ ისე მცირეა. მიუხედავად იმისა, რომ უტოპიელების მიწები ყველგან ნოყიერი არ არის და ჰავაც არასაკმარისად ჯანსაღია, ცუდი ამინდის წინააღმდეგ ისინი თავს იკაჟებენ ზომიერი კვებით, ხოლო მინდვრებს გულმოდგინედ ამუშავებენ. ასე რომ, არც ერთ სხვა ხალხს არა აქვს ასეთი დიდი მოსავალი და არა ჰყავს ასე მრავალრიცხოვანი საქონელი, არ არსებობს სხვა უფრო ძლიერი და ჯანმრთელი ხალხი. შენ იქ შეხვდები არა მარტო მიწათმოქმედთა ჩვეულებრივ საქმიანობას, როდესაც ბუნებით უნაყოფო ნიადაგს ეხმარებიან თავისი ხელოვნებითა და შრომით, არამედ ნახავ, რომ ხალხს ტყე ერთი ადგილიდან ხელით გადააქვს მეორე ადგილზე. ამ შემთხვევაში მათ ის კი არ აწუხებთ, მიწა უფრო ნაყოფიერი იყოს, არამედ ის, რომ შრომა გაუადვილდეთ — შეშა ახლოს იყოს ზღვასთან, მდინარეებთან, ანდა თვით ქალაქებთან, რადგან ხმელეთით დიდ მანძილზე პურის გადაზიდვა უფრო ადვილია, ვიდრე შეშისა. ხალხი გულღია და მხიარულია, გონებამკვირცხლი და გართობის მოყვარული[108]. ხოლო როცა ეს აუცილებელია, შრომასაც საკმაოდ იტანს. სხვა საქმეებს ისინი მაინცდამაინც არ ეტანებიან, მაგრამ გონებრივი მისწრაფებებით დაუცხრომელნი არიან. როდესაც მათ ვესაუბრეთ ბერძნული ლიტერატურისა და მეცნიერების შესახებ[109], საოცარი იყო, რა თავგამოდებით მოინდომეს, რომ ნება დაგვერთო ჩვენი ახსნა-განმარტებებით შეესწავლათ ისინი (რამეთუ ლათინურში[110], მათი აზრით, ისტორიისა და პოეზიის გარდა არაფერი იმსახურებს დიდ მოწონებას), ამიტომ ჩვენ დავთანხმდით, თუმცა წარმატების იმედი არ გვქონდა. დავთანხმდით უფრო იმიტომ, რომ არ მოჩვენებოდათ, თითქოს ამ შრომაზე უარს ვამბობდით. მაგრამ როგორც კი საქმე წინ წავიდა, მათმა გულმოდგინებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი შრომა უქმად არ ჩაივლიდა. უტოპიელებმა ძალიან ადვილად დაიწყეს ასოების გამოხატვა და ძალზე მოხერხებულად გამოთქვამდნენ სიტყვებს, ადვილად იმახსოვრებდნენ მათ, ისე ზუსტად დაიწყეს თარგმნა, რომ ჩვენ ეს საოცრებად გვეჩვენებოდა, თუკი არ ჩავთვლით იმას, რომ ვინც სწავლას შეუდგა, მათი უმრავლესობა საამისოდ არა მარტო საკუთარი სურვილით, არამედ

სენატის ბრძანებითაც აღეგზნო. ესენი იყვნენ განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლეები და მოწიფული ასაკის ხალხი, ამიტომ ენის მხრივ სამ წელზე უფრო ადრეც მათთვის უკვე არავითარი სიძნელე არ არსებობდა. ისინი შეუფერხებლად კითხულობდნენ საინტერესო მწერლებს. ზოგჯერ მათ ხელს მხოლოდ ტექსტის დაზიანებული ადგილები უშლიდათ. სწორი გითხრათ, ვფიქრობ, რომ ისინი ადვილად დაეუფლნენ ამ მეცნიერებებს იმის გამო, რომ რაღაც ჰქონდათ საერთო. მგონი ეს ტომი ბერძნებიდან მოდის, რადგან მათ ენაში, რომელიც, სხვათაშორის ძალიან ჰგავს სპარსულს, ქალაქებისა და თანამდებობის პირთა სახელებს ბერძნულის რაღაც კვალი აქვს შემონახული. შემდგომში მე მათ ჩავუტანე პლატონის ბევრი თხზულება, უფრო მეტი არისტოტელესი, აგრეთვე თეოფრასტეს[111] წიგნი მცენარეებზე — სამწუხაროა, რომ ბევრ ადგილას ის დაზიანებული იყო. (როდესაც მეოთხედ გავემგზავრე სამოგზაუროდ, სხვა ბარგის მაგივრად გემზე წიგნების საკმაოდ დიდი შეკვრა წავიღე, რადგან მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ჩქარა დაბრუნებას სჯობდა არასდროს დავბრუნებულიყავი). სანამ ზღვაში ვიყავით, თეოფრასტეს წიგნი, ჩემი დაუდევრობით, ხელთ ჩაუვარდა მაიმუნს[112], რომელმაც თამაშსა და გართობაში სხვადასხვა ადგილიდან რამდენიმე ფურცელი ამოხია და დაგლიჯა. გრამატიკის წიგნებიდან უტოპიელებს მხოლოდ ლასკარის[113] წიგნი აქვთ, თეოდორეს ნაშრომები არ ჩამიტანია, ისევე როგორც არ ჩამიტანია არც ერთი ლექსიკონი, გარდა ჰესიხიოსისა და დიოსკორიდესი[114]. უტოპიელებს ძალიან უყვართ პლუტარქეს[115] წიგნები, მოსწონთ აგრეთვე ლუკიანეს დაცინვები და ხუმრობები[116]. პოეტებიდან მათ აქვთ არისტოფანე[117], ჰომეროსი[118], აგრეთვე ევრიპიდე[119], შემდეგ სოფოკლე[120], დაბეჭდილი ალდუსის მინუსკულით[121]. ისტორიკოსებიდან აქვთ თუკიდიდე[122] და ჰეროდოტე[123], აგრეთვე — ჰეროდიანე[124]. გარდა ამისა, სამედიცინო წიგნებიდან ჩვენმა ამხანაგმა ტრიციანუს აპინატუსმა[125] თან ჩაიტანა ჰიპოკრატეს[126] რამდენიმე მცირე თხზულება, გალენუსის[127] „მცირე ხელოვნება“. ეს წიგნები მათთვის ძალიან ძვირფასი აღმოჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ უტოპიელებს მედიცინა სხვა ხალხებთან შედარებით ყველაზე ნაკლებად სჭირდებათ[128], ის მაინც არსად არ ფასდება ამ დონეზე, თუნდაც მარტო იმ მიზეზით, რომ მის ცოდნას ისინი ფილოსოფიის საუკეთესო და ძალზე სასარგებლო ნაწილად მიიჩნევენ. როდესაც ამ ფილოსოფიის დახმარებით იკვლევენ ბუნების საიდუმლოებებს, მათ ეჩვენებათ, რომ ისინი არა მარტო სი-

ამოვნებას ღებულობენ, არამედ მისი შემქმნელისა და შემოქმედის მფარველობაში ექცევიან. ისინი ფიქრობენ, რომ სხვა შემოქმედთა მსგავსად ღმერთმა სამყარო ადამიანს შესაცნობად და საჭვრეტად წარმოუდგინა. (მხოლოდ და მხოლოდ ადამიანს მიანიჭა მან ამის უნარი). ამიტომ შემოქმედისათვის უფრო ძვირფასია ბეჯითი და ყურადღებიანი დამკვირვებელი, მისი ქმნილების ქომაგი, ვიდრე ის, ვინც გონებით სუსტი ცხოველის მსგავსად, თავისი სიბრიყვით და უგუნურებით ამ დიადსა და უჩვეულო სანახაობას არაფრად აგდებს.

ამის გამო უტოპიელთა მეცნიერებაში გაწაფულ გონებას საოცარი უნარი აქვს შექმნას ნიმუშები, რომელთა შემწეობითაც ცხოვრება უფრო მყუდრო და უკეთესი ხდება. უტოპიელები ჩვენგან ორი რამით არიან დავალებულნი. ესენია წიგნის ბეჭდვა და ქაღალდის დამზადება[129]. თუმცა ამას მარტო ჩვენ კი არა, უფრო მეტად თავის თავს უნდა უმადლოდნენ, ვინაიდან, როდესაც ჩვენ მათ ვაჩვენეთ ალდუსის ქაღალდის წიგნებში დაბეჭდილი ასოები და ვუამბეთ, თუ რისგან მზადდებოდა ქაღალდი და როგორ შეიძლებოდა ასოების ბეჭდვა, ჩვენ მხოლოდ ვსაუბრობდით ყოველივე ამაზე, რადგან არც ერთი ჩვენგანი არც ერთში და არც მეორეში არ ერკვეოდა. უტოპიელები კი მაშინვე ძალზე გონივრულად მიხვდნენ, რაში იყო საქმე. ადრე მხოლოდ პერგამენტზე, ხის ქერქსა და პაპირუსზე წერდნენ, ახლა კი ქაღალდის დამზადებას და ასოების დაბეჭდვას შეეცადნენ. თავიდან არც ისე კარგად გამოსდიოდათ, მაგრამ გულმოდგინე მეცადინეობის შემდეგ წარმატებას მიაღწიეს როგორც ერთ, ისე მეორე საქმეში და ბერძენ ავტორთა ყველა წიგნი რომ ჰქონოდათ, მათი ასლების ნაკლებობას ვეღარ იგრძნობდნენ. ახლაც მათ მეტი არაფერი აქვთ, რაც ჩამოვთვალე, მაგრამ ბეჭდავენ წიგნებს და, რაცა აქვთ, მათ ათასობით ავრცელებენ.

უტოპიელები სიამოვნებით იღებენ ყველას, ვინც მათი ქვეყნის სანახავად მიდის, თუკი გამოირჩევიან რაიმე ნიჭით, ანდა ხანგრძლივი მოგზაურობის გამო ბევრ ქვეყანას იცნობენ (ამიტომ იყო მათთვის სასიამოვნო ჩვენი იქ მისვლა). ისინი ხალისით ისმენენ, რაც ქვეყანაზე ხდება, თუმცა მათთან სავაჭროდ არც ისე ხშირად მიდიან. ანდა რა უნდა ჩაიტანონ რკინის, ოქროსა და ვერცხლის გარდა, რომლებიც ყველას სურს აქედან გაიტანოს. უტოპიელებს ურჩევნიათ, ის, რის გატანაც საჭიროა, თვითონ გაიტანონ, ვიდრე სხვას შემოატანინონ,

რადგან მიაჩნიათ, რომ სხვა ხალხებს ასე უკეთესად გაიცნობენ, თანაც ნაოსნობის ჩვევებს არ დაივიწყებენ და გამოცდილებას გაიმდიდრებენ.

მონათათვის

უტოპიელები მონებად არ თვლიან არც ომში დატყვევებულებს, იმათ გარდა, ვისაც ბრძოლის ველზე თვითონვე შეიპყრობენ, არც მონათა შვილებს და არც სხვა ხალხების მონობაში მყოფთ, რომელთა ყიდვაც შეუძლიათ. ისინი მონებად აქცევენ იმათ, ვინც უტოპიაში სამარცხვინო დანაშაულს ჩაიდენს, ან კიდევ ვისაც სხვა ქვეყნებში ბოროტმოქმედებისათვის სიკვდილი აქვს მისჯილი (მსგავსი ადამიანები კი ძალიან ხშირად გვხვდება). ასეთებს უტოპიელები ზოგჯერ ძალიან იაფად იძენენ, უფრო კი მუქთად შოულობენ. ამგვარი მონების ხვედრია მუდამჟამს მუშაობა და ბორკილები. მონებად ქცეულ თანამოქალაქეებს უტოპიელები უფრო მკაცრად ეპყრობიან, რადგან მიაჩნიათ, რომ მათ უარესიც ეკუთვნით, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იყვნენ აღზრდილნი, შესანიშნავად ჰქონდათ შეთვისებული სიკეთე და სათნოება, ბოროტმოქმედებისაგან თავი მაინც ვერ შეიკავეს.

არსებობს მონობის სხვა სახეობაც, როცა სხვა ქვეყნის რომელიმე შრომისმოყვარე და ღარიბი მუშაკაცი თავისი ნებით იტვირთავს ხოლმე მათ სამსახურს. ასეთებს უტოპიელები კარგად ექცევიან, არანაკლებ, ვიდრე თავიანთ მოქალაქეებს, ოღონდ ცოტა მეტ სამუშაოს აძლევენ, რადგან თვითონ მონები არიან ამას მიჩვეული. თუკი ასეთი მონა უტოპიიდან წასვლას მოისურვებს (რაც იშვიათად ხდება), ძალით მას არც დააკავებენ და არც ხელცარიელს გაისტუმრებენ.

როგორც უკვე აღვნიშნე, უტოპიელები ავადმყოფებზე რაღაც განსაკუთრებულად ზრუნავენ, არაფერს იშურებენ, რომ არც წამლები დააკლდეთ და არც საკვები. უფრო მეტიც, უკურნებელი სენით შეპყრობილთ ისინი თავთით უსხედან, ესაუბრებიან, ანუგეშებენ და ცდილობენ ოდნავ მაინც მოჰგვარონ შვება. მაგრამ თუ უკურნებელი სენი ავადმყოფს გაუთავებლად ტანჯავს და აწამებს, მაშინ მღვდლები და მოხელეები ურჩევენ, რომ მისთვის უმჯობესია საიქიოს გამგზავრება, რადგან არავითარი სასიცოცხლო მოვალეობის შესრულება აღარ ძალუძს, თავი მოსძულებია, სხვას აწევს მძიმე ტვირთად, თვითონ კი თითქმის უკვე გადასახლებულია იმ ქვეყნად, თვითონაც ხომ უკვე დარწმუნებულია, რომ სიცოცხლე მისთვის ტანჯვაა და სხვა არაფერი.

კეთილი იმედით ნუგეშცემულმა, დაე, თვითონ იხსნას თავი ამ გამწარებული სიცოცხლისაგან, სისასტიკისა და საპყრობილისაგან, ან არადა სხვას დართოს ნება გაარიდოს იგი ამ ქვეყანას. ეს მეტად გონივრული საქციელია, რადგან სიკვდილით შეწყდება წამება და არა ბედნიერი ცხოვრება; გონივრულია იმიტომაც, რომ თუ ღვთის ნების გამომხატველი მღვდლების რჩევას დაჰყვება, მისი საქციელი წმინდა და ღვთის საამებელი იქნება. ვინც კი ამაში დარწმუნდება, იგი საკუთარი ნებით ისწრაფავს სიცოცხლეს ან შიმშილით, ან სამუდამო დაძინებით; ასეთ დროს ისინი სიკვდილის მიახლოებას ხომ ვერც კი გრძნობენ ხოლმე, ისე აღესრულებიან. ავადმყოფის სურვილის საწინააღმდეგოდ უტოპიელები ავადმყოფს როგორ მოკლავენ და ან მასზე ზრუნვას როგორ შეანელებენ. ისინი დარწმუნებული არიან, რომ მხოლოდ ავადმყოფის ნებართვით არის საქიროს წასვლა საპატიო. მაგრამ თუ სხვა შემთხვევაში ვინმე საკუთარ თავზე ხელს აღმართავს და მღვდლებსა და სენატს ამის გამომწვევ მიზეზს ვერავინ განუმარტავს, მაშინ გარდაცვლილს არც მიწას აღირსებენ, არც ცეცხლზე დაწვავენ, ისე გადააგდებენ სამარცხვინოდ სადმე ჭაობში[130].

ქალი თვრამეტ წელზე ადრე არ თხოვდება, მამაკაცი კი ამ ასაკზე ოთხი წლით უფროსი მაინც უნდა იყოს. თუ ქორწინებამდე[131] ქალი და მამაკაცი საიდუმლო კავშირით შეერთდებიან, ორივეს სასტიკად სჯიან. ასეთებს საერთოდ ეკრძალებათ ქორწინება, თუ მმართველი მათზე მოწყალებას არ მოიღებს. იმ ოჯახის უფროსებს, სადაც ეს დანაშაული მოხდა, საშინელი შერცხვენა ელით, რადგან ცუდი მეთვალყურეობის გამო თავისი მოვალეობა ვერ შეასრულეს. უტოპიელები ამ ბოროტმოქმედებას ასე მკაცრად იმიტომ სჯიან, რომ ზრუნავენ მომავალზე. თუ ადამიანებს არ აუკრძალავენ შემთხვევით კავშირებს, ცოლქმრობაში სიყვარული იშვიათად იხარებს, არადა მთელი ცხოვრება ხომ ერთად უნდა გაატარონ და მოუწევთ უსიყვარულო ურთიერთობის მთელი სიმძიმის გადატანა.

მეუღლის არჩევისას ისინი მკაცრად მისდევენ, ჩვენის აზრით, ერთ მეტად სულელურსა და სასაცილო ადათს: ქალიშვილსაც და ქვრივ ქალსაც ვინმე ღირსეული და დარბაისელი მანდილოსანი საქიმოს შიშვლად წარუდგენს; ასევე, რომელიმე პატივცემული მამაკაცი ქალიშვილს საქმროს შიშველს წარუდგენს. როცა ჩვენ სიცილით დავგმეთ ეს უცნაური ჩვეულება, უტოპიელებმა, პირიქით, გაოცება გამოთქვეს სხვა ხალხთა იშვიათი სისულელის გამო და აღნიშნეს: კვი-

ცის შეძენისას ისინი მცირე საფასურს იხდიან, სიფრთხილეს კი დიდს იჩენენ და, თუმცა კვიცი ისედაც თითქმის შიშველია, უნაგირსა და აღკაზმულობას მაინც ხდიან,ქვეშ რაიმე წყლული არ იფარებოდესო. მეუღლის არჩევისას კი, რამაც ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე ან ბედნიერება უნდა მიანიჭოს ან უბედურებას გადაჰკიდოს, ისე ქარაფშუტულად იქცევიან, რომ მთელი სხეული ტანსაცმლითაა დაფარული და ქალის ღირსებას მხოლოდ სახის მიხედვით განსაზღვრავენ (რადგან მხოლოდ სახელა მოუჩანს). ქორწინება მათვის საკმაოდ სახიფათოა, რადგან ადვილად შეიძლება გაუბედურდნენ (თუკი მოგვიანებით რაიმე იჩენს თავს). ყველა ხომ ისეთი ბრძენი არ არის, მხოლოდ ზნეობრივი თვისებებით დაკმაყოფილდეს. თვით ბრძენნიც კი ქორწინებისას სულიერ ღირსებებთან ერთად გარეგნობას მაინც აქცევენ ყურადღებას. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ წამოსასხამებს შეუძლია დაფაროს აუტანელი სიმახინჯე, ეს კი ადამიანს ცოლს შეაძულებს, თავის დაღწევა კი უკვე გვიანი იქნება. თუ ერთი მხარე ქორწინების შემდეგ რაიმე მიზეზით დამახინჯდება, ეს ხვედრი ორივემ უნდა ზიდოს. მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, ვინმე რომ ხაფანგში არ გაებას, საჭიროა კანონმდებლობით თავის დაზღვევა. ამაზე ისინი დიდი მონდომებით ზრუნავენ — იქაურ ქვეყნებში მხოლოდ უტოპიელები სჯერდებიან ერთ ცოლს[132]. განქორწინება იქ იშვიათია, ცოლ-ქმარს უმეტესწილად მხოლოდ სიკვდილი თუ დააშორებს. გამონაკლისია მაშინ, თუ მეუღლემ ღალატი ჩაიდინა ან აუტანლად მძიმე ხასიათი გამოამჟღავნა. დაზარალებულ მხარეს სენატი მეუღლის შეცვლის უფლებას აძლევს, ხოლო მიტოვებული მხარე სამუდამოდ შერცხვენილი რჩება და მეორედ დაქორწინების უფლება წართმეული აქვს. სხვა შემთხვევაში უდანაშაულო ცოლის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ მისი განდევნა არ შეიძლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხეულზე რაიმე ნაკლი გამოაჩნდება, რადგან უტოპიელებს სისასტიკედ მიაჩნიათ ადამიანის მიტოვება მაშინ, როცა იგი ყველაზე მეტად საჭიროებს ნუგეშისცემას. მათი აზრით, სიბერისაგან ხომ ვერავის იხსნი, რადგან სიბერე ადამიანს აძაბუნებს, თან მოაქვს სნეულებები და თვითონაც საშინელი სნეულებაა.

მაგრამ თუ ცოლ-ქმარი ერთმანეთს ვერ ეთვისება და ორივე იპოვის თავისთვის უფრო შესაფერს, ვისგანაც მეტ სიტკბოებას მიიღებს, მაშინ ორივე მხარის თანხმობით შესაძლებელია მათი განქორწინება და ხელახალი ქორწინება, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ სენატის ნე-

ბართვით, რომელიც არ დაუშვებს განქორწინებას, სანამ საქმეს სრული ყურადღებით არ განიხილავს და ადვილად არც მაშინ თანხმდება, რადგან მშვენივრად იცის, რომ ხელახალი ქორწინების იმედი და ადვილად ხელმისაწვდომი უფლება არ შეუწყობს ხელს ცოლქმრული სიყვარულის განმტკიცებას.

ცოლქმრული კავშირის შემაგინებლებს უმძიმესი მონობით სჯიან და თუ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე ქორწინებაში იმყოფება, მაშინ მათი შეურაცხყოფილი მეუღლეები (თუკი მათ ეს სურთ) მოღალატეს უარყოფენ და ერთმანეთს შეირთავენ, ან მათთვის სასურველ პიროვნებაზე დაქორწინდებიან. მაგრამ თუ რომელიმე შეურაცხყოფილს თავისი მეუღლე მაინც უყვარს, მაშინ კანონი არ ეწინააღმდეგება მის სურვილს მონობაში თან ახლდეს თანამეცხედრეს. ისეც ხდება ხოლმე, რომ ერთის მონანიება და მეორის გულმოდგინება მმართველს გულს მოულბობს ხოლმე და დამნაშავეს თავისუფლებას ანიჭებენ. მაგრამ ასეთი საქციელის ხელმეორედ ჩამდენი უკვე სიკვდილით ისჯება.

სხვა ბოროტმოქმედებისათვის არ არსებობს კანონით გათვალისწინებული რაიმე გარკვეული სასჯელი, მაგრამ თუ ვინმე სასტიკ, მიუტევებელ დანაშაულს ჩაიდენს, სასჯელი სენატმა უნდა განსაზღვროს. ისე კი ცოლები ქმრებმა უნდა აღზარდონ, შვილები—მშობლებმა. გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვინმე ისეთ დანაშაულს ჩაიდენს, რისთვისაც სახალხოდ უნდა დაისაჯოს, თითქმის ყველა მძიმე დანაშაულისათვის უტოპიელები ადამიანებს მონობით სჯიან. მათ მიაჩნიათ, რომ ეს არ არის მცირე სასჯელი ბოროტმოქმედებისათვის; სახელმწიფოსთვის იგი უფრო ხელსაყრელია, ვიდრე აჩქარება და დამნაშავის სიკვდილით დასჯა. მონის შრომა ხომ მეტ სარგებლობას მოიტანს, ვიდრე მისი მოკვლა. მისი მაგალითი კი სხვებს დიდხანს ემახსოვრებათ. თუ დამნაშავე არც ასეთი მოპყრობის შემდეგ გამოსწორდება და წესრიგს ისევ დაარღვევს, მაშინ მას ბოლოს და ბოლოს კლავენ, როგორც მძვინვარე მხეცს, რადგან არც ციხემ უშველა და არც ბორკილებმა. მომთმენი მონებისათვის კი ყველა იმედი არ არის გადაწურული. თუ ხანგრძლივი ტანჯვა მათ მოათვინიერებს და მონანიება კი ცხადყოფს, რომ მათ დანაშაული უფრო ემძიმება, ვიდრე სასჯელი, მაშინ მმართველის უპირატესობა ან სახალხო კენჭისყრა მათ მონობას უმსუბუქებს ან საერთოდ ათავისუფლებს.

გარყვნილებისაკენ წაქეზება არანაკლებ საშიშია, ვიდრე თვით გარყვნილება და საერთოდ დანაშაულის განზრახ ჩადენის მცდელობას უტოპიელები ბოროტმოქმედებას უტოლებენ. დანაშაული თუ არ მოხდა, ეს არ უნდა იყოს გასამართლებელი საბუთი იმათთვის, ვინც მას წინ არ გადაეღობა.

მასხარები უტოპიელებს გასართობად ჰყავთ. დიდ სირცხვილად ითვლება მათი შეურაცხყოფა, მათი სისულელეებით თავის გართობა კი არავის ეკრძალება. ფიქრობენ, რომ ეს ისევ მასხარებისათვისაა სასარგებლო. თუ რომელიმე პიროვნება იმდენად კუშტი და პირქუშია, რომ არც რაიმე საქციელი მოჰგვრის სიცილს და არც ნათქვამი, ასეთს მასხარაზე ზრუნვას არ დაავალებენ, შიშობენ, რომ იგი საპირო შემწყნარებლურ დამოკიდებულებას ვერ გამოიჩენს მისდამი, რადგან ამისაგან ვერავითარ სიამოვნებას და სარგებლობას ვერ მიიღებს (ხოლო მასხარათა ერთადერთი ნიჭი გართობაა). სიმახინჯისა და ავთვალადობის დაცინვა უტოპიელებს სამარცხვინოდ მიაჩნიათ სწორედ იმისათვის, ვინც დასცინის, და არა იმისათვის, ვისაც დასცინიან, რადგან რეგვენობაა, უკიჟინო ადამიანს ის ნაკლი, რომლისგანაც თავის დაღწევა მას არ შეუძლია.

უტოპიელები ფიქრობენ, რომ ადამიანები ბუნებრივ სილამაზეს სიზარმაცისა და სიზანტის გამო უარყოფენ; ფერუმარილის ხმარების მიზეზად მათ სამარცხვინო ქედმაღლობა მიაჩნიათ, რადგან საკუთარი გამოცდილებით იციან, რომ ვერავითარი გარეგნული სილამაზით ვერ მოიგებს ქალი ქმრის გულს ისე, როგორც სათნო ბუნებითა და თავმდაბლობით. მართალია, ზოგიერთს მხოლოდ გარეგნული სილამაზე იტაცებს, მაგრამ ცოლი ქმარს მთელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ სათნოებითა და მორჩილებით ინარჩუნებს.

უტოპიელები ადამიანებს ბოროტმოქმედებისაგან განარიდებენ არა მარტო დასჯის შიშით, არამედ საყოველთაო პატივისცემითაც, რაც სიკეთისაკენ მოუწოდებს მათ. ვაჟკაცებს, რომლებსაც უდიდესი დამსახურება მიუძღვით ქვეყნის წინაშე, მოედნებზე ძეგლს უდგამენ მათი გმირობის სადიდებლად და მომავალი თაობებისათვის წინაპართა სასახელო მაგალითის საჩვენებლად. ვისაც ცბიერებით სურს რაიმე თანამდებობის მიღება, მას ყოველგვარ იმედს უსპობენ. უტოპიელები შეხმატკბილებულად ცხოვრობენ, რადგან იქ თანამდებობის პირები არ ქედმაღლობენ და მათი შიში არც არავის აქვს, მათ მამებს უწოდებენ და ისინიც ყველას მამობრივი მზრუნველობით ეპყრობიან. მათ

ლირსების შესაბამისად ექცევიან: პატივს ნებაყოფლობით მიაგებენ და არა ძალდატანებით. თვით მმართველი სხვებისაგან არ განსხვავდება განსაკუთრებული ჩაცმულობით ანდა გვირგვინით, მას მხოლოდ თავთავების კონით გამოარჩევ, ისევე როგორც მღვდელმთავარს — ცვილის სანთლით, რომელიც მის წინ მიაქვთ.

უტოპიელებს ძალზე ცოტა კანონები აქვთ. ასეთი მოწესრიგებული ურთიერთობის ადამიანებს მეტი არც სჭირდებათ. მათ არ მოსწონთ, სხვა ხალხებს რომ კანონების მთელი ტომებიც კი არ ყოფნით თავისი განმარტებებიანად. უდიდეს უსამართლობად მიაჩნიათ ადამიანთა შეზღუდვა ისეთი კანონებით, რომელთა წაკითხვაც კი შეუძლებელია მათი უზომო რაოდენობის, ხოლო გაგება — მეტისმეტი ჩახლართულობის გამო. უტოპიელები საერთოდ უარყოფენ ვექილებს, რომლებიც საქმეს ეშმაკურად არჩევენ და კანონებს მოხერხებულად განმარტავენ. უტოპიელთ უფრო სწორად მიაჩნიათ, რომ ადამიანს თავისი საქმე თვითონვე მიჰყავდეს და მოსამართლეს იმასვე უამბობდეს, რასაც დამცველს ეტყოდა. ასე უფრო ადვილია ბუნდოვანების თავიდან აცილება და ჭეშმარიტების დადგენა. სანამ ილაპარაკებდეს ადამიანი, რომლისთვისაც არც ერთ დამცველს თვალთმაქცობა არ უსწავლებია, მოსამართლე აწონ-დაწონის წვრილმანებს და შედარებით მიამიტებს გაუადვილებს გაქნილთა ცილისწამების თავიდან აცილებას. ამას სხვა ხალხები ვერ მოახერხებენ, რადგან მათ საოცრად დახლართული კანონების მთელი გროვა აქვთ. უტოპიელები კანონებში კარგად ერკვევიან, რადგან, როგორც აღვნიშნე, მათი რაოდენობა ძალზე მცირეა. ამასთან, რაც უფრო ადვილად გასაგებია კანონი, მით უფრო სამართლიანად მიიჩნევა. უტოპიელები კანონს იმისთვის ქმნიან, რომ თითოეულს თავისი მოვალეობა შეახსენონ. ძირფესვიანად მის ახსნას ცოტა ვინმე თუ შეძლებს, მაშინ როცა კანონების უფრო სადა და ნათელი აზრი ყველასათვის გასაგებია. უბრალო ხალხისთვის კი, რომლებიც რაოდენობით მეტნი არიან და სხვებზე მეტად სჭირდებათ სწავლება და ახსნა-განმარტება, სულერთია, სულ არ გამოსცემენ კანონებს, თუ მათ ისე ჩახლართავენ, რომ დიდი ნიჭი და ხანგრძლივი განსჯა იქნება საჭირო მათი აზრის ამოსაცნობად. ამას კი ვერ შესძლებს უბრალო ადამიანთა უბირი გონება და არც დრო ეყოფათ საამისოდ, რადგან მთელ სიცოცხლეს საზრდოს მოპოვებაში ატარებენ.

უტოპიელების ასეთი მაღალი ზნეობა იზიდავს მეზობელ ხალხებს, რომლებიც თავისუფალი არიან და საკუთარ ნებას ემორჩილებიან. მა-

თი უმრავლესობა უტოპიელებმა იხსნეს ტირანიისაგან. ისინი სთხოვენ უტოპიელებს გაუგზავნონ მათ მოხელეები, ზოგი ერთი, ზოგი — ხუთი წლით. როცა ვადა თავდება, მათ დიდი პატივითა და ქება-დიდებით ისტუმრებენ უკან და მათი შემცვლელები მიჰყავთ. ეჭვი არ არის, ეს მეზობელი ხალხები შესანიშნავად და სამაგალითოდ ზრუნავენ საკუთარ სახელმწიფოზე. თუ მათი ცხოვრების კარგი და ავი მოხელეთა კეთილზნეობაზეა დამოკიდებული, რასაკვირველია, უტოპიელებზე უკეთესს ვერავის ნახავენ, ვისაც ვერავითარი გასამრჯელო ვერ აცდუნებს (ეს უაზრობა იქნებოდა, უტოპიელები ხომ მალე უკან უნდა დაბრუნდნენ). მოხელეებს მოქალაქეები არ იცნობენ და ამიტომ მათ არ შეუძლიათ რომელიმე მათგანის მხარეზე დადგომა ბოროტი მიკერძოების ან ზტრობის განზრახვით. როგორც კი მართმსაჯულებაში დაისადგურებს ბოროტების ორი სახეობა — სიხარბე და მიკერძოება, ირღვევა ყოველგვარი სამართლიანობა — სახელმწიფოს უმთავრესი ბურჯი. უტოპიელები მოკავშირეებს უწოდებენ იმ ხალხებს, რომლებიც მათ მმართველობას სთხოვენ, ხოლო მეგობრებად თვლიან იმათ, ვისაც სიკეთეს უკეთებენ.

უტოპიელები არ დებენ ხელშეკრულებებს სხვა ხალხებთან, განსხვავებით იმათგან, რომლებიც უთვალავჯერ დებენ შეთანხმებებს, არღვევენ მათ და შემდეგ ისევ განაახლებენ. რა საჭიროა შეთანხმებები? — კითხულობენ უტოპიელები, — ბუნება ხომ უფრო უკეთ აკავშირებს ადამიანებს. და თუ ვინმე ამ ბუნებრივ კავშირს უარყოფს, ის სიტყვებს უერთგულებს? ამ აზრზე უფრო იმიტომ დგანან, რომ მიმდგომ მხარეებში მმართველთა შეთანხმებები და შეკავშირებები ჩვეულებრივ არცთუ პატიოსნად ხდება ხოლმე.

ევროპაში, განსაკუთრებით კი იმ ადგილებში, სადაც ქრისტიანული რწმენა და რელიგიაა გავრცელებული, შეთანხმებები წმიდათაწმიდაა და ურღვევი, როგორც მმართველთა სამართლიანობისა და სიკეთის, ისე უმაღლესი მღვდელმთავრისადმი შიშისა და მოწიწების მეოხებით. ისინი ხომ არც თვითონ იკისრებენ ისეთ რამეს, რასაც ზუსტად ვერ შეასრულებენ და ყველა სხვა მმართველისგანაც მოითხოვენ დანაპირების ყოველმხრივ დაცვას. ვინც ამას თავს არიდებს, მას პასტორული სიმკაცრით მოძღვრავენ. უტოპიელებს სამარცხვინოდ მიაჩნიათ, და სავსებით სამართლიანადაც, შეთანხმების ღალატი, განსაკუთრებით ერთგულად მიჩნეული ადამიანებისა.

მაგრამ იმ ახალ სამყაროში, რომლისგანაც ეკვატორი გვყოფს, და

გვყოფს არა იმდენად მანძილით, რამდენადაც ცხოვრების განსხვავებული წესით და ზნეობით, შეთანხმებებს სულ არ ენდობიან. ასეთი შეთანხმებები ხომ, რაც უფრო მეტი ლოცვა-კურთხევა ახლავს, მით უფრო სწრაფად ირღვევა. სიტყვების კორიანტელში ადვილია სუსტი ადგილის გამოძებნა, შეთანხმებები კი ხომ განზრახ ეშმაკურადაა დაწერილი, მათ შორის ძნელია მტკიცე კავშირის დამყარება და ამიტომ შეთანხმების ერთგულებისაგან თავის დაღწევა ყოველთვის ხერხდება. ასეთი ფანდი, ხრიკი და ეშმაკობა შემთხვევით კერძო პირთა გარიგებაში რომ აღმოაჩინონ, ქედმაღლურად დაიწყებენ ყვირილს, რომ ეს სახრჩობელის ღირსი მკრეხელობაა, ისინი კი, ვინც მმართველებს ამგვარ რჩევას აძლევენ, კიდეც ტრაბახობენ ამით.

და გამოდის ისე, რომ სამართლიანობა სხვა არაფერია, თუ არა მდაბიოთა ქველობა, რომელიც მეფური დიდებისაგან საკმაოდ შორს დგას. ან არადა, ორი სამართლიანობა მაინც არსებობს, რომელთაგან ერთი მდაბიო ხალხს შეეფერება და ქვეითად დაიარება, მიწაზე დახოხავს, ღობეს ვერ გადაახტება, რადგან გზა ყოველმხრივ შეკრული აქვს; და მეორე — ღირსება მეუფეთა, რომელიც უფრო დიდებულია, ვიდრე ხალხისა, უფრო თავისუფალიც, რადგან მისთვის აკრძალული არაფერია, გარდა იმისა, რაც მას თავად არ სურს.

ვგონებ მეუფეთა ასეთი ზნე, შეთანხმებათა ასეთი ორჭოფობაა იმის მიზეზი, რომ უტოპიელები არავითარ შეთანხმებას არ დებენ. ისინი რომ აქ ცხოვრობდნენ, შესაძლოა, ამ საკითხზე აზრიც შეცვლოდათ. თუმცაღა მათ ჰგონიათ, რომ შეთანხმებები კიდევაც რომ ზუსტად სრულდებოდეს, მაინც ცუდია მათი წესად შემოღება. გამოდის, რომ სულ მცირე მანძილით, ნაკადულით ან გორაკით დაშორებულ ხალხებს ერთმანეთთან ბუნებრივად დაკავშირებულად არ მიაჩნიათ თავი. მათ ჰგონიათ, რომ მტრებად და მოწინააღმდეგეებად დაიბადნენ და ერთმანეთს სამართლიანად გაჟლეტენ, თუკი ამას წინ შეთანხმება არ ეღობება. უფრო მეტიც, შეთანხმების დადება მათ შორის მეგობრულ კავშირს კი არ ამყარებს, არამედ ძარცვის თავისუფლებას იძლევა, რადგან შეთანხმების შედგენისას უგუნურების გამო მის პირობებში არაფერი იყო ჩაწერილი, რაც ამას ხელს შეუშლიდა. უტოპიელები კი, პირიქით, ფიქრობენ, რომ მტრად არავინ არ უნდა ჩათვალო, თუ მან დაჩაგვრა არ დაგიპირა. შეთანხმების ნაცვლად ბუნებაში უნდა არსებობდეს ძმობა, ის უფრო კარგად და მტკიცედ შეაკავშირებს ადამიანების სულსა და გულს, ვიდრე ლიტონი სიტყვები.

სამხედრო საქმისათვის

უტოპიელებს ომი უკიდურესად სძაგთ, როგორც ნამდვილად მხეცური მოქმედება. თუმცა რომელი მხეცი იბრძვის ისე გაუთავებლად, როგორც ადამიანი. თითქმის ყველა სხვა ხალხისაგან განსხვავებით, უტოპიელებს არაფერი არ მიაჩნიათ ისე სამარცხვინოდ, როგორც ომით მოპოვებული დიდება. მაგრამ განსაზღვრულ დღეებში ისინი მაინც ბეჯითად ატარებენ საომარ ვარჯიშებს. ვარჯიშობენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები, რათა საჭიროების შემთხვევაში ომს მოუმზადებლად არ შეხვდნენ. ომს კი ტყუილუბრალოდ არ იწყებენ. ისინი ომში ებმებიან მხოლოდ მაშინ, როცა საკუთარ საზღვრებს იცავენ ან მომხდურ მტერს ერეკებიან, ან ტირანიით დაჩაგრულ სხვა ხალხებს საკუთარი ძალებით ათავისუფლებენ მონობისა და ტირანთა უღლისაგან (ამას ისინი კაცთმოყვარეობით სჩადიან).

მეგობრებს უტოპიელები არა მარტო იცავენ, არამედ შურსაც კი იძიებენ ხოლმე მათთვის მიყენებული შეურაცხყოფისათვის. ასე მხოლოდ მაშინ იქცევიან, თუ ისინი თხოვნით მიმართავენ ომის დაწყების წინ, და თანაც მხოლოდ მაშინ ესხმიან თავს უთანხმოების წამომწყებთ, როცა ყველაფერს შეამოწმებენ, ახსნა-განმარტებას მოითხოვენ და ვერ მიიღებენ. ასევე იქცევიან არა მარტო მაშინ, როცა მტერი მათ დაარბევს და ნადავლს წაიღებს, არამედ მაშინაც, და უფრო სასტიკადაც, როცა მეგობარი ხალხების ვაჭრებს სამართლიანობის ნიღბით, სამართლიანი კანონების დამახინჯებით და არახელსაყრელი კანონების მოშველიებით უსამართლოდ დასწამებენ ცილს. სწორედ ეს იყო იმ ომის მიზეზიც, რომელშიც იყვნენ ჩაბმულნი უტოპიელები ჩვენს ჩასვლამდე, — ისინი იბრძოდნენ ალაპოლიტების წინააღმდეგ ნეფელოგეტების[133] დასაცავად.

ალაპოლიტებს მიაჩნდათ, რომ კანონიერად იქცეოდნენ, სინამდვილეში კი უსამართლოდ მოექცნენ ნეფელოგეტელ ვაჭრებს. სამართლიანად იყო თუ უსამართლოდ, ამას მოჰყვა სასტიკი ომი, რომლის დროსაც ორივე მხარის საკუთარ ძალებსა და სიძულვილს დაემატა მეზობელ ტომთა თავგამოდება და სახსრები (თანხები), ისე რომ ზოგი ხალხის ბედნიერი ცხოვრება შეირყა, ზოგი კი საშინლად გაწამდა. ბოროტება ბადებდა ახალ ბოროტებას და ალაპოლიტებისათვის ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ ისინი ნეფელოგეტების ძალაუფლებას დამორჩილდნენ (უტოპიელები ხომ თავიანთთვის არ იბრძოდნენ).

ალაპოლიტებს კი ვერავინ შეებმოდა, როცა მათი საქმე წარმატებით მიდიოდა.

უტოპიელები მათი მეგობრებისათვის მიყენებული ფინანსური ზარალისათვის სასტიკად იძიებდნენ ხოლმე შურს, საკუთრისათვის კი —ნაკლებად. თუ მათ ვინმე მოატყუებს და ქონებას წაჰგლეჯს (სხეულის დაზიანების გარეშე), სანამ არ აუნაზღაურებენ ზარალს, განრისხებული უტოპიელები მათთან აღარ ვაჭრობენ. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ საკუთარ მოქალაქეებზე ნაკლებად ზრუნავენ, ვიდრე მოკავშირეებზე. სრულიადაც არა. მაგრამ როცა სხვებს ართმევენ ფულს, უტოპიელებს ამის ატანა უფრო უჭირთ, რადგან მეგობარი ხალხების ვაჭრები პირად თანხას კარგავენ და ეს დანაკარგი მათთვის უფრო მეტად მძიმეა. უტოპიელები კი კარგავენ საერთო სახელმწიფო ქონების მხოლოდ ნაწილს, თანაც ისეთი ქონებისას, როგორიც სახლში ისედაც უხვად აქვთ, ჭარბადაც კი. სხვა შემთხვევაში ამის გატანა სახელმწიფოდან ძნელიც იქნებოდა, ასე რომ დანაკარგი თითქოს არავისთვის არ არის საგრძნობი, ამიტომ მათ მიაჩნიათ, რომ ზარალისათვის ადამიანების დახოცვით სამაგიეროს გადახდა მეტისმეტი სიასტიკეა. არც ერთ მათგანს მიყენებული ზარალის გამო არც ცხოვრების წესი დარღვევია, არც კვების მხრივ რაიმე შეფერხება მოსვლია. მაგრამ თუკი რომელიმე უტოპიელს უსამართლოდ დაასახიჩრებენ ან მოკლავენ, სულ ერთია, რომელიმე კერძო პირის თუ მთელი სახელმწიფოს მიზეზით, უტოპიელები ელჩების საშუალებით საქმეს გამოიძიებენ და მანამ არ მოისვენებენ, სანამ დამნაშავეებს მათ არ გადასცემენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ქვეყანას ომს გამოუცხადებენ. გადმოცემულ დამნაშავეებს კი ისინი ან სიკვდილით დასჯიან, ან სამუდამო მონობას მიუსჯიან.

სისხლიანი გამარჯვებები უტოპიელების მარტო სიბრაზეს კი არ იწვევს, არამედ სირცხვილსაც. მათ მიაჩნიათ, რომ მეტისმეტი საფასურით თვით უძვირფასესი საქონლის შეძენაც უგუნურებაა. თუ უტოპიელები მტერზე ეშმაკობითა და მოხერხებულობით[134] გაიმარჯვებენ, ამით ძალიან ამაყობენ და, თითქოს დიდი გმირობა ჩაედინოთ, სახელმწიფო ტრიუმფს აწყობენ და ქანდაკებებს დგამენ. ისინი ტრაბახობენ, რომ იმამაცეს და ომი ვაუკაცურად გადაიხადეს, რადგან ადამიანის გარდა არც ერთ სულიერს არ ძალუძს გონების ძალით გამარჯვება. დათვები, ლომები, ტახები, მგლები, ძაღლები და სხვა ცხოველები ფიზიკური ძალის მეოხებით იბრძვიან. ზემოჩამოთვლილთა უმრავლესობა

ადამიანს ძალ-ღონითა და მძვინვარებით სჯობნის, მაგრამ გონიერებითა და გამჭრიახობით ჩამორჩება.

ომის დროს უტოპიელები პირველ რიგში იმის მიღწევას ცდილობენ, რომ ომის გაჩაღება საჭირო აღარ გახდეს. თუ ეს ვერ მოხერხდება, მტერს ისინი სასტიკად სჯიან იმ იმედით, რომ მომავალში დაშინდებიან და სიავეს მეორედ აღარ ჩაიდენენო. ისინი განსაზღვრავენ ხოლმე თავიანთ მიზნებს და ცდილობენ სრულად მიაღწიონ დასახულს, ისე რომ პირველ რიგში საფრთხისაგან თავის დაღწევაზე იზრუნონ და არა სახელისა და დიდების მოხვეჭაზე.

უტოპიელები ომის გამოცხადებისთანავე ცდილობენ მტრის ტერიტორიის ყველაზე თვალსაჩინო ადგილებში ფარულად და ერთდროულად გააკრან უტოპიელთა სახელმწიფო ბეჭდიანი უამრავი ფურცელი, რომლებშიც ისინი უდიდეს გასამრჯელოს ჰპირდებიან იმათ, ვინც მტრის მმართველს მოკლავს; შედარებით ნაკლებს, მაგრამ მაინც საკმაო თანხას აწესებენ ისინი იმ ცალკეული პირების მოკვლისათვის, ვინც სიაში ჰყავთ შეყვანილი. ეს პიროვნებები, მათი აზრით, ყველაფერში მხარს უჭერენ მმართველს და ამიტომ მასავით დამნაშავენი არიან ომის გაჩაღებაში. გასამრჯელოს უორკეცებენ იმას, ვინც სიაში შეყვანილ რომელიმე პირს ცოცხლად მოიყვანს. სიაში ჩაწერილებსაც მოუწოდებენ იმოქმედონ თავისივე ამხანაგების საზიანოდ, რის სანაცვლოდაც გასამრჯელოსა და ხელშეუხებლობას აღუთქვამენ.

ამიტომ სულ მალე მოწინააღმდეგეები ყველა მოკვდავს ეჭვის თვალით უყურებენ, ერთმანეთს აღარავინ ენდობა. ისინი შეპყრობილნი არიან საშინელი შიშით და საფრთხეში ვარდებიან, რადგან აღარავინ მიაჩნიათ ერთგულად. ხშირად ყოფილა შემთხვევა, მმართველიც და სიაში შეყვანილი ადამიანებიც სწორედ იმას გაუყიდია, ვისზედაც ადრე უდიდეს იმედებს ამყარებდნენ. ასე უბიძგებს გასამრჯელო ადამიანს ნებისმიერი ბოროტებისაკენ. გასამრჯელოს კი უტოპიელები უხვად გასცემენ. მათ კარგად უწყიან, რა საფრთხეშიც აგდებენ ადამიანს ამ დაპირებებით და ცდილობენ ნაკისრი საქმე აუნაზღაურონ საგრძნობი თანხით. ასევე პირდებიან ისინი პირად და მუდმივ მფლობელობაში საკმაოდ შემოსავლიან მამულებს ყველაზე უსაფრთხო ადგილებში, რომლებიც მათ მეგობრებს ეკუთვნის. დანაპირებს კი ზედმიწევნით საიმედოდ ასრულებენ.

სხვა ხალხები არ იწონებენ მტრების მოსყიდვის ამ ჩვეულებას და მას გადაგვარებული სულის ბოროტ გამოვლინებად თვლიან. უტო-

პიელები კი ამას ღირსებად მიითვლიან, რადგან ფიქრობენ, რომ შეტაკების ნაცვლად ამგვარად დაბოლოებული თვით ყველაზე დიდი ომიც კი უფრო გონივრულია. ასევე ადამიანურად და მოწყალედ მიაჩნიათ იმათი საქციელი, ვინც რამდენიმე დამნაშავის სიკვდილის საფასურად იხსნის ურიცხვი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლეს (როგორც თავისიანის, ასევე მტრებისას), რომლებიც ბრძოლის ველზე უნდა დაღუპულიყვნენ. მტრის ურიცხვი მეომრები და უბრალო ხალხი უტოპიელებს საკუთარ მოქალაქეებზე ნაკლებად როდი ებრალებათ, მათ იციან, რომ ისინი თავის ნებით არ მიდიან საომრად, მათ მმართველთა უგუნურება ერეკება.

თუ ამგვარი ხერხით არაფერი გამოდის, მაშინ უტოპიელები გათიშვის პოლიტიკას მიმართავენ: ან მმართველის ძმას, ან რომელიმე დიდებულს ძალაუფლების იმედს უნერგავენ. თუ ქვეყნის შიგნითა დაჯგუფებები შესუსტდება, მაშინ მათ წინააღმდეგ მეზობელ ხალხებს ამხედრებენ მათ შორის დადებული შეთანხმების რომელიმე ძველი მუხლის გამოჩხრეკით, შეთანხმებები ხომ ხელმწიფეებს არასოდეს არა აქვთ მოწესრიგებული.

ომისთვის განკუთვნილ ფულად სახსრებს უტოპიელები უხვად გაიღებენ ხოლმე, მაგრამ მოქალაქეებს ადვილად ვერ ელევიან; იმდენად ძვირფასია მათთვის თითოეული მათგანი, იმდენად აფასებენ ერთმანეთს, რომ არავითარი გაცვლა არ სურთ ხოლმე მტრების მმართველზე. ოქრო-ვერცხლს კი სწორედ ასეთი საჭიროებისათვის ინახავენ და დაუნანებლად ხარჯავენ, მით უმეტეს, რომ მთლიანადაც რომ გასცენ, მათი ცხოვრება ოდნავადაც არ დაზარალდება. სახლებში დაცული სიმდიდრის გარდა მათ აურაცხელი განძი აქვთ საზღვრებს იქით, რადგან, როგორც ადრე აღვნიშნე, ბევრ ქვეყანას აქვს მათი ვალი.

ომში ისინი ყოველი მხრიდან, განსაკუთრებით ზაპოლეტელებისაგან[135] დაქირავებულ ჯარისკაცებს აგზავნიან. ეს ხალხი მათგან აღმოსავლეთით ცხოვრობს, 500 მილის დაშორებით; ეს საშიში, უხეში და ველური ადამიანები საცხოვრებლად ტყე-ღრეს ირჩევენ, ფიზიკურად ძლიერი, სიცხის, სიცივისა და შრომის ამტანნი არიან, მაგრამ მოკლებულნი ყოველგვარ სიხარულს. მიწას ისინი არ ამუშავებენ, ჩაცმაზე და სადგომზე არ ზრუნავენ, მხოლოდ საქონელს უვლიან. თავს უმთავრესად ნადირობითა და ძარცვით ირჩენენ. ისინი თითქოს მხოლოდ საომრად არიან გაჩენილები და ყოველთვის ცდილობენ იბრძოლონ. როგორც კი საომარ მიზეზს იპოვნიან, ხარბად დაეძგერებიან და თა-

ვის საკმაოდ მრავალრიცხოვან ლაშქარს ჩალის ფასად სთავაზობენ ყველას, ვინც კარგ მეომარს დაეძებს. მათ მხოლოდ ერთი ხელობა იციან — სიკვდილის თესვა.

ისინი ვაჟკაცურად, მოუსყიდველი ერთგულებით ემსახურებიან დამქირავებლებს, მაგრამ არასოდეს იზღუდავენ თავს რაიმე გარკვეული ვადით და დგებიან მათ სამსახურში იმ პირობით, რომ თუ სხვა მეტს შემოსთავაზებთ, მეორე დღესვე მის მხარეს გადავლენ და ასევე მესამე დღეს უკანვე დაბრუნდებიან, თუკი მეტ გასამრჯელოს მიიღებენ.

იშვიათია სადმე ომი დაიწყოს და რომელიმე მხარეს ზაპოლეტელთა საკმაოდ დიდი რაზმი არ იბრძოდეს. თითქმის ყოველდღე მეორდება შემთხვევები, როცა ბრძოლის ველზე ერთმანეთს მტრად ხვდებიან ნათესავები, რომლებიც აქამდე სიამტკბილობით ცხოვრობდნენ, ადრე ერთსა და იმავე მხარეს იბრძოდნენ, მაგრამ შემდეგ მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდნენ. მაშინ ერთმანეთს ისინი მტრულად დაერევიან ხოლმე, არ ახსოვთ არც მეგობრობა, არც საერთო წარმოშობა; ამ სისხლისღვრას სხვა არავითარი მიზეზი არა აქვს, გარდა იმისა, რომ რაღაც გროშების საფასურად ისინი სხვადასხვა მმართველმა დაიქირავა. ზაპოლეტელები ისეთი არასანდოები არიან, რომ დღიურ ჯამაგირზე თუნდაც ერთი გროშის მომატებით ადვილად შეიძლება მათი გადაბირება მოწინააღმდეგის მხარეს. თუმცა კი ძვალ-რბილში გამჯდარ სიხარბეს მათთვის დიდი სარგებელი მაინც არ მოაქვს, რადგან სისხლით მოპოვებულს მაშინვე ხარჯავენ ქარაფშუტული ფუფუნებისათვის.

ეს ხალხი უტოპიელთა გულისთვის ნებისმიერი მტრის წინააღმდეგ იბრძვის, რადგან ესენი დაქირავებისას მათ გაცილებით მეტს უხდიან, ვიდრე სხვები. უტოპიელები ცდილობენ როგორც კარგი, ისე ცუდი ადამიანების გამოყენებას, ესენი მათ ბოროტი საქმეებისათვის ესაჭიროებათ. როცა კი ეს საჭირო ხდება, უდიდესი დაპირებებით მოხიბლულთ ისინი დიდ საფრთხეში აგდებენ, საიდანაც უმრავლეს შემთხვევაში ბევრი ვეღარც ბრუნდება დანაპირების მისაღებად. გადარჩენილებს ზედმიწევნით პატიოსნად მიუთვლიან ხოლმე კუთვნილ თანხას, რომ მათში მსგავსი სიმამაცე კვლავ გააღვივონ. უტოპიელებს სულაც არ ენაღვლებათ რამდენი ზაპოლეტელი დაიღუპება, რადგან მიაჩნიათ, რომ კაცობრიობა მათი მადლიერი იქნება, თუკი ასეთი უღირსი და ბილწი ხალხი სულაც აღიგვება პირისაგან მიწისა. მათ შემდეგ

უტოპიელები ჯერ იმ ქვეყნის ლაშქარს იყენებენ, ვისთვისაც იარაღს მოჰკიდეს ხელი, შემდეგ — სხვა მეგობრების დამხმარე რაზმებს, სულ ბოლოს კი მათ შეუერთებენ საკუთარ მოქალაქეებს, რომელთაგან რომელიმე გამოცდილ მამაც ვაჟკაცს მთელი ლაშქრის სარდლად აცხადებენ. მას ორი შემცვლელი ჰყავს, მაგრამ სანამ იგი უვნებელია, ესენი კერძო პირებად ითვლებიან, ხოლო თუ მეთაურს რამე დაემართება— მოკლავენ ან დაატყვევებენ, მაშინ მას მემკვიდრეობით ერთ-ერთი ამათგანი შეცვლის, მას კი, საჭიროებისდა მიხედვით, — მესამე. ასე იმიტომ იქცევიან, რომ სარდლის საფრთხეში ჩავარდნამ ლაშქარი არ არიოს. ომის ბედი ხომ ყოველთვის სასწორზე ჰკიდია.

უტოპიელები ყოველ ქალაქში აგროვებენ მოხალისეებს, რომლებსაც ომში სურთ წასვლა. ძალით არავის ერეკებიან საზღვარს მიღმა სამსახურად, რადგან ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მხდალი ადამიანი ვერც თვითონ გამოიჩენს ვაჟკაცობას და ამხანაგებსაც შიშს გადასღებს, მაგრამ თუ სამშობლოს დაატყდება თავს ომი, მაშინ ასეთ გაუბედავ, მაგრამ ჯანმაგარ ადამიანებს ხომალდებზე საუკეთესო მოქალაქეებს შეურევენ. ან არადა აქა-იქ კედლებთან მიუჩენენ ადგილს, რომ გაქცევა ვერ შეძლონ. ამრიგად, თავისიანების წინაშე სირცხვილი, მტრის სიახლოვე და გაქცევის ყოველგვარი იმედის წარკვეთა მათში შიშს ფრგუნავს და ხშირად ეს გამოუვალი მდგომარეობა ვაჟკაცობასაც კი აღვიძებს ხოლმე მათში. მაგრამ ძალით არავის ერეკებიან საზღვარს იქით საომრად. ქალებს, რომლებსაც სურთ თან ახლდნენ ქმრებს სამხედრო სამსახურში, არა თუ უშლიან ამას, არამედ ხოტბას ასხამენ და ამისკენ მოუწოდებენ. ქალებს მწკრივში ქმრის გვერდით აყენებენ, შემდეგ მათი ბავშვები, ახლობლები და ნათესავები ახვევიან გარს, რომ უახლოესი თანაშემწენი ისინი იყვნენ, ვისაც თვით ბუნებამ დაუწესა ერთმანეთის მხარში ამოდგომა. უდიდეს სირცხვილად მიაჩნიათ უტოპიელებს, თუ ცოლი უქმროდ დაბრუნდება ბრძოლის ველიდან, ან ვაჟი — უმამოდ. ამიტომ ხდება ისე, რომ თუ საქმე ხელჩართულ ბრძოლამდე მიდის და მტერი მედგარ წინააღმდეგობას უწევს, ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა ერთმანეთის სრულ განადგურებამდე გრძელდება.

უტოპიელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ თვითონ არ მოუხდეთ ბრძოლა და ცდილობენ ომი დაქირავებული ჯარისკაცების მეშვეობით გადაიხადონ. მაგრამ თუ ეს შეუძლებელი ხდება, მაშინ ისინი ისევე მამაცურად იბრძვიან, რამდენადაც გონივრულად გაურბოდნენ ამას, სანამ შესაძლებელი იყო. ისინი პირველი შემოტევისთანავე კი

არ აენთებიან საბრძოლველად, არამედ თანდათანობით, ხელა და შეუპოვრად; და როცა გულს გაიმხნევებენ, მაშინ უფრო ადვილია მათი მოსპობა, ვიდრე უკუქცევა. უტოპიელებმა იციან, რომ სახლში ყველას აქვს საკვები, შთამომავლობაზე ფიქრი და დარდი არ აწუხებთ (ასეთი საზრუნავი ხომ ყველგან ახშობს კეთილშობილ მისწრაფებებს) და ამიტომ მათ ჭეშმარიტება ემატებათ და დამარცხებას ზიზღით ეკიდებიან. სამხედრო ხელოვნების ცოდნა მატებს მათ რწმენას, ხოლო სწორი განსჯის უნარი, რაც მათ ბავშვობიდანვე აქვთ შეთვისებული სწავლითა და კეთილგონივრული სახელმწიფო წყობილებით, უნერგავს მამაცობას. ამიტომ მათ სიცოცხლე ფუჭად არ უღირთ, რომ ტყუილუბრალოდ ხარჯონ, მაგრამ არც ისე ძვირფასად მიაჩნიათ, რომ სამარცხვინოდ ჩაებღაუჭონ მას იმ შემთხვევაში, როცა სიკვდილი უფრო ღირსეულია.

ფიცხელი ბრძოლის დროს რამდენიმე რჩეული ახალგაზრდა, რომელთაც აღთქმა და ფიცი აქვთ დადებული, ორთაბრძოლაში იწვევს მტრის სარდალს. ესენი მას ყველას თვალწინ შეერკინებიან; ხან ჩაუსაფრდებიან, ხან შორიდან ებრძვიან, ხან პირისპირ შეეყრებიან, ხან კი თავს ესხმიან გრძელი და უწყვეტი სოლისებრი მწყობრით, რომელშიც ერთმანეთს ენაცვლებიან დაქანცული და ძალმოკრებილი მეომრები. ძალიან იშვიათია, რომ სარდალმა გაქცევა შეძლოს და ან ტყვედ არ ჩაბარდეს, ან არ დაიღუპოს.

თუ უტოპიელები გაიმარჯვებენ, ისინი ხოცვა-ჟლეტას მაშინვე წყვეტენ და გაქცეულების დახოცვას მათ დატყვევებას ამჯობინებენ. ისინი არასოდეს დაედევნებიან გაქცეულთ, თუ საბრძოლო მზადყოფნაში არა ჰყავთ ერთი რაზმი მაინც. თუკი მთელი ლაშქარი გაწყდა და ომი უკანასკნელმა რაზმმა მოიგო, მაშინ ურჩევნიათ მტერი გაექცეთ, ვიდრე მათ დაედევნონ და რაზმი აირ-დაირიოს. მათ მშვენივრად უწყიან, თუ რა ცვალებადია ომის ბედი. თვითონაც ხშირად მოსვლიათ, რომ მათი ლაშქრის დიდი ნაწილი დამარცხებულა და გაჟლეტილა, მტერს კი თავი გამარჯვებულად მიუჩნევია და ყოველი მხრიდან გამოსდგომია გაქცეულებს. თადარიგში მყოფი უტოპიელთა მცირე რაზმი კი მარჯვე შემთხვევას დალოდებია და მოულოდნელად თავს დასხმია მტრის გაფანტულ რაზმებს, რომლებიც უზრუნველად იქცეოდნენ და დროზე ადრე დაიგულეს თავი სამშვიდობოს. უეკველი და ნაღდი გამარჯვება მტერს ხელიდან გამოეცლებოდა ხოლმე, თითქმის დამარცხებულნი კი იმარჯვებდნენ.

ძნელია აიხსნას, როდის უფრო მოხერხებულნი და წინდახედულნი არიან უტოპიელები: ჩასაფრების მოწყობისას, თუ მისი გვერდის ავლისას. როცა მოწინააღმდეგე ფიქრობს, რომ ისინი გასაქცევად არიან მზად, მათ ეს აზრადაც არ მოსდით, ხოლო როცა ისინი გაქცევას გადაწყვეტენ, ისე ჩანს, თითქოს ამაზე არც კი უფიქრიათო. თუ იგრძნობენ, რომ მტერი ან რიცხობრივად, ან უფრო მოხერხებული განლაგებით სჯობნის მათ, უტოპიელები ღამით ბანაკს წყნარად აშლიან და რომელიმე საომარი ხერხის მომარჯვებით გაილალებიან ხოლმე; ანდა დღისით შეუმჩნეველად იხევენ უკან ისე, რომ უკანდახევისას მათზე თავდასხმა კიდევ უფრო საშიშია, ვიდრე შეტევისა.

უტოპიელები ღრმა და ფართო თხრილით გულმოდგინედ ამაგრებენ ბანაკს. ამოთხრილ მიწას ისინი შიდა მხარეს ყრიან. ამ საქმისათვის დაქირავებულ მუშებს კი არ იყენებენ, არამედ თვით ჯარისკაცებს; ამ საქმეზე მუშაობს მთელი ლაშქარი, გუშაგების გარდა. ამდენი მუშახელის წყალობით დიდ სიმაგრეებს უტოპიელები საოცრად სწრაფად აგებენ.

შეტევის მოსაგერიებლად უტოპიელები ძლიერ იარაღს იყენებენ, რომლის ტარება მოსახერხებელია და მოძრაობისას ხელს არ უშლის. ცურვის დროსაც კი არავითარ სიმძიმეს არ გრძნობენ. აღჭურვილობით ცურვას ისინი სამხედრო სწავლების დასაწყისშივე ეჩვევიან. შორ მანძილზე საბრძოლველად იყენებენ ისრებს, რომლებსაც ძლიერად და ზუსტად ისვრიან ქვეითნიც და მხედრებიც. ხელჩართულ ბრძოლაში ხმლით კი არ იბრძვიან, მოწინააღმდეგეს ცულისპირით ან ყუით უპობენ თავს ან ჩეხავენ. უტოპიელები საოცარი მოხერხებულობით აგებენ სხვადასხვა საომარ მანქანას, რომელთაც გამოყენებამდე მალავენ, რომ სარგებლობის მოტანამდე დაცინვა არ დაიმსახურონ. ისე კი ცდილობენ, რომ ეს მანქანები ადვილად გადასაზიდი და მოხერხებულად სამართავი იყოს.

თუ მტერთან ზავს დადებენ, უტოპიელები წმინდად იცავენ მას და არაფრით არ დაარღვევენ, კიდევაც რომ ვინმე ეცადოს ამას. მოწინააღმდეგის მიწა-წყალს არ არბევენ, ნათესებს არ წვავენ, უფრო მეტიც, რამდენადაც შესაძლებელია, ცდილობენ, რომ ყველაფერი არ გადათელონ ცხენებმა და ადამიანებმა. უიარაღოებს ისინი არ ერჩიან, თუ ჯაშუშები არ არიან. თავისი სურვილით დანებებულ ქალაქებს იცავენ, ხოლო დაპყრობილებს არ ანგრევენ. ვინც ტყვედ დანებებას წინ აღუდგება, მას კლავენ, ქალაქის დანარჩენ დამცველებს კი მონებად

აქცევენ. მშვიდობიან მოსახლეობას არ ერჩიან. თუ გაიგებენ, რომ რომელიმე მათგანი სხვებს დანებებას ურჩევდა, ასეთებს დასჯილთა ქონებიდან წილს აძლევენ, დანარჩენ ნადავლს მოკავშირეებს უნაწილებენ. არც ერთ უტოპიელს ნადავლი შინ არ მიაქვს.

ომის დამთავრებისას თავის ზარალს იმ მეგობრებს კი არ ანაზღაურებინებენ, ვისთვისაც იბრძოდნენ, არამედ დამარცხებულებს. ამ საბაბით ისინი მოითხოვენ ფულს, რომელსაც შემდეგ ამგვარი ომებისათვის ინახავენ, აგრეთვე ძვირფას მამულებს, რომლებიც მათ სამუდამო მფლობელობაში გადადის. ამგვარი შემოსავალი ახლა ბევრი ხალხისაგან აქვთ, რაც წელიწადში 700 000 დუკატს აღემატება. იმ ქვეყნებში უტოპიელები ხაზინადრის ტიტულით აგზავნიან რომელიმე თავის მოქალაქეს იმისათვის, რომ იქ მდიდრულად იცხოვრონ და ელჩებად ითვლებოდნენ. მაგრამ ფული მაინც ბევრი რჩებათ და ის ხაზინაში შეაქვთ. ზოგჯერ უტოპიელები ამჯობინებენ ფული იმავე ხალხს ანდონ. ასე იქცევიან იმ დრომდე, სანამ იგი არ დასჭირდებათ. მაგრამ თითქმის არასოდეს არ თხოულობენ მთლიანად ყველაფერს. მამულების ნაწილი კი განეკუთვნება იმას, ვინც მათივე წაქეზებით თავს იდებს იმ სახიფათო საქმეს, რომლის შესახებაც ზემოთ გიამბეთ.

თუ რომელიმე მმართველი მათ იარაღით დამორჩილებას დაუპირებს, უტოპიელები მაშინვე მათ შესახვერდად გაემართებიან დიდძალი ლაშქრით, რადგან ალალბედზე ისინი არ იბრძვიან თავიანთ მიწაზე და არასოდეს არაა იმის აუცილებლობა, რომ საკუთარ კუნძულზე მოკავშირეთა უცხო ჯარები შემოუშვან.

უტოპიელთა რელიგიისათვის

უტოპიელთა კუნძულის თითოეულ ქალაქს თავისი განსხვავებული რელიგია აქვს. ზოგი მზეს სცემს თაყვანს, ზოგი — მთვარეს, ზოგი — რომელიმე ცდომილს. სხვებს მიაჩნიათ, რომ მარტო ღმერთები კი არა, უზენაესი უფალიც კი ადამიანი იყო, რომელმაც ოდესღაც თავისი ღირსებების წყალობით მოიხვეჭა სახელი და შემდეგ განადიდეს. მაგრამ უტოპიელთა მომეტებული და უფრო გონიერი ნაწილი თვლის, რომ არა ის ღმერთები, არამედ რაღაც ერთიანი, მარადიული, იდუმალი, შეუცნობელი ღვთაებაა ქვეყნად განფენილი, თანაც არა თავისი სიდიდით, არამედ თვისი ძალით. მას დამბადებელს უწოდებენ,

მიაწერენ ყოველი არსის დასაბამს, ზრდას, მატებას, ცვლილებას, დასასრულს და მხოლოდ მას ეთაყვანებიან.

სხვა რწმენის მქონე უტოპიელებიც ეთანხმებიან მათ იმაში, რომ სამყარო, განგება და ადამიანები უზენაესმა არსებამ შექმნა. მშობლიურ ენაზე უტოპიელები მას მითრას უწოდებენ, მაგრამ ვერ შეთანხმებულან — იგი ყველა ხალხისათვის ერთია თუ სხვადასხვა. ცალ-ცალკე ყველა აღიარებს, რომ ვინც არ უნდა იყოს ეს უზენაესი ღვთაება, იგი ერთიანი ბუნებისაა და მხოლოდ მის ნება-სურვილსა და სიდიადეს მიაწერენ უფლებას ყოველთა არსთა ზედა. უტოპიელთა რელიგიურ შეხედულებებს შორის განსხვავება თანდათან ქრება და ყალიბდება ერთიანი რჯული, რომელიც გონიერებით ვგონებ სხვებს აღემატება. ყველა სხვა რელიგია აქამდე უეჭველად მოისპობოდა, მაგრამ საკმარისია ვინმემ რჯულის გამოცვლა დააპიროს და ბედმა ამ დროს რაიმე საქმეში ხელი მოუცაროს, შიში მაშინვე აფიქრებინებს, რომ ეს შემთხვევითი არაა, რისხვა ზეცით არის მოვლენილი და უარყოფილი. ღმერთი სჯის მას უკეთური განზრახვისათვის.

ხოლო როდესაც ჩვენ ვუამბეთ უტოპიელებს ქრისტეს მოძღვრების, მისი ცხოვრებისა და მის მიერ მოხდენილი სასწაულების შესახებ, როდესაც შეიტყვეს, თუ წმინდა მოწამეთა სულიერმა სიმტკიცემ და დანთხეულმა სისხლმა ხანგრძლივი დროის განმავლობაში უზარმაზარ ტერიტორიაზე ადამიანთა რა ურიცხვი რაოდენობა მოაქცია ჭეშმარიტების გზაზე, არ დაიჯერებ, რა მალე იწამეს მათ ქრისტეს რჯული. არ ვიცი, ეს რაიმე იდუმალი ღვთაებრივი ძალის მეოხებით მოხდა, თუ ეს რელიგია მათთან ყველაზე ძლიერ ერესს უახლოვდება. აქ მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ მათ ყური მოჰკრეს, ქრისტეს მოსწონდაო თავის მოწაფეებთან ერთად ცხოვრება და ეს წესი ახლაც შემონახულია ყველაზე თანმიმდევრულ ქრისტიანულ თემებში. და, აი, — სულ ერთია რა მიზეზით მოხდა ეს, — უტოპიელთა საკმაოდ დიდმა რაოდენობამ მიიღო ჩვენი რწმენა და მოინათლა.

ჩვენ ოთხნიღა დავრჩით (ორი კაცი სიკვდილმა გამოგვაცალა) და არც ერთი არ ვიყავით სამღვდელო პირი. ამიტომ უტოპიელები თუმცა კი ქრისტიანობის ყველა საიდუმლოს გაეცნენ, მაინც ზოგ რამეს ვერ ეზიარნენ, რადგან მათი შესრულების უფლება ჩვენში მხოლოდ მღვდლებსა აქვთ. წარმოიდგინეთ, უტოპიელებმა ეს საიდუმლოებებიც კარგად შეიცნეს, მთელი სულითა და გულით მიიღეს. ისინი იმაზეც კი ბჭობდნენ, ხომ არ შეიძლებოდა მათთან ქრისტიანი ეპისკოპო-

სის დანიშვნის გარეშე ვინმე მღვდლად ეკურთხებინათ, და, ვგონებ, აპირებდნენ კიდეც ასეთის არჩევას, მაგრამ ჩემი წამოსვლისას საქმე ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მოთავებული.

ვინც ქრისტეს მცნებას არ იზიარებს, ისინი არ სდევნიან ამის ამაღიარებელთ და არც ცდილობენ სხვანი განარიდონ მას. თუმცა კი ერთი ჩვენგანი იქ ყოფნის დროს საკმაოდ დასაჯეს. იგი განწმენდის წესის შესრულების უმალ სახალხოდ მსჯელობდა ქრისტიანობის თაობაზე, რასაც ჩვენ არ ვურჩევდით. მის მსჯელობაში გულფიცხობა მეტი იყო, ვიდრე გონივრულობა. იგი, გაცხარებული, არა მარტო ჩვენს სალოცავებს აყენებდა სხვისაზე მაღლა, არამედ სხვებს საერთოდ უარყოფდა, უწოდებდა წარმართულს, რომელსაც მხოლოდ უკეთურნი და მკრეხელნი ეთაყვანებიან, და ამბობდა, ისინი ჯოჯოხეთის ცეცხლზე უნდა დაინთქანო. დიდხანს ქადაგებდა იგი ასე, ვიდრე არ სტაცეს ხელი და გაასამართლეს. იგი დასაჯეს არა მისი რწმენისათვის, არამედ ხალხის აფორიაქებისათვის. უტოპიელთა უძველესი ადათის თანახმად მას განდევნა მიუსაჯეს, საკუთრივ რწმენის გამო ხომ, მათი აზრით, არავის დასჯა არ შეიძლება.

როდესაც უტოპუსმა შეიტყო, რომ მის გამოჩენამდე კუნძულის მცხოვრებნი რელიგიის თაობაზე ერთმანეთს გამუდმებით ებრძოდნენ და სხვადასხვა სექტა სამშობლოს ცალ-ცალკე იცავდა, ისარგებლა ამით და ყველა დასძლია. მან უმალვე დააკანონა რელიგიის თავისუფლება. თუ ვინმე შეეცდებოდა თავის რჯულზე სხვის მოქცევას, მას ეს დინჯად და გონივრულად, საკმაოდ დასაბუთებით უნდა გაეკეთებინა; თუ რჩევით ვერაფერს გახდებოდა, ძალის გამოყენება სასტიკად ეკრძალებოდა და არც შეურაცხოფის უფლება ჰქონდა. ვინც ამგვარ თემებზე გაცხარებული კამათობს, უტოპიელები მას განდევნიან ან მონად აქცევენ.

ამას რომ აწესებდა, უტოპუსი მარტო მშვიდობიანობაზე კი არ ფიქრობდა და მხოლოდ გამუდმებულ ომსა და შეურიგებელ მტრობას კი არ იცილებდა თავიდან, არამედ მიაჩნდა, რომ ეს თვით რელიგიას სჭირდებოდა, რომლის გარკვეულად ჩამოყალიბება მან ვერ გაბედა. იგი თითქოსდა ფიქრობდა, ხომ არ მოითხოვსო ღმერთი სხვადასხვა სახის მრავალნაირ თაყვანისცემას და ამიტომ ხომ არ უნერგავსო ადამიანებს განსხვავებულ რწმენას. უტოპუსს საოცარ სისულელედ მიაჩნდა ძალითა და მუქარით სხვების დარწმუნება საკუთარი რწმენის ჭეშმარიტებაში. კიდევ მეტი, მან ადვილად განჭვრიტა, რომ ბოლოსდა-

ბოლოს, ადრე თუ გვიან, ეს ჭეშმარიტება თვითონ გამოაშკარავდება (თუკი საქმეს დინჯად და გონივრულად წარმართავ). ხოლო თუ ჭეშმარიტებისათვის იარაღითა და ამბოხით იბრძოლებ, მაშინ თვით საუკეთესო და უწმინდესი რელიგიაც მოისპობა ფუჭი ცრურწმენების გამო, როგორც თავთავი იღუპება კვრინჩხებსა და ბუჩქებს შორის (უვარგისი ადამიანები ხომ ყველაზე ჯიუტნი არიან).

ამიტომ უტოპუსმა ეს საკითხი გადაუწყვეტლად დატოვა: ყოველ უტოპიელს დართო ნება, ჰქონოდა რწმენა საკუთარი სურვილის მიხედვით, მაგრამ მკაცრად დაუდგინა, არავის ისე არ დაეკარგა ადამიანური ღირსება, რომ დაეჯერებინა, თითქოს სული სხეულთან ერთად კვდება და სამყაროს განგება კი არ მართავს, არამედ თავისთვის საითკენღაც მიექანებაო. ამიტომაც სჯერათ უტოპიელებს, რომ მიწიერი ცხოვრების შემდეგ ცოდვებისათვის სასჯელია დაწესებული, ხოლო სათნოებისათვის — ჯილდო. თუ ვინმე სხვაგვარად ფიქრობს, მას ადამიანად არ თვლიან, რადგან მან ამაღლებული სული თავის უღირს ცხოველურ სხეულამდე დაამდაბლა. ასეთი პიროვნება მათ არც მოქალაქედ მიაჩნიათ, რადგან მას შიში რომ არ თრგუნავდეს, ხომ არაფრად ჩააგდებდა კუნძულის კანონებსა და ადათ-წესებს. განა საეჭვოა, რომ თუ არა კანონების შიში, იგი მხოლოდ საკუთარი სხეულის იმედზე იქნებოდა და განა არ შეეცდებოდა მალულად, თვალთმაქცობით დაერღვია ეს კანონები ანდა ძალა ეხმარა მათ წინააღმდეგ?

ამიტომ ამგვარ ადამიანებს უტოპიელები პატივს არ სცემენ, თანამდებობაზე არ ნიშნავენ და არავითარ მოვალეობას არ აკისრებენ, ასეთები ყველას ფუჭ და მდაბალ პიროვნებებად მიაჩნია. დასჯით კი არ სჯიან, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ არავის ძალუძს სხვას რაიმე შეაგნებინოს. უტოპიელები არც მუქარით აიძულებენ ვინმეს აზრების დაფარვას და არც არსად აჭაჭანებენ თვალთმაქცობასა და სიცრუეს, რაც შორს არაა ღალატისაგან, რაც მათ საშინლად სძაგთ.

ამგვარად მოაზროვნე ადამიანებს უკრძალავენ თავისი აზრების სახალხოდ დაცვასა და მსჯელობას, მაგრამ დარბაისელ ხალხთან და საეკლესიო პირებთან საუბარს, პირიქით, ურჩევენ, რადგან სწამთ, რომ გონიერება ბოლოსდაბოლოს სძლევს უმეცრებას.

უტოპიაში სხვა რიგის ხალხიც არსებობს და არცთუ მცირერიცხოვანი; მათ არ სდევნიან და ბრიყვებად და უმეცრებად არ მიიჩნევენ. მათ სულ სხვაგვარი მანკიერი აზრი აქვთ, როცა ამბობენ პირუტყვის სულიც უკვდავიაო, თუმცაღა მათი სულიერი ღირსებების ადამიანთან

გაიგივება არ შეიძლება და არც ცხოველები არიან შექმნილი ადამიანისდარი ბედნიერებისათვისო. თითქმის ყველა უტოპიელს მტკიცედ სჯერა, რომ ადამიანთა სულებს უზომო სიამე ელით, ამიტომ ავადმყოფებს ისინი, მართალია, დასტირიან, მაგრამ არავის სიკვდილს არ დარდობენ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვინმე ამ ცხოვრებას ჭმუნვითა და საკუთარი სურვილის გარეშე ტოვებს. ეს მათ ცუდის მომასწავებლად მიაჩნიათ, რადგან ფიქრობენ, რომ საშინელია აღსასრული სასოწარკვეთილი სულისათვის, რომელმაც უწყის რაღაც ბოროტება და იდუმალად გრძნობს მოახლოებულ სასჯელს. უტოპიელთა აზრით, არც ღვთისათვის იქნება საამო მიიღოს ისეთი ადამიანის სული, რომელიც მოხმობისთანავე სიხარულით კი არ გაეშურება, არამედ ჯიუტობს და ფეხები უკან რჩება. ასეთი ადამიანის სიკვდილი შემაძრწუნებელია, მიცვალებულს სევდიანი დუმილით აბარებენ მიწას და მოწყალე ღმერთს შეავედრებენ მის სულს, რათა მიუტევოს ეს სისუსტე. ხოლო ვინც სიხარულით, კეთილი იმედით აღსავსე აღესრულება, მას არ დაიტირებენ, სიმღერით კრძალავენ და მის სულს ღმერთს ჩააბარებენ, ხოლო ცხედარს დიდი პატივით დაწვავენ, ამ ადგილზე სვეტს აღმართავენ და ზედ წარწერას ამოკვეთენ. შინ მობრუნებულნი იხსენებენ მიცვალებულის ღვაწლს, მის ღირსებებს და მომეტებული სიამოვნებით სწორედ მის სასიხარულო აღსასრულზე საუბრობენ.

უტოპიელები ფიქრობენ, რომ გარდაცვლილთა სულიერი სიმტკიცის ხსოვნა ცოცხალთათვის არის წამახალისებელი სათნოების გზაზე და რომ ეს ადათი თვით გარდაცვლილთათვისაა სასიამოვნო, უხილავად ისინიც ხომ მონაწილეობენ ამ საუბრებში (სუსტი მხედველობის გამო მოკვდავნი მათ ვერ ხედავენ). სულებისათვის მათი სურვილისამებრ გადასახლების შესაძლებლობის აღკვეთა არ შეესაბამება ბედნიერთა ხვედრს. მიცვალებულნი უმადური იქნებოდნენ, თუ არ მოისურვებდნენ მეგობართა ნახვას, რომლებთანაც მთელი ცხოვრება სიყვარულსა და სიკეთეში გაუტარებიათ. კარგ ადამიანებს ხომ მშვენიერი თვისებები არ აკლდებათ, არამედ ემატებათ. სწამთ, რომ გარდაცვლილნი კვლავ ცოცხლებში ტრიალებენ, მათ სიტყვებსა და საქციელს აკვირდებიან. ასეთ დამცველებზე დაყრდნობით უტოპიელები ყოველგვარ საქმეს ენერგიულად ჰკიდებენ ხელს და თავიანთ შორის წინაპართა სულის ყოფნის რწმენა უსინდისო საქციელის ფარულად ჩადენისაგანაც კი აკავებთ.

უტოპიელები ვერ იტანენ და დასცინიან კიდეც ფუჭი ცრუმორწმუნეობისაგან გამომდინარე მკითხაობას და ყოველგვარ წინასწარმეტყველებას, რაც სხვა ხალხებთან დიდ პატივშია. ბუნების ძალთა მონაწილეობის გარეშე მომხდარ სასწაულებს ისინი ღვთაებრივ ძალას მიაწერენ და მისი არსებობის დადასტურებად მიაჩნიათ. უტოპიელები ამბობენ, ასეთი რამ ხშირად ხდებაო და რთული და დიდი საქმეების ჟამს ყველა ერთად, ღრმა რწმენით აღავლენს ხოლმე ლოცვას და მიზანსაც აღწევს.

ბუნების ჭვრეტა და მისი ქება ღვთის საამებელი საქმეა. რელიგიით აღტყინებულ უტოპიელთა ერთ, არცთუ მცირე ნაწილს მეცნიერებანი არაფრად მიაჩნია და ცოდნის შეძენისაკენ არ ისწრაფვის. ისინი არასდროს არიან უქმად. მათ ირჩიეს მოიპოვონ ბედნიერება, რომელიც სიკეთილის შემდგომად მიიღწევა ღვაწლითა და სხვათაოვის კეთილის ქმნით. ერთნი ავადმყოფებს უვლიან, მეორენი გზებისა და ხიდების შეკეთებაზე მუშაობენ, თხრილებს წმენდენ, ბელტებს ჭრიან, ქვებს და ქვიშას თხრიან, ხეებს ჭრიან და ამუშავებენ, ქალაქებში საზიდრებით მიაქვთ შეშა, მარცვლეული და სხვ.; ემსახურებიან არა მარტო სახელმწიფოს, არამედ კერძო პირებსაც, ასე რომ მონებზე მეტსაც შრომობენ. ისინი მხიარულად და დიდი ხალისით იტვირთავენ ხოლმე ყველაზე მძიმე და ჭუჭყიან საქმეს, რომელსაც ბევრი ზიზღით გაურბის, სხვების გართობა-სიამოვნებაზე ფიქრობენ, თვითონ კი დღენიადაგ შრომობენ და ამას არავის აყვედრიან, სხვებს არ დასცინიან და თავს არ იწონებენ. რაც უფრო ემსგავსებიან მონებს, სხვათა თვალში მით უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებენ.

კუნძულზე ცხოვრების ორი განსხვავებული წესი არსებობს: მოქალაქეთა ერთი ნაწილი უცოლოა. ისინი მარტო ვენუსის საქმეს კი არ ერიდებიან, არამედ ხორცსაც არ ჭამენ. ზოგი მათგანი საერთოდ არ ეკარება ცხოველურ საკვებს. ისინი გაურბიან მიწიერი ცხოვრების ყოველგვარ სიამეს, როგორც რაიმე მავნეს, და ლოცვითა და მარხულობით ცდილობენ მალე ეწიონ იმქვეყნიურ ცხოვრებას. ეს იმედი მატებს მათ სიმხნევესა და ხალისს.

მეორენიც არანაკლებ შრომობენ, მაგრამ ურჩევნიათ ქორწინების სიამეზე უარი არ ფქვან, თანაც მიაჩნიათ, რომ ბუნებისა და ქვეყნის წინაშე ვალდებულნი არიან შთამომავლობა იყოლიონ, არც არავითარ სიამოვნებას არ იკლებენ, თუკი ამით სამუშაოს არ მოსცდებიან. საქონლის ხორცს მშვენივრად მიირთმევენ, ფიქრობენ, რომ ამით

მათ ძალა შეემატებათ და ყოველგვარი სამუშაოს შესრულებას შეძლებენ.

უტოპიელების აზრით, ეს მეორე ნაწილი უფრო გონიერია, პირველი — უფრო ღვთისმოსავი. ვინც უცოლობას ირჩევს და არა ქორწინებას, მკაცრ ცხოვრებას და არა განცხრომას, ამას რომ ჭკუის კარნახით სჩადიოდეს, მას სასაცილოდ აიგდებდნენ. მაგრამ რადგან ეს რწმენის საფუძველზე ხდება, ამიტომ სხვების თვალში დიდ პატივისცემას იმსახურებს. უტოპიელები ხომ განსაკუთრებით ცდილობენ უკეთური არაფერი წამოსცდეთ არც ერთი რჯულის შესახებ. ამ ტიპის ადამიანებს თავიანთ ენაზე ისინი „ბუთრესკებს"[136] უწოდებენ, რაც „წმინდანებს" ნიშნავს.

რწმენის მსახურნი მეტისმეტი ღვთისმოსაობით გამოირჩევიან, ამიტომაც თითოეულ ქალაქში ისინი ძალზე ცოტანი არიან. ტაძართა რაოდენობა ყველგან თანაბარია და მღვდლებიც ცამეტნი არიან, თუ ომიანობა არ არის და ვინმე ომში არ წავა. ომიანობის დროს შვიდი მაინც მიდის და ამდენივე შეენაცვლება. ომის შემდეგ თითოეული თავის ადგილს უბრუნდება. მათი არყოფნის დროს ტაძარში დარჩენილნი თან ახლავან ხოლმე მღვდელმთავარს და ომში დაღუპულთა ადგილებს რიგრიგობით იკავებენ. მათ მღვდელმთავარი მეთაურობს. მღვდლებს ხალხი ირჩევს ფარული კენჭისყრით,—ისევე როგორც მოხელეებს,— რათა ვინმე ვინმეს არ მიემხროს. არჩეულს სამღვდელო ძმობა აკურთხებს.

მღვდლები ღვთისმსახურებას ასრულებენ, ისინი რწმენის დაცვასა და მრევლის ზნეობაზე ზრუნავენ. უტოპიელს დიდ სირცხვილად ეთვლება, თუ მას მღვდელი დაიბარებს და უპატიოსნო ცხოვრებისათვის გაკიცხავს.

მღვდელს ადამიანის რჩევა-დარიგება და დარწმუნება ევალება, მმართველსა და მოხელეებს კი — ბოროტმოქმედთა ალაგმვა და დასჯა. თუ მღვდლები ვინმეს უღირსად სცნობენ, მას ღვთისმსახურებაზე დასწრება აეკრძალება. უტოპიელებისათვის ამ სასჯელზე საშინელი რამ არ არსებობს, რადგან ამ დროს თავს უმძიმესი შერცხვენა ატყდებათ, გულს ფარული რელიგიური შიში უღრღნით და მათი სიცოცხლეც საფრთხეშია: თუ შეცოდებას მღვდელთან სასწრაფოდ არ მოინანიებენ, მათ ატუსაღებენ და სენატი სასჯელს მიუზღავს.

მღვდლები ბავშვებსა და მოზარდებს ასწავლიან. საგნების სწავლაზე არანაკლები ყურადღება ზნეობასა და სათნოებას ექცევა. ისი-

ნი ცდილობენ სახელმწიფოს საკეთილდღეოდ სასარგებლო და კეთილი აზრები ბავშვის ნაზ და ადვილად დამყოლ სულს თავიდანვე შეუსისხლხორცონ. ბავშვობაშივე ჩანერგილი ასეთი აზრები ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე გაპყვება და უდიდეს სარგებლობას მოუტანს სახელმწიფოს, რომელსაც სწორედ მცდარად წარმართული მსჯელობით გამოწვეული ცოდვები ღუპავს.

ქალთა სქესს დიდ პატივს სცემენ. მღვდლად ქალსაც ირჩევენ, ოღონდ შედარებით იშვიათად, თანაც მხოლოდ ქვრივს ან დარბაისელ, ხანშიშესულ მანდილოსანს. მღვდლებსაც საუკეთესო ქალები ჰყავთ ცოლად.

არც ერთ თანამდებობის პირს არ მიაგებენ უტოპიელები ისეთ პატივს, როგორსაც მღვდლებს. რომელიმე მათგანმა დანაშაული რომ ჩაიდინოს, საზოგადო სამართალს არ ექვემდებარება. მის განსჯას მხოლოდ ღმერთსა და მისსავე სინდისს მიანდობენ ხოლმე. უტოპიელებს შეუძლებლად მიაჩნიათ მოკვდავის ხელი შეეხოს მღვდელს, რომელმაც, მართალია, დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ ღმერთთან ისეა მიახლოებული, როგორც წმინდა ზვარაკი. ასეთი ადათის დაცვა მათთან ძალიან ადვილია, რადგან მღვდლები ცოტა ჰყავთ და დიდი სიფრთხილით ხდება მათი არჩევა. ამიტომ არცაა მოსალოდნელი, რომ ცოდვის ჩადენის ცდუნებამ დასძლიოს საუკეთესოთა შორის საუკეთესო ადამიანი, რომელიც ამაღლებულია სწორედ თავისი ღვთისმოსაობითა და სათნოებით. მაგრამ რომც მოხდეს ასე (ადამიანის ბუნება ხომ ცვალებადია), ეს საშიში არ არის, ქვეყანა ამით არ დაიქცევა, რადგან მღვდლები ძალზე ცოტანი არიან და მინიშებული პატივის გარდა არავითარი უფლება არ გააჩნიათ. უტოპიელებს იმიტომაც ჰყავთ ასე მცირერიცხოვანი მღვდლები, რომ საყოველთაო პატივისცემით გარემოსილი მათი ღირსება არ გაიაფდეს, რაკი ბევრზე განაწილდება. თანაც ძნელია მღვდლად კურთხევის ღირსი ბევრი პიროვნების გამონახვა. ამ დროს ხომ უბრალო სათნოება საკმარისი არ არის.

უტოპიელთა მღვდლებს სხვა ხალხებიც თვით უტოპიელებზე ნაკლებად როდი აფასებენ, და აი რატომ: ომში, ბრძოლის ველზე მღვდლები შორიახლო იმყოფებიან და დაჩოქილნი და ხელაპყრობილნი შესთხოვენ ღმერთს ჯერ საყოველთაო მშვიდობას, შემდეგ თავისიანების გამარჯვებას ორივე მხარეზე სისხლის დაუღვრელად; როცა უტოპიელები იმარჯვებენ, მღვდლები შუაგულ ბრძოლაში ჩაერევიან და აკავებენ თავისიანებს, რომლებიც გამძვინვარებულნი მისდევენ

დამარცხებულებს. სიცოცხლე რომ იხსნას, მტრისათვის საკმარისია მხოლოდ მღვდლის მოხმობა. მღვდლის ტანსაცმლის აფრიალებულ კალთაზე შეხება იცავს მტრის ქონებას ომით გამოწვეული ყოველგვარი ზარალისაგან.

სხვა ხალხები უტოპიელთა მღვდელებს ასეთ დიდ პატივს მიაგებენ და ქება-დიდებას ასხამენ კიდევ იმიტომ, რომ მათ მტრისაგან თავისიანებიც ხშირად უხსნიათ. როდესაც მათი ლაშქარი უკან დახევას იწყებდა, მდგომარეობა იძაბებოდა და ამ უკუქცევისას მტერი მზად იყო ხოცვა-ჟლეტისა და ძარცვა-გლეჯისათვის, სისხლისღვრას სწორედ მღვდლების ჩარევა შეწყვეტდა, მშვიდობა ჩამოვარდებოდა და სამართლიანი ზავი დაიდებოდა ხოლმე. არ ყოფილა შემთხვევა, თვით ყველაზე სასტიკსა და ველურ ხალხსაც არ შეეგნო, რომ უტოპიელი მღვდლები ხელშეუხებელნი არიან.

უტოპიელები ყოველი თვისა და ყოველი წლის პირველსა და უკანასკნელ დღეს დღესასწაულობენ. თვეებს ისინი მთვარის ფაზებით, ხოლო წელიწადს — მზის მოქცევის მიხედვით ანგარიშობენ. დასაწყის დღეებს ცინემერულს[137] უწოდებენ, ბოლოს კი — ტრაპემერულს[137], რაც ჩვენებურად დაახლოებით „პირველ დღესასწაულს“ და „ბოლო დღესასწაულს“ ნიშნავს.

მშვენიერი სანახავია მათი ოსტატურად ნაგები ტაძრები, რომლებიც დიდძალ ხალხს იტევს, რაც ტაძართა მცირე რაოდენობით არის გამოწვეული. ნაგებობაში, ცოტა არ იყოს, ბნელა. როგორც აგვიხსნეს, ეს მშენებლობის ნაკლი კი არ არის, არამედ მღვდლების რჩევითაა გაკეთებული, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ჭარბი სინათლე აზრებს ფანტავს, ზომიერი და ბინდშერეული კი — გულისყურის მოკრებას უწყობს ხელს და ღვთისმოსაობას აძლიერებსო.

თუმცა აქ ბევრნაირი რწმენა არსებობს, სიმრავლისა და მრავალფეროვნების მიუხედავად სხვადასხვა საშუალებით ყოველი მათგანი საბოლოოდ ერთი მიზნისკენ მიდის — ყველა ეთაყვანება ღვთაებრიობას. ტაძრებში არაფერია ისეთი, რაც ყველასათვის არ იყოს მისაღები. თუ რომელიმე რწმენას თავისი განსაკუთრებული სამსახური ახლავს, მორწმუნენი მას შინ ასრულებენ. საზოგადო ღვთისმსახურება კი ცალკეულ აღმსარებლობას არ ეწინააღმდეგება; ამიტომაც არ არის ტაძრების კედლებზე ღმერთის არავითარი გამოსახულება, ყოველ ადამიანს ნება აქვს ღვთის ხატება თვითონვე წარმოიდგინოს. ღმერთს ისინი მხოლოდ მითრას უწოდებენ და სხვანაირად არ მიმარ-

თავენ. მითრა მათთვის ნებისმიერი ღვთაებრივი სიდიადის ერთიანი ბუნების აღმნიშვნელია. უტოპიელთა ლოცვებში არაფერია ცალკეული მორწმუნის რელიგიის შეურაცხმყოფელი.

ბოლო დღესასწაულის დროს მთელი დღის ნამარხულევი ხალხი ტაძარში მიდის, რათა ღმერთს მადლობა უძღვნას კეთილად ჩავლილი თვის ან წლისათვის. მეორე დღეს დგება პირველი დღესასწაული და ხალხი დილიდანვე მიეშურება ტაძრებისაკენ, რომ ღმერთს ახლა ბედნიერი მომავალი თვე და წელი შესთხოვოს.

ბოლო დღესასწაულის დროს ტაძარში წასვლის წინ ცოლი ქმრის წინაშე იჩოქებს, შვილები — მშობლების წინაშე. მათ უნდა აღიარონ ჩადენილი შეცოდებანი და პატიება ითხოვონ. ოჯახში რომც ყოფილიყო რაიმე უკმაყოფილება მოსალოდნელი, ასეთი აღიარების შემდეგ საშიშროება გაქრება და ყველას შეეძლება სულგანწმენდილმა მიიღოს მონაწილეობა ღვთისმსახურებაში, რაც აღელვებულებს ეკრძალებათ და მკრეხელობად ეთვლებათ. ვინც გულში მტრობასა და სიძულვილს გრძნობს, მხოლოდ განწმენდისა და გულის დაწყნარების შემდეგ მიდის ტაძარში, რადგან უფრთხის სასტიკსა და მსწრაფულ შურისძიებას.

ტაძარში მამაკაცები მარჯვენა მხარეს იკავებენ, ქალები — მარცხენას. შემდეგ ისე განლაგდებიან, რომ ყოველი ოჯახის უფროსის წინ ამ ოჯახის მამაკაცები დასხდნენ, ხოლო დიასახლისის წინ—ამავე ოჯახის ქალები, რადგანაც საზოგადო ადგილებში საჭიროა ყველას ოჯახის უფროსების მკაცრი თვალი დარაჯობდეს. ამასთანავე, აუცილებელია, რომ უმცროსები უფროსების გვერდით ისხდნენ, რადგან მეთუალყურეობის გარეშე დარჩენილი ბავშვები ცელქობაში გაფლანგავენ დროს, რომელიც მათში ღვთისადმი შიშის ჩანერგვას უნდა ხმარდებოდეს. ღვთისმოშიშობა ხომ სათნოების მისაღწევად ერთადერთი გზაა.

ღვთისმსახურების დროს უტოპიელებმა ცხოველებისა შეწირვა არ იციან. მათ მიაჩნიათ, რომ ღმერთმა ადამიანს სიცოცხლე სიკეთისათვის მიანიჭა და დასჯა და სიკვდილი არ შეეფერება მას. ისინი საკმეველს და კეთილსურნელებას აფრქვევენ, ცვილის სანთლებს ანთებენ. განა მათ არ ესმით, რომ ღვთაებრივ ბუნებას სანთელი და ლოცვა ვერაფერს შემატებს, მაგრამ თაყვანისცემის ამგვარი სახე მოსწონთ და შინაგანად გრძნობენ ამ ადათ-წესებისა და სანთელ-საკმევ-

ლის მეშვეობით როგორ მაღლდება ადამიანის სული და როგორ უჩნდება სურვილი მეტი სიხარულით ეთაყვანოს უზენაესს.

ტაძარში ხალხი თეთრად შემოსილი მიდის. მღვდლის სამოსი არაჩვეულებრივად ფერადოვანი და ლამაზია, თუმც კი არც ძვირფასი ნაჭრისგან არის შეკერილი, არც ოქრომკედითაა ნაქარგი, არც ძვირფასი ქვებით მოოქვილი. იგი ისეთი ნატიფი ოსტატობითაა ნაქსოვი ჩიტის ბუმბულისაგან, რომ ხარისხით ყველა ძვირფას ქსოვილს აღემატება. თანაც ფრთოსანთა ბუმბულში და მათ გარკვეულ განლაგებაში ჩაქსოვილია რაღაც იდუმალი აზრი, რომელმაც მრევლს ღვთის წყალობა, მისადმი კრძალვა და მოყვასის წინაშე ვალი უნდა შეახსენოს.

როდესაც ამგვარად შემოსილი მღვდელი მრევლის წინაშე გამოდის, ყველა ძირს ემხობა და ისეთი სამარისებური სიჩუმე დგება, რომ ადამიანს შიში იპყრობს, თითქოს ღმერთი გამოეცხადაო. ცოტა ხნის შემდეგ მღვდლის ნიშანზე ძირს გართხმულნი წამოდგებიან და ღმერთს გალობით მადლობას სწირავენ, შიგადაშიგ რაღაც მუსიკალურ საკრავებზე უკრავენ, რომელთა ჟღერადობა გაცილებით სჯობია ჩვენსას, შედარებაც კი არ შეიძლება. ერთ რამეში კი ისინი ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან—დაკვრაშიც და სიმღერაშიც ისინი საოცარი ბუნებრიობით ბაძავენ ადამიანურ გრძნობებს და გადმოსცემენ მათ. სასიხარულო, შემრიგებლური, შფოთიანი, სევდიანი თუ რისხვით აღსავსე ლოცვის აღსრულებისას მუსიკის ჟღერადობა ისე ერწყმის შინაარსს, ჰანგი ისე შეესატყვისება აზრს, რომ არაჩვეულებრივ ზეგავლენას ახდენს მსმენელებზე, აღაფრთოვანებს და აღანთებს მათ გულებს.

ბოლოს მღვდელი ხალხთან ერთად საზეიმოდ იმეორებს სადღესასწაულო ლოცვებს. ლოცვის ტექსტი ისეა შედგენილი, რომ ერთად კი სრულდება, მაგრამ თითოეულს შეუძლია მხოლოდ თავისად იგულოს. ლოცვებში ღმერთს შემოქმედად, სამყაროს მმართველად, სიკეთის წყაროდ აღიარებენ და ყველა წყალობისათვის მადლს უძღვნიან. განსაკუთრებით კი იმისათვის ემადლიერებიან, რომ ასეთ ბედნიერ სახელმწიფოში მოახვედრა და ასეთ ჭეშმარიტ რჯულს აზიარა. თუ ღვთის მონა-მორჩილი ცდება და სადმე არსებობს ღვთისათვის უფრო საამო, უკეთესი რწმენა და სახელმწიფო, მაშინ იგი ეევედრება ღმერთს მოიღოს მოწყალება და აღიაროს იქ მოხვედრა. იგი ხომ მზადაა უზენაესს ყველგან გაჰყვეს, ხოლო თუ უტოპიელთა სახელმწიფოა საუკეთესო და რწმენა უჭეშმარიტესი, დაე მისცეს მას ღმერთმა სიმტკი-

ცე და შეაძლებინოს ღვთის ამგვარად შეცნობა, ცხოვრების ასეთ წესს კი სხვა მოკვდავნიც აზიაროს, თუკი თვით ღმერთის მიუწვდომელ ბუნებას არ ახარებს რწმენათა ასეთი მრავალფეროვნება.

ბოლოს, უტოპიელი ეეედრება ღმერთს, მალე მიიღოს მისი სული და აღირსოს უმტკივნეულო აღსასრულს, თუმც კი თვითონ უფლება არა აქვს განსაზღვროს, ადრე უნდა მოხდეს ეს თუ გვიან. ხოლო თუ ღმერთი არ განრისხდება, უტოპიელს ურჩევნია მიეახლოს მას ტანჯვით სიკვდილის გზით, ვიდრე მისგან მოშორებულმა ბედნიერად იცხოვროს.

აღავლენენ რა ამ ლოცვას, ისინი კვლავ მიწაზე ემხობიან, მერე მიდიან შინ და დარჩენილ დროს თამაშობებსა და სამხედრო ვარჯიშში ატარებენ.

აი, რამდენადაც შემეძლო, სიმართლით აღვწერე უტოპიელთა სახელმწიფოს წყობილება, რომელიც მე პირადად საუკეთესოდაც მიმაჩნია და ერთადერთადაც, რომელსაც შეიძლება სამართლიანად ეწოდოს სახელმწიფო. სხვაგან შეიძლება ბევრს ლაპარაკობენ საზოგადოების კეთილდღეობაზე, მაგრამ მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავენ. აქ კი, სადაც პირადი არაფერი არსებობს, ყველა საზოგადო საქმეს ემსახურება. ცხადია, თავისებურად ყველა მართალია.

სხვა ქვეყნებში ყოველმა ადამიანმა იცის, თვითონ თუ არ იზრუნებს საკუთარ თავზე, რაც არ უნდა ჰყვაოდეს სახელმწიფო, იგი მაინც შიმშილით მოკვდება. აუცილებლობა აიძულებს მას პირველ რიგში თავის თავზე იზრუნოს და არა ხალხზე, ე. ი. სხვა ადამიანებზე.

აქ კი, სადაც ქონება საერთოა, გაჭირვებაში ჩავარდნისა არავის ეშინია, თუკი სახელმწიფო ბეღლის გავსებაზე იზრუნებს. რადგან დოვლათს ისინი თანაბრად ანაწილებენ და არ ძუნწობენ, აქ არ არსებობს ღარიბი და უპოვარი. და თუმც კი თითოეულს პირადი ქონება არ გააჩნია, მაინც ყველა მდიდარია.

განა უზრუნველი, უშფოთველი და სიხარულით აღსავსე ცხოვრება თავისთავად სიმდიდრე არ არის? რა საჭიროა ჭამა-სმაზე ზრუნავდე, ცოლის წუწუნი გტანჯავდეს, ვაჟიშვილის მომავალ სიღარიბეზე და ქალიშვილის მზითვზე წუხდე. თითოეული უტოპიელი დარწმუნებულია, რომ მაძღარი და ბედნიერი იქნება თვითონაც და მისი ახლობლებიც: ცოლი, შვილი, შვილიშვილები, შვილთაშვილები და მთელი მისი შთამომავლობა, რაზედაც კეთილშობილნი წინასწარ ზრუნავენ.

ახლა იმის შესახებ გიამბობთ, როგორ ზრუნავენ უტოპიელები მომეტებულად მათზე, ვინც ადრე შრომობდა და ამჟამად დაუძლურებულია, ვიდრე იმათზე, ვინც ახლა ეწევა ცხოვრების ჭაპანს. კარგი იქნებოდა მათი ეს სიკეთე ვინმეს სხვა ხალხების სამართლიანობისათვის შეედარებინა. თავს მოვიჭრი, თუ სხვაგან მსგავს რამეს, რაიმე კვალსაც კი იპოვნიან. სადაური სამართალია, რომელიმე დიდებული, ოქრომჭედელი, მევახშე ან მისთანანი არაფერს აკეთებდნენ, ან მათი საქმიანობა სახელმწიფოს არაფერს რგებდეს, ცხოვრებას კი უსაქმურობაში, გართობაში, ფუფუნებასა და განცხრომაში ატარებდნენ! ამ დროს მოჯამაგირე, მეეტლე, ხელოსანი, მიწის მუშა დღენიადაგ მუშაობს, მუშაობს იმდენს, რომ სახედარიც ვერ აიტანს, მათი შრომის გარეშე ხომ სახელმწიფო ერთ წელსაც ვერ იარსებებდა! და შიმშილით კი სული სძვრებათ, პირუტყვის მდგომარეობაც კი უკეთ მოგეჩვენება. საქონელიც კი ყველგან არ არის ასეთ მძიმე შრომაში, მათ საკვები ღარიბებისაზე ოდნავ ნაკლები თუა და მათ სავსებით შეეფერებათ. თანაც პირუტყვს ხომ მომავლის შიში არა აქვს. ადამიანს კი სტანჯავს ფუჭი, უნაყოფო შრომა და გულს უხეთქავს სიღარიბისა და სიბერის შიში. მისი დღიური გასამრჯელო ისე მცირეა, რომ არ ჰყოფნის და შავი დღისათვის ორიოდე გროშის გადანახვასაც ვერ ახერხებს.

შეიძლება სამართლიანად ჩაითვალოს ისეთი სახელმწიფო, რომელიც დოვლათს თავზე აყრის ეგრეთ წოდებულ დიდებულებს, ოქრომჭედლებს, ფუჭი გართობის მოყვარულ ყველა ჯურის მლიქვნელებსა და უსაქმურებს, ხოლო არავითარ ყურადღებას არ აქცევს მიწათმოქმედს, მენახშირეს, მოჯამაგირეს, მეეტლესა და ხელოსანს, რომელთა გარეშეც იგი ვერც კი იარსებებდა?! სახელმწიფო ბოროტად იყენებს მშრომელების საუკეთესო წლებს, ხოლო როცა ისინი უძლურდებიან და ცხოვრება უჭირთ, მათ ნაღვაწს ივიწყებს, მათი სიკეთე აღარ ახსოვს და მადლიერების ნაცვლად უბედურებს საცოდავ აღსასრულს უმზადებს.

კიდევ უფრო უარესი ისაა, რომ მდიდრები ღარიბთა დღიური სარჩოს გარკვეული ნაწილის გამოძალვას მარტო მოტყუებით კი არა, კანონის ძალითაც ახერხებენ. თუ წინათ უსინდისობად ითვლებოდა ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურების საზღაურად მცირე ვასამრჯელოს მიცემა, ახლა ყველაფერი გაუკუღმართდა და ამ უსამართლობამ კანონის სახე მიიღო.

მე ყურადღებით ვაკვირდებოდი და ვსწავლობდი სხვადასხვა აყვავებულ სახელმწიფოს. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, არაფერი დაშინახავს, გარდა მდიდართა მისწრაფებისა სახელმწიფოს სახელით მხოლოდ საკუთარ გამორჩენაზე იფიქრონ. ისინი ათასგვარ ხრიკებს ეძებენ, რომ შეინარჩუნონ უკეთური გზებით შეძენილი ქონება და მცირედი გასამრჯელოს ფასად ისარგებლონ ღარიბთა შრომით. ამგვარი საქმენი უკვე დაკანონდა, რადგან ერთხელ და სამუდამოდ დაადგინეს სახელმწიფოს, ე. ი. ღარიბთა სახელითაც.

და აი, ამ უკეთურმა, გაუმაძღარმა ხალხმა ხელთ იგდო ყველაფერი ის, რაც სხვებსაც ეყოფოდათ! რა უფსკრულია მათსა და ბედნიერ უტოპიელთა სახელმწიფოს შორის! ფულის მოსპობით უტოპიელებმა სიხარბეც ამოძირკვეს. განა ცნობილი არ არის, რომ ფულის მოსპობასთან ერთად მას თან გაჰყვება სიცრუე, ქურდობა, ძარცვა, შფოთი, განხეთქილება, აღშფოთება, გულისწყრომა, დავა, შუღლი, მკვლელობა. ღალატი, მოწამვლა, რომელთა გამოც დასჯა შურისძიება უფროა, ვიდრე მათი ალაგმვის ცდა. ფულთან ერთად გაქრება შიში, მღელვარება, ზრუნვა, წუხილი, უძილო ღამეები. სიღარიბეც კი, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდება ფული, მისი მოსპობისთანავე თავისთავად გაქრება.

ეს უფრო ცხადი გახდება, თუ შენ წარმოიდგენ უნაყოფო და მოუსავლიან წელიწადს, რომელმაც უკვე ათასობით ადამიანი იმსხვერპლა, დაუფარავად შემიძლია განვაცხადო: შიმშილობის დასასრულს მდიდართა ბეღლები რომ გაესინჯათ, იმდენი პური აღმოჩნდებოდა, შიმშილით დაღუპულებისათვის დროზე რომ გაენაწილებინათ, ყველას ეყოფოდა. რა ადვილი იქნებოდა სარჩოს შოვნა, ეს ნეტარხსენებული ფული რომ არ არსებობდეს.. იგი თითქოს საქმის გასაადვილებლად შემოიღეს, სინამდვილეში კი ლუკმა-პურის მოსაპოვებელ გზაზე ბორკილად იქცა.

ეჭვი არ მეპარება, ამას თვით მდიდრებიც გრძნობენ, მათაც მშვენივრად უწყიან, რომ სჯობს არაფერი გაგაჩნდეს ისეთი, რაც არ არის აუცილებელი, ვიდრე ზედმეტი გქონდეს. რა ჯობია, თავი დააღწიო უამრავ ფათერაკს, თუ აურაცხელი სიმდიდრის მონად გადაიქცე?! უეჭველია, მთელი მსოფლიო დიდი ხანია გადაიღებდა უტოპიელთა კანონებს საკუთარი სარგებლობის გამოც და ქრისტე-მაცხოვრის გავლენითაც (რომლის სიბრძნეს არ შეიძლება არ სცოდნოდა, რა არის უმჯობესი, ხოლო კეთილმოწყალებას არ შესძლებოდა აერჩია ის, რაც

არ იყო საუკეთესო), მაგრამ ამას წინ ეღობება ერთი რამ ურჩხული, სათავე ყველა განსაცდელისა — მედიდურობა! იგი ბედნიერებას საზღვრავს არა საკუთარი წარმატებებით, არამედ სხვისი მარცხით. ზოგი. გალმერთებასაც კი არ მოისურვებს, თუ არ იარსებებენ უპოვარნი, რომლებზეც შეიძლება იბატონო და დაამცირო ისინი, რათა საკუთარი ბედნიერება მათი უბედურების ფონზე უფრო გამობრწყინდეს და მისმა სიმდიდრემ ხაზი გაუსვას მათ სიღარიბეს. ავერნის გველივით[138] ბორკავს იგი მოკვდავთა სულს, რომ ისინი არ ისწრაფვოდნენ უკეთესი ცხოვრებისაკენ, თავის მომაბეზრებლად უშლის მათ ხელს და ყველა გზას უღობავს.

მედიდურობა ადამიანთა სულში ისე მკვიდრად დაბუდებულა, რომ მისი ამოძირკვა ძნელია; მოხარული ვარ, რომ უტოპიელებს მაინც ერგოთ ისეთი სახელმწიფო, როგორსაც ყველას ვუსურვებდი. მათ ცხოვრების საუკეთესო ნორმები შეიმუშავეს და სახელმწიფო წყობას საფუძვლად მარჯვედ და საიმედოდ დაუდეს. უტოპიელებმა სხვა მანკიერებებთან ერთად პატივმოყვარეობის ფესვებიც ამოძირკვეს. მათ არ ემუქრება შინაური უთანხმოება, რამაც ბევრი კარგად დაცული მდიდარი ქალაქი დაღუპა. როცა შინაურობაში სრული თანხმობა სუფევს და სახელმწიფო წყობილება მყარია, მას მეზობელი ქვეყნების ქიშპობა ვერ შეარყევს (კარგა ხანია უტოპიელთა მეზობლებმა სცადეს ეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ).

როდესაც რაფაელი ამას მიამბობდა, მომეჩვენა, რომ ამ ხალხის კანონებსა და ადათ-წესებში ბევრი რამ იყო ახირებული. ეს არა მარტო საომარ ხერხებს, წეს-ჩვეულებებსა და რწმენას ეხება, არამედ ყველაზე მთავარს მათ წეს-წყობილებაში — ერთად ჭამა-სმას და საერთო ცხოვრებას ყოველგვარი ფულის გარეშე. მარტო ესეც კი კმარა, რომ მოისპოს ყოველგვარი დიდგვაროვნება, წარჩინებულობა, ბრწყინვალება, დიდებულება, რასაც ყველა სახელმწიფო ღირსებად და მშვენებად მიიჩნევს.

მაგრამ, როგორც შევატყვე, რაფაელი თხრობამ დაქანცა და შეკამათებასა და საწინააღმდეგოს თქმას ვერ აიტანდა, თანაც გამახსენდა, როგორ კიცხავდა იგი ადამიანებს, რომლებიც შიშობდნენ, საკმარისად ჭკვიანნი არ. გამოვჩნდებით, თუკი სხვის აზრებში სასაცილოს ვერაფერს დავინახავთო. ამიტომ შევაქე უტოპიელთა წყობილება, მოვიწონე რაფაელის ნაამბობი და ვახშამზე მოვიწვიე, თან ვუთხარი, დრო ბევრი გვექნება, უფრო ღრმად განვსაჯოთ მოსმენილი და ვისა-

უბროთ ამ თემებზე-მეთქი. ო, ნეტავ ეს ნატვრა ოდესმე ამსრულებოდა!

მართალია, ყველაფერში ვერ დავეთანხმები ამ უეჭველად განათლებული და გამოცდილი კაცის ნაამბობს, მაგრამ ვაღიარებ, რომ უტოპიელთა სახელმწიფოში ბევრი რამაა ისეთი, რასაც ჩვენს ქვეყნებს ვუსურვებდი, თუმც კი ამ სურვილების აღსრულების არავითარი იმედი არა მაქვს.

მეორე წიგნის დასასრული

რაფაელ ჰითლოდეკის შუადღის საუბრის
მეორე წიგნის დასასრული,
აკადემიკოსი მცირეთათვის ცნობილი
უტოპიელთა კუნძულის წყობილებისა
და კანონების შესახებ, გადმოცემული
უგანათლებულესი და უკეთილშობილესი
ვაუკაცის, ლონდონელი მოქალაქისა და
ვიკონტის ტომას მორის მიერ.

შენიშვნები

1. სახელი უტოპია შედგენილია ბერძნ. უარყოფითობის ნაწილაკის οὐ-სა და „ადგილის“ აღმნიშვნელი სიტყვის τόπος შეერთებით: „უტოპია“ — არარსებული ადგილი.

2. პეტრე ეგიდიუსი (Petrus Aegidius ან Cillius, 1486—1533). ტომას მორისა და ერაზმ როტერდამელის (1466—1536) მეგობარი, ნიდერლანდელი ჰუმანისტი, ანტვერპენის ქალაქის საბჭოს წევრი, ანტიკური ლიტერატურის. ბერძნული და ლათინური ენებისა და სამართლის მცოდნე, ესპეს იგავების ლათინურ ენაზე მთარგმნელი.

3. ნაუცბადევი და მოუმზადებელი... — კვინტილიანუსი თავის თხზულებაში „ორატორის აღზრდა“ აღნიშნავს, რომ ორატორმა უნდა შესძლოს მოუმზადებლად სიტყვის წარმოთქმა.

4. იოანე კლემენტი — ჯონ კლემენტი (Clement John, გარდაიც. 1572 წელს) — აღიზარდა ტომას მორის სახლში და ცოლად შეირთო მისი შვილობილი. მუშაობდა ოქსფორდის უნივერსიტეტში ბერძნული ენის კათედრაზე, შემდეგ კი ექიმად — ლონდონში.

5. სახელი „ჰითლოდევსი“ შექმნილია ბერძნ. სიტყვებიდან ὕθλος — „ყბედობა“, „ლაქლაქი“ და δαΐος —„გამოცდილი“, რაფაელ ჰითლოდევსის სახელით ტომას მორი გაბედულად გადმოგვცემს საკუთარ აზრებს.

6. ამაურატი — სახელწოდება მომდინარეობს ბერძნ. სიტყვიდან ἀμαυρός —„შეუცნობელი“, „ბნელი“. ამ სახელით მორი უარყოფს სინამდვილეში მსგავსი ქალაქის არსებობას და ამ სახელწოდებაში ამავე დროს გულისხმობს ნისლიან ლონდონს, რომლის დამახასიათებელ ნიშნებსაც ამაურატის აღწერის დროს ჩამოთვლის.

7. ანიდრუსი — მომდინარეობს ბერძნ. სიტყვიდან ἄνυδρος „უწყლო“, ე. ი. „უწყლო მდინარე“, მაგრამ, როგორც აღწერიდან ჩანს, მორი აქ მდინარე ტემზას გულისხმობს.

8. დამჯდარი ერთს აქებს, ფეხზე წამომდგარი—მეორეს... — ციტატა „ციცერონის წინააღმდეგ ინვექტივებიდან“, რომელიც სალუსტიუსს მიეწერება: „... ფეხზე მდგომი რესპუბლიკის შესახებ ერთს ფიქრობს, დამჯდარი მეორეს“.

9. შენს მეუღლესთან ერთად... — იგულისხმება პეტრე ეგიდიუსის მეორე ცოლი კორნელია სანდრი.

10. მეფე ჰენრი — ჰენრი VIII ტიუდორი, ინგლისის მეფე (1509—1547).

11. კასტილიის მეფე კარლოსი — კარლოს I (მოგვიანებით გერმანიის იმპერატორი კარლ V) 1516 წლის იანვარში თავისი პაპის ფერდინანდ არაგონელის გარდაცვალების შემდეგ კასტილიის მეფედ გამოცხადდა.

12. ელჩად ფლანდრიაში... — იგულისხმება 1515 წლის მაისში ჰენრი VIII-ის ელჩობა. კომერციული და დიპლომატიური კონფლიქტების მოსაგვარებლად ტ. მორი ფლანდრიაში გაემგზავრა. ეს კონფლიქტი ინგლისსა და ნიდერლანდს შორის წარმოიშვა მატყლით და მაუდით ვაჭრობის შესახებ დადებული ხელშეკრულების გამო, რომელიც ჯერ კიდევ 1496 და 1506 წლებში ჰენრი VII მიერ იქნა ხელმოწერილი. კონფლიქტი წარმოიქმნა კარლ ჰაბსბურგსა (გერმანიის მომავალი იმპერატორი კარლ V) და ჰენრი VIII დას შორის დინასტიური ქორწინების პროექტის დარღვევის გამო, რამაც გამოიწვია ინგლისსა და ნიდერლანდს შორის ვაჭრობის დროებითი შეწყვეტა. ინგლისელ ვაჭრებს აეკრძალათ მატყლის ნიდერლანდში გატანა. ერთდროულად აიკრძალა ინგლისიდან ფლამანდური ქსოვილების გაზიდვა. ამან ორივე ქვეყნის ვაჭართა ინტერესების შელახვა გამოიწვია. 1515 წლის მაისში ტომას მორი კატბერტ ტუნსტალთან, რიჩარდ სიმპსონთან და ელჩობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად მოლაპარაკების საწარმოებლად ბრიუგეში გაემგზავრა. მან ეს რთული მისია წარმატებით შეასრულა.

13. კატბერტ ტუნსტალი (Tunstall Cuthbert, 1424—1559) — ტომას მორისა და ერაზმ როტერდამელის მეგობარი. 1511 წლიდან იგი კენტერბერის არქიეპისკოპოსის გენერალური ვიკარიუსი (თანაშემწე), 1522 წლიდან კი ლონდონის ეპისკოპოსი იყო.

14. ბრიუგე — დასავლეთ ფლანდრიის დედაქალაქი (ამჟამად ბელგიის ერთ-ერთი ქალაქი).

15. გეორგ ტემზიციუსი (Theimseke George, გარდაიც. 1536 წელს). მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ იგი გეორგ ვან ტემსეკია, ჩრდილოეთ საფრანგეთის ქ. კასელის მონასტრის წინამძღვარი.

16. პალინურუსი — ვერგილიუსის თხზულების „ენეიდის" გმირის ენეასის მესაქე.

17. ულისე — ჰომეროსის პოემის „ოდისეას" მთავარი გმირის ოდისევსის ლათინური სახელი.

18. პლატონი (427—347 ძვ. წ.) — ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი, რომლის თხზულებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტომას მორის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის. სხვადასხვა წერილობითი წყარო მოგვითხრობს პლატონის მოგზაურობათა შესახებ. იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც მოუვლია პლატონს, წყაროებში ნახსენებია ასურეთი, ბაბილონი, სპარსეთი, იტალია, სიცილია.

19. ლუციუს ანეუს სენეკა (ახ. წ. 4—65)—რომაელი ფილოსოფოსი, ტრაგიკოსი, იმპერატორ ნერონის აღმზრდელი.

20. მარკუს ტულიუს ციცერონი (106—43 ძვ. წ.) — რომაელი ორატორი, პოლიტიკური მოღვაწე და ფილოსოფოსი.

21. ლუზიტანია — ახლანდელი პორტუგალია.

22. ამერიგო ვესპუჩი (1451—1512) — ფლორენციელი მეზღვაური, რომლის სახელსაც ატარებს ამერიკის კონტინენტი. მან ოთხჯერ შემოიარა ახალი სამ-

ყარო. მეოთხე მოგზაურობის დროს (1503—1504 წწ.) რამდენიმე მისი თანამგზავრი ბრაზილიაში დარჩა.

23. „ვისაც ურნა არ გააჩნია, მას ზეცა დაიფარავს“... — ციტატა რომაელი პოეტის მარკუს ანეუს ლუკანუსის თხზულებიდან „ფარსალია“, რომელიც ეძღვნება კეისრის ბრძოლას პომპეუსთან.

24. „საიქიოსკენ მიმავალი გზა ყოველგნით ერთია“... — შეცვლილი ციტატა ციცერონის „ტუსკულანური საუბრებიდან“ (I, 43.104): „ჩინებულად უპასუხა ანაქსაგორამ, როდესაც ლამფსაკოსში კვდებოდა, მეგობრების შეკითხვაზე გადაესვენებინათ თუ არა მისი სხეული მის მშობლიურ კლაძომენეში: „არ არის ამის არავითარი საჭიროება — ჯოჯოხეთისაკენ მიმავალი გზა ყოველგნით ერთია“. ტომას მორმა სიტყვა „ჯოჯოხეთი“ „საიქიოთი“ შეცვალა.

25. ტაპრობანა — ახლანდელი კუნძული შრი-ლანკა.

26. კალიკიტი — ინდოეთის საზღვაო ნავსადგური, თანამედროვე კალიკუტი (და არა კალკუტა), ოდესღაც აყვავებული სავაჭრო ქალაქი. 1498 წლის მაისში აქ იმყოფებოდა ცნობილი პორტუგალელი მეზღვაური ვასკო და გამა (1469—1524).

27. მაგნიტის გამოყენება.. — ზღვაოსნობის დროს მაგნიტის გამოყენების შესახებ წერდა ნეტარი ავგუსტინე თავის თხზულებაში „ღვთიური სახელმწიფოს შესახებ“. (De Civitate Dei, 21,4).

28. სკილა (ბერძნ. მით.) — ზღვის ურჩხული იტალიასა და სიცილიას შორის, მესინის სრუტეში.

29. ქელენო (ბერძნ. მით.) — ერთ-ერთი სამ ჰარპიათაგან მითიური ურჩხული ქალის სახით, რომელსაც ძერას სხეული და უზარმაზარი ბრჭყალები ჰქონდა.

30. ლესტრიგონები (ბერძნ. მით.) — ძველი იტალიის მკვიდრნი, რომლებიც თითქოს ჯერ კამპანიაში, შემდეგ სიცილიაზე ცხოვრობდნენ. გადმოცემის თანახმად, ისინი კაციჭამიები იყვნენ. მათი ქვეყანა აღწერილია „ოდისეაში“. ჰომეროსის „ილიადაში“ აქილევსი აგამემნონს „კაციჭამიას“, „ხალხის მყლაპავს“, უწოდებს.

31. უმოწყალოდ განადგურდნენ.... — საუბარია ჰენრი VII წინააღმდეგ კორნუელის (ჩრდილო-დასავლეთ ინგლისი) საგრაფოს მცხოვრებთა აჯანყებასა და მათ მიერ განცდილ მარცხზე.

32. იოანე მორტონი — ჯონ მორტონი (Morton John, 1420—1500). გამოჩენილი სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწე, კენტერბერის არქიეპისკოპოსი და კარდინალი, ლორდ-კანცლერი ჰენრი VII მეფობის დროს (1485—1509). მან კეთილი გავლენა იქონია ტომას მორზე, რომელმაც ახალგაზრდობის წლები მის სახლში გაატარა.

33. კორნუელთან და ცოტა უფროადრე... გალიასთან ბრძოლის შემდეგ—გადასახადების ზრდას ჩრდილოეთ ინგლისში 1484—1491 წლებში მოჰყვა აჯანყებანი.. 1497 წლის აჯანყება ცნობილია კორნუელის ამბოხების სახელით.

34. პირად მცველთა უზარმაზარ ბრბოს...—ტომას მორს მხედველობაში აქვს ფეოდალთა რაზმები, ე. წ. „ლივრეის ხალხნი“, რომლებიც ჯერ კიდევ მრავალრიცხოვანნი იყვნენ ტიუდორთა მმართველობის პერიოდში.

35. რაც შეეხება გალიას... — აქ იგულისხმება 1515 წელი, როცა საფრანგეთში შეეიარელი დაჭირავებული ჯარისკაცები შემოვიდნენ.

36. ს ა ლ უ ს ტ ი უ ს ი (86—34 ძვ. წ.) — რომაელი ისტორიკოსი. ციტატა აღებულია მისი თხზულებიდან „კატილინას შეთქმულება“.

37. ა მ რ ი გ ა დ მ ა ს შ ე მ დ ე გ... — ეს ადგილი მოტანილია კ. მარქსის „კაპიტალის“ I ტომში, გვ. 590—591.

38. ო ლ ი გ ო პ ო ლ ი ა — უმცირესობის უფლება ვაჭრობაზე. ბერძნ. სიტყვებიდან ὀλίγος —„უმცირესობა“, πωλέω „ვყიდი“, „ვვაჭრობ“ ე. ი. „მცირერიცხოვანთა ვაჭრობა“.

39. მ ა ნ ლ ი უ ს ი ს კ ა ნ ო ნ ე ბ ი... — რომაელი ტიტუს მანლიუსი ძვ. წ. 362 წელს სამხედრო ტრიბუნი იყო, ძვ. წ. 353 და 349 წლებში კი დიქტატორი. მის მიერ გატარებული კანონები გამოირჩევიან განსაკუთრებული სიმკაცრით (მან ხომ საკუთარი ვაჟიშვილი სიკვდილით დასაჯა სამხედრო დისციპლინის დარღვევის გამო).

40. ს ტ ო ე ლ ნ ი დ ა მ ა თ ი მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა ს ტ ო ი ც ი ზ მ ი — ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფილოსოფიური მიმდინარეობა ძველ საბერძნეთში. იგი დააარსა ძენონმა ძვ. წ. IV ს. ბოლოს, ქადაგებდა ყოველგვარი გაჭირვების ამტანობას.

41. ს პ ა რ ს ე თ შ ი... — ტომას მორს სპარსეთის შესახებ ამბები გაგებული ჰქონდა უწინარეს ყოვლისა ანტიკური ავტორების ჰეროდოტესა (დაახლ. 484—425 ძვ. წ.) და სტრაბონისაგან (გარდაიც. ახ. წ. 25 წელს).

42. პ ო ლ ი ლ ე რ ი ტ ე ბ ი... — სახელწოდება წარმოშობილია ბერძნ. სიტყვებიდან πολύς „ბევრი“ და λῆρος „ცარიელი, უაზრო ყბედობა“. ამით მორს სურს თქვას, რომ ასეთი ხალხის არსებობის დაჯერება უაზრობაა.

43. ც დ ა ბ ე დ ი ს მ ო ნ ა ხ ე ვ რ ე ა ო... — ანდაზა „ქამათლებს ხშირად თუ გააგორებ, შეიძლება ვენერაც დასვა“. „ვენერას“ რომაელები თამაშის დროს ქამათლების ხელსაყრელ განლაგებას უწოდებდნენ. ერაზმ როტერდამელის „ადაგიაში“ ეს ანდაზა შემდეგნაირადაა ახსნილი: „ხშირი თამაშით შეიძლება მოიგო არა ოსტატობის, არამედ შემთხვევის წყალობით“. (Crebo iacti iaci aliquando Venerem).

44. ბ ე ნ ე დ ი ქ ტ ი ნ ე ლ თ ა მ ო ნ ა ს ტ რ ე ბ შ ი... — დასავლეთ ევროპის უძველესი კათოლიკური ორდენი, დაარსებული წმ. ბენედიქტე ნურსიელის მიერ (482—543) მონტე კასინოში. ბენედიქტინელთა საბატო უმნიშვნელოვანეს კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა.

45. „რ ი ს ხ ა ვ დ ე თ, მ ა გ რ ა მ ა რ ა ს ც ო დ ა ვ დ ე თ“... — ფსალმუნი, 4, 5.

46. „შ ე ნ ს ს ა ხ ლ ზ ე ე ბ ვ ი ა ნ ო ბ ა მ შ ე მ ბ ა ...“ — ფსალმუნი, 68, 10.

47. ე ლ ი ს ე — ძველ ებრაელთა წინასწარმეტყველი. მის მელოტ თავს ერთხელ ბიჭებმა დასცინეს. ელისე განრისხდა, მუდარით შესთხოვა ღმერთს დახმარებოდა შურისძიებაში. უსმინა ღმერთმა: ტყიდან ორი დათვი გამოვიდა და ორმოცდაორი ბავშვი დაგლიჯა.

48. „ს უ ლ ე ლ ს მ ი ს ი ს ი ს უ ლ ე ლ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ უ პ ა ს უ ხ ე“ — შეცვლილი ციტატა სოლომონისეულ იგავთა წიგნიდან, სადაც ნათქვამია: „სულელს მისი სისულელის მიხედვით არ უპასუხო, რათა თვითონ შენ მას არ დაემსგავსო“.

49. მ ე ფ ე ნ ი გ ა ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს დ ე ბ ი ა ნ... — „თუ სახელმწიფოში არ იმეფებენ ფილოსოფოსები, — აღნიშნავს პლატონი, — ან ე. წ. მეფენი და მფლობელნი არ იფილოსოფოსებენ, სანამ სახელმწიფო ძალაუფლება და ფილოსოფია არ

50. დიონისიოსის კარზე.... — დიონისიოს უმცროსი — სიცილიის მმართველი (ძვ. წ. 367—343). მან პლატონი თავის კარზე მიიწვია, რათა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა შეესწავლა, მაგრამ პლატონმა დიონისიოსზე სერიოზული გავლენა ვერ მოახდინა, თვითონ პლატონი კარისკაცთა ინტრიგების ქსელში გაება და მისი სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდა.

51. გალიის მეფის კარზე... — 1515 წელს საფრანგეთის სამეფო ტახტზე ავიდა ფრანსუა I (1515—1547), რომელიც აგრძელებდა თავისი წინაპრების— შარლ VIII და ლუი XII მიერ დაწყებულ პოლიტიკას — ომებს იტალიაში. საუბარია იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის მილანო და ნეაპოლი (საფრანგეთს თუ იტალიას).

52. მედიოლანუმი... — თანამედროვე მილანო, რომელიც იმ დროისათვის ეკუთვნოდა ვისკონტთა გვარის მთავრებს. ვალენტინა ვისკონტი ფრანგთა მეფის ლუი XII (1498—1515) ბებია იყო.

53. ხელიდან გამსხლტარი ნეაპოლი... — ეს ეპითეტი იმ გარემოებით აიხსნება, რომ ნეაპოლი ცდილობდა შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა და არ დანებებოდა ფრანგ მეფეებს, რომლებიც მის ხელში ჩაგდებას ლამობდნენ.

54. ვენეტების დარბევა... — კამბრეს 1508 წლის ხელშეკრულების თანახმად, ვენეტია (ახლანდელი ვენეცია) და მისი ოლქი განაწილდა ლუი XII, ფერდინანდ არაგონელს, მაქსიმილიანე I ავსტრიელსა და პაპ იულიუსს შორის.

55. მთელი იტალიის დამორჩილება... — იმ დროისათვის იტალია შედგებოდა ხუთი დამოუკიდებელი სახელმწიფოსა (მილანო, ფლორენცია, რომი, ვენეცია და ნეაპოლი) და წვრილი ფეოდალური სამფლობელოებისაგან.

56. ძალაუფლების მოპოვება ფლანდრიაზე, ბრაბანტზე... მთელ ბურგუნდიაზე... — 1477 წელს საფრანგეთის მეფე ლუი XI ბურგონის ჰერცოგის შარლ თამამის დაღუპვის შემდეგ ხელთ იგდო ბურგონი. შარლ თამამის ასულის მარი ბურგონელისა და მაქსიმილიანე I ავსტრიელის ქორწინების შემდეგ ფლანდრია და ბრაბანტი ავსტრიის ხელში გადავიდა.

57. გერმანელთა დაქირავება... — გერმანელებსა და შვეიცარიელებს იმ დროისათვის ხშირად ქირაობდნენ სხვადასხვა სახელმწიფოები სამხედრო სამსახურისათვის.

58. უდიდებულესობა იმპერატორი... — იგულისხმება „რომის საღვთო იმპერიის“ იმპერატორი მაქსიმილიანე I ავსტრიელი (1493—1519).

59. არაგონის მეფე... — ფერდინანდ არაგონელი (1474—1516) — ინგლისის მეფის ჰენრი VIII პირველი ცოლის ეკატერინე არაგონელის მამა. 1512 წელს ფერდინანდმა დაიპყრო ნავარის სამეფოს სამხრეთი ნაწილი, რომელიც 1515 წელს კასტილიის სამეფოს შემოუერთა.

60. ნავარის სამეფო... — საფრანგეთსა და ესპანეთს შორის, პირენეის კალთებზე. იგი დინასტიური ქორწინების მეშვეობით გადადიოდა ხან ერთი და ხან მეორე ფრანგი დიდებულის ხელში, თუმცა არაგონის მეფეები მუდამ აცხადებენ პრეტენზიას მასზე.

61. კასტილიის მეფე... — კასტილია — ესპანეთის ოლქი, ესპანეთის

უდიდესი სამეფო. „უტოპიის“ შექმნის წლებში წარმოებდა მოლაპარაკება კასტილია-საფრანგეთის კავშირის თაობაზე, კასტილიის პრინც კარლოსსა და ლუი XII-ის ასულის დინასტიური ქორწინების გზით.

62. შემართული უნდა გვყავდნენ სკოტები.... — საფრანგეთი მხარს უჭერდა სკოტების ანუ შოტლანდიელების მტრობას ინგლისის მიმართ და ომის შემთხვევაში იმედოვნებდა მათთან კავშირის დამყარებას.

63. ახორიელები... — ბერძნ. ἀ — უარყოფითი ნაწილაკი და χώρα — „ქვეყანა“, ე. ი. „არარსებული ქვეყნის“, „გამრგონილი ქვეყნის“ მცხოვრებნი.

64. გაზარდონ მონეტის ღირებულება... — ამგვარ ოპერაციებს მიმართავდნენ ინგლისის მეფეები ედუარდ IV და ჰენრი VII.

65. შეწყვეტა სისხლისღვრა... — აქ საუბარია იმის შესახებ, რომ ინგლისის მეფემ ჰენრი VII 1492 წელს საომარი ოპერაციების დაწყებამდე საფრანგეთთან ზავი დადო.

66. ამოუქექია ჭიანჭამი კანონები... — ეს ფაქტი მართლაც მოხდა ჰენრი VII-ის მეფობის ხანაში.

67. ხელმწიფის უცილობელი პრეროგატივა... პრეროგატივა განსაკუთრებულ უფლებას, უპირატესობას ნიშნავს. აქ ტომას მორს მხედველობაში აქვს ცნობილი ინგლისური გამოთქმა: „მეფე არ ცდება“ (King does no wrong).

68. კრასუსი... — მარკუს ლიკინიუს კრასუსი, უმდიდრესი კაცი მთელ რომში, ძვ. წ. 60 წელს პირველი ტრიუმვირატის წევრი იყო კეისარსა და პომპეუსთან ერთად. დაიღუპა, ძვ. წ. 53 წელს, პართელების წინააღმდეგ ლაშქრობის დროს.

69. მწყემსის მოვალეობაა... — შდრ. პლატონის აზრს — „შენ ფიქრობ, რომ მეცხვარეები ან მეხრეები ცხვრის ან ხარების გამოკვებაზე ზრუნავენ, კვებავენ მათ, უვლიან და მხედველობაში აქვთ სხვა რამ და არა ბატონთა და საკუთარი თავის კეთილდღეობა“ (იხ. პლატონი, სახელმწიფო, I, 343).

70. ფაბრიციუსი... — რომაელი კონსული და მხედართმთავარი ძვ. წ. II საუკუნეში.

71. მაკარიელები... — ბერძ. სიტყვიდან μάκαρ „ნეტარი“, „ბედნიერი“.

72. სქოლასტიკური ფილოსოფია... — (ბერძნ. სიტყვიდან σχολαστικός სწავლული) — შუა საუკუნეებში გაბატონებული ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც ცდილობდა თეორიულად ფორმალურ-ლოგიკური არგუმენტებით დაესაბუთებინა ეკლესიის დოგმატები.

73. პლავტუსი... — ტიტუს მაქციუს პლავტუსი (ძვ. წ. 254—184), რომაელი კომედიოგრაფი.

74. „ოქტავია“ — რომაელი ფილოსოფოსის სენეკას ტრაგედია. ოქტავია იყო ნერონის მიერ უარყოფილი ცოლი. აქ იგულისხმება ტრაგედიის მეორე აქტი.

75. ტერენციუს მიკიონი... — პუბლიუს ტერენციუს აფრიკელი (190—159 ძვ. წ.) — რომაელი კომედიოგრაფი. საუბარია კომედია „ძმების“ ერთ-ერთ გმირზე.

76. უტოპიელთა კუნძული... — მრავალი მოსაზრება არსებობს, თუ რომელ ქვეყანას გულისხმობდა ტომას მორი უტოპიის ცნებაში. მკვლევართა ერთი

ნაწილის აზრით, კუნძული უტოპია ინგლისია (იხ. Ritter G. The Corrupting Influence of Power, ed. by R. W. Pick. Hadleigh, Essex, 1952, p. 46, ანპერე (იხ. Morgan A. E. Nowhere Was Somewhere. Chapel Hill, 1946, p. 212); ზოგი მკვლევარი პლატონის მიერ აღწერილ კუნძულ ატლანტიდას ასახელებს (იხ. Gerber R. The English Island Myth, Remarks of the Englishness of Utopian Fiction.—Critical Quartely, 1959, p. 37—38); საბჭოთა ისტორიკოსი მ. ბ. ალექსეევი კი თვლის, რომ „უტოპიაში" მორი მოგვითხრობს სამხრეთსლავურ თემზე, რის შესახებაც მას, შესაძლებელია, ლონდონის ვენეციელი ელჩის ლეონარდო ჯუსტინიანისაგან შეეტყო (Алексеев М. П. Из истории английской литературы), М.-Л., 1960. გვ. 40).

77. ა ბ რ ა ქ ს ა... — კოპტურ ენაზე ეს სიტყვა (აბრაქსას, ან აბრასაქსის ფორმით) ნიშნავს წმინდა სახელს. იგი გვხვდება შუა საუკუნეების ხანის გნოსტიკოსებთან (ფილოსოფოსები, რომლებიც ცდილობდნენ ბერძნულ-რომაული და ძველი აღმოსავლური მსოფლმხედველობის საფუძვლების ქრისტიანულ მოძღვრებასთან გაერთიანებას) და ალქიმიკოსებთან. მორი აღნიშნავს, რომ უტოპიელები ეთაყვანებოდნენ ღმერთ მითრას. გნოსტიკოსთა გემებზე, ე. ი. ქვის ამულეტებზე სიტყვა აბრაქსა ხშირად მითრას სახელთან იყო გაიგივებული.

78. ო რ მ ო ც დ ა თ ო თ ხ მ ე ტ ი ქ ა ლ ა ქ ი... — იმდროინდელ ინგლისსა და უელსში ორმოცდათოთხმეტი ქალაქი იყო.

79. ა მ ა უ რ ო ტ ი... — იხ. შენ. 6.

80. ფ ი ლ ა რ ქ ო ს ი — ბერძნ. სიტყვიდან φύλαρχος — „ფილეს მეთაური". ფილების შესახებ ფრ. ენგელსის კლასიკური ნაშრომი „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს შესახებ", თავი V.

81. წ ი წ ი ლ ე ბ ი ს გ ა მ ო ჩ ე კ ა... — წიწილების ხელოვნური გამოჩეკა ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე ცნობილი იყო ეგვიპტეში, ჩინეთსა და ინდოეთში. იგი წარმოებდა ღუმელებში, რომლებსაც აქლემისა და ცხენის პატივით ახურებდნენ. პირველი ინკუბატორი, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, 1777 წელს შეიქმნა.

82. ჯ ი რ ი თ ში ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ი ს გ ა ს ა წ ვ რ თ ნ ე ლ ად... — (იხ. პლატონი, სახელმწიფო, V, 467); „ბავშვები ადრეულ ასაკში ცხენზე ჯდომას მივაჩვიოთ, როცა სიარულს ისწავლიან, ომის მსვლელობის სამზერად გავიყოლიოთ..."

83. შ ე ს ვ ლ ა ყ ვ ე ლ ას შ ე უ ძ ლ ი ა — (იხ. პლატონი, სახელმწიფო, III, 416). „უპირველეს ყოვლისა, არც ერთ მათგანს (იგულისხმება სამხედრო ფენა პლატონის იდეალურ სახელმწიფოში) არ უნდა გააჩნდეს არავითარი საკუთრება, ფრიად საჭირო და აუცილებელის გარდა... არც ერთ მათგანს არ უნდა ჰქონდეს ისეთი არც საცხოვრებელი და არც საწყობი, სადაც არ შეეძლოს შესვლა ყოველ მსურველს".

84. მ ი ნ ა... — მორის ეპოქაში მინის ფანჯრები მხოლოდ მდიდართა სახლებში იყო. ჯერ კიდევ 1567 წელს მინის ფანჯრების, როგორც იშვიათობის, დასაცავად განსაკუთრებული განკარგულებები ქვეყნდებოდა.

85. ქ ა რ ვ ა — აქ გაუგებარია, რას გულისხმობს მორი. ტაციტუსი თავის „გერმანიაში" მოგვითხრობს გამდნარი ქარვის, როგორც ფისის შესახებ. მორი ცდება, როდესაც ვარაუდობს, რომ ამგვარი გამდნარი ქარვით შესაძლებელია ტიოლის გაპოხვა.

86. ს ი ფ რ ო გ რ ა ნ ტ უ ს ი — შესაძლებელია ეს სახელწოდება წარმოშობილია ბერძნ. სიტყვებიდან σοφός — „ბრძენი“ და γέροντες — „უფროსნი“.

87. ტ რ ა ნ ი ბ ო რ უ ს ი, ამეამად პროტოფილარქოსი — შესაძლებელია სახელწოდება წარმოშობილია ბერძნ. სიტყვებიდან τύραννος — „ხელისუფალი“ და βορός — „შთანმთქმელი“.

88. ს ე ნ ა ტ ს ა ც ნ ო ბ ე ბ ე ნ — (იხ. ტაციტუსი, „გერმანია“, XI); „ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეების შესახებ უხუცესები თათბირობენ, ხოლო უფრო მნიშვნელოვანის შესახებ ხალხი. ამასთანაეე უხუცესები წინასწარ მსჯელობენ იმ საქმეებზე, რის გადაწყვეტის უფლებაც მხოლოდ ხალხს ეკუთვნის“.

89. ა დ რ ე დ ი ლ ი დ ა ნ გ ვ ი ა ნ ს ა ღ ა მ ო მ დ ე... — XIV—XV სს. ინგლისის მუშათა კანონმდებლობა სამუშაო დღის ხანგრძლივობას დილის 5 საათიდან საღამოს 7—8 საათამდე განსაზღვრავდა. ჰენრი VII დროს 1496 წელს გამოცემულ სტატუსში სამუშაო დღის ხანგრძლივობა მიწათმოქმედი მუშისათვის მარტიდან სექტემბრამდე უნდა გაგრძელებულიყო დილის 5 საათიდან შებინდებამდე. (იხ. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 119; გვ. 344—345).

90. მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ა ს უ თ მ ობ ს... — შდრ. ვ. ი. ლენინის აზრს: „შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მომავალი საზოგადოების იდეალი უიმისოდ, თუ ახალგაზრდა თაობის სწავლება ნაყოფიერ შრომასთან არ იქნება შეერთებული: ვერც სწავლა-განათლება ნაყოფიერი შრომის გარეშე და ვერც ნაყოფიერი შრომა სწავლებისა და განათლების გარეშე ვერ იქნება აყვანილი იმ სიმაღლემდე, რომელსაც ტექნიკის დონე და მეცნიერული ცოდნის მდგომარეობა მოითხოვს. ეს აზრი გამოთქვეს ჯერ კიდევ ძველმა დიდმა უტოპისტებმა“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2. გვ. 584).

91. გ ა რ ი ჟ რ ა ჟ ა მ დ ე... — ოქსფორდში მეცადინეობა დილის 6 საათზე იწყებოდა, ზოგიერთ უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში გაზაფხულობით — დილის 5 საათზე, ზამთრობით—7-ზე. მაგ., 1517 წელს პარიზში მეცადინეობა 5 სთ-ზე იწყებოდა, სალამანკაში—6-ზე. ჰუმანისტები თვლიდნენ, რომ დილის საათები მეცნიერებისათვის ძალზე ნაყოფიერია.

92. ბ ა რ ზ ა ნ ი... — შესაძლოა ეს სიტყვა ირანული წარმოშობისაა და ნიშნავს „მაღალს“. „ასე უწოდებდნენ სომხეთის მეფეს და ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვე ერთ-ერთ სატრაპს. შესაძლებელია ამ სიტყვის პირველი ნაწილი ძველებრაული სიტყვა „ბარ“-იდან იყოს წარმოშობილი, რაც „ძეს“ ნიშნავს. მეორე ნაწილი კი შესაძლოა მომდინარეობდეს ბერძნული დორიული ფორმის სიტყვიდან „Ζάν“— ზევსი, ე. ი. შესაძლებელია „ბარზანი“ „ზევსის ძეს“, „ღმერთის ძეს“ ნიშნავს.

93. ა დ ე მ უ ს ი — „უხალხო“, ხალხის გარეშე. აქ შეერთებულია ბერძნ. ἀ — უარყოფითი ნაწილაკი და δῆμος „ხალხი“.

94. ც ო ლ ე ბ ი ე მ ს ა ხ ურ ე ბ ი ა ნ ქ მ რ ე ბ ს... — ტ. მორს აქ მხედველობაში აქვს ბიბლიის შემდეგი ადგილი: „ცოლებო, დამორჩილდით ქმრებს, ვითარცა ბატონებს, რამეთუ ქმარი ცოლის მბრძანებლად ითვლება“...

95. ო თ ხ ი ს ა ა ვ ა დ მ ყ ო ფ ო... — იმდროინდელ ლონდონში ოთხი დიდი საავადმყოფო არსებობდა ღარიბთათვის და მოხუცებულთათვის.

96. ო ქ რ ო ს ა დ ა ვ ე რ ცხ ლ ს...—შდრ. პლატონი, კანონები, V, 742. „...ერძო პირთაგან არავისა აქვს ოქროსა და ვერცხლის ფლობის უფლება...“.

97. ღამის ქოთნებს და უსუფთაო მოხმარებისათვის განკუთვნილ ჭურჭელს ამზადებენ...—შდრ. ვ. ი. ლენინის აზრს: „როცა ჩვენ გავიმარჯვებთ მსოფლიო მასშტაბით, ვფიქრობ, ოქროსაგან გავაკეთებთ საზოგადოებრივ საპირფარეშოებს მსოფლიოს რამდენიმე ყველაზე დიდი ქალაქის ქუჩებში...“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33. გვ. 117).

98. ანემოლიელი ელჩები... — ბერძნული სიტყვიდან ἀνεμώλιος — ცარიელი, ფუჭი, ქარაფშუტა. „ანემოლიელები“ — ხალხი, სიტყვებს რომ ქარს ატანს.

99. იმ ფილოსოფოსთა შესახებ... — აქ ფილოსოფოსებს უწოდებდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც მეცნიერებასა და ხელოვნებას თეორიულ საფუძვლებს აძლევდნენ.

100. დიალექტიკა... — აქ ეს სიტყვა პლატონისეული გაგებით (როგორც უმაღლესი მეცნიერება, იდეების შეცნობის მეთოდი) კი არ იხმარება, არამედ როგორც ლოგიკის გამომხატველი.

101. ახალ დიალექტიკოსთა... — აქ ტ. მორს მხედველობაში ჰყავს პეტრე ესპანელი (XIII ს.)—პაპი ინოკენტი XXI, ავტორი ლოგიკის სახელმძღვანელოსი, რომელიც XIII—XVI საუკუნეებში დაახლოებით 150-ჯერ გამოიცა.

102. „მცირე ლოგიკაში“ — იგულისხმება პეტრე ესპანელის ნაშრომი.

103. „მეორე ინტუიციები“... — ლოგიკის „მეორე მისწრაფების“ ტერმინი. პირველი მისწრაფება განასხვავებს საგნებს მათი ინდივიდუალობისდა მიხედვით, მეორე განიხილავს საგანთა სახეებსა და ბუნებას.

104. სიამოვნებათა მომხრეების დაჯგუფება... — „სიამოვნებათა მომხრეს“ უწოდებენ ბერძენ ფილოსოფოსს ეპიკურეს (ძვ. წ. 341—270). ჰუმანისტებმა ეპიკურეს შესახებ ციცერონის, სენეკას, ლუკიანეს და დიოგენეს თხზულებებიდან შეიტყვეს.

105. მოწინააღმდეგეთა ჯგუფი — ფილოსოფოს-სტოიკოსები, ეპიკურელთა მოწინააღმდეგენი.

106. კოპით თამაში... — შდრ. ერაზმის აზრს: ყოველად სულელი, სასაცილო ხალხი თამაშით იმ ზომამდეა გატაცებული, რომ როგორც კი კოპის კაკუნს გაიგებენ, გული მკერდში მომეტებულად აუძგერდებათ („ხოტბა სისულელისა“, 39).

107. ნადირობა და ჩიტბადეობა... — შუა საუკუნეებში ნადირობასა და ჩიტბადეობას სხვადასხვანაირად უყურებდნენ: ერთნი იწონებდნენ ამ საქმიანობას, მეორენი უარყოფდნენ.

108. გართობის მოყვარული... — ეს ერთადერთი ადგილია „ეტოპიაში“, სადაც გართობაზე საუბარია არა როგორც უსაქმურობაზე. არამედ როგორც თავისუფალი დროის გონივრულად გატარებაზე.

109. ბერძნული ლიტერატურისა და მეცნიერებების შესახებ... — XVI საუკუნეში ინგლისელი ჰუმანისტები ბერძენ ავტორთა შესწავლას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

110. ლათინურში... — იმ დროს ისტორიკოსებიდან განსაკუთრებით თაყვანს სცემდნენ იულიუს კეისარსა და სალუსტიუსს, პოეტებიდან — პლავტუსს, ტერენციუსს, ვერგილიუსს, ჰორაციუსს.

111. პლატონი... არისტოტელე... თეოფრასტე... — პლატონს

ამ პერიოდში „ფილოსოფოსთა ღმერთად“ მიიჩნევდნენ. არისტოტელესადმი ავტორიტეტი საუკუნეთა განმავლობაში უდავოდ იყო მიჩნეული. თეოფრასტე (ძვ. წ. 372—287) —ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, ლოგიკოსი და ბუნებისმეტყველი, არისტოტელეს მოწაფე და მიმდევარი იყო. არისტოტელეს სიკვდილის შემდეგ სათავეში ჩაუდგა პერიპატოელთა სკოლას.

112. ხელთ ჩაუვარდა მაიმუნს..... — ტომას მორს სახლში ჰყავდა მაიმუნი. ჰანს ჰოლბაინის მიერ შესრულებულ ნახატზე, სადაც მორის მთელი ოჯახია გამოსახული, მორის ცოლის ფეხებთან ზის ეს მაიმუნი.

113. კონსტანტინე ლასკარისი — (გარდ. 1150 წ.) — ბიზანტიელი მეცნიერი. 1476 წელს მილანოში გამოიცა მისი ბერძნული ენის გრამატიკა.

114. ჰესიხიოსი და დიოსკორიდუსი...—ჰესიხიოსი ჩვ. წ. V ან VI ს.-ის ბერძენი გრამატიკოსი, მისი წიგნი 1514 წელს გამოიცა ვენეციაში. დიოსკორიდუს პედანიუსი — ნერონის თანამედროვე, ექიმი, მისი თხზულებები 1499 წელს გამოიცა ვენეციაში.

115. პლუტარქე — ახ. წ. I ს-ის ბერძენი ისტორიკოსი, მისი თხზულებანი „პარალელური ბიოგრაფიები“ და „მორალია“ დიდად ფასობდა როგორც შუა საუკუნეებში, ასევე აღორძინების ეპოქაშიც.

116. ლუკიანეს დაცინვები და ხუმრობები.... — ლუკიანე — ძველი ბერძენი მწერალი-სატირიკოსი. მორმა მისი თხზულებები თარგმნა ლათინურ ენაზე. ერაზმ როტერდამელი ლუკიანეს ცნობილი ორატორის დემოსთენეს და ისტორიკოს ჰეროდოტეს გვერდით აყენებდა. ლუკიანეს თხზულებები დასავლეთში XV საუკუნის პირველ მეოთხედში გახდა ცნობილი. ალდუს მანუციუსმა მისი თხზულებები 1503 წელს გამოსცა ვენეციაში.

117. არისტოფანე — ძვ. წ. 445—385. ძველი ბერძენი კომედიოგრაფი, „კომედიის მამა“, მისი კომედიები პირველად 1498 წლის ივნისში გამოიცა ვენეციაში.

118. ჰომეროსი — „ილიადასა“ და „ოდისეას“ ავტორი. ნაწარმოებები გამოიცა 1504 წლის ოქტომბერში ვენეციაში.

119. ევრიპიდე — ძვ წ. 485—406. ძველი ბერძენი დრამატურგი, მისი ტრაგედიები 1504 წლის თებერვალში გამოიცა.

120. სოფოკლე — ძველი ბერძენი დრამატურგი, ტრაგიკოსი. სოფოკლეს ტრაგედიები პირველად გამოიცა 1502 წელს ვენეციაში.

121. ალდუს მანუციუსი (1449 — 1515) — აღორძინების ეპოქის ვენეციელი ჰუმანისტი, მესტამბე და გამომცემელი. 1494 წლს დააარსა სტამბა და გამოსცა ძველ ბერძენ, რომაელ და აღორძინების ეპოქის კლასიკოსთა მეცნიერულად დამუშავებული თხზულებები. მის გამოცემებს „ალდინებს“ უწოდებენ. მინუსკული—განსაკუთრებული შრიფტი. ასეთი შრიფტით ალდუს მანუციუსმა პირველი წიგნი 1501 წელს გამოსცა.

122. თუკიდიდე (ძვ. წ. 465/460—400/395) — უდიდესი ძველი ბერძენი ისტორიკოსი. „ისტორიის მამის“ ჰეროდოტეს უმცროსი თანამედროვე, სოფისტების მოწაფე და მიმდევარი. მას ეკუთვნის თხზულება „ისტორია 8 წიგნად“, რომელიც ეძღვნება პელოპონესის ომს. ალდუს მანუციუსმა თხზულება 1508 წელს გამოსცა.

123. ჰ ე რ ო დ ო ტ ე (დაახლ. ჩვ. წ. 480—425) — ძველი ბერძენი ისტორიკოსი, „ისტორიის მამა“. მისი თხზულებები აღდუს მანუციუსმა 1502 წელს გამოსცა.

124. ჰ ე რ ო დ ი ა ნ ე (170—240) — ძველი ბერძენი ისტორიკოსი. ეაუოვნის რომის იმპერატორთა ისტორია მარკუს ავრელიუსიდან გორდიანამდე.

125. ტ რ ი ც ი ა ნ უ ს ა პ ი ნ ა ტ უ ს ი — ჰითლოდეესის თანამგზავრი. მისი სახელი წარმომდგარია ლათინური სიტყვებიდან apinae „ჩმახვა“ და trica e „სისულელე“.

126. ჰ ი პ ო კ რ ა ტ ე — ძველი ბერძენი ექიმი, „მედიცინის მამა“. მისი თხზულებები პირველად 1526 წელს იქნა გამოცემული ბერძნულად.

127. კ ლ ა ვ დ ი უ ს გ ა ლ ე ნ უ ს ი (129—201)—რომაელი ექიმი, ბუნებისმეტყველი და ფილოსოფოსი, ანტიკური მედიცინის კლასიკოსი. მას ეკუთვნის ნაშრომები ფილოსოფიაში, ლოგიკაში, გრამატიკაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი სამედიცინო ხასიათის თხზულებები, სადაც გაშუქებულია ანატომიის, ფიზიოლოგიის, პათოლოგიის, ფარმაკოლოგიის, გინეკოლოგიისა და სხვა საკითხები. აღსანიშნავია მისი „მცირე ხელოვნება“, რომელიც განსაკუთრებით პოპულარული იყო შუა საუკუნეებში.

128. მ ე დ ი ც ი ნ ა ნ ა კ ლ ე ბ ა დ ს ჯ ე რ დ ე ბ ა თ... — პლატონის „სახელმწიფოში“ სოკრატე აღნიშნავს, რომ ექიმები წამხდარ საზოგადოებას ესაჭიროება. ჯანმრთელობის საწინდარია სწორი სმა-ჭამა და სხვადასხვა სახის ვარჯიშობანი (III. 405—408).

129. ქ ა ღ ა ლ დ ი ს დ ა მ ზ ა დ ე ბ ა... — ქაღალდი გამოიგონეს ძვ. წ.-ის II საუკუნეში ჩინეთში, VIII ს-ის შუა ხანებში ქაღალდის დამზადების საიდუმლოება არაბებმა შეიტყვეს. სირიისა და ჩრდ. აფრიკის გზით ქაღალდის დამზადების ხელოვნება ჯერ ესპანეთში, XII ს-ში კი საფრანგეთში აითვისეს. იტალიასა და გერმანიაში ქაღალდის დამზადება მხოლოდ XIV საუკუნეში დაიწყეს.

130. გ ა დ ა ა გ დ ე ბ ე ნ ს ა მ ა რ ც ხ ვ ი ნ ო დ ს ა დ მ ე ჭ ა ო ბ შ ი... შდრ. პლატონი („კანონები“, IX, 873): „თვითმკვლელის დაკრძალვა უპირველეს ყოელისა სხვა ხალხთაგან განცალკევებით უნდა მოხდეს. ამგვარი უღირსი ადამიანები უდაბნოში უნდა დაიმარხონ... ყოველგვარი საფლავის ქვისა და წარწერის გარეშე“. არისტოტელე თვლის, რომ თვითმკვლელი იქცევა არა „ეშმარიტი განსჯის“, არა კანონისა და სახელმწიფოს, არამედ საკუთარი თავის წინააღმდეგ... ამიტომ მას სახელმწიფო სჯის („ნიკომაქეს ეთიკა“, V, 15, 1138 (19—14). ტაციტუსი აღნიშნავს, რომ „მას ვინც შეარცხვენს თავის სხეულს, ჭუჭყს და ჭაობში ჩაფლავენ...“ (ტაციტუსი, „გერმანია“, 12).

131. ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა მ დ ე... — აქ საუბარია მონოგამიურ ქორწინებაზე.

132. ს ჯ ე რ დ ე ბ ი ა ნ ე რ თ ც ო ლ ს — შდრ. ტაციტუსი („გერმანია“, 18): „ისინი ხომ ბარბაროსთაგან ერთადერთნი არიან, რომელნიც მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ერთი ცოლით კმაყოფილდებიან“.

133. ნ ე ფ ე ლ ო გ ე ტ ე ბ ი... ა ლ ა ო პ ო ლ ი ტ ე ბ ი — გამოგონილი ხალხი. „ნეფელოგეტები“ — სახელწოდება წარმოშობილია ბერძნული სიტყვებიდან νεφέλη —„ღრუბელი“, γενέτης — „დაბადებული, — ღრუბელთაგან შობილი“. „ალაოპოლიტები“ — წარმოშობილია სიტყვებიდან ἀλαός— „ბრმა“, πολίτης —„მოქალაქე“, — „ბრმა მოქალაქენი“.

134. ეშმაკობითა და მოხერხებულობით... —„თუმცა სიცრუის გამოყენება ცხოვრებაში საძაგლობა იქნებოდა, ომში ეს საქციელი სასარგებლო და სარწმუნო ხდება; და ის, ვინც ამარცხებს თავის მოწინააღმდეგეს ამგვარი საშუალებით, ისეთსავე ქებას იმსახურებს, როგორც ის, ვინც იარაღით ამარცხებს. ამგვარ მოსაზრებას გამოთქვამდნენ ისინი, ვინც დიდ ადამიანთა ისტორიას წერდნენ...“.

„Макиавелли, Рассуждение о Тите Ливии“, СПб., 1854, გვ. 488, წიგნი III, თავ. 40).

135. ზაპოლეტელები — ხალხის გამოგონებული სახელწოდება. წარმოშობილია ბერძნული სიტყვიდან πολητής —„გამყიდველი“. აქ იგულისხმება შვეიცარიელი დაქირავებული ჯარისკაცები.

136. ბუთრესკები — მორის მიერ გამოგონებული სახელწოდება ბერძნ. βου-სა და θρῆσκος —„ღვთისმოსავი“ შეერთებით. „ბუთრესკები“, „უაღრესად რელიგიურნი“.

137. ცინემერული... ტრაპემერული — „გაუგებარი სახელწოდებები“. საფიქრებელია სახელწოდების მეორე ნაწილი წარმოშობილია ბერძნული სიტყვიდან ἡμέρα —„დღე“.

138. აევრნის გველი... — აევრნის ტბა მდებარეობს იტალიის სამხრეთით, კამპანიაში, იგი მიწისქვეშა სამყაროს შესასვლელად ითვლებოდა.

პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ბრაქსა 72
ადემუსი 81.
ალაოპოლიტები 117
ალდუს მანუციუსი 107
ამაუროტი, ამაუროტელები 28, 72, 74, 75, 89
ანიდრუსი 28, 74, 75
ანემოლიელები 92, 93, 94
ანტვერპენი 33
არაგონელი ეკატერინე 12
არაგონია 56
არისტოტელე 107
არისტოფანე 107
ახორიელები 57

ბარზანი 81
ბარტონი ელისაბედ 12
ბენედიქტინელთა მონასტრები 53
ბელგია 10
ბოლეინი ანა 12
ბრაბანტი 56
ბრიტანეთი 31
ბრიუსელი 33
ბრიუგე 10, 33
ბუთრესკები 131
ბურგუნდია 56

გალენუსი კლავდიუს 107
გალია, გალელი 41, 43, 56, 57
გვიჩარდინი 16
გერმანელები 56
გროსინი უილიამ 8

დამოკლე 11
დიონისიოსი 55
დიოსკორიდუს პედანიუსი 107

ეგვიპტელები 67
ეგიდიუსი პეტრე 10, 27, 28, 29, 30, 33, 34, 35, 37, 38, 40, 67, 68
ედუარდ IV 7
ევრიპიდე 107
ევროპა 115
ელისე 54

ვენეტები 56
ვესპუჩი ამერიგო 35

ზაპოლეტელები 120, 121

თეოფრასტე 107
თუკიდიდე 107

ინგლისი, ინგლისელები 33, 40, 51, 56
იტალია 56, 57

კალე 10
კალიკვიტი 35
კართაგენელები 43
კარლოს (I) V 33
კასელი 33
კასტილია 33, 56
კელენოები 37
კემბრიჯი 7
კენტერბერის არქიეპისკოპოსი 40

კენტი 10
კინგსტონი უილიამ 13
კლემენტ იოანე 28
კოლეტი ჯონ 13
კორნუელი 41
კრასუსი 59

ლანკასტერი 11
ლასკარისი კონსტანტინე 107
ლესტრიგონები 37
ლინაკრი ტომას 8
ლონდონი, ლონდონელი 7, 31, 69
ლუვენი 9, 10
ლუზიტანელი 35
ლუთერი მარტინ 9, 11
ლუკიანე 107

მაკარიელები 61
მაკიაველი 16
მანლიუსი 48
მედიოლანუმი 56
„მეორე ინტენციები" 95
მორი ტომას 7, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 31, 39, 40, 54, 64, 69
მორი ჯონ 7, 8
მორტონი იოანე (ჯონ) 8, 40
მოსე 48
„მცირე ლოგიკა" 95
„მცირე ხელოვნება" 107

ნავარა 56
ნეაპოლი 56
ნერონი 62
ნეფელოგეტები 117
ნიდერლანდი, ნიდერლანდელი 9, 11

„ოქტავია" 62
ოქსფორდი 8, 10

პალინურუსი 34
პარიზი 9
პიკო დელა მირანდოლა 9
პოლიერიტები 49, 50
პოპი ტომას 13
პლავტუს ტიტუს მაკიუსი 62
პლატონი 34, 55, 63, 64, 65, 107
პლუტარქე 107
პროტოფილარქოსი 76

„რიჩარდ III ისტორია" 9
რომაელი, რომაელები 43, 49, 67
როტერდამელი ერაზმ 10, 11, 13

სალუსტიუსი 43
საფრანგეთი 9
„სახელმწიფო" 63
სენეკა 62
სირიელები 43
სიფოგრანტუსი 68, 76, 78, 81, 85, 87, 88, 89
სკილები 37
სკოტები 56
სოლომონი 54
სოფოკლე 107
სპარსეთი 49
სტოელები 48
სქოლასტიკური ფილოსოფია 62

ტაიბერნი 13
ტაპრობანა 35
ტაუერი 8, 12, 13
ტაუნტონი 7
ტემზიციუს გეორგ 33
ტერენციუსი 64
ტრანიბორუსი 76, 77, 89
ტრიციანუს აპინატუსი 107
ტუნსტალ კატბერტ 33

უოლსი 10, 11
ულისე 34
„უტოპია" 9, 10, 14, 15, 20
უტოპუსი 71, 72, 76, 127, 128

ფაბრიციუსი 60
ფილარქოსი 73, 76
ფლანდრია 9, 33, 56

ქრისტე 63, 64, 126, 127, 136

ციცერონი 35

„ხოტბა სისულელისა“ 9

ჩელეეტები 56
ჰენრი VII 8, 9, 11
ჰენრი VIII 11, 12, 33
ჰერკულესი 100
ჰესიხიოსი 107
ჰეროდიანე 107
ჰეროდოტე 107
ჰითლოდეკსი რიფაელ 27, 28, 29, 30, 31, 34, 35, 36, 37, 38, 47, 55, 63, 66, 67, 68, 74, 139, 140
ჰიპოკრატე 107
ჰომეროსი 107

შინაარსი

ტომას მორი და მისი „უტოპია" 7
ეთვალსაჩინოესი და ენამზეობით გამორჩეული ვაკკაცის, ლონდონის სახელოვანი მოქალაქისა და ვიკონტის ტომას მორის — არანაკლებ სასარგებლო, ვიდრე გასართობი, — ჭეშმარიტად ოქროს წიგნი სახელმწიფოს საუკეთესო წყობილებისა და ახალი კუნძულის უტოპიის თაობაზე 25
ტომას მორი სალამს უძღვნის პეტრე ეგიდიუსს 27

პირველი წიგნი საუბრისა, რომელიც გამართა გამოჩენილმა კაცმა რაფაელ ჰითლოდეესმა სახელმწიფოს საუკეთესო წყობილების თაობაზე და გადმოსცა უსაჩინოესმა ვაკკაცმა, ბრიტანეთის სახელოვანი ქალაქის ლონდონის მოქალაქემ და ვიკონტმა ტომას მორმა 31

მეორე წიგნი საუბრისა, რომელიც გამართა რაფაელ ჰითლოდეესმა სახელმწიფოს საუკეთესო წყობილების თაობაზე ლონდონელ მოქალაქესა და ვიკონტთან ტომას მორთან 69
შენიშვნები 141
პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი 153

თბილისის უნივერსიტეტის „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის“ გამოცემები:

1. ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ტ ი, მოგონებები სოკრატეზე, სოკრატეს აპოლოგია
2. ჰ ე რ ო დ ო ტ ე, ისტორია, ტ. I, II
3. ორფიკული არგონავტიკა
4. ს ა ფ ო, ლირიკა
5. ვ ე რ გ ი ლ ი უ ს ი, ენეიდა
6. ო ვ ი დ ი უ ს ი, მეტამორფოზები
7. ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე, რიტორიკა
8. ჰ ო რ ა ც ი უ ს ი, პოეტური ხელოვნებისათვის
9. ჰომეროსის ჰიმნები
10. ტ ო მ ა ს მ ო რ ი, უტოპია

გამომცემლობის რედაქტორი მ. ჩხაიძე
მხატვარი მ. ახვლედიანი
მხატვრული რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი ნ. ქანთარია
სბ 919

გადაეცა წარმოებას 21.12.82.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.03.83.
საბეჭდი ქაღალდი 60×84 1/16.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 10.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 8,11.
ტირაჟი 30000.
შეკვეთის № 4295.
ფასი 1 მან.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 14.

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ТОМАС МОР

УТОПИЯ

Перевод Нины Николаевны Гомартели

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1983